გიორგი რობაქიძე დაიბადა ქ. თბილისში 1975 წლის 28 ივლისს. 1992 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 186-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ჯგუფში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1996 წელს.

1997 წელს გიორგი რობაქიძე ჩაირიცხა ქ. ჰანოვერის ლაიბნიცის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტზე, რომლის საბაზისო პროგრამაც წარმატებით დაასრულა 2000 წელს.

იმავე წელს გ. რობაქიძე გახდა გერმანიის ფოლკსვაგენის ფონდის სტიპენდიანტი და სწავლა განაგრძო ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, ცენტრალური აზია/კავკასიის რეგიონული სწავლების სამაგისტრო პროგრამით, რომელიც 2003 წელს დაამთავრა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხით.

2018 წელს გ. რობაქიძე ჩაირიცხა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგაც, 2022 წლის 27 ივლისს მიენიჭა პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

გ. რობაქიძე 2007 წლიდან მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სხვადასხვა პოზიციებზე. 2021 წლიდან დღემდე კი არის ნატოში, საქართველოს მისიის პოლიტიკურ სექციაში, უფროსი მრჩეველი.

გიორგი რობაქიძე სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის და სტატიის ავტორია.

გიორგი რობაქიძე

პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება „ვიშეგრადის ოთხეულის" (V4) ქვეყნებში

მიზეზები, ფენდენციები და შესაძლო შედეგები

გიორგი რობაქიძე

პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება „ვიშეგრადის ოთხეულის” (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციები და შესაძლო შედეგები

გამომცემლობა „უნივერსალი”
თბილისი 2023

გიორგი რობაქიძე

პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება „ვიშეგრადის ოთხეულის" (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციები და შესაძლო შედეგები

© გიორგი რობაქიძე, 2023. ყველა უფლება დაცულია.

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.
გრანტის N: SP-22-323.
This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).
Grant N: SP-22-323

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Caucasus International University

რედაქტორები:

რევაზ გაჩეჩილაძე – გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი

თამარ კიკნაძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ყდის დიზაინერი: **მარიამ ზალდასტანიშვილი**

George Robakidze
Rise of the populist and radical parties in the ,,visegrad four" (V4) countries: causes, tendencies and possible consequences

© George Robakidze, 2023. All Rights Reserved.

გამომცემლობა **„უნივერსალი", 2023**
Publishing House "UNIVERSAL", 2023
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
4, A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-526-6

ვუძღვნი ჩემს მშობლებს

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 6

შესავალი 7

თავი I: „V4"-ის ქვეყნებში პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების მიზეზების, ტენდენციების და შესაძლო შედეგების გააზრების თეორიული ჩარჩო 11

თავი II: „ვიშეგრადის ოთხეულის" შექმნის ისტორიული წანამძღვრები 21

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკები ცენტრალური ევროპაში 21

კომუნიზმის ექსპორტი 22

კომუნისტური მმართველობა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში 32

დისიდენტური მოძრაობები ცენტრალურ ევროპაში 35

პოლიტიკური ცვლილებები ცენტრალურ ევროპაში - კომუნისტური რეჟიმების დასასრული 40

სოციალურ-პოლიტიკური ვითარება 1990-იანი წლების დასაწყისში და „ვიშეგრადის ოთხეულის" (V4) შექმნის წინაპირობა, მიზნები, ამოცანები, სტრუქტურა 55

თავი III: „V4"-ის ქვეყნების ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში 60

პოსტსოციალისტური პოლონეთის ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში და პოლიტიკური ელიტისა და მოსახლეობის განწყობები 67

პოლიტიკური პროცესები უნგრეთში სოციალისტური სისტემის დანგრევის შემდეგ და მისი ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში 76

ჩეხეთის პოლიტიკური განვითარება ცივი ომის დასრულების შემდეგ - ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში 82

სლოვაკეთის დემოკრატიზაციის პროცესი და ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში 86

თავი IV პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება „ვიშეგრადის ოთხეულის" (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციები და შესაძლო განვითარება 93
პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების მიზეზები და ტენდენციები პოლონეთში 99
პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების პროცესები უნგრეთში 110
რადიკალური და პოპულისტური განწყობების ზრდა ჩეხეთში 123
პოპულიზმისა და რადიკალიზმის გამოვლინებები სლოვაკეთში არსებული ტენდენციები და შესაძლო შედეგები 130
დასკვნა 138
შემცირებული ბმულების სრული ჩამონათვალი 166

წინასიტყვაობა

„ვიშეგრადის ოთხეულის" (V4) ქვეყნები პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი, წარმოადგენენ ყოფილი „კომუნისტური ბლოკის" ქვეყნების თანამედროვე ტიპის დემოკრატიულ ქვეყნებად გარდაქმნის წარმატებულ მაგალითს. ამავე დროს, კომუნისტური რეჟიმის დაცემიდან გასული სამი ათეული წლის შემდეგ, ოთხივე ქვეყანაში თავი იჩინა დემოკრატიის დონის ერთგვარმა დაწევამ. თუმცა ავტორიტარული განვითარების ტენდენცია ნაკლებ გამოხატულია, მაგრამ „ვიშეგრადის ოთხეულის" ქვეყნების საზოგადოებაში შესამჩნევი ხდება ანტიევროპული (ევროკავშირის მიმართ ნეგატიური) და, ზოგადად, ანტი-ლიბერალური განწყობების მატება, რაც გამოიხატება პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების ერთგვარ წარმატებაში ეროვნულ და მუნიციპალურ არჩევნებზე.

ამას თან ერთვის ზოგიერთი ქვეყნის მმართველი პოლიტიკური პარტიების ელიტის ნაწილის მცდელობა, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, შეასუსტოს არსებული დემოკრატიული ინსტიტუტები.

წიგნში „ვიშეგრადის ოთხეულის" ქვეყნების მაგალითზე, შესწავლილია ევროპის „პოსტ-კომუნისტური" ქვეყნების მოსახლეობაში პოპულისტური და რადიკალური განწყობების მატების მიზეზები, გამოვლენილია საერთო ტენდენციები, განსაზღვრულია შესაძლო ნეგატიური შედეგები და დასახულია მათთან ბრძოლის სავარაუდო გზები.

საქართველოში ეს თემატიკა ჯერ არ გამხდარა მონოგრაფიული შესწავლის საგანი. წიგნი ასევე მოწოდებულია გარკვეულწილად აღმოფხვრას ინფორმაციის დეფიციტი, რომელიც არსებობს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ევროკავშირისა და ნატოს შედარებით ახალი წევრი ქვეყნების ისეთი პრობლემების შესახებ, რომელთა კვლევაც ხელს შეგვიწყობს გავიაზროთ, თუ რა შესაძლო პრობლემების წინაშე შესაძლოა აღმოჩნდნენ ევროკავშირისა და ნატოს პოტენციური წევრები - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

გ. რობაქიძე
მაისი 2023 წ.

შესავალი

„ვიშეგრადის ოთხეული" (V4), ცენტრალური ევროპის ქვეყნების - პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის რეგიონულ გაერთიანებას წარმოადგენს, რომლის ისტორიაც თითქმის სამ ათეულ წელს ითვლის. ის ეფუძნება მასში შემავალი ქვეყნების საერთო ფასეულობებს, მსგავს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას და ერთობლივ პოლიტიკურ ინტერესებს.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ინტეგრაციული ამოცანის შესრულების შემდეგ „ვიშეგრადის ოთხეულის" რეგიონული გაერთიანება შეწყვეტდა ფუნქციონირებას[1]. თუმცა, თავდაპირველი მიზნების მიღწევის შემდეგ, ორგანიზაციამ ტრანსფორმაცია განიცადა და დღეისათვის „V4" ევროკავშირის პოლიტიკურ ასპარეზზე კარგად დამკვიდრებული რეგიონული დაჯგუფებაა, რომელიც წარმატებით ახორციელებს მისი წევრი ქვეყნების ინტერესების ლობირებას, როგორც ევროპულ, ისე საერთაშორისო არენაზე.

ვიშეგრადის რეგიონული გაერთიანების შექმნის უმთავრესი ამოცანა და მიზანი იყო მისი წევრი ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებამ ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შესაძლებლობა მისცა სწრაფად განევითარებინათ საკუთარი ეკონომიკა უსაფრთხო და სტაბილურ გარემოში. ეს ქვეყნები საკუთარი არსებობის მანძილზე, არასოდეს ყოფილან ეკონომიკურად ისეთი წარმატებული, როგორიც 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულების განმავლობაში, რაც უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი ევროპულ და ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში წარმატებული ინტეგრაციის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდში ამ ქვეყნებში მაინც შეინიშნება ანტიევროპული (ევროპული კავშირის მიმართ ნეგატიური) და ზოგადად ანტიდასავლური განწყობების მატება. ამასთან, „V4"-ის ქვეყნებში თვალშისაცემი ხდება არა მარტო პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების ტენდენცია, არამედ ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობების ზრდა ძირითად პარტიებშიც (Mainstream Parties), მათ

[1] DANGERFIELD, Martin. V4: A new brand for Europe? Ten years of post-accession regional cooperation in Central Europe. In: Poznan University of Economics Review, Volume 14, Number 4, 2014, გვ. 72;

შორის სახელისუფლებო პარტიებშიც კი[2], რაც სავარაუდოდ ნაკარნახებია მმართველი პოლიტიკური ძალის მცდელობით, განიმტკიცოს საკუთარი ძალაუფლება. ხელისუფლების აღნიშნული ქმედება, თავის მხრივ იწვევს არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტებას, და განაპირობებს დემოკრატიის დონის ერთგვარ გაუარესებას (დემოკრატიის უკუსვლას - Democratic Backslide).

მართალია, ამ ეტაპისთვის, ავტორიტარული განვითარების ტენდენცია ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ნაკლებად არის გამოხატული, მაგრამ ანტიევროპული და ზოგადად, ანტი-ლიბერალური განწყობების მატება სულ უფრო შესამჩნევი ხდება, რის დასტურსაც წარმოადგენს ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებში ეროვნულ და მუნიციპალურ არჩევნებზე ისეთი პოპულისტური და რადიკალური პარტიების წარმატება, რომელთაც „ანტი-ისტებლიშმენტურ“ (anti-establishment - ანუ დამკვიდრებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ მებრძოლი) პარტიებად მოიხსენიებენ. ამ ტენდენციას თან ერთვის ზოგიერთი ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ელიტის მცდელობა, რათა საკუთარი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, შეასუსტოს მათ ქვეყანაში არსებული ჯერ კიდევ მყიფე, არასაკმარისად განვითარებული, დემოკრატიული ინსტიტუტები.

წიგნს საინტერესოს და აქტუალურს ხდის ის გარემოებაც, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყნების მსგავსად, საქართველოც მიისწრაფის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ, შესაბამისად, ამ კუთხით, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა „V4“ ქვეყნების გამოცდილების ანალიზი, რათა ერთი მხრივ თავიდან იქნას აცილებული მათ მიერ დაშვებული შეცდომები და მეორე მხრივ მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის (best practices) გაზიარება. ამასთან, ცენტრალური ევროპის ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც შეინიშნება პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების ნიშნები, შესაბამისად „V4“ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი, საშუალებას იძლევა უკეთესად მოვახდინოთ საქართველოში არსებული პოლიტიკური პროცესების პროგნოზირება და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

უფრო კონკრეტულად, წიგნში, „ვიშეგრადის ოთხეულის“ მაგალითზე:

- შესწავლილია ცენტრალური ევროპის „პოსტ-კომუნისტური“ ქვეყნების მოსახლეობაში პოპულისტური და რადიკალური

[2] რობაქიძე გიორგი, პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება „ვიშეგრადის ოთხეულის” (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციები და შესაძლო შედეგები. აკადემიკოს რ. გაჩეჩილაძის და პროფ. თ. კიკნაძის ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019;

განწყობების საერთო ტენდენციები;

- გამოვლენილია ასეთი ტენდენციების მატების ფაქტები და სავარაუდო მიზეზები;
- განსაზღვრულია მათი შესაძლო ნეგატიური შედეგები;
- და დასახულია მათთან ბრძოლის სავარაუდო გზები, რაც, ყურადსაღები უნდა იყოს ისეთ „პოსტ-საბჭოთა“ ქვეყანაშიც, როგორიც საქართველოა.

ამასთან, წიგნში გაანალიზებულია:

- თუ რა შიდა და გარე ფაქტორები განაპირობებენ დემოკრატიულ ქვეყნებში პოპულისტური იდეოლოგიების აღზევებას და რამდენად უნივერსალურია ეს პროცესი?
- რამდენად შესაძლებელია, რომ ანალოგიურმა ფაქტორებმა შეცვალონ საზოგადოებრივი განწყობა იმ ქვეყნებშიც, რომლებიც გეგმავენ ევროპულ კავშირში გაწევრიანებას, მათ შორის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში, უფრო კონკრეტულად კი, საქართველოში?

ზემოჩამოთვლილი ამოცანის შესასრულებლად, წინამდებარე წიგნში მიმოხილულია ცენტრალური ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების დამყარებისა და მათი ჩამოშლის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები, სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ „V4“-ის ქვეყნებში შექმნილი ვითარება და მათი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი. ასევე, „V4“-ის ქვეყნების პოლიტიკური ელიტებისა და მოსახლეობის განწყობები, როგორც ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებამდე, ისე მის შემდეგ.

და ბოლოს, წიგნში აღწერილია „V4“-ის ქვეყნებში დღეისათვის არსებულ პოლიტიკური ვითარება და იქ მოქმედი პარტიები. ამასთან, ამ პარტიების იდეოლოგიების ანალიზი, საშუალებას იძლევა დადგინდეს პოპულისტური და რადიკალური განწყობების გაძლიერების ხელშემწყობი ძირითადი საშინაო და საგარეო ფაქტორები.

წინამდებარე წიგნში, ცენტრალურ ევროპაში არსებული პოპულისტური, ევროსკეპტიკური და რადიკალიზებული პარტიების კვლევა, ეფუძნება კომპლექსურ, დისციპლინათაშორის ბაზას, სადაც, გამოყენებული ლიტერატურა პირობითად შესაძლებელია დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სამეცნიერო ნაშრომები პოლიტიკის და სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოპულიზმის, რადიკალიზმის, გლობალიზაციის,

რეგიონალიზმის და ინტეგრაციის სამეცნიერო თეორიების ანალიზს. წიგნში გამოყენებულია ზემოთჩამოთვლილი მიმართულებით ევროპულ და ამერიკულ სამეცნიერო წრეებში ცნობილი ავტორების კვლევები, როგორიცაა ლ. მარჩი, კ. ფონ ბეიმე, კ. არცჰაიმერი, რ. მაკრიდისი, კ. მუდე, ე. ჰეივუდი, ჯ. ნაი, ე. ბალმერი, ე. ჰაასი, ლ. ლინდბერგი, ს. ჰოფმანი, ე. მორავჩიკი, ს. ჰიქსი და სხვები).

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ცენტრალური ევროპის ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოების, პერიოდული გამომცემლობების, ასევე წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და ანალიტიკური პორტალების მასალები. სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური ინტერნეტ რესურსები და საარქივო მასალები;

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება იმ ქართველ ავტორთა ნაშრომები, რომლებიც იკვლევენ ევროპული ინტეგრაციის თემატიკას და ევროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. წიგნში გამოყენებულია რ. გაჩეჩილაძის, კ. გოგოლაშვილის, ს. კაპანაძის, ვ. ჭყოიძის, თ. კიკნაძის, ვ. შუბითიძის, ლ. კაპანაძის და სხვათა ნაშრომები.

გამოყენებულ წყაროთა ბაზას ასევე მიეკუთვნება „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებისა და ევროკავშირის ინსტიტუციების მიერ მომზადებული დოკუმენტები, მათ შორის სახელმწიფოთა მეთაურების გამოსვლების და პრეს-კონფერენციების ტექსტები და მასალები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ევროპის პოპულისტური და რადიკალური პარტიების კვლევა ჯერ არ გამხდარა მონოგრაფიული შესწავლის საგანი საქართველოში, წიგნი მოწოდებულია გარკვეულწილად აღმოფხვრას ეს დეფიციტი.

წინამდებარე წიგნი გამოადგება როგორც პოპულისტური პარტიების გაძლიერების პრობლემატიკაზე, ისე ზოგადად ცენტრალური ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ისტორიულ თემატიკაზე მომუშავე მეცნიერებს, მკვლევარებსა და ანალიტიკოსებს. ამასთან, ის შესაძლოა გახდეს ერთგვარი გზამკვლევი ქართველი ჟურნალისტებისა და ანალიტიკოსებისთვისაც, რომლებიც აშუქებენ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს.

თავი I: „V4"-ის ქვეყნებში პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების მიზეზების, ტენდენციების და შესაძლო შედეგების გააზრების თეორიული ჩარჩო

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების ტენდენციის მიზეზების დადგენა რთული და კომლექსური კვლევის საკითხია, რომელიც მოიცავს, როგორც პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებული სხვადასხვა თეორიული მიმართულების ანალიზზე აგებულ მიდგომებს, ისე ამ ქვეყნების განვითარების ისტორიულ და სოციო-კულტურულ ასპექტებს.

იმისათვის, რომ კარგად ჩავწვდეთ პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების მიზეზებს, წიგნში შესწავლილი და მიმოხილულია თავად **პოპულიზმისა** და **რადიკალიზმის** არსი, მათი მეცნიერულ-თეორიული საფუძვლები. ამასთან, წიგნში გვერდს ვერ ავუვლით **რეგიონალიზმის** თეორიას, რომელიც გვეხმარება ავხსნათ „ვიშეგრადის ოთხეულის" შექმნის კანონზომიერება, ხოლო პოლიტიკური მეცნიერების ისეთი თეორიები, როგორიცაა **გლობალიზაცია** და **ინტეგრაციის თეორია** საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესი.

პოლიტიკური მეცნიერება ტერმინ პოპულიზმს შემდეგნაირად განმარტავს - „პოლიტიკური პროგრამა ან მოძრაობა, რომელიც ემსახურება უბრალო ადამიანს, როგორც წესი, არსებულ ელიტებთან დაპირისპირების გზით."[3] პოპულიზმი ჯერ კიდევ ძველი რომის იმპერიიდან იღებს სათავეს როგორც იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, სადაც პოპულისტებს უწოდებდნენ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც გამოდიოდნენ უბრალო ხალხის, პლებეების, ინტერესების დასაცავად. როგორც წესი ასეთი პოლიტიკოსები დიდი ორატორული ხელოვნებით გამოირჩეოდნენ და თავისუფლად ზემოქმედებდნენ მასების ცნობიერებაზე.[4] „Populus" ლათინურად ნიშნავს - ხალხს.

„პოპულიზმი არაორდინარული მოვლენაა. მისი არსი კონკრეტულ ერთ განსაზღვრებას არ ემორჩილება და დიდი ლავირების უნარით

[3] პოპულიზმი - პოლიტიკური პროგრამა ან მოძრაობა. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/topic/populism (ბოლო ნახვა 01.11.2019);

[4] კაპანაძე ლალი. *პოპულიზმი ქართულ პოლიტიკაში.* დისერტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა 2011. გვ. 14

გამოირჩევა".[5] *„პოპულისტი"* პოლიტიკოსი შეიძლება იყოს როგორც დემოკრატიული, ისე ავტორიტარული სისტემის წარმომადგენელი, ამასთან ის შეიძლება იყოს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ტიპის.

გარდა მეცნიერული განმარტებისა, თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში ტერმინ *„პოპულიზმს"* პოლიტიკოსები და ექსპერტები ხშირად იყენებენ მათთვის არასასურველი ან მიუღებელი პოლიტიკური მოღვაწეების დასახასიათებლად. „პოპულისტად" შეიძლება მოინათლოს, როგორც ბოლივიის მემარცხენე სოციალისტი ყოფილი ლიდერი **ევო მორალესი** (Evo Morales), ისე აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** (Donald Trump), რომელსაც მემარცხენედ ვერ მივიჩნევთ. ტრადიციული პოლიტიკური მიმართულებების წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, რომლებიც თავს უწოდებენ, მაგალითად კონსერვატორებს, სოციალისტებს, ლიბერალებს და ა. შ., პოპულისტური პარტიების წევრები საკუთარ თავს „პოპულისტებს" არ უწოდებენ. ეს, სავარაუდოდ, უკავშირდება სწორედ იმ ნეგატიურ კონტექსტს, რომელიც ამ ტერმინის მიმართ დამკვიდრდა თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში.

„პოპულიზმის" შესახებ მასალების კვლევისას, ავტორთა შეხედულებები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ. პირველი ჯგუფი პოპულიზმს დემოკრატიის ყველაზე ნამდვილ (ხალას) ფორმად მიიჩვევს. ისინი თვლიან, რომ *„პოპულიზმი"* ეს არის „დემოკრატიის ყველაზე უფრო სუფთა ფორმა". ასე ფიქრობს, მაგალითად, შვედი ფილოსოფოსი **ტორბიორნ ტანსიო**[6]**.** სხვები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ „პოპულისტური მოძრაობის" წარმომადგენლები „ჭეშმარიტი დემოკრატები" არიან და „ხალხისათვის ძალაუფლების დაბრუნებას ითხოვენ".[7] ამ აზრს ავითარებს, მაგალითად, ბრიტანელი პოლიტიკური თეორეტიკოსი **მარგარეტ კენოვენი**.

ავტორთა მეორე ნაწილი, ისეთები, როგორებიც არიან, მაგალითად, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი **პიერო იგნაზი**[8], აშშ-ის ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი **მაიკლ კეზინი**[9] და ცნობილი არგენტინელი პოლიტიკური თეორეტიკოსი **ერნესტო ლაკლაუ**[10] მიიჩნევენ, რომ პოპულიზმი არის თანამედროვე დემოკრატიული სისტემის განუყოფელი ნაწილი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსახლეობის იმ

[5] იქვე. გვ.20;
[6] TÄNNSJÖ Torbjörn. *Populist Democracy: A Defence*, Routledge. 1992;
[7] CANOVAN Margaret. *Populism for political theorists,* In: Journal of Political Ideologies, Vol. 9, № 3, 2004;
[8] IGNAZI Piero. Extreme Right Parties in Western Europe. Oxford OUP, 2003;
[9] KAZIN Michael. *The Populist Persuasion: An American History*. Cornell University Press, 1998;
[10] LACLAU Ernesto. *On populist reason,* London-New York: Verso, 2005;

ჯგუფებს, რომლებმაც ვერ მოახდინეს საკუთარი თავის იდენტიფიცირება ტრადიციულ პარტიებთან, წარმოდგენილი იყვნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი აზრით *„პოპულიზმი“* სასარგებლოა დემოკრატიისათვის, რადგან ის ოლიგარქიულ ჯგუფებს პოლიტიკური სისტემის სრული კონტროლის ხელში ჩაგდების საშუალებას არ აძლევს. მექსიკელი პოლიტიკური თეორეტიკოსი **ბენჯამენ არდიტი** წერდა, რომ: „პოპულიზმი თავაზიანი წვეულების მთვრალი სტუმარია: რომელიც ხმამაღალი ლაპარაკითა და სხვათა საუბრის გაწყვეტით არღვევს დამკვიდრებულ მკაცრ ეტიკეტსა და წესებს”.[11]

ავტორთა მესამე (და ყველაზე მრავალრიცხოვანი) ჯგუფი ავითარებს აზრს, რომ პოპულიზმი დემოკრატიისათვის სახიფათო მოვლენაა. მათი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია აშშ-ში მოღვაწე წარმოშობით ჰოლანდიელი მეცნიერი **კას მუდე**, რომელიც მიიჩნევს, რომ პოპულიზმი მოჩვენებითი და მორალისტური იდეოლოგიაა, რომელიც უარყოფს პოლიტიკური ოპონენტების ლეგიტიმურობას[12]. კას მუდე თვლის, რომ *„პოპულიზმი“* განსაკუთრებით „მახინჯ“ სახეს იღებს, როდესაც მისი მიმდევრები ძალაუფლებას იგდებენ ხელში, რადგან *„პოპულისტი“* პოლიტიკოსები ხშირად ცდილობენ მოახდინონ ხელისუფლების უზურპირება და დაასუსტონ ის სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც მათ ძალაუფლებას ზღუდავენ.[13] მუდეს აზრით, ევროპაში *„პოპულისტი“* ლიდერების მხრიდან ძალაუფლების მონოპოლიზების მცდელობას შეგვიძლია დავაკვირდეთ პოლონეთში **იაროსლავ კაჩინსკის** (Jarosław Kaczyński), იტალიაში **სილვიო ბერლუსკონის** (Silvio Berlusconi) ან საბერძნეთში **ალექსის ციპრასის** (Alexis Tsipras) მოღვაწეობისას, თუმცა ამ ქვეყნებში არსებულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა სათანადო სიმტკიცე გამოამჟღავნეს და არ ჩამოიშალნენ. მისი აზრით, *„პოპულისტი“* ლიდერების ხელში მოხვედრილ უკონტროლო ძალაუფლების ნეგატიური შედეგების სრულად დანახვა შესაძლებელია ვენესუელის მაგალითზე (განსაკუთრებით, **ნიკოლას მადუროს** (Nicolás Maduro) მმართველობის პერიოდში), ევროპაში კი - შედარებით ნაკლები სიმწვავით, უნგრეთის მაგალითზე. ამ ქვეყნების პოლიტიკურმა ლიდერებმა, ხელისუფლებაში მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით მოსვლის შემდეგ,

[11] ARDITI Benjamin. *Populism or politics at the edges of democracy*. In: Contemporary Politics № 9, 2003; [Populism is a drunken guest at a polite party: He can disrupt table manners and the tacit rules of sociability by speaking loudly, interrupting the conversations of others] არაოფიციალური თარგმანი;
[12] MUDDE Cas. The problem with populism, *The Guardian*, 15 February 2015;
[13] რობაქიძე გიორგი. დას. ნაშრ. გვ. 10;

თავის სასარგებლოდ შეცვალეს საკუთარი ქვეყნის კონსტიტუცია, რითაც საგრძნობლად შეასუსტეს არსებული დემოკრატიული ინსტიტუტები. საბოლოოდ, კაზ მუდე ასკვნის, რომ: „პოპულიზმი, ეს არის არალიბერალური დემოკრატიული პასუხი არადემოკრატიულ ლიბერალიზმზე“ [14].

პოპულიზმისაგან განსხვავებით, *„რადიკალიზმს“* პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების უმეტესობა ნეგატიურ გამოვლინებად მიიჩნევს. პოლიტიკური მნიშვნელობით ტერმინი *„რადიკალური“* პირველად გამოიყენა ინგლისის პარლამენტის წევრმა ვიგების პარტიიდან **ჩარლზ ჯეიმს ფოქსმა** (1749-1806 წწ), რომელმაც 1797 წელს განაცხადა საარჩევნო სისტემასა და საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებული „რადიკალური რეფორმის“ შესახებ.[15]

მეცნიერები ასახელებენ რადიკალიზმის სხვადასხვა ფორმას, მემარჯვენეს, მემარცხენეს, რელიგიურს, ეკოლოგიურს და სხვ. წინამდებარე წიგნში გამოყენებულია რადიკალიზმის ორი უმთავრესი მიმართულება - მემარცხენე და მემარჯვენე რადიკალიზმი.

ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი **ლიუკ მარჩი** *„ულტრა-მემარცხენე“* (Far Left) იდეოლოგიის მატარებელ პარტიად მიიჩნევს ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც საკუთარ თავს ტრადიციულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებზე „უფრო მარცხნივ“ ხედავს. ხშირ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატებს საერთოდ არ მიაჩნიათ ასეთი რადიკალური ძალები მემარცხენე პარტიებად.[16]

ლ. მარჩის აზრით, *„ულტრა-მემარცხენე“* პარტიები ორ ქვეჯგუფად იყოფა: *„რადიკალურ მემარცხენე“* პარტიებად (Radical Left Parties) *და „უკიდურეს მემარცხენე“* პარტიებად (Extreme Left Parties)[17]. *„რადიკალური მემარცხენე“* იდეოლოგიის პარტიების ძირითად ამოცანას კაპიტალიზმის სისტემური ცვლილება წარმოადგენს. ამასთან, მათი უმრავლესობა აღიარებს არსებული დემოკრატიული სისტემის ძირითად პრინციპებს, მაგრამ აუცილებლად მიიჩნევს მის ძირეულ რეფორმირებას. ეს პარტიები მთავარ გამოწვევად *„ნეოლიბერალიზმსა“* და *„გლობალურ კაპიტალიზმს“* მიიჩნევენ და გამოდიან რესურსების უფრო თანაბრად

[14] MUDDE Cas. *Populism in the Twenty-First Century: An Illiberal Democratic Response to Undemocratic Liberalism.* University of Pennsylvania 2018. [Populism is an illiberal democratic response to undemocratic liberalism] არაოფიციალური თარგმანი;
[15] შუბითიძე ვაჟა. *რადიკალიზმის და ზომიერების დილემა საერთაშორისო პოლიტიკაში.* ჟურნალი "პარალელი". N13, 2022, გვ.121-130;
[16] MARCH, Luke. Radical Left Parties in Europe, Extremism and Democracy. Routledge, 2012;
[17] MARCH Luke. *Contemporary Far Left Parties in Europe from Marxism to the Mainstream?* International Policy Analysis, Friedrich-Ebert-Stiftung, November 2008;

გადანაწილების მოთხოვნით.[18] *„რადიკალური მემარცხენე“* პარტიები თავისი არსით ინტერნაციონალური არიან, ისინი ხშირად გამოდიან საზოგადოების შედარებით მარგინალური ჯგუფების, მაგალითად უმუშევრების, უცხოელი მიგრანტების და ა. შ., დაცვის მოთხოვნით და ცდილობენ მათ ჩართვას არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში.

„უკიდურესი მემარცხენე“ იდეოლოგიის პარტიები, *„რადიკალურ მემარცხენე“* პარტიებისაგან განსხვავებით, არ აღიარებენ არსებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემას და მიუღებელად მიიჩნევენ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან (მათ შორის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის პარტიებთან) თანამშრომლობას[19]. ამ პარტიებისთვის ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი რევოლუციაა, რომლის საშუალებითაც ისინი საკუთარი დიქტატურის დამყარებას ცდილობენ. ასეთი იყო, მაგალითად, **ვლადიმირ ლენინის** (ნამდვილი სახელი და გვარი - Владимир Ильич Ульянов) ხელმძღვანელობით შექმნილი რუსეთის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის და მისი სატელიტური სოციალისტური ბლოკის ჩამოშლამ დიდი დარტყმა მიაყენა *„უკიდურეს მემარცხენეს“* იდეოლოგიას. ამ ტიპის პარტიების უმეტესობა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მარგინალურ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა.

„ულტრა-მემარცხენეს“ პარტიებისაგან განსხვავებით, რომელთა აქტივობაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საგრძნობლად შემცირდა სოციალისტური ბლოკის ჩამოშლის შემდეგ, *„ულტრა-მემარჯვენე“* იდეოლოგიის პარტიები, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, აღმავლობის გზაზე დგანან.[20] შესაბამისად, პოლიტიკურ მეცნიერებაში, *„ულტრა-მემარჯვენე“* იდეოლოგიისა და პარტიების შესახებ არაერთი ნაშრომია შექმნილი.

გერმანელი მეცნიერის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის **კლაუს ფონ ბეიმეს** თეორიის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ევროპაში რადიკალიზმის სამი ტალღა შეიძლება გამოვყოთ. პირველი ტალღა (ე. წ. ნოსტალგიური) - იყო 1945-1950 წლებში, მეორე ტალღა (ე. წ. ანტისაგადასახადო) 1950-1960 წლებში, ძირითადად საფრანგეთში. მესამე ტალღა - 1970-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და ის დღემდე გრძელდება. *„ულტრა-მემარჯვენე“* პარტიების აღმავლობის მესამე ტალღა ყველაზე წარმატებული პერიოდია ამ ტიპის

[18] MARCH Luke and MUDDE, Cas. *What's Left of the Radical Left? Comparative European Politics*, Palgrave Macmillan, 2005, გვ. 25;
[19] MARCH Luke. *op. cit.*;
[20] IGNAZI Piero. *The Silent Counter-Revolution*. In: European Journal of Political Research, N 22, 2006, გვ. 3 – 34;

პარტიებისათვის ფაშისტური და ნაცისტური რეჟიმების დამხობის შემდეგ.[21]

გერმანელი მეცნიერის, მაინცის უნივერსიტეტის პროფესორის, **კაი არცჰაიმერის** აზრით, თანამედროვე *"ულტრა-მემარჯვენე"* პარტიები გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, როგორც იდეოლოგიური კუთხით, ისე მათი წევრების სოციალური კუთვნილების თვალსაზრისით.[22] ამ მრავალფეროვნების დასახასიათებლად, მეცნიერები ხშირად იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა *„რადიკალური მემარჯვენე"* (Radical Right), *„პოპულისტი მემარჯვენე"* (Populist Right), *„უკიდურესი მემარჯვენე"* (Extreme Right), *„პოპულისტი რადიკალი მემარჯვენე"* (Populist Radical Right) და ა. შ. წინამდებარე წიგნში ძირითადად ვიმსჯელებთ *„უკიდურეს მემარჯვენე"* და *„პოპულისტ რადიკალ მემარჯვენე"* პარტიებზე.[23]

„უკიდურესი მემარჯვენე" იდეოლოგიისა და პარტიების განმარტება თანამედროვე მეცნიერებაში არაერთგვაროვანია. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ ტერმინ *„უკიდურეს მემარჯვენეს"*, მეცნიერულის გარდა, პოლიტიკური დატვირთვაც აქვს და მას განსხვავებულ კონტექსტში იყენებენ როგორც სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები, ისე მედია-საშუალებების წარმომადგენლები.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერის **როი მაკრიდისის** განმარტებით *„უკიდურესი მემარჯვენე"* იდეოლოგია „ტრიალებს ძველი, ნაცნობი თემების ირგვლივ, როგორიცაა რასიზმი, ქსენოფობია და ნაციონალიზმი"[24]. ზემოთ უკვე ნახსენები კაზ მუდე კი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მეცნიერებაში არსებული *„უკიდურესი მემარჯვენე"* იდეოლოგიის განმარტებების თითქმის ნახევარი შეიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ნაციონალიზმი, რასიზმი, ქსენოფობია, ანტი-დემოკრატიულობა და ძლიერი სახელმწიფო.[25]

ტერმინი *„პოპულისტი რადიკალი მემარჯვენე"* შედარებით ახალია და ის გამოიყენება ისეთი პოლიტიკური პარტიების აღსანიშნავად, რომელთა იდეოლოგიაც, ერთი მხრივ, მოიცავს *„უკიდურესი მემარჯვენე"* იდეოლოგიის ასპექტებს, მეორე მხრივ კი, უხვადაა გაჯერებული

[21] MUDDE Cas. *The Study of Populist Radical Right Parties: Towards a Fourth Wave*. In: C-REX Working Paper Series N1/2016. University of Oslo and University of Georgia. 2016;
[22]ARZHEIMER Kai. Electoral sociology: Who votes for the extreme right and why – and when? Backes U. and Moreau P. (eds) The Extreme Right in Europe: Current Trends and Perspectives, Göttingen, Vandenhoeck and Ruprecht, 2002, გვ. 35–50;
[23] რობაქიძე გიორგი. დას. ნაშრ. გვ 13;
[24] MACRIDIS Roy C. *Contemporary Political Ideologies: Movements and Regimes*. Glennview Scott, Foresman and Company, 4th edition, 1989, გვ. 231;
[25]MUDDE, Cas. *The ideology of the extreme right.* Manchester Univ. Press. 2002;

„პოპულისტური“ თემებით, რაც უზრუნველყოფს მათი იდეების საკმაო წარმატებას საზოგადოების შედარებით ფართო ნაწილში. *„პოპულისტი რადიკალი მემარჯვენე“* პარტიების ძირითადი იდეოლოგია დაფუძნებულია *„ნატივიზმზე“* (ნატივიზმი - პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ადგილობრივ (მკვიდრ) მოსახლეობას უპირატესობას ანიჭებს ჩამოსულ მოსახლეობასთან შედარებით)[26], *„ავტორიტარიზმსა“ და „პოპულიზმზე“*[27].

აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი პარტიების გაძლიერება უწყობს ხელს ევროპულ საზოგადოებაში ე. წ. ევროსკეპტიკური განწყობების ზრდას. ამ პარტიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაწყვეტა ეროვნულ დონეზე უნდა მოხდეს და ნაკლები ანგარიში უნდა გაეწიოს მეზობელი ქვეყნების ინტერესებს.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, წინამდებარე წიგნში გვერდს ვერ ავუვლით პოლიტიკური მეცნიერების ისეთ თემებს, როგორიცაა „გლობალიზაცია“ და „რეგიონალიზმი “ და მათ გავლენას ქვეყნების შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ტრადიციულად მიჩნეული იყო, რომ საერთაშორისო პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობათა ერთობლიობას, თუმცა ბრიტანელი მეცნიერის **ენდრიუ ჰეივუდის** აზრით, ამ პარადიგმამ 1980-იანი წლებიდან ცვლილება განიცადა. დღეს მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგადაჯაჭვულობის გამო დღევანდელი მსოფლიო უკვე აღარ წარმოადგენს ცალკეული ქვეყნების გაერთიანებას, არამედ ის არის განუყოფელი, ინტეგრირებული, მთელი. ჰეივუდი თანაბრად აბსურდულად მიიჩნევს მსოფლიო პოლიტიკური ასპარეზიდან სახელმწიფოს და ეროვნული მთავრობის „ჩამოწერას“, ისევე როგორც იმის აღიარებას, რომ მთავრობებს შესწევთ უნარი იმოქმედონ გლობალური ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.[28] ჰეივუდის ამ მოსაზრების სისწორეს ნათლად ადასტურებს 2020 წლის დასაწყისში განვითარებული მოვლენებიც, როდესაც ჩინეთის პროვინციულ ქალაქ ვუჰანში დაწყებული ვირუსული ინფექციის პანდემია, სულ რამდენიმე თვეში მოედო მთელ მსოფლიოს, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და უდიდესი ზიანი მიაყენა გლობალურ ეკონომიკას.

რაც შეეხება *„რეგიონალიზმს“*, ის *„გლობალიზაციისაგან“* განსხვა-

[26]ნატივიზმი - ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი, ელექტრონული გამოცემა. https://en.oxforddictionaries.com/definition/nativism (ბოლო ნახვა 14.11.2019);
[27]MUDDE Cas. Three decades of populist radical right parties in Western Europe: So what? In: European Journal of Political Research, 2013, გვ.1–19;
[28] HEYWOOD Andrew. *Global Politics*. Palgrave Macmilan, 2011, გვ.1;

ვებით უფრო ლოკალურ ხასიათს ატარებს და გარკვეული ქვეყნებისა თუ ერების საერთო ან მსგავს იდენტობაზე დაფუძნებული თანამშრომლობაა. ამერიკელი მეცნიერის **ჯოზეფ ნაის** დეფინიციით საერთაშორისო რეგიონი "ესაა შეზღუდული რაოდენობის ქვეყნების ერთობლიობა, რომლებიც გეოგრაფიულად ერთ სივრცეში მდებარეობენ და გააჩნიათ გარკვეული ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი"[29].

თანამედროვე *„რეგიონალიზმი"* 1960-იანი წლებიდან იწყებს გაძლიერებას, როდესაც აფრიკისა და აზიის ყოფილმა კოლონიურმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლეს. ამ ქვეყნებს მიაჩნდათ, რომ სწორედ რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების გზით შეძლებდნენ უკეთესი შედეგის მიღწევას ყოფილ კოლონიურ ძალებთან ურთიერთობაში.[30] რეგიონული თანამშრომლობის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირიც, თუმცა ევროკავშირის შიგნითაც უხვადაა სუბ-რეგიონული თანამშრომლობის მაგალითები (ბენელუქსის ქვეყნები, ბალტიის ქვეყნები, სკანდინავიის ქვეყნები და ა. შ.). რეგიონული თანამშრომლობის ერთერთ წარმატებულ მაგალითს გვაძლევს „ვიშეგრადის ოთხეულის" ქვეყნების ჯგუფიც, რომელიც წინამდებარე წიგნის თემას წარმოადგენს.

და ბოლოს, წინამდებარე წიგნი განიხილავს „ინტეგრაციის თეორიას". თანამედროვე მეცნიერებაში *„ინტეგრაციის თეორიაზე"* საუბრისას მისი განვითარების რამდენიმე ეტაპს გამოყოფენ. კერძოდ ეს ეტაპებია *„ფედერალიზმი", „ნეოფუნქციონალიზმი"* და *„ინტერგავერმენტალიზმი".*

პოლიტიკურ მეცნიერებაში *„ფედერალიზმის"* საყოველთაოდ დამკვიდრებული განმარტება არ არსებობს. სხვადასხვა მეცნიერული სკოლები და მკვლევარები ფედერალიზმის განმარტების განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობენ. ამასთან, ფედერალიზმს სხვადასხვა ერისთვის სხვადასხვა დროსა და კონტექსტში სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობა ჰქონდა[31]. მიუხედავად ამისა შესაძლებელია გამოვყოთ ფედერალიზმის თეორიაში არსებული რიგი საერთო თვისებები, რომლებიც გამოიყენება ისეთი მოვლენის ასახსნელად, როგორიცაა მაგალითად ევროპული ინტეგრაციის პროცესი.

„ფედერალიზმი - ცდილობს ერთმანეთთან დააკავშიროს გარკვეულ სფეროებში ერთობისა და თანაცხოვრების სურვილი სხვა სფეროებში

[29] NYE Joseph. *International Regionalism*, Boston: Little & Brown, 1968; [A limited number of states linked together by a geographical relationship and by a degree of mutual interdependence] არაოფ. იციალური თარგმანი;
[30] HEYWOOD Andrew. op. cit. გვ.487;
[31] BURGESS Mark. *Federalism*, A. Wiener and T. Diez (eds.), European Integration Theory. Oxford University Press. 2009, გვ. 25;

განსხვავებულობისა და ავტონომიურობის სურვილთან"[32] - გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორის **ელიოტ ბალმერის** ეს განსაზღვრება ალბათ ყველაზე უკეთ ასახავს ფედერალიზმის იმდაგვარ ხედვას, რაც ჩვენი აზრით საფუძვლად დაედო ევროპული კავშირის ინტეგრაციულ პროცესს. სწორედ განსხვავებების გათვალისწინება და მათი ერთიან სისტემაში სრულად ასახვაა ფედერალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. ამ ამოცანის არასათანადოდ შესრულება საბოლოოდ აუცილებლად გამოიწვევს ფედერალური სისტემის რღვევას. უნიტარული პოლიტიკური სისტემისაგან განსხვავებით, სადაც მთელი ძალაუფლება ცენტრალური მთავრობის ხელშია თავმოყრილი, ფედერალურ სისტემაში ძალაუფლება კომპლექსურადაა გადანაწილებული და სახელშეკრულებო დოკუმენტით (კონსტიტუცია, შეთანხმება და ა. შ.) მკაფიოდაა განსაზღვრული ფედერალური ხელისუფლებისა და ფედერაციულ სისტემაში შემავალი სუბიექტების კომპეტენციები და უფლება-მოვალეობები. თავად ტერმინიც - *„ფედერალური", „ფედერალიზმი"* - სათავეს იღებს ლათინური სიტყვიდან „FOEDUS" და/ან „FIDES", რაც ნიშნავს „შეთანხმებას", „ნდობას".[33]

ევროპული ინტეგრაციის პროცესის სიღრმისეულად ასახსნელად დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ თეორიას *„ნეოფუნქციონალიზმი" (Neofunctionalism)* წარმოადგენს. ამ სკოლის ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეები არიან ამერიკელი მეცნიერები, კოლუმბიის უნივერსიტეტის გერმანული წარმოშობის პროფესორი **ერნსტ ჰაასი** (Ernst Bernard Haas) და ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორი **ლეონ ლინდბერგი** (Leon Nord Lindberg). *„ნეოფუნქციონალიზმი"* ცდილობს შეიმუშაოს ისეთი მოდელი, რომელიც მეცნიერულად ახსნის ინტეგრაციის მზარდ დონესა და მის მიმზიდველობას. *„ნეოფუნქციონალიზმი"* რამდენიმე ძირითად ინტელექტუალურ პოსტულატს ეყრდნობა. კერძოდ:

- პირველი პოსტულატი - როდესაც ქვეყნები თანხმდებიან ითანამშრომლონ ერთ რომელიმე სფეროში, ეს თანამშრომლობა წარმოშობს სხვა სფეროებში თანამშრომლობისაკენ მისწრაფებას (ე. წ. Spill over, „თოვლის გუნდის ეფექტი")[34];
- მეორე პოსტულატი - ეკონომიკური ინტეგრაცია თითქმის

[32] BULMER Elliot. *Federalism,* International Institute for Democracy and Electoral Assistance (International IDEA) Second edition, 2017, გვ.5. [Federalism attempts to reconcile a desire for unity and communality on certain issues with a desire for diversity and autonomy on others] არაოფიციალური თარგმანი;

[33] DOSENRODE Søren. *Federalism Theory and Neo*-Functionalism: Elements for an Analytical Framework, Perspectives on Federalism, Vol. 2, 2010, გვ.10;

[34] JARVIS D. Integration Theory Revisited: Haas, Neo-Functionalism, and the Problematics of European Integration, Policy, Organisation and Society, Taylor and Francis Group LLC, 1994 გვ.23;

ყოველთვის იწვევს შიდა-სახელმწიფოებრივი დონის აქტორებს შორის ურთიერთქმედების ზრდას, რასაც მოსდევს ინტერესთა ჯგუფების შექმნა და მათი სწრაფი განვითარება. თავის მხრივ ამ პროცესს მივყავართ პოლიტიკური თანამშრომლობის ზრდისკენ;

- მესამე პოსტულატი - სუპრა-ნაციონალური (ანუ ზე-სახელმწიფოებრივი) ორგანო, რომელიც იქმნება ინტეგრაციული პროცესების ზედამხედველობის მიზნით (ევროკავშირის შემთხვევაში ესაა ევროკომისია), თავად იწყებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა სტრატეგიის შემუშავებას ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისა და მისი სხვა სფეროებზე გავრცელების მიზნით.[35]

კიდევ ერთი თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას ევროპული ინტეგრაციის პროცესი, ესაა - *„ინტერგავერმენტალიზმი“ (Intergovernmentalism)*, რაც ინგლისურიდან თარგმნილი ნიშნავს „მთავრობათაშორის“-ს. ის შედარებით ახალი მიმართულებაა ინტეგრაციულ თეორიაში. მისი მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ინტეგრაციულ პროცესში გადამწყვეტი როლი ეროვნულ მთავრობებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს ენიჭებათ. სწორედ მათი ინტერესები განაპირობებს ამა თუ იმ ინტეგრაციული პროცესის დაჩქარებას ან პირიქით შენელებას. *„ინტერგავერმენტალისტური“* სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი **სტენლი ჰოფმანი** (Stanley Hoffmann), პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი **ენდრიუ მორავჩიკი** (Andrew Moravcsik), ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორი **საიმონ ჰიქსი** (Simon Hix) და სხვები.

[35] NIEMANN A. & SCHMITTER P.,*Neo-functionalis'*, Wiener, Antje and Diez, Thomas (eds) Theories of European Integration, Oxford: University Press, 2nd Edition, 2009 გვ. 45-66;

თავი II: „ვიშეგრადის ოთხეულის“ შექმნის ისტორიული წანამძღვრები

1989 წელს ბერლინის კედლის დაცემით და, მოგვიანებით, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა II მსოფლიო ომის შემდგომ არსებული ბიპოლარული სისტემა და მსოფლიოში სწრაფი და მკვეთრი გარდატეხის ეტაპი დაიწყო[36]. ამ კუთხით უდიდესი ცვლილებები მოხდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც, 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში, ერთმანეთის მიყოლებით დაეცა კომუნისტური რეჟიმები. დღის წესრიგში დადგა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური და პოსტსაბჭოთა ქვეყნების დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხი, რაც ამ ქვეყნებისგან ყოვლისმომცველი რეფორმების გატარებას მოითხოვდა.

ვითარება კი ცენტრალური ევროპის პოსტ-სოციალისტურ ქვეყანაში, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით სავალალო იყო. ეკონომიკური განვითარება დასავლეთ ევროპასთან შედარებით შესუსტდა. თითქმის 50-წლიანმა კომუნისტურმა დიქტატურამ სრულად მოშალა ამ ქვეყნების ისედაც მყიფე დემოკრატიული ინსტიტუტები თანაც, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის ტრადიცია ცენტრალურ ევროპაში არც კომუნისტური დიქტატურის დამყარებამდე არსებობდა.

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკები ცენტრალური ევროპაში

ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების დიდი ნაწილი 1918 წლამდე ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მხოლოდ I მსოფლიო ომის დასრულებისა და ჰაბსბურგთა მონარქიის დაცემის შემდეგ შეიქმნა ცენტრალურ ევროპაში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის სახით.[37] სამივე მათგანმა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემად თავიდან აირჩია საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, თუმცა ცენტრალურ ევროპაში დემოკრატიამ ფეხი ვერ მოიკიდა.

რესპუბლიკა პირველად უნგრეთში გაუქმდა, რომელმაც *„ტრიანონის*

[36] KRASZNAI Zoltán (ed). 25 years after the fall of the Iron Curtain the state of integration of East and West. European Commission, Directorate-General for Research & Innovation. Brussels 2014;

[37] ვერსალის ხელშეკრულება - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/event/Treaty-of-Versailles-1919 (ბოლო ნახვა 18.01.2020);

ხელშეკრულების“ შედეგად I მსოფლიო ომამდე მის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების ორი მესამედი დაკარგა[38] და რის გამოც მოსახლეობაში ძალიან მაღალი იყო უკმაყოფილების განცდა. 1920 წელს უნგრეთის პარლამენტმა ქვეყანაში მონარქიის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. ქვეყნის მმართველად კი, რეგენტის სტატუსით, ავსტრია-უნგრეთის ფლოტის ყოფილი ადმირალი, მემარჯვენე კონსერვატორი პოლიტიკოსი **მიკლოშ ჰორტი** (Miklós Horthy)[39] დაინიშნა, რომელიც უნგრეთს 1944 წლამდე მართავდა.

უნგრეთის მსგავსად, დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა ფეხი ვერც პოლონეთში მოიკიდა, სადაც 1926 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად, რომელსაც ეროვნული გმირი **იუზეფ პილსუდსკი (**Józef Piłsudski) მეთაურობდა, ქვეყანაში სამხედრო ძალაუფლებაზე დაფუძნებული, მემარჯვენე კონსერვატიული ხელისუფლება დამკვიდრდა.[40]

დემოკრატიული სისტემა ყველაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც რესპუბლიკამ 1938 წლამდე იარსება და ნაცისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიების (ე. წ. სუდეტენლანდის) შემოერთების შემდეგ დასრულდა. ამ მოვლენიდან მალევე, 1939 წელს, გერმანიის ნაცისტურმა ხელისუფლების წაქეზებით სლოვაკეთი გამოეყო ჩეხოსლოვაკიას, გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ხელი მოაწერა გერმანიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას. რაც შეეხება ჩეხეთს, მისი ტერიტორია გერმანიის მიერ იქნა ოკუპირებული, სადაც დაარსდა მორავიისა და ბოჰემიის პროტექტორატები.[41]

კომუნიზმის ექსპორტი

ცენტრალური ევროპის ქვეყნების ისტორიაში ახალი ეტაპი II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყო, როდესაც წითელი არმიის მიერ „გათავისუფლებულ“ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირმა ინტენსიურად დაიწყო ე. წ. „სოციალისტური გარდაქმნების“ პროცესი, რის შედეგადაც, საბჭოთა კავშირის უშიშროების ორგანოების ზემოქმედებით, ცენტრალურ ევროპაში დამყარდა ერთპარტიული კომუნისტური მმართველობა ჯერ პოლონეთში (1947 წ.), შემდეგ კი ჩეხოსლოვაკიასა (1948 წ.) და უნგრეთში (1949 წ.).

[38] ტრიანონის ხელშეკრულება - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/event/Treaty-of-Trianon (ბოლო ნახვა 18.01.2020);
[39] მიკლოშ ჰორტი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Miklos-Nagybanyai-Horthy (ბოლო ნახვა 18.01.2020);
[40] იუზეფ პილსუდსკი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Jozef-Pilsudski (ბოლო ნახვა 18.01.2020);
[41] BRUSIS Martin, *Czechoslovakia: State Formation and Administrative-Territorial Organization*, in: Daniele Caramani, Peter Flora, Franz Kraus (ed.): European Regions: The Territorial Structure of Europe, 1870-2000;

ამ მოვლენების შედეგად, მომდევნო 40 წლის განმავლობაში ეს სახელმწიფოები „რკინის ფარდის“ მიღმა აღმოჩნდნენ, საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში.

ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების სწრაფი დამკვიდრება განაპირობა როგორც **საგარეო,** ისე **საშინაო** ფაქტორებმა**.**

მსოფლიოს ახალი პოლიტიკური არქიტექტურის კონტურები ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის დასრულებამდე გამოიკვეთა, „ანტი-ჰიტლერული კოალიციის“ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრებზე თეირანსა (1943 წ.) და იალტაში (1945 წ.). ამ შეხვედრებზე ცხადი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ინტერესი დასავლეთ ევროპასა და იაპონიაზე იყო კონცენტრირებული, მაშინ როცა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა კავშირის და მისი ლიდერის - **იოსებ სტალინის** დაინტერესების მთავარ საგანს წარმოადგენდა.[42] სტალინის მიზანი იყო ცენტრალურ ევროპაში ბუფერული ზონის (საბჭოთა გავლენის სფეროს) შექმნა, რაც გამორიცხავდა გერმანიის ან სხვა რომელიმე დასავლური სახელმწიფოს მხრიდან, ამ ტერიტორიების გამოყენებით, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საშუალებას.

II მსოფლიო ომის დროს გაღებული დიდი მსხვერპლის გამო, დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში საბჭოთა კავშირის მიმართ, ერთგვარი პოზიტიური დამოკიდებულება სუფევდა, რაც გარკვეულწილად დაეხმარა საბჭოთა კავშირს საკუთარი მიზნების მიღწევაში.

„უშუალოდ II მსოფლიო ომის შემდეგ უკიდურეს ბოროტებაზე, ნაციზმზე, გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის მიერ გაღებული დიდი მსხვერპლი, წითელი არმიის გმირობა, რაც მსოფლიო პრესაში ფართოდ შუქდებოდა, დიდების შარავანდედს ჰფენდა საბჭოთა კავშირს და მის „გენიალურ ბელადს - გენერალისიმუს სტალინს“. ეს ზოგადად კომუნიზმის იდეის სასარგებლოდ მუშაობდა. მრავალ ქვეყანაში იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ ან ახლად შეიქმნენ კომუნისტური პარტიები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა ბურჟუაზიული მთავრობების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში“[43].

რაც შეეხება დიდი სამეულის მესამე წევრს - დიდ ბრიტანეთს, მისი ომის დროინდელი ლიდერი უინსტონ ჩერჩილი, 1945 წლის ივლისის ბოლოს საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შედეგად, უკვე აღარ

[42] WEGS J.R., LADRECH R. (1996) The Cold War and the Sovietization of Eastern Europe. In: Kurzman K., Phelan P.M. (eds) Europe Since 1945. Palgrave, London 1996;

[43] გაჩეჩილაძე რევაზ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები. მეორე განახლებული გამოცემა. თბილისი 2017. გვ.310-311;

იყო პრემიერ-მინისტრი, რითაც დიდი ბრიტანეთი თითქმის გამოეთიშა „გეოპოლიტიკურ თამაშს“ აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში. ამასთან, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ორ მსოფლიო ომში მონაწილეობით დასუსტებულ ბრიტანეთის იმპერიას აღარ გააჩნდა საკმარისი გავლენა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გლობალური ცვლილებების განსახორციელებლად. თავად ჩერჩილი ამ პროცესის წინააღმდეგი იყო. 1946 წლის 5 მარტს, აშშ-ში, ვესტმინსტერის კოლეჯში გამოსვლისას მან ღიად ისაუბრა საბჭოთა კავშირის აგრესიულ ქმედებებზე და იწინასწარმეტყველა ევროპაში „რკინის ფარდის” დაშვება.

”შტეტინიდან, ბალტიაში, ვიდრე ტრიესტემდე, ადრიატიკაში, რკინის ფარდა დაეშვა მთელ კონტინენტზე. ამ ხაზს მიღმა აღმოჩნდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უძველესი სახელმწიფოების დედაქალაქები - ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი და სოფია. ყველა ეს ცნობილი ქალაქი და მათ გარშემო მყოფი მოსახლეობა მოექცა საბჭოთა გავლენის სფეროში და ამა თუ იმ ფორმით განიცდიან არა მარტო საბჭოთა გავლენას, არამედ ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ კონტროლს მოსკოვის მხრიდან ”.[44]

საგარეო ფაქტორების გარდა ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების დამკვიდრებაში არანაკლები როლი თავად ამ ქვეყნების **საშინაო ფაქტორებმაც** ითამაშეს. კერძოდ, მათი სუსტი პოლიტიკური სისტემები არ აღმოჩნდნენ მზად საბჭოთა კავშირის მიერ აგრესიულად მხარდაჭერილი ადგილობრივი კომუნისტური პარტიების არადემოკრატიული ქმედების გასანეიტრალებლად.

II მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა და უნგრეთში შეიქმნა მეტ-ნაკლებად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერებაში *„შემღუდულ პლურალიზმს“* ან *„ჰიბრიდულ დემოკრატიებს“* უწოდებენ. მათი საერთო მახასიათებელი იყო მემარჯვენე პარტიების განდევნა პოლიტიკური სარბიელიდან. შესაბამისად, პოლიტიკური კონკურენცია მიმდინარეობდა მხოლოდ ცენტრისტულ და მემარცხენე პოლიტიკურ პარტიებს შორის. პოლიტიკურ სისტემას აკლდა ქმედითი მემარჯვენე ოპოზიცია, რაც მთავრობების

[44] Winston Churchill - The sinews of the Peace (IRON CURTAIN SPEECH) Westminster College, Fulton, Missouri, USA. March 5, 1946. https://tinyurl.com/6em83fu6 (ბოლო ნახვა 02.02.2020); [From Stettin in the Baltic to Trieste in the Adriatic, an iron curtain has descended across the Continent. Behind that line lie all the capitals of the ancient states of Central and Eastern Europe. Warsaw, Berlin, Prague, Vienna, Budapest, Belgrade, Bucharest and Sofia, all these famous cities and the populations around them lie in what I must call the Soviet sphere, and all are subject in one form or another, not only to Soviet influence but to a very high and, in many cases, increasing measure of control from Moscow] არაოფიციალური თარგმანი;

მემარცხენე პოლიტიკას დააბალანსებდა[45].

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მალევე, ცენტრალური ევროპის ქვეყნების მთავრობებმა, საბჭოთა კავშირის წაქეზებითა და აქტიური მხარდაჭერით, დაიწყეს სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციისა და მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელებისგან საკუთრების ექსპროპრიაციის პოლიტიკის გატარება. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში არსებულ „ეროვნული ფრონტის“ ტიპის სამთავრობო კოალიციებში, საკვანძო თანამდებობებზე (პოლიცია, შეიარაღებული ძალები, უშიშროება და ა. შ.) კომუნისტური პარტიების წარმომადგენლების დაწინაურებას.

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში „სოვიეტიზაციის“ პოლიტიკის ერთერთ დამაჩქარებელ ფაქტორად უნდა განვიხილოთ ამ ქვეყნებიდან ეთნიკური გერმანული მოსახლეობის გასახლების პროცესიც. გერმანული მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთისა და სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე. თუმცა, II მსოფლიო ომის დროს ნაცისტური რეჟიმისადმი მათმა ლოიალურმა და ხშირ შემთხვევაში, კოლაბორაციონისტულმა დამოკიდებულებამ, მათ მიმართ უნდობლობის და შურისძიების გრძნობა გააჩინა, განსაკუთრებით, სლავურ მოსახლეობაში.

ომის დასრულების შემდეგ დაახლოებით 2,7 მილიონი გერმანელი გაასახლეს ჩეხოსლოვაკიიდან, ხოლო 2,3 მილიონი - პოლონეთიდან[46]. მათი საგრძნობი ნაწილი იძულებული გახდა წასულიყო გერმანიის დასავლეთ ნაწილში, სადაც არსებობდა ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული საოკუპაციო ზონები, ნაწილი კი სხვა ქვეყნებში გადასახლდა, უპირატესად სამხრეთ ამერიკაში.

მიუხედავად ამისა, „კომუნიზმის ექსპორტი“ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მაინც რთულად ხორციელდებოდა. „რეჟიმების დამყარება თითქმის ყველგან ძალადობრივი მეთოდებით ხდებოდა. პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, ... 1940-იანი წლების მეორე ნახევარში პროსაბჭოთა რეჟიმები მოახვიეს თავს. რეჟიმების მდგრადობას თავიანთი ულმობელი მეთოდებით უზრუნველყოფდნენ უშიშროების სამსახურები“. [47]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში განსხვავებული იყო კომუნისტური პარტიის გავლენა ადგილობრივ პოლი-

[45] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. *Transition to Democracy in Central Europe.* Palacký University, Olomouc 2019. გვ 10;
[46] VYKOUKAL, Jiří , LITERA, Bohumil, TEJCHMAN, Miroslav. *Východ. Vznik, vývoj a rozpad sovětského bloku 1944–1989*. Praha: Libri, 2000;
[47] გაჩეჩილაძე რევაზ. დას. ნაშრ.-გვ. 311;

ტიკურ ელიტებსა და რიგით მოსახლეობაზე. კომუნისტური პარტია განსაკუთრებით ძლიერი იყო ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო პოლონეთსა და უნგრეთში მას შედარებით სუსტი პოზიციები გააჩნდა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია (Komunistická strana Československa - KSČ) 1921 წელს ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წიაღში წარმოიშვა. ის კომუნისტური ინტერნაციონალის (კომინტერნის) წევრი იყო და II მსოფლიო ომის დაწყებამდე ჩეხოსლოვაკიის პარლამენტშიც იყო წარმოდგენილი. თუმცა, 1939 წელს, გერმანული ოკუპაციის შემდეგ, *„KSČ“*-ი აიკრძალა და მან პარლამენტიდან იატაკქვეშეთში გადაინაცვლა, პარტიის ლიდერთა დიდმა ნაწილმა II მსოფლიო ომის პერიოდში თავი საბჭოთა კავშირს შეაფარა.[48] ომის დასრულების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკურ სარბიელს და 1945 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად ჩეხოსლოვაკიის კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში შევიდა, სადაც პარტიის წარმომადგენლები შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს ხელმძღვანელობდნენ. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე *„KSČ“*-მა დაიწყო თანმიმდევრული ბრძოლა ძალაუფლების მითვისებისათვის. კომპარტიის წარმომადგენლებმა ჩეხოსლოვაკიის საპოლიციო სტრუქტურების პარალელურად, დაიწყეს ე. წ. „სახალხო მილიციის“ რაზმების ჩამოყალიბება. გაძლიერდა მათი გავლენა პროფესიულ კავშირებში, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში და ე. წ. „ეროვნულ კომიტეტებში“, რომლებიც 1944 წელს, ნაცისტური ძალებისაგან გათავისუფლებული ტერიტორიების სამართავად, სოციალისტურ ყაიდაზე, დროებით შეიქმნა, თუმცა, 1990 წლამდე იარსება. ჩეხოსლოვაკიაში ძალაუფლების საბოლოოდ ხელში ჩასაგდებად კომუნისტურ პარტიას მთავარი მოწინააღმდეგის - *„ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის“* განეიტრალება ესაჭიროებოდა, რასაც 1947 წელს მიაღწია კიდეც. *„სოციალ-დემოკრატიული პარტია“* ორად გაიხლიჩა და მისი ნაწილი კომუნისტურ პარტიას შეუერთდა. ამრიგად 1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიაში საბოლოოდ დამყარდა კომუნისტური რეჟიმი, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე იარსება.[49]

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური მმართველობის ეპოქიდან აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელმაც მოგვიანებით დიდი როლი შეასრულა

[48] LUZA Radomir. *The Communist Party of Czechoslovakia and the Czech Resistance, 1939-1945.* In: Slavic Review Vol. 28, No. 4 (Dec., 1969), გვ. 561-576;
[49] ODLOZILIK Otakar. Communist Czechoslovakia. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://tinyurl.com/488n5d2f (ბოლო ნახვა 06.02.2020);

რეჟიმის დამხობაში. 1968 წლის 5 იანვარს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი გახდა რეფორმატორი კომუნისტი **ალექსანდერ დუბჩეკი** (Alexander Dubček), რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქვეყანაში ფართომაშტაბიანი რეფორმების გატარება დაიწყო. რეფორმები ითვალისწინებდა პრესისა და გამოხატვის თავისუფლების დონის ამაღლებას, სტალინისტური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციას, ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში სლოვაკეთისთვის ავტონომიური სტატუსის მინიჭებასა და ზოგადად ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც დუბჩეკის ხედვით უნდა ყოფილიყო სოციალიზმის ახალი ეტაპი, ე. წ. „სოციალიზმი ადამიანური სახით“ (Socialismus s lidskou tváří).[50] დუბჩეკის პოლიტიკა და ჩეხოსლოვაკიაში განვითარებული მოვლენები, რომელიც მოგვიანებით ისტორიაში „პრაღის გაზაფხულის“ სახელით შევიდა, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის ინტერესებს. 1968 წლის 20 აგვისტოს, „ვარშავის ხელშეკრულების“ ძალები, ბუნებრივია, საბჭოთა არმიის უშუალო მონაწილეობით, შეიჭრნენ ჩეხოსლოვაკიაში[51], დაამყარეს კონტროლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ხელისუფლებაში დააბრუნეს კრემლის მიმართ ლოიალური „ორთოდოქსი“ კომუნისტები. ალექსანდრე დუბჩეკი და მისი თანამოაზრეები იძულებული გახდნენ ხელისუფლება დაეტოვებინათ.

ჩეხოსლოვაკიისაგან განსხვავებით, კომუნისტური პარტიის საწყისი პოზიციები სუსტი იყო უნგრეთში. სადაც, 1945 წელს ჩატარებულ არჩევნებში პარტიამ მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა, *„მცირე მეწარმეთა“* და *„სოციალ-დემოკრატიული“* პარტიების შემდეგ.

კომუნისტური პარტია უნგრეთში ჯერ კიდევ 1918 წელს შეიქმნა და მას *„უნგრეთის კომუნისტების პარტია“* (Kommunisták Magyarországi Pártja -KMP) ეწოდებოდა.[52] *„KMP“*-მ და მისმა ლიდერმა **ბელა კუნმა** (Béla Kun), უშუალოდ ვ. ლენინის დახმარებითა და ინსტრუქტაჟით, მოახერხეს და 1919 წლის 21 მარტს[53], ავსტრია-უნგრეთის ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი უნგრეთის ტერიტორიის ნაწილზე (ყოფილი იმპერიის დაახლოებით მეხუთედზე) უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა დააარსეს. თუმცა, ამ რესპუბლიკამ მხოლოდ 133 დღე იარსება და

[50] History of the Czech Republic for Schoolchildren. https://tinyurl.com/5bdwwbaj (ბოლო ნახვა 06.02.2020);
[51] PEEVA, Penka. 1968 Prague Spring and Sofia Summer. The International Journal of Civic, Political and Community Studies. 13. 41-49. 2016;
[52] უნგრეთის კომუნისტური პარტია - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/topic/Hungarian-Communist-Party (ბოლო ნახვა 16.02.2020);
[53] Hungary – World War I. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/place/Hungary/World-War-I (ბოლო ნახვა 16.02.2020);

რუმინეთის წინააღმდეგ წარმოებულ ხანმოკლე ომში დამარცხდა, რის შემდეგაც კომუნისტურმა პარტიამ საქმიანობა იატაკქვეშეთში გააგრძელა, ბელა კუნმა კი საბჭოთა კავშირს შეაფარა თავი, სადაც 1939 წელს გარდაიცვალა კიდეც.[54]

უნგრეთის კომუნისტური პარტია იატაკქვეშეთიდან II მსოფლიო ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა ოდნავ შეცვლილი სახელწოდებით, ნაცვლად *„უნგრეთის კომუნისტების პარტიისა“*, მას 1945 წლიდან *„უნგრეთის კომუნისტური პარტია“* (Magyar Kommunista Párt – MKP) ეწოდა. 1945 წლის ნოემბერში უნგრეთში გამართულ არჩევნებშიც *„MKP“*-მ ამომრჩეველთა მხოლოდ 16,95 პროცენტი მოიპოვა და მესამე ადგილზე გავიდა.[55] ამ შედეგით კომუნისტური პარტია კოალიციურ მთავრობაში მოხვედრასაც ვერ შეძლებდა, თუმცა საბჭოთა კავშირის დაჟინებული მოთხოვნით, რომელმაც უარი განაცხადა კომუნისტების გარეშე უნგრეთის მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებაზე, კომუნისტები არამარტო შეიყვანეს სამთავრობო კოალიციაში, არამედ მათ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიც კი ჩააბარეს. საბჭოთა კავშირის აქტიური დახმარებითა და ხელშეწყობით, ჩეხოსლოვაკიის მსგავსად, უნგრეთშიც კომუნისტებმა დაიწყეს თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა ქვეყანაში სრული ძალაუფლების მოსაპოვებლად. საბჭოთა უშიშროების ორგანოების დახმარებით მათ მოახდინეს უნგრეთში იმ დროისათვის ყველაზე მრავალრიცხოვანი - *„მცირე მეწარმეთა პარტიის“* ლიდერთა დისკრედიტაცია, რამაც კომუნისტებს 1947 წლის არჩევნებში წარმატება მოუტანა, თუმცა ერთპარტიულ მმართველობამდე ჯერ კიდევ შორი იყო. 1948 წელს საბჭოთა კავშირის ზეწოლითა და უშუალო ჩარევით, უნგრეთის სოციალისტური პარტია იძულებული გახდა გაერთიანებულიყო კომუნისტურ პარტიასთან. ახალმა გაერთიანებამ - *„უნგრეთის მშრომელთა პარტიამ“* (Magyar Dolgozók Pártja – MDP), 1949 წლის არჩევნებში მასობრივი გაყალბებებისა და მანიპულაციების წყალობით მოახერხა ძალაუფლების ხელში ჩადგება[56] და ქვეყანას 1956 წლამდე მართავდა.

1956 წელს უნგრეთში დრამატული მოვლენები განვითარდა, რაც გარკვეულწილად რამდენიმე წლით ადრე საბჭოთა ლიდერის იოსებ

[54] ბელა კუნი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/biography/Bela-Kun (ბოლო ნახვა 16.02.2020);
[55] 1945 წლის არჩევნების შედეგები. Oral History Archive. https://tinyurl.com/569hura8 (ბოლო ნახვა 16.02.2020);
[56] უნგრეთი საბჭოთა ორბიტაზე - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://tinyurl.com/yw9htk7f (ბოლო ნახვა 25.02. 2020);

სტალინის გარდაცვალებით იყო გამოწვეული.

1953 წლის 5 მარტს იოსებ სტალინის გარდაცვალებით დასრულდა სტალინიზმის თითქმის 30 წლიანი სისხლიანი ეპოქა. „[სტალინის სიკვდილით] საბჭოთა ტოტალიტარიზმი არ დამთავრებულა. მაგრამ ქვეყნის [საბჭოთა კავშირის] სათავეში აღმოჩენილმა ადამიანებმა მართვა განსხვავებული მეთოდებით დაიწყეს და უნებურად შეუწყვეს ხელი ტოტალიტარიზმის საფუძვლების მორყევას“.[57]

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა ლიდერებს შორის გამართულ რამდენიმეწლიან შიდაპარტიულ დაპირისპირებაში საბოლოოდ წარმატება **ნიკიტა ხრუშჩოვმა** (Никита Сергеевич Хрущёв) მოიპოვა, რომელმაც 1956 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე გამოსვლისას მკაცრად გააკრიტიკა იოსებ სტალინის მმართველობის პერიოდი და მას ბრალი დასდო საკუთარი პიროვნების კულტის შექმნაში.[58]

ნიკიტა ხრუშჩოვის გამოსვლიდან მალევე, უნგრეთში, არსებული კომუნისტური წნეხის შემსუბუქების მოთხოვნით, საპროტესტო აქციები დაიწყო, რომელიც მასობრივ არეულობასა და სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1956 წელს *„უნგრეთის მშრომელთა პარტია“* იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და ქვეყნის მართვის სადავეები დამოუკიდებელ, რეფორმატორ კომუნისტს **იმრე ნადს** (Imre Nagy) გადასცა, რომელმაც უნგრეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. ნადი უნგრეთის მოსახლეობას მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას დაჰპირდა. პარალელურად, 1956 წლის 1 ნოემბერს მან „ვარშავის ხელშეკრულებიდან“ უნგრეთის გასვლის შესახებ განაცხადა და თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ეღიარებინა უნგრეთის ნეიტრალიტეტი. სამწუხაროდ, დასავლეთის ქვეყნები არ აღმოჩნდნენ მზად უნგრეთის მხარდასაჭერად, რაც საბჭოთა კავშირთან ღია დაპირისპირებას ნიშნავდა. გარდა ამისა, მათი ყურადღება მიპყრობილი იყო სწორედ იმ დროს მიმდინარე „სუეცის კრიზისისადმი“ ეგვიპტეში.[59] საბჭოთა ჯარები 1956 წლის 4 ნოემბერს შეიჭრნენ უნგრეთში და სისხლში ჩაახშეს ე. წ. „უნგრული რევოლუცია“, ხოლო მისი ლიდერი იმრე ნადი სახელმწიფო

[57] გაჩეჩილაძე რევაზ. დას. ნაშრ. გვ.335;
[58] Доклад о культе личности и его последствиях - История России. главный исторический портал россии. https://tinyurl.com/2p99hruf (ბოლო ნახვა 12.03. 2020);
[59] სუეცის კრიზისი - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/event/Suez-Crisis (ბოლო ნახვა 12.03. 2020);

ღალატის მუხლით გაასამართლეს და 1958 წელს დახვრიტეს.[60] თუმცა, 1956 წლის აჯანყებას უკვალოდ არ ჩაუვლია, ვითარების შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით საბჭოთა კავშირმა შეამსუბუქა უნგრეთზე ზეწოლა და მას გარკვეული „ავტონომია“ მიანიჭა. 1957 წლიდან უნგრეთის ერთპიროვნულ მმართველობას კვლავ დაუბრუნდა კომუნისტური პარტია, რომელმაც კიდევ ერთხელ შეიცვალა სახელწოდება, დაირქვა *„უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია“* (Magyar Szocialista Munkáspárt - MSzMP) და ამ სახელით მართავდა ქვეყანას 1989 წლამდე.

პოლონეთში „კომუნიზმის ექსპორტი“ ყველაზე რთული აღმოჩნდა. იქ კარგად ახსოვდათ როგორც რუსეთის იმპერიის ბატონობა, ისე, მოგვიანებით, „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის“ საიდუმლო დანართის შესაბამისად მათი ქვეყნის გაყოფა ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიერ.[61]

პოლონეთში საბჭოთა კავშირის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას აძლიერებდა ის ფაქტიც, რომ II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, პოლონეთმა ვერ მოახერხა ომამდე არსებული საკუთარი ტერიტორიების სრულად დაბრუნება. საერთო ჯამში, ქვეყანამ ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა, რადგან საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა მისთვის დაებრუნებინა ადრე დაპყრობილი აღმოსავლეთ პოლონეთის მიწები, სადაც პოლონელების გარდა, ცხოვრობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი უკრაინული და ბელორუსული მოსახლეობაც. ეს რეგიონები სტალინმა საბჭოთა უკრაინასა და საბჭოთა ბელორუსიას შეუერთა.[62]

ვითარებას ართულებდა ისიც, რომ II მსოფლიო ომის დროს პოლონეთმა შეძლო ე. წ. „ქვეყნის (შიდა) არმიის“ (Armia Krajowa) სახით ფართომასშტაბიანი წინააღმდეგობის მოძრაობის ჩამოყალიბება, რომელიც ლოიალური იყო ლონდონში მყოფი პოლონეთის ემიგრაციული მთავრობის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით 1942 წელს დაარსებული *„პოლონეთის მუშათა პარტიაც“* აქტიურად ებრძოდა ნაცისტებს, თუმცა მისი როლი უფრო მოკრძალებული იყო „არმია კრაიოვასთან“ შედარებით.

II მსოფლიო ომის დროს, პოლონეთის ოკუპაციის წლებში, ქვეყნის

---

[60] უნგრეთის რევოლუცია 1956 - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/event/Hungarian-Revolution-1956 (ბოლო ნახვა 12.03. 2020);

[61] გერმანია-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტი - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/event/German-Soviet-Nonaggression-Pact; (ბოლო ნახვა 12.03. 2020);

[62] გაჩეჩილაძე რევაზ. დას. ნაშრ. გვ.304;

ლეგიტიმურმა მთავრობამ თავი ლონდონს შეაფარა და იქიდან აგრძელებდა აქტიურ ბრძოლას პოლონეთის გასათავისუფლებლად. პოლონეთის ემიგრაციულ მთავრობასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დასრულებამდე დაიძაბა, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა ინფორმაცია სმოლენსკის ახლოს, კატინის ტყეში საბჭოთა კავშირის ტყვეობაში მყოფი პოლონელი ოფიცრების დახვრეტის შესახებ. ეს ინფორმაცია მთელ მსოფლიოში გაავრცელა ნაცისტური გერმანიის მთავრობამ, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის დისკრედიტაციის მიზნით. პოლონეთის ემიგრაციულმა მთავრობამ მოითხოვა აღნიშნული ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიება და მასში საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლების ჩართვა. საბჭოთა კავშირმა კატეგორიულად უარყო პოლონური მხარის ბრალდება და არც საერთაშორისო გამოძიების დაწყებას დათანხმდა. უფრო მეტიც, 1943 წლის 25 აპრილს კრემლმა საერთოდ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა პოლონეთის ემიგრაციულ მთავრობასთან. საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ, მხოლოდ 1992 წელს აღიარა ოფიციალურად კატინის ტრაგედიაში საბჭოთა პოლიტბიუროსა და უშიშროების სამსახურის („ენკავედეს“) დანაშაული.[63]

1945 წელს იალტის კონფერენციაზე სტალინმა დაიყოლია აშშ-ის პრეზიდენტი რუზველტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ჩერჩილი უარი ეთქვათ ლონდონში მყოფი პოლონეთის ემიგრაციული მთავრობის ლეგიტიმაციაზე და მის ნაცვლად ეღიარებინათ პოლონეთის დროებითი „ეროვნული თანხმობის მთავრობა“, რომელშიც დომინანტი პოზიციები კომუნისტურ ძალებს გააჩნდათ.[64] ამით დაიწყო პოლონეთის „სოვიეტიზაციის“ პროცესი, რომელიც საბჭოთა კავშირის მხრიდან მუდმივი ზეწოლისა და ტერორის ქვეშ მიმდინარეობდა. პოლონეთში 1947 წელს გამართულ არჩევნებში, რომლის შედეგებიც დიდწილად გაყალბდა, გამარჯვებულად ცნეს ე. წ. *„დემოკრატიული ბლოკი“*, რომელიც აერთიანებდა პოლონეთის მუშათა (ფაქტობრივად, კომუნისტურ) და სოციალისტურ პარტიებს. მოგვიანებით, 1948 წელს, ეს ბლოკი ერთ პარტიად გაერთიანდა და მას *„პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია“* (Polska Zjednoczona Partia Robotnicza - PZPR) ეწოდა. *„PZPR“* ქვეყანას ერთპიროვნულად მართავდა 1989 წლამდე.

[63] კატინის ტრაგედია - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/event/Katyn-Massacre; (ბოლო ნახვა 15.03. 2020);
[64] პოლონეთი, მეორე რესპუბლიკა - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.co/place/Poland/The-Second-Republic#ref28215; (ბოლო ნახვა 15.3. 2020);

კომუნისტური მმართველობა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში

ცენტრალური ევროპის კომუნისტური რეჟიმები საბჭოთა კავშირის მსგავსად მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიას ეფუძნებოდა და მათ საბოლოო მიზანს უტოპიური „კომუნისტური საზოგადოების“ შექმნა წარმოადგენდა, სადაც სრულად იქნებოდა აღმოფხვრილი ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა[65] კარლ მარქსის ცნობილი პოსტულატის პრინციპით - „თითოეულისაგან - მისი უნარის მიხედვით, თითოეულს - მოთხოვნილების შესაბამისად“[66].

მარქსიზმის კლასიკოსების თანახმად, კაპიტალისტური სისტემიდან კომუნიზმში გადასვლა პირდაპირ ვერ განხორციელდებოდა. ის უნდა მომხდარიყო თანმიმდევრულად, გარდამავალი პერიოდის გავლით, რომელსაც „სოციალიზმი“ ეწოდებოდა. სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ შენარჩუნებული იქნებოდა ფული და სახელმწიფო. სოციალიზმის განვითარების პარალელურად, თანმიმდევრულად გაქრებოდა ფულისა და სახელმწიფოს სხვა ატრიბუტიკის არსებობის აუცილებლობა, რის შემდეგაც საზოგადოება შეაბიჯებდა განვითარების ახალ ეპოქაში - სრულ კომუნიზმში[67].

კომუნისტური იდეოლოგიის მიხედვით, კომუნიზმის ასაშენებლად ჯერ საჭირო იყო არსებული კაპიტალისტური სიტემის სრული დემონტაჟი, რომლის მიღწევაც მხოლოდ კომუნისტური პარტიის ერთპიროვნულ მმართველობაზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური რევოლუციის გზით იყო შესაძლებელი. შესაბამისად, კომუნისტური პარტიის როლი და მნიშვნელობა კონსტიტუციით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული და გარანტირებული. კომუნისტურ პარტიას საკუთარი საცეცები გადგმული ჰქონდა ქვეყნის ყველა ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურაში. პარტია სრულად აკონტროლებდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესს არამარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ არამედ, კულტურულ, საგანმანათლებლო, სპორტულ და სხვა სფეროებში. კომუნისტური პარტია ადგილობრივი კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პროფესიული კავშირების და, რაც ყველაზე მთავარია, ძალოვანი სტრუქტურებისა და უშიშროების სამსახურების მეშვეობით სრულად აკონტროლებდა მოქალაქეთა ცხოვრებას და თავისუფლებას. ყველა კომუნისტურ სახელმწიფოში დაწესებული იყო კონტროლი საინფორმაციო და მედიასაშუალებებზე,

[65] კომუნიზმი - განმარტება. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/topic/communism (ბოლო ნახვა 18.03. 2020);
[66] REITTER Karl. Mit Marx, Für das bedingungslose, garantierte Grundeinkommen. In: Die Linke Grundeinkommen. https://tinyurl.com/36pb8wd5 (ბოლო ნახვა 18.03. 2020). [Jeder nach seinen Fähigkeiten, jedem nach seinen Bedürfnissen]. არაოფიციალური თარგმანი;
[67] ENGELS Frederick. *The Principles of Communism*. https://tinyurl.com/5fbwhwbe (ბოლო ნახვა 12.03. 2020);

მოქმედებდა უმკაცრესი ცენზურა და შეზღუდვები.

კომუნისტური პარტიის სტრუქტურა ერთნაირი იყო ცენტრალური ევროპის ყველა ქვეყანაში და ის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოდელს ეფუძნებოდა. კომუნისტური პარტიის მთავარ ორგანოს პარტიის ყრილობა წარმოადგენდა, რომელიც, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. ყრილობა ირჩევდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო ცენტრალური კომიტეტი, თავის მხრივ პარტიის პრეზიდიუმს, ე. წ. პოლიტბიუროს. პოლიტბიუროს ხელმძღვანელობდა გენერალური მდივანი (მოგვიანებით ზოგიერთ ქვეყანაში მას ეწოდებოდა „პირველი მდივანი“), რომელიც სახელმწიფოს ყველაზე გავლენიანი პირი იყო[68]. ყველა საკვანძო გადაწყვეტილება მიიღებოდა კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროსა და გენერალური მდივნის მიერ და მხოლოდ ნომინალურად მტკიცდებოდა არჩეული პარლამენტის მიერ, რის შემდეგაც ის შესასრულებლად ეგზავნებოდა მთავრობას. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტურ ქვეყნებში პარტიის პოლიტბიუროს გენერალური მდივნის ხელში, ფაქტობრივად, განუსაზღვრელი ძალაუფლება იყო კონცენტრირებული და ის ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველს წარმოადგენდა.

ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების მმართველობა ოთხ ძირითად ეტაპად შეიძლება დავყოთ, რომელიც მეტწილად ემთხვევა საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის ლიდერების ცვლილებებს. კერძოდ, ესენია სტალინიზმის პერიოდი (1948-1956 წ.), ხრუშჩოვის დროინდელი, იგივე „დესტალინიზაციის“ პერიოდი (1956-1964 წ.), ბრეჟნევის დროინდელი, იგივე „პოსტ-ტოტალიტარული“ ან „უძრაობის“ პერიოდი (1964-1982 წელები) და, ბოლოს, გორბაჩოვის დროინდელი, იგივე „გარდაქმნის“ (1985-1989 წლები) პერიოდი[69].

თითოეულ ამ პერიოდს (ეტაპს) მოვლენათა განვითარების საკუთარი დინამიკა ახასიათებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტალინიზმის პერიოდში ცენტრალური ევროპის ქვეყნებში დამყარდა კომუნისტური დიქტატურები. ეს ეპოქა ხასიათდება რეპრესიებით, მიწისა და სხვა ქონების ექსპროპრიაციით, იძულებითი კოლექტივიზაციით, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლითა და ეკონომიკის ცენტრალიზაციით. სტალინის გარდაცვალების შემდეგ და საბჭოთა კავშირში ახალი ლიდერის ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენით, ცენტრალური ევროპის ქვეყნების

[68] ცენტრალური კომიტეტი - საბჭოთა პოლიტიკური ორგანო. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://tinyurl.com/46vncsc2 (ბოლო ნახვა 12.03. 2020);
[69] MEŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 14-19;

ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ხრუშჩოვის მიერ ინიცირებულმა „დესტალინიზაციის“ პროცესმა გარკვეული იმედები გააჩინა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. დაიწყო დემოკრატიული რეფორმების პროცესი, განსაკუთრებით უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. თუმცა, ეს პროცესები საბჭოთა კავშირის პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის შედეგად სასტიკად იქნა ჩახშობილი. ნიკიტა ხრუშ-ჩოვის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, საბჭოთა კავშირში, **ლეონიდ ბრეჟნევის (Леонид Ильич Брежнев)** მმართველობის პერიოდი დაიწყო, რამაც თავისი ასახვა პოვა ცენტრალური ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ბრეჟნევის ეპოქა, რომელსაც უძრაობის ეპოქასაც უწოდებენ, ხასიათდება პროცესების დაკონსერვების მცდელობით და დასავლეთთან ურთიერთობების გარკვეული განმუხტვით. ბრეჟნევის პიროვნების მიმართ მკვლევართა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია: „ერთნი მას სასტიკ და პირფერ ადამიანად მოიხსენიებდნენ, მეორენი კი - სმის, ქალებისა და კარგი ავტომანქანების მოყვარულ გულჩვილ კაცად“.[70]

რეალურად, ცენტრალური ევროპის სატელიტურ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმები არც ბრეჟნევისთვის იყო მისაღები. სწორედ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში შეიჭრნენ საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიაში. 1968 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საგარეო პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც ამართლებდა საბჭოთა კავშირის პირდაპირ სამხედრო ინტერვენციას ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მმართველობის სოციალისტური სისტემა აღმოჩნდებოდა საფრთხის ქვეშ. ამ პოლიტიკურ დოქტრინას სამეცნიერო ლიტერატურაში „ბრეჟნევის დოქტრინის“ სახელით მოიხსენიებენ. [71]

ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის ბოლო, მეოთხე ეტაპი 1980-იანი წლების შუიდან დაიწო, როდესაც, სამიოდე წლის განმავლობაში ხანში შესული საბჭოთა ლიდერების სწრაფი ცვლის შემდეგ, 1985 წელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტი დაიკავა 54 წლის ენერგიულმა ლიდერმა **მიხაილ გორბაჩოვმა (Михаил Сергеевич Горбачёв).**

გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის დროისთვის საბჭოთა ეკონომიკა, ფაქტობრივად, გაკოტრებული იყო. აბსურდულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, სადაც 25 მილიონ პროდუქტსა და მომსახურებაზე

[70] როდონაია ნინო. *22 წლის წინ საბჭოთა კავშირში ბრეჟნევის ეპოქა დასრულდა.* რადიო თავისუფლება. 11.11.2004 წელი. https://www.radiotavisupleba.ge/a/1538144.html (ბოლო ნახვა 13.03. 2020);
[71] ბრეჟნევის დოქტრინა - საბჭოთა ისტორია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/event/Brezhnev-Doctrine (ბოლო ნახვა 13.03. 2020);

ხელოვნურად დგინდებოდა ფასები[72], მძიმე სამხედრო ხარჯებმა ავღანეთში, აშშ-სთან „შეიარაღებათა შეჯიბრებაში“ (Arms Race) მონაწილეობამ და მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების მკვეთრმა ვარდნამ საბჭოთა კავშირი ეკონომიკური კრახის წინაშე დააყენა. ღრმა კრიზისის ფონზე, საბჭოთა კავშირს უკვე აღარ შესწევდა უნარი გაეკონტროლებინა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესები, სადაც სულ უფრო მატულობდა ანტი-საბჭოთა და ანტიკომუნისტური განწყობები.

დისიდენტური მოძრაობები ცენტრალურ ევროპაში

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ანტი-კომუნისტური განწყობები ყოველთვის არსებობდა, ამის დასტურია 1956 წლის უნგრეთის აჯანყება და 1968 წლის „პრაღის გაზაფხული“. თუმცა, 1970-იანი წლებიდან სოციალისტურ ქვეყნებში ახალი ტიპის ოპოზიციური მოძრაობა გამოჩნდა, ე. წ. დისიდენტური მოძრაობა. სიტყვა დისიდენტი სათავეს ლათინური „Dissidere“-საგან იღებს, რაც „განზე დგომას“ ნიშნავს. დისიდენტური მოძრაობის გრძელვადიანი მიზანი იყო არსებული კომუნისტური სისტემის დემონტაჟი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სადაც უმთავრესი ფასეულობა იქნებოდა ადამიანი და მისი პირადი თავისუფლება და არა კოლექტივი, როგორც ეს სოციალისტურ სისტემაში მიიჩნეოდა. საწყის ეტაპზე სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლა წარმოადგენდა დისიდენტური მოძრაობების მთავარ ამოცანას.[73] უნდა აღინიშნოს, რომ დისიდენტობა არ ნიშნავდა აუცილებლად რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ან პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას. დისიდენტები გარკვეულ წილად კომუნისტური პოლიტიკური სისტემის გარეთ არსებობდნენ.[74]

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორის **ალან რენკვიკის** მიხედვით, დისიდენტური მოძრაობის წევრთა მსოფლმხედველობრივი მიდგომების ანალიზისას, შეიძლება განვასხვავოთ სამი ძირითადი ტიპი.[75]

<u>პირველი ტიპის</u> წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ სამოქალაქო საზოგადოება სრულად უნდა გამიჯვნოდა სახელმწიფოს და მისგან დამოუკიდებლად ემოქმედა. ეს ტიპი, თავის მხრივ, იყოფოდა *„ანტი-პოლიტიკის“* და *„პარალელური პოლიტიკის“* ქვეტიპებად. *„ანტი-პოლიტიკური“*

[72] გაჩეჩილაძე რევაზ. დას. ნაშრ. გვ.413;
[73] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 29;
[74] SZULECKI Kacper. Dissidents in Communist Central Europe: Human Rights and the Emergence of New Transnational Actors. Palgrave Macmillan, 2019;
[75] RENWICK, Alan. Anti-Political or Just Anti-Communist? Varieties of Dissidence in East-Central Europe and Their Implications for the Development of Political Society. In: East European Politics and Societies 2006; გვ. 288.

მსოფლმხედველობის მიმდევრები, დისიდენტური მოძრაობის მთავარ დანიშნულებას საზოგადოებაში მორალური ღირებულებების დამკვიდრებისათვის ბრძოლასა და ადამიანის ღირსების გაძლიერების ხელშეწყობაში ხედავდნენ. ამ მიმართულების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელები არიან ჩეხი დისიდენტი **ვაცლავ ჰაველი** (Václav Havel), უნგრელი დისიდენტი **დიორდ კონრადი** (György Konrád), ასევე, ნაწილობრივ, პოლონელი დისიდენტი **ადამ მიხნიკი** (Adam Michnik) და სხვები.

„ანტი-პოლიტიკური“ მსოფლმხედველობის კრედო კარგად აქვს ჩამოყალიბებული ვაცლავ ჰაველს:

„მე უპირატესობას ვანიჭებ პოლიტიკას, როგორც, პრაქტიკულ მორალს, როგორც ჭეშმარიტების მსახურებას, როგორც არსებითად ადამიანურს და ადამიანურად ზრუნვას ჩვენი თანამოძმეების მიმართ. მე მიმაჩნია, რომ ამ სამყაროში ეს ძალზე არაპრაქტიკული მიდგომაა და ურთულესია მისი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა, მე უკეთესი ალტერნატივა არ ვიცი“.[76]

„პარალელური პოლიტიკის“ მსოფლმხედველობის მიმდევრები თვლიდნენ, რომ სამოქალაქო საზოგადოებას, ადამიანის ღირსების გაძლიერების გარდა, პრაქტიკული საქმიანობაც უნდა განეხორციელებინა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელი იყო სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, პარალელური სტრუქტურების შექმნა. ამ მიმართულების გამორჩეული თეორეტიკოსი იყო ჩეხი დისიდენტი **ვაცლავ ბენდა** (Václav Benda). ეს მიდგომა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ცენტრალური ევროპის ყველა ქვეყანაში. ამ მიდგომის ერთ-ერთი მაგალითი იყო რომელიმე დისიდენტი მეცნიერის ბინაში არალეგალურად მოწყობილი კერძო საგანმანათლებლო ცენტრები, ე. წ. „მფრინავი უნივერსიტეტები“ (Uniwersytet Latający) პოლონეთში, ასევე „მიწისქვეშა უნივერსიტეტები“ (Podzemní univerzita) ჩეხოსლოვაკიაში.[77] დისიდენტური მოძრაობის მიერ პარალელური სტრუქტურების შექმნა მარტო საგანმანათლებლო სფეროთი არ შემოიფარგლებოდა. 1979 წელს უნგრეთში დაარსდა *„ღარიბების დახმარების ფონდი“* (A Szegényeket Támogató Alap – SZETA), რომლიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ზრუნავდა უნგრეთში მცხოვრებ

[76] HAVEL Václav. *Politics and Conscience.* https://tinyurl.com/2p9psm8z (ბოლო ნახვა 21.03. 2020); [„I favour politics as practical morality, as service to the truth, as essentially human and humanly measured care for our fellow humans. It is, I presume, an approach, which, in this world, is extremely impractical and difficult to apply in daily life. Still, I know no better alternative“] არაოფიციალური თარგმანი.

[77] SUGIYAMA Anna. Underground Seminars in Czechoslovakia and Poland, 1968-1984: Academic Freedom, University, and Philosophy. Dissertation Proposal, Central European University, Department of History. March 2013;

გაჭირვებულ ოჯახებზე, ძირითადად ეთნიკურ ბოშებზე. ორგანიზაცია არალეგალური იყო და იდევნებოდა უნგრეთის კომუნისტური რეჟიმის მიერ, რომელიც არ აღიარებდა ქვეყანაში სოციალური უთანასწორობისა და უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეების არსებობას[78]. პარალელური სტრუქტურის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენდა 1976 წელს პოლონეთში დაარსებული *„მუშათა დაცვის კომიტეტი* (Komitet Obrony Robotników – KOR). კომიტეტი ეხმარებოდა კომუნისტური რეჟიმის მიერ დაპატიმრებულ მუშათა ოჯახებს, სთავაზობდა მათ შესაბამის სამედიცინო და იურიდიულ დახმარებას. მოგვიანებით, სწორედ *„KOR“*-ის ბაზაზე დაარსდა ცნობილი მოძრაობა *„Solidarność“* (სოლიდარობა), რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა პოლონეთში კომუნისტური რეჟიმის დამხობაში.[79]

დისიდენტური მოძრაობის **მეორე ტიპის** წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ამოცანა იყო გარედან მოეხდინა ზეწოლა სახელმწიფოზე და აეძულებინა ის დაეცვა დემოკრატიული პრინციპები. თავის მხრივ, ეს ტიპი პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ.

პირველი ჯგუფი კონცენტრირებული იყო ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროზე. აქ შეიძლება გამოვყოთ ჩეხოსლოვაკიაში მოქმედი დისიდენტური ორგანიზაცია *„ქარტია 77“* (Charta 77), რომელიც საკუთარი პოლიტიკური ან სოციალური პლატფორმის შექმნის ნაცვლად, ხელისუფლებასთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოებით ცდილობდა ინდივიდუალური და სამოქალაქო უფლებათა დაცვას.[80]

მეორე ჯგუფი გამოდიოდა დამოუკიდებელი ფორუმის შექმნის იდეით, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი, კრიტიკული აზრის გამოხატვა. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია უნგრეთში 1982-89 წლებში გამომავალი დამოუკიდებელი ჟურნალი *„Beszélő“* (სულ გამოიცა 27 ნომერი)[81], რომლის ფურცლებზეც უნგრეთის დემოკრატიული ოპოზიციის წარმომადგენლები აქვეყნებდნენ კრიტიკულ სტატიებს აქტუალურ პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე.

მესამე ჯგუფის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოზე

[78] ღარიბთა დახმარების ფონდი (SZETA) -http://hsze.hu/da/en/fund-supporting-poor-szeta (ბოლო ნახვა 14.03. 2020);
[79] მოძრაობა სოლიდარობა. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/topic/Solidarity#ref270149 (ბოლო ნახვა 14.03. 2020);
[80] ქარტია 77 - ჩეხოსლოვაკიის ისტორია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/topic/Charter-77 (ბოლო ნახვა 17.03. 2020);
[81] BOZÓKI András. *Hungarian Dissident Intellectuals before 1989*. In: Baltic Worlds, Vol II:1, 2009. გვ. 40-46;

ზემოქმედება შესაძლებელი იქნებოდა ე. წ. „წნეხის ჯგუფის“ (Pressure group) შექმნით. ამ შეხედულებას დისიდენტური მოძრაობის ყველაზე დიდი ნაწილი იზიარებდა. როგორც პოლონელი დისიდენტი ადამ მიხნიკი აღნიშნავდა: „აღმოსავლეთ ევროპაში დისიდენტებისთვის ერთადერთი პოლიტიკა არის უწყვეტი ბრძოლა რეფორმებისთვის, იმ ევოლუციის სასარგებლოდ, რომელიც გააფართოებს სამოქალაქო თავისუფლებებს და იქნება ადამიანის უფლებების პატივისცემის გარანტი“.[82]

რაც შეეხება დისიდენტური მოძრაობის ბოლო, **მესამე ტიპს**, მათი წარმომადგენლებისათვის სახელმწიფოს უგულებელყოფა დაუშვებელი იყო. ამ ტიპის დისიდენტები მიიჩნევდნენ, რომ სამოქალაქო საზოგადოებას უნდა შეეღწია სახელმწიფო სტრუქტურებში და შიგნიდან მოეხდინა სათანადო ცვლილებების ინიცირება. ზემოთ ნახსენები პროფესორი ალან რენკვიკი მიიჩნევდა, რომ დისიდენტთა ამ ტიპში თავის მხრივ შეიძლება განვასხვავოთ სამი სხვადასხვა ქვე-მიმდინარეობა - *„თანამშრომლობის“, „რევოლუციისა“* და *„პოლიტიკური ოპოზიციის“* მომხრეებისა. გამომდინარე იქიდან, რომ 1956 წლის შემდეგ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების რევოლუციით დამხობის მომხრე ჯგუფები ფაქტობრივად აღარ ფიქსირდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ქვე-მიმდინარეობამ დისიდენტურ მოძრაობაში აქტუალობა დაკარგა.

„თანამშრომლობის“ მომხრეები ფიქრობდნენ, რომ კომუნისტურ ხელისუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულებით შესაძლებელი იქნებოდა მათზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა. ამ ჯგუფის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა პოლონეთის პარლამენტში 1957-89 წლებში არსებული კათოლიკე დეპუტატების მცირე ჯგუფი *„ზნაკი“* (Znak). „ზნაკი“ აქტიურად თანამშრომლობდა პოლონეთის კომუნისტურ ხელისუფლებასთან ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა თემაზე, თუმცა კატეგორიულად უარყოფდა მარქსისტულ იდეოლოგიას. „ზნაკის“ წევრები (ლაპარაკია სულ 5-6 პირზე) პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატების სტატუსით იყვნენ არჩეული, რადგან არ წარმოადგენდნენ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას.[83]

„თანამშრომლობის“ მომხრეთა ჯგუფის კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ უნგრეთში 1987 წელს დაარსებული

[82] RENWICK, Alan. *op. cit.* [„...the only policy for dissidents in Eastern Europe is an unceasing struggle for reforms, in favour of evolution which will extend civil liberties and guarantee a respect for human rights“], გვ. 296;
[83] BROMKE Adam. *The “Znak” Group in Poland*. In: Poland since 1956, readings and essays on Polish government and politics, second edition. Department of Political Science, St John’s University, New York 1972. გვ 80-93;

„დემოკრატიული ფორუმიც“ (Magyar Demokrata Fórum -MDF), რომელიც უნგრეთის კომუნისტური პარტიის შედარებით პროგრესულ წარმომადგენლებთან თანამშრომლობით საკუთარი მიზნების მიღწევას ცდილობდა.[84] სწორედ ასეთი თანამშრომლობის შედეგად მოხერხდა დამოუკიდებელი ჟურნალის *„ჰიტელ“*-ის (Hitel) გამოსაცემად შესაბამისი ნებართვის მოპოვება, თუმცა მოგვიანებით პარტიამ საკუთარი სტრატეგია შეცვალა. უნდა აღინიშნოს, რომ 1980-იანი წლების დასასრულს *„თანამშრომლობის“* სტრატეგიამ დაკარგა აქტუალობა და შესაბამისად, გავლენა ცენტრალური ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

„პოლიტიკური ოპოზიციის“ მომხრეები ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი იყო მთელ დისიდენტურ მოძრაობაში. მისი გავლენა განსაკუთრებით დიდი იყო უნგრეთში, თუმცა 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან მისი პოპულარობა გაიზარდა ჩეხოსლოვაკიაშიც. შედარებით ნაკლები იყო მისი გავლენა პოლონეთში. *„პოლიტიკური ოპოზიციის“* მსოფლმხედველობის წარმომადგენლები არ იზიარებდნენ დისიდენტური მოძრაობის მხრიდან სახელწიფოს უგულებელყოფის ან პარალელური სტრუქტურების შექმნის იდეას. მათი აზრით, ასეთი ქმედებით დისიდენტური მოძრაობა საკუთარი თავის მარგინალიზაციას ახდენდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელი იყო არსებულ კომუნისტურ რეჟიმებთან აქტიურ პოლიტიკურ ოპოზიციაში შესვლა, ალტერნატიული პოლიტიკური ხედვების, პროგრამების და ქვეყნის განვითარების მოდელების შემუშავება. ამ მიმდევრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია უნგრელი ფილოსოფოსი **იანოშ კიში** (János Kis).[85] უნგრეთისაგან განსხვავებით, ჩეხოსლოვაკიაში დისიდენტური მოძრაობა მეტწილად ვაცლავ ჰაველის *„ანტი-პოლიტიკური“* მსოფლმხედველობის გავლენის ქვეშ იყო, თუმცა 1980-იანი წლების ბოლოს, თანდათან იმძლავრა *„პოლიტიკური ოპოზიციის“* მსოფლმხედველობის გავლენამაც. 1988 წლის 15 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიაში დაარსდა *„სამოქალაქო თავისუფლების მოძრაობა“* (Hnutí za obcanskou svobodu – HOS), რომლის მიერ გამოქვეყნებული მანიფესტიც იწყებოდა სიტყვებით „დრო მოვიდა რათა ჩავერთოთ პოლიტიკაში ...“.[86] მოძრაობის წევრები ითხოვდნენ ჩეხოსლოვაკიაში დემოკრატიული ტრადიციების დაბრუნებას, პოლიტიკურ პლურალიზმს,

[84] უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი - პოლიტიკური გაერთიანება http://www.mdf.hu/ (ბოლო ნახვა 20.03. 2020);
[85]იანოშ კიში - ბიოგრაფია. https://tinyurl.com/3vs9nthr (ბოლო ნახვა 20.03. 2020);
[86] RENWICK, Alan. *op. cit.* გვ. 302;

სამართლიან ეკონომიკურ სისტემას და ა. შ.[87] რაც შეეხება პოლონეთს, აქაც 1980-იანი წლების მეორე ნახევარში გამოჩნდნენ *„პოლიტიკური ოპოზიციის“* მსოფლმხედველობის მომხრეები (მაგ. **ალექსანდერ ჰალი** (Aleksander Hall)[88]) თუმცა პოლონეთში პოლიტიკური პროცესების დომინანტი იყო მოძრაობა *„Solidarność“*, რომელიც *„წნეხის ჯგუფის“* კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს.

პოლიტიკური ცვლილებები ცენტრალურ ევროპაში - კომუნისტური რეჟიმების დასასრული

როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნეთ, 1985 წლის 11 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის პოსტი დაიკავა მიხეილ გორბაჩოვმა, რომლის ხელისუფლებაში მოსვლის დროისთვის საბჭოთა კავშირი ღრმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში იყო შესული. მმართველობის პირველივე წლებში მიხეილ გორბაჩოვი იძულებული გახდა ე. წ. გარდაქმნის (перестройка) სახით ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმა წამოეწყო. ეკონომიკური რეფორმების განხორციელება კი შეუძლებელი იყო გარკვეული პოლიტიკური ლიბერალიზაციის გარეშე. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პოლიტიკური რეფორმირების მცდელობამ, რომელიც ისტორიაში „საჯაროობის“ („Гласность“) სახელით შევიდა, ისედაც მორყეული სოციალისტური სისტემის საბოლოო დანგრევა გამოიწვია.

მ. გორბაჩოვისა და მისი გუნდისთვის (ამ გუნდში ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს მეორე პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**) ცხადი იყო, რომ ამბიციური ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად, აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის სამხედრო და საერთაშორისო ვალდებულებებით გათვალისწინებული ხარჯების შემცირება, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც, ვიდრე საბჭოთა ეკონომიკა შეძლებდა ფეხზე დადგომას. სწორედ ხარჯების შემცირების კონტექსტში უნდა განვიხილოთ გორბაჩოვის მიერ 1980-იანი წლების ბოლოს ინიცირებული მნიშვნელოვანი შეთანხმებები განიარაღების სფეროში. კერძოდ, 1987 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა რ. რეიგანმა და მ. გორბაჩოვმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საშუალო

[87] სამოქალაქო თავისუფლების მოძრაობა - https://tinyurl.com/2p9d5cpu (ბოლო ნახვა 20.03.2020);
[88] ალექსანდრე ჰალი - ბიოგრაფია. https://wiez.pl/author/aleksanderhall/ (ბოლო ნახვა 20.03.2020);

სიშორის რაკეტების აკრძალვის შესახებ (Intermediate-Range Nuclear Forces Treaty -INF Treaty). ხელშეკრულება ავალდებულებდა მხარეებს სრულად გაენადგურებინათ ევროპის კონტინენტზე არსებული ახლო და საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტები.[89] მოგვიანებით, 1990 წელს, ნატოს წევრ სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ (Treaty on Conventional Armed Forces in Europe – CFE), რომელიც ევროპის ტერიტორიაზე არსებული საბრძოლო ტექნიკისთვის და შეიარაღებისთვის წინასწარ განსაზღვრულ კვოტებს აწესებდა.[90] ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, 1991 წლის 31 ივლისს, მოსკოვში ხელი მოეწერა აშშ-სა და სსრკ-ს შორის სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ პირველ ხელშეკრულებას (Strategic Arms Reduction Treaty – START I), რომელიც მხარეებს ბირთვული სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემცირებას ავალდებულებდა[91]. პარალელურად საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ურთიერთობების ნორმალიზება სხვა მიმართულებებითაც. 1989 წლის 15 თებერვალს საბჭოთა კავშირმა დაასრულა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან, სადაც ის 1979 წლიდან იბრძოდა პროკომუნისტური ძალების მხარეს.[92] ეს ომი საბჭოთა ეკონომიკას მილიარდობით რუბლი უჯდებოდა და ძალიან მძიმე პოლიტიკურ ტვირთადაც აწვა. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა აიძულა ვიეტნამის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკა შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები კამბოჯაში[93], ხოლო კუბის რესპუბლიკა - დაესრულებინა სამხედრო ინტერვენცია ანგოლაში[94]. ორივე ოპერაცია საბჭოთა კავშირის უშუალო სამხედრო და ფინანსური დახმარებით ხორციელდებოდა და ასევე მოითხოვდა საგრძნობ სახსრებს. 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირმა თანდათანობით დახმარება შეუწყვიტა ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ და ცენტრალური აფრიკის, ლათინური ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პროკომუნისტურ

[89] Intermediate-Range Nuclear Forces Treaty (INF Treaty) 1987. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის არქივი. https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/rd/104266.htm (ბოლო ნახვა 28.03.2020);
[90] Treaty on Conventional Armed Forces in Europe. ეუთოს დოკუმენტების ელექტრონული არქივი. https://www.osce.org/library/14087 (ბოლო ნახვა 28.03.2020);
[91] Strategic Arms Reduction Talks. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/event/Strategic-Arms-Reduction-Talks (ბოლო ნახვა 28.03.2020);
[92] Soviets agree to withdraw from Afghanistan-პორტალი „Hystory“. https://tinyurl.com/2p89c83e (ბოლო ნახვა 02.04.2020);
[93] OGDEN Deven. *Soviet Third World Policy Dilemmas and Settlement of the Cambodian Conflict.* In: Sigma: Journal of Political and International Studies: Vol. 10, Article 7. 1992. https://scholarsarchive-.byu.edu/sigma/vol10/iss1/7 (ბოლო ნახვა 02.04.2020);
[94] BERVOETS Jeremy. The Soviet Union in Angola: Soviet and African Perspectives on the Failed Socialist Transformation. In: Geohistory Today. 2011. https://geohistory.today/soviet-union-angola-history/(ბოლო ნახვა 02.04.2020);

ან საბჭოთა კავშირისადმი ლოიალურ რეჟიმებს. თუმცა ყველაზე დიდი ცვლილებები მაინც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელდა, სადაც 1980-იანი წლების ბოლოს ნახევარ მილონზე მეტი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე იყო განთავსებული.

1988 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის 43-ე სესიაზე გამოსვლისას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა საერთაშორისო ურთიერთობების დე-იდეოლოგიზაციას.[95] მოგვიანებთ კი, 1989 წლის 6 ივლისს, სტრასბურგში, ევროსაბჭოს სესიაზე გამოსვლისას მიხაილ გორბაჩოვმა განაცხადა, რომ:

„ცალკეულ ქვეყნებში წარსულში შეცვლილა და შესაძლოა მომავალშიც შეიცვალოს სოციალური და პოლიტიკური სისტემა. ასეთი ცვლილება მხოლოდ ხალხის გადასაწყვეტია, ეს მათი არჩევანია. დაუშვებელია ქვეყნების შიდა საქმეებში ნებისმიერი ჩარევა, მათი სუვერენიტეტის შეზღუდვის ნებისმიერი მცდელობა - როგორც მეგობრებისა და მოკავშირეების, ისე სხვა ქვეყნების მხრიდან“[96].

ამ განცხადებით მ. გორბაჩოვმა, ფაქტობრივად, უარი თქვა მანამდე მოქმედ *„ბრეჟნევის დოქტრინის“* სახელით ცნობილ საბჭოთა პოლიტიკაზე, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

მ. გორბაჩოვისა და სხვა საბჭოთა ლიდერების განცხადებებმა კიდევ უფრო დააჩქარა ცენტრალური ევროპის ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესები, სადაც, ახალი სიმძლავრით იფეთქა საბჭოთა კავშირის ორბიტისგან გათავისუფლებისა და სწრაფი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების სურვილმა.

1989-1990 წლებში, ცენტრალური ევროპის ქვეყნების ხელისუფალთა მოთხოვნითა და ზეწოლით, საბჭოთა კავშირმა „ვარშავის ხელშეკრულების“ ქვეყნებთან ინდივიდუალურად გააფორმა შეთანხმებები მათი ტერიტორიიდან საბჭოთა სამხედრო შენაერთებისა და საბრძოლო ტექნიკის

[95] გაეროს 43-ე გენერალურ ასამბლეაზე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლის ვიდეოჩანაწერი: https://www.c-span.org/video/?4399-1/soviet-foreign-minister-un (ბოლო ნახვა 02.04.2020);

[96] მიხეილ გორბაჩოვის გამოსვლა სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატების წინაშე. 6 ივნისი 1989წ. https://www.gorby.ru/presscenter/news/show_30034/ (ბოლო ნახვა 04.04.2020). [Социальные и политические порядки в тех или иных странах менялись в прошлом, могут меняться и впредь. Однако это — исключительно дело самих народов, их выбора. Любое вмешательство во внутренние дела, любые попытки ограничить суверенитет государств — как друзей и союзников, так и кого бы то ни было — недопустимы]. არაოფიციალური თარგმანი;

გაყვანის შესახებ.[97] ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან პირველი, რომელმაც საბჭოთა ჯარების გაყვანა მოახერხა, იყო უნგრეთი. უნგრეთში განთავსებულმა საბჭოთა ჯარების „სამხრეთის დაჯგუფებამ“ (65 ათასი სამხედრო მოსამსახურე)[98] ქვეყნის ტერიტორია 1989 წელს დატოვა. 1990 წელს მას მიჰყვა ჩეხოსლოვაკიაში განთავსებული „ცენტრალური დაჯგუფება“ (92 ათასი სამხედრო მოსამსახურე)[99]. ყველაზე გვიან, 1991 წელს, „ჩრდილოეთის დაჯგუფება“ (58 ათასი სამხედრო მოსამსახურე)[100] გავიდა პოლონეთის ტერიტორიიდან.

თანამედროვე მკვლევრები ბევრს კამათობენ იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას სრულად გათვლილი *„გარდაქმნისა“* და *„საჯაროობის“* შესაძლო შედეგები. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება: 1980-იანი წლების ბოლოდან პროცესები იმგვარად განვითარდა, რომ შეუძლებელი გახდა კომუნისტური სისტემის შენარჩუნება არა მარტო ცენტრალურ ევროპაში, არამედ თავად საბჭოთა კავშირშიც კი.

არადემოკრატიული რეჟიმების ცვლილებისთვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობის არსებობა, რომელიც ბიძგს მისცემს მის რღვევას. ასეთი შეიძლება იყოს ეკონომიკური კრიზისი, საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლა, რეჟიმის შემოქმედი დიქტატორის გარდაცვალება და ა. შ.

ამერიკელი პოლიტოლოგის, ინდიანის ნოტრ-დამის უნივერსიტეტის პროფესორის, **სკოტ მეინუორინგის** აზრით, ავტორიტარული რეჟიმების შეცვლის სამი ძირითადი მეთოდი არსებობს: *„ურთიერთშეთანხმების“*, *„ხელისუფლების გამოთავისუფლების“* და *„რეჟიმის კოლაფსის“* (იხ. სქემა 1) [101].

„ურთიერთშეთანხმებით“ ავტორიტარული რეჟიმის ცვლილებისას, ხელისუფლებაში მყოფი არადემოკრატიული პოლიტიკური ელიტის პოზიციები საკმაოდ მყარია. თუმცა, სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე იზრდება ძალაუფლების შენარჩუნების ფასი ან პირიქით, დემოკრატიულ ოპოზიციასთან შეთანხმებით შესაძლებელი ხდება ცვლილებების ფასის მინიმიზება. შესაბამისად, ხელისუფლება თავად ირჩევს სისტემის გახსნის გზას. *„ურთიერთშეთანხმებით“* რეჟიმის ცვლილებისას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დგება გარკვეული პაქტი, რომელიც განსაზღვრავს

[97] MORKOVKIN Anatoly. *The Soviet troops' withdrawal from Germany was the largest ever peacetime military operation*. Russia beyond. April. 2020. https://tinyurl.com/3uwwf66y (ბოლო ნახვა 04.04.2020);
[98] Group of Soviet Forces in Hungary - https://tinyurl.com/bk7w6uek (ბოლო ნახვა 04.04.2020);
[99] Group of Soviet Forces in Czechoslovakia - https://tinyurl.com/49kaydh5 (ბოლო ნახვა 04.04. 2020);
[100] Group of Soviet Forces in Poland- https://tinyurl.com/2p94av6k (ბოლო ნახვა 10.04.2020);
[101] MAINWARING, Scott. *Transitions to Democracy and Democratic Consolidation: Theoretical and Comparative Issues*. 1992; გვ. 27. https://www.researchgate.net/publication/248151915 (ბოლო ნახვა 10.04.2020);

თამაშის ახალ წესებს (მაგ. ახალ საარჩევნო კანონს ან პოლიტიკური სისტემის რეფორმირების ძირითად პრინციპებს, სამხედრო და საპოლიციო ძალების როლს და ა. შ.). *„ურთიერთშეთანხმებით“* რეჟიმის ცვლილებისას ნაწილობრივ ნარჩუნდება არსებული სახელმწიფო ინსტიტუციები. ამასთან, პოლიტიკური ელიტის ნაწილი ინარჩუნებს საკუთარ ძალაუფლებასა და გავლენას.

სქემა 1

ავტორიტარული რეჟიმების შეცვლის მეთოდები სკოტ მეინუორინგის მიხედვით

I. **გადასვლა ურთიერთშეთანხმებით:** ავტორიტარული რეჟიმი თავად ირჩევს პოლიტიკური სისტემის გახსნას, რადგან:

- ხელისუფლებაში ყოფნის საფასური იზრდება და/ან სისტემის დემოკრატიზაციის საფასური იკლებს.
  1) ხელისუფლებაში ყოფნის საფასური იზრდება, რადგან სახეზეა:
     ა) მემკვიდრეობითობის კრიზისი;
     ბ) სამხედრო სიძლიერისა და ლოიალობის შემცირება;
     გ) ლეგიტიმურობის შემცირება;
  2) სისტემის დემოკრატიზაციის საფასური იკლებს, რადგან სახეზეა:
     ა) სისტემის მიერ აღქმული საფრთხის აღმოფხვრა;
     ბ) სოციალურ-ეკონომიკური წესრიგის სტაბილურობა.
- კრიზისულ სიტუაციაში ჩარევის შემდეგ, დემოკრატიული სისტემის აღდგენა.

II. **გადასვლა გამოთავისუფლების გზით:** ავტორიტარული რეჟიმი დასუსტებულია, თუმცა საკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ რეჟიმის ცვლილება საკუთარი პირობებით მოახდინოს.

III. **გადასვლა რეჟიმის დამარცხების გზით:** ხდება ავტორიტარული რეჟიმის სრული კოლაფსი.

„ურთიერთშეთანხმებით“ რეჟიმის ცვლილების საპირისპირო მოვლენაა *„რეჟიმის კოლაფსი“,* როდესაც არსებული ავტორიტარული ხელისუფლება გაკოტრებულია, მას აღარ აქვს დასაყრდენი არც საკუთარ მოსახლეობაში და არც ძალოვან სტრუქტურებში. ამასთან, გარეშე ძალას, რომელიც შესაძლოა ასეთი რეჟიმის არსებობით იყოს დაინტერესებული, აღარ შესწევს უნარი მის შესანარჩუნებლად. *„რეჟიმის კოლაფსის“* დროს,

დემოკრატიული ოპოზიცია სრულად აკონტროლებს პოლიტიკურ პროცესებს. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, უმეტესწილად ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების მთლიანად შეცვლა, ხოლო არსებული პოლიტიკური ელიტა სრულად კარგავს საკუთარ გავლენას.

რეჟიმის ცვლილების ამ ორ გზას შორის არსებობს შუალედური მესამე გზაც - ცვლილება *„ხელისუფლების გამოთავისუფლების"* გზით. ამ შემთხვევაში არსებული ავტორიტარული სისტემა დასუსტებულია, თუმცა არა იმდენად, რომ მისი კოლაფსის საშიშროება არსებობდეს. პოლიტიკური ელიტა, დემოკრატიული ოპოზიციის მხრიდან გარკვეული სასიცოცხლო პირობების შესრულების სანაცვლოდ, ნებაყოფლობით ახდენს სახელისუფლებლო ვერტიკალის გამოთავისუფლებას.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1980-იანი წლების ბოლოს, შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ცენტრალური ევროპის კომუნისტურ ქვეყნებში ვითარება სრულად იყო მომწიფებული ძირეული სისტემური ცვლილებებისთვის. სახეზე იყო ღრმა ეკონომიკური კრიზისი, პოლიტიკურ ელიტებს აღარ გააჩნდათ დასაყრდენი მოსახლეობის დიდ ნაწილში და ავტორიტარული სისტემის შენარჩუნებით დაინტერესებული გარეშე ძალაც, რომელმაც 1950-იან და 1960-იან წლებში უხეში სამხედრო ჩარევით აღკვეთა დემოკრატიული გარდაქმნები, უკვე აღარ ფლობდა შესაბამის საშუალებას.

1980-იანი წლების ბოლოს, ცენტრალური ევროპის ყველა ქვეყანაში, მოსახლეობის მხრიდან მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისა და ზეწოლის შედეგად, დაიწყო სისტემურ ცვლილებებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები მმართველ კომუნისტურ პარტიასა და ოპოზიციურ ძალებს შორის. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა „მრგვალი მაგიდის" ფორმატში, რაც სიმბოლურად მიანიშნებდა მონაწილე მხარეების თანასწორუფლებიანობაზე.[102]

ეს მოლაპარაკებები პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში სხვადასხვა ინტენსივობით და სხვადასხვა ხანგრძლივობით მიმდინარეობდა, რადგან განსხვავებული იყო ამ ქვეყნებში არსებული კომუნისტური პარტიებისა და დემოკრატიული ოპოზიციის პოზიციები, თუმცა ყველა შემთხვევაში დასრულდა ერთი და იმავე შედეგით, კომუნისტური რეჟიმის საბოლოო მარცხით.

„პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია" 1980-იანი წლების ბოლოს, ცენტრალური ევროპის სხვა კომუნისტურ რეჟიმებთან

[102] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ.39;

შედარებით, ყველაზე უფრო ძლიერ პოზიციებს ინარჩუნებდა. მას საკმაოდ კარგი დასაყრდენი ჰქონდა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებშიც, რადგან სწორედ შეიარაღებული ძალებიდან გამოსული გენერალი **ვოიცეხ იარუზელსკი** (Wojciech Jaruzełski) იყო *„პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის"* ლიდერი. ვოიცეხ იარუზელსკიმ კარიერულ წინსვლას მიაღწია პოლონეთში ანტიკომუნისტური გამოსვლების ჩახშობითა და *„Solidarność"*-ის მოძრაობის მიმართ დაკავებული ხისტი პოზიციით.[103] მიუხედავად ამისა, 1989 წელს პოლონეთი გახდა ცენტრალური ევროპის პირველი ქვეყანა, სადაც მეტნაკლებად დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების შედეგად განხორციელდა კომუნისტური მმართველობის შეცვლა. სკოტ მეინუორინგის ზემოხსენებული სქემის მიხედვით, პოლონეთის შემთხვევა მიეკუთვნება *„ურთიერთშეთანხმებით"* ცვლილების ტიპს, სადაც ძლიერი მმართველი ელიტისათვის ძალიან გაიზარდა ძალაუფლების შენარჩუნების საფასური და კომუნისტური პარტიის ლიდერებმა ამჯობინეს ოპოზიციურ ძალებთან შეთანხმებით მოეხდინათ სისტემური ცვლილებები.

ყველაფერი კი 1987 წლის ბოლოს დაიწყო, როდესაც ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად, *„პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ"* ქვეყნის მოსახლეობას რადიკალური რეფორმების გატარება შესთავაზა, რაც სხვა ზომებთან ერთად სამომხმარებლო ფასების 110 პროცენტით ზრდას ითვალისწინებდა.[104] რეფერენდუმზე პოლონეთის მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა აღნიშნულ რეფორმებს და 1988 წლის დასაწყისში ქვეყანაში გაფიცვებისა და საპროტესტო გამოსვლების ახალმა ტალღამ იფეთქა. 1989 წლის დასაწყისში, *„პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია"* იძულებული გახდა მოლაპარაკებები დაეწყო ოპოზიციასთან. იმავე წლის 6 თებერვლიდან 5 აპრილის ჩათვლით ვარშავაში მრგვალი მაგიდის ფორმატში მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ მოძრაობა *„Solidarność"*-ს შორის მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი გაიმართა, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა სისტემის ცვლილებისა და დემოკრატიული რეფორმების შემდგომი ბედი.[105] საყურადღებოა, რომ ამ მოლაპარაკებებში მედიატორის როლს ასრულებდა კათოლიკური ეკლესია.

---

[103] ვოიცეხ იარუზელსკი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა https://www.britannica.com/biography/Wojciech-Jaruzelski (ბოლო ნახვა 12.04.2020);
[104] BUZEK Jerzy. The transformation of Poland since 1989. In: European View N 8. Springer 2009. გვ. 187–190;
[105] Polish Round Table Talks. გაზეთ The Guardian-ის არქივი. https://tinyurl.com/mrxhhfzu (ბოლო ნახვა 12.04.2020);

აქვე ორიოდე სიტყვით უნდა აღინიშნოს კათოლიკური ეკლესიის მნიშვნელოვანი როლი პოლონეთში განხორციელებული ცვლილებების პროცესში. 1978 წელს კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელი გახდა პოლონელი ეპისკოპოსი **კაროლ იუზეფ ვოიტილა** (Karol Józef Wojtyła), - იგივე **პაპი იოანე პავლე II**.[106] 1979 წელს პაპი იოანე პავლე II პოლონეთს ეწვია, სადაც მას პოლონელმა ხალხმა, მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის ზეწოლისა, გრანდიოზული დახვედრა მოუწყო[107]. სწორედ პაპის ვიზიტი, რომლის მთავარი გზავნილიც პოლონელი ახალგაზრდების მიმართ იყო, რომ არ შეშინებოდნენ სიძნელეებს და ებრძოლათ საკუთარი ღირსების დასაცავად, გახდა 1980-იანი წლების დასაწყისში მოძრაობა *„Solidarność“*-ის დაარსების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. მოგვიანებით, 1987 წელს, პაპი კვლავ ეწვია პოლონეთს. ამ ვიზიტის შემდეგ, კათოლიკური ეკლესიის შუამდგომლობით შესაძლებელი გახდა მოძრაობა *„Solidarność“*-ის ლეგალიზება და მისი ჩართვა ხელისუფლებასთან გამართულ მოლაპარაკებებში[108]. პოლონეთის კომუნისტურ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მრგვალი მაგიდის ფორმატში ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და, საბოლოოდ, მხარეებს შორის მნიშვნელოვანი შეთანხმებით დასრულდა.

1989 წლის 4 ივნისს, პირველად II მსოფლიო ომის შემდეგ, პოლონეთში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ორპალატიანი პარლამენტის ქვედა პალატაში - „Sejm“-ში - *„პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ“* (ოპოზიციასთან მოლაპარაკებების პროცესში წინასწარ შეთანხმებული კვოტის მიხედვით) მოახერხა ყველაზე მეტი - 173 - მანდატის მოპოვება[109], მათ მაინც ვერ შეძლეს მთავრობის ფორმირებისათვის საჭირო ხმების მოგროვება, რადგან არცერთმა სხვა პოლიტიკურმა ძალამ არ ისურვა კომუნისტურ პარტიასთან კოალიციურ გარიგებაში შესვლა. 1989 წელს *„პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიასა“* და ოპოზიციურ ძალებს შორის კომპრომისული შეთანხმება შედგა, რომელის მიხედვითაც,პოლონეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი მოძრაობა *„Solidarność“*-ის ერთერთმა

[106] პაპი იონე პავლე II - ბიოგრაფია. https://www.biography.com/religious-figure/john-paul-ii (ბოლო ნახვა 12.04.2020);
[107] დოკუმენტური ფილმი, პოლონეთში 1987 წელს იოანე პავლე II ვიზიტის შესახებ. https://www.youtube.com/watch?v=vQyfju4byCg (ბოლო ნახვა 12.04.2020);
[108] PERRONE Arragon. Pope John Paul II's Role in the Collapse of Poland's Communist Regime: Examining a Religious Leader's Impact on International Relations. Honors Scholar Theses. University of Connecticut. 2012;
[109] პოლონეთის პარლამენტის არქივი - http://archive.ipu.org/parline-e/reports/arc/2255_89.htm; (ბოლო ნახვა 16.05.2020);

ლიდერმა **ტადეუშ მაზოვეცკიმ (**Tadeusz Mazowiecki)[110] დაიკავა, სანაცვლოდ კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ვოიცეხ იარუზელსკი პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე, რომელსაც უფრო სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

ამრიგად, 1989 წლის დეკემბერში პოლონეთში დასრულდა ერთპარტიული კომუნისტური მმართველობის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ეპოქა და ქვეყანაში სწრაფი და რადიკალური რეფორმების პერიოდი დაიწყო.

უნგრეთში, ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, კომუნისტური რეჟიმი ყველაზე უფრო ლიბერალური ფორმით იყო წარმოდგენილი. 1968 წელს *„უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის“* გენერალური მდივნის, **იანოშ კადარის** (János Kádár), ინიციატივით ქვეყანაში „ახალი ეკონომიკური მექანიზმის“ სახელით ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმების გატარება დაიწყო[111]. რეფორმების შედეგად, უნგრეთში განხორციელდა საბაზრო ეკონომიკის ელემენტების ნაწილობრივი დანერგვა, რამაც შესაძლებელი გახადა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კერძო მფლობელობაში არსებობა.[112] უნგრეთის ეკონომიკური პოლიტიკა, გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიოდა კომუნისტურ იდეოლოგიასთან, თუმცა 1956 წლის აჯანყების შემდეგ, განმეორებითი ამბოხის თავიდან ასაცილებლად, საბჭოთა კავშირი თვალს ხუჭავდა უნგრეთის კომუნისტური პარტიის ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ამ შეუსაბამობის გამო უნგრეთში არსებულ კომუნისტურ რეჟიმს ხშირად „გულაშ-კომუნიზმის“ სახელითაც მოიხსენიებენ.[113] აღსანიშნავია, რომ 1982 წელს, უნგრეთი, ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან ერთადერთი იყო, რომელიც „კაპიტალისტური ორგანიზაციის“ - საერთაშორისო სავალუტო ფონდის - წევრი გახდა[114].

1980-იანი წლების მეორე ნახევარში, უნგრეთის მმართველ *„სოციალისტურ მუშათა პარტიაში“* კონსერვატორებისა და რეფორმატორების ჯგუფებს შორის დაპირისპირება საგრძნობლად გამწვავდა. მ. გორბაჩოვის მიერ ინიცირებული „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პოლიტიკით ხორცშესხმული უნგრელი კომუნისტების რეფორმატორული ფრთა ქვეყანაში

---

[110] ტადეუშ მაზოვეცკი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Tadeusz-Mazowiecki (ბოლო ნახვა 16.05.2020);

[111] იანოშ კადარის ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Janos-Kadar (ბოლო ნახვა 18.05.2020);

[112] The Kádár regime - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/place/Hungary/The-Kadar-regime#ref411396 (ბოლო ნახვა 18.05.2020);

[113] 1956-1966 - Goulash Communism - განმარტება. https://tinyurl.com/367w8u5m (ბოლო ნახვა 18.05.2020);

[114] სსფ წევრთა სია https://www.imf.org/external/np/sec/memdir/memdate.htm (ბოლო ნახვა 18.05.2020);

რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას მოითხოვდა. 1987 წლის ივლისში, რეფორმატორებმა მოახერხეს და პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადააყენეს 75 წელს მიტანებული იანოშ კადარი, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1988 წელს, მას პარტიის გენერალური მდივნის პოსტიც დაატოვებინეს[115]. უნგრეთის პრემიერ-მინისტრის პორტფელი და ერთი წლის შემდეგ, პარტიის გენერალური მდივნის პოსტიც, რეფორმატორთა ფრთის წარმომადგენელმა **კაროლ გროსმა** (Károly Grósz)[116] დაიკავა. ამ დროიდან უნგრეთში დაიწყო რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. იმავე წელს უნგრეთის ხელისუფლებამ დაუშვა ქვეყანაში დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების არსებობა, რის შედეგადაც 1988 წლიდან უნგრეთში ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ, მათ შორის უნგრეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის **ვიქტორ ორბანის** (Viktor Orbán) პარტია *„Fidesz“*-მაც.[117]

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (CEU) პროფესორის **იშტვან რევის** ფორმულირებით, უნგრეთში „კომუნიზმმა თავი თვითონ მოიკლა, სანამ ამას ხალხი გააკეთებდა *“*.[118]

1989 წლის მარტში უნგრეთის მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში მოლაპარაკებები დაიწყო ქვეყანაში მოქმედ ოპოზიციურ ძალებთან. მოლაპარაკებები რამდენიმე თვეს გაგრძელდა და იმავე წლის ზაფხულში მხარეებს შორის შეთანხმებით დასრულდა, რაც გულისხმობდა გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას, ძალის გამოყენებასა და სამოქალაქო არეულობაზე უარის თქმას და უნგრეთში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას.[119]

იმავე წლის სექტემბერში, 1956 წელს დახვრეტილი უნგრეთის პრემიერ-მინისტრის იმრე ნადის გადასვენების ცერემონიალს ბუდაპეშტის გმირთა მოედანზე 250 ათასი ადამიანი დაესწრო. გამომსვლელები უნგრეთში დემოკრატიული რეფორმების დაჩქარებას, 1956 წლის აჯანყების ხელახალ პოლიტიკურ შეფასებას და ხელისუფლებიდან

[115] PETRESCU, Dragoş. Entangled revolutions: the breakdown of the communist regimes in East-Central Europe. Editura Enciclopedică, Bucharest, 2014. გვ. 139;
[116] კაროლ გროსი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Karoly-Grosz (ბოლო ნახვა 20.05.2020);
[117] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. *op. cit.* გვ. 44;
[118] RÉV István. *Identifying Histories: Eastern Europe Before and After 198*. In: Representations No. 49, Special Issue. 1995, გვ. 15-39. [Communism killed itself instead of letting the people do it themselves] არაოფიციალური თარგმანი;
[119] BOZÓKI András. The Roundtable Talks of 1989, The Genesis of Hungarian Democracy. Akadémiai Kiadó, Budapest 2000. გვ.247;

კომუნისტური პარტიის ჩამოშორებას ითხოვდნენ. [120]

1989 წლის ზაფხულში *„უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიაში“* (MSzMP) სადავეები საბოლოოდ იგდეს ხელთ რადიკალური რეფორმების მომხრე პოლიტიკოსებმა პრემიერ-მინისტრ **მიკლოშ ნემეტის** (Miklós Németh) და საგარეო საქმეთა მინისტრ **დიულა ჰორნის** (Gyula Horn) ხელმძღვანელობით. იმავე წლის ოქტომბერში *„MSzMP“*-მა თვითლიკვიდაცია მოახდინა და მის ნაცვლად დაარსდა *„უნგრეთის სოციალისტური პარტია“* (Magyar Szocialista Párt – MSzP).[121]

უნგრეთის შემთხვევაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეჟიმის ცვლილება განხორციელდა ე. წ. გამოთავისუფლების გზით, როდესაც მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ, ოპოზიციასთან მოლაპარაკებით, ნებაყოფლობით მოახდინა სახელისუფლებლო ვერტიკალის გამოთავისუფლება.

1990 წლის 25 მარტს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად, უნგრეთში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, სადაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს უნგრეთის დემოკრატიულმა ძალებმა. კომუნისტური პარტიის მემკვიდრე *„უნგრეთის სოციალისტურმა პარტიამ“* 386-ადგილიან ეროვნულ ასამბლეაში მხოლოდ 33 წევრის გაყვანა მოახერხა [122]. ამრიგად 1990 წლის გაზაფხულზე, პოლონეთის მსგავსად, უნგრეთშიც დასრულდა კომუნისტური მმართველობის 45 წლიანი ეპოქა.

ჩეხოსლოვაკიას 1980-იანი წლების ბოლოს, ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ერთ-ერთი ყველაზე უფრო დახურული და კონსერვატიული კომუნისტური სისტემა ჰქონდა. 1968 წლის „პრაღის გაზაფხულის“ შემდეგ პარტია თანმიმდევრულად გაწმინდეს რეფორმატორი კომუნისტებისაგან. ჩეხოსლოვაკიის ოპოზიციური სპექტრი, პოლონეთისა და უნგრეთის ოპოზიციური მოძრაობებისაგან განსხვავებით, სუსტი იყო, რაც, სავარაუდოდ, ჩეხოსლოვაკიის დისიდენტური მოძრაობის გამორჩეული ლიდერის ვაცლავ ჰაველის მიერ არჩეულ *„ანტი-პოლიტიკის“* კურსს შეიძლება მივაწეროთ, რაზეც უკვე ვისაუბრეთ წინა ქვეთავში.

1988-1989 წლებში პოლონეთსა და უნგრეთში განხორციელებული ძირეული ცვლილებების ფონზე, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია კვლავ ძველებურად აგრძელებდა საქმიანობას და არ იმჩნევდა მისი ქვეყნის გარშემო მიმდინარე მოვლენებს. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური

[120] Hungarian Who Led '56 Revolt Is Buried as a Hero - The New York Times – June 17. 1989. https://tinyurl.com/2spxx3px (ბოლო ნახვა 20.05.2020);
[121] Hungarian Socialist Party - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/topic/Hungarian-Socialist-Party (ბოლო ნახვა 20.05.2020);
[122] საპარლამენტთაშორისო კავშირის(IPU) არქივი. უნგრეთი - http://archive.ipu.org/parline-e/reports/arc/2141_90.htm (ბოლო ნახვა 20.05.2020);

პარტიის წარმომადგენლები მკვეთრად ნეგატიურად აფასებდნენ პოლონეთსა და უნგრეთში დემოკრატიზაციის პროცესს და დაუშვებლად მიაჩნდათ ანალოგიური სცენარით ჩეხოსლოვაკიაში მოვლენების განვითარება, რისთვისაც არ ერიდებოდნენ ოპოზიციის წინააღმდეგ აგრესიას და უხეში ძალის გამოყენებასაც[123].

კომუნისტური რეჟიმის მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, 1989 წლიდან ჩეხოსლოვაკიაში სულ უფრო გახშირდა ანტი-სამთავრობო გამოსვლები და მანიფესტაციები. 1989 წლის 16 იანვარს პრაღაში ჩეხი სტუდენტის **იან პალახის** (Jan Palach) ხსოვნისადმი მიძღვნილი ფართომაშტაბიანი მანიფესტაცია გაიმართა. იან პალახი, რომელმაც 1969 წლის იანვარში საბჭოთა ოკუპაციისადმი პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა პრაღის ცენტრში, ჩეხი ახალგაზრდებისთვის კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ იქცა[124]. მანიფესტაცია პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა და დააკავა ოპოზიციური მოძრაობის აქტივისტები, მათ შორის ოპოზიციის ლიდერი, ვაცლავ ჰაველი[125]. 1989 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ გამოსცა ახალი კანონი, რომელიც ქვეყნის პოლიციას უკანონო მანიფესტაციებისა და მიტინგების წინააღმდეგ საბრძოლველად დამატებით უფლებებს ანიჭებდა[126]. მიუხედავად ამისა, ჩეხოსლოვაკიაში საპროტესტო გამოსვლები არ შეწყვეტილა. უფრო მეტიც, მთავრობის მხრიდან აგრესიულმა ქმედებებმა ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებში საპროტესტო მუხტი კიდევ უფრო გააღვივა. შიდა უკმაყოფილების პარალელურად, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ რეჟიმზე სულ უფრო მეტად იზრდებოდა წნეხი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდანაც, მათ შორის რეჟიმის მთავარი მოკავშირის, საბჭოთა კავშირის, მხრიდანაც კი[127]. მოვლენების განვითარება კიდევ უფრო დააჩქარა 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედლის დანგრევამ, რასაც მალე მოჰყვა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაქრობა და ორი გერმანიის გაერთიანება.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთსა და უნგრეთში განხორციელებული რეჟიმის ცვლილებებისაგან განსხვავებით, სადაც სისტემური რეფორმები მმართველ კომუნისტურ რეჟიმსა და ოპოზიციას შორის „მრგვალი

[123]WOLCHIK Sharon L. *Czechoslovakia on the eve of 1989*. Communist and Post-Communist Studies 32. George Washington University 1999. გვ. 437–451;
[124] იან პალახის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვებ-გვერდი. http://www.janpalach.cz/en/default/jan-palach/smrt (ბოლო ნახვა 21.05.2020);
[125] POWERS Charles T. Czech Writer Sentenced to 9 Months: Havel Convicted for Protest Amid Communist Crackdown. In: LA Times February 22, 1989;
[126] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 46;
[127] PETRESCU Dragoş. op. cit. გვ. 229;

მაგიდის“ ფორმატში გამართული მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმდა, ჩეხოსლოვაკიაში, ასეთ მოლაპარაკებები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ჩეხოსლოვაკიის შემთხვევაში სისტემური ცვლილებები განხორციელდა ე. წ. რეჟიმის დამარცხების გზით, როდესაც მმართველმა კომუნისტურმა რეჟიმმა სრულად დაკარგა კონტროლი მოვლენების განვითარებაზე და კოლაფსი განიცადა. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, თავად კომუნისტური პარტიის ხისტ პოზიციასა და კომპრომისზე წასვლის სრულ უუნარობაში უნდა ვეძებოთ.

მოვლენები კი ჩეხოსლოვაკიაში, 1989 წლის შემოდგომაზე, ძალიან სწრაფად განვითარდა. 17 ნოემბერს *„ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ“* ნება დართო სტუდენტებს ჩაეტარებინათ მანიფესტაცია ნაცისტური გერმანიის მიერ 1939 წელს პრაღის უნივერსიტეტის დახურვის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით.[128] თუმცა, მანიფესტაციამ მალევე მიიღო ანტი-სამთავრობო ხასიათი. სტუდენტებმა ხელისუფლებისაგან პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და ყოვლისმომცველი რეფორმების გატარება მოითხოვეს. ხელისუფლებამ სტუდენტების მანიფესტაცია სასტიკად დაარბია, მისი ორგანიზატორები და ასამდე აქტივისტი კი დააკავა. თუმცა პროცესებმა უკვე შეუქცევადი ხასიათი მიიღეს. სტუდენტების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებებით აღშფოთებულმა ჩეხოსლოვაკიის ასობით ათასმა მოქალაქემ მასობრივი აქციები გამართა ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში. მარტო პრაღაში გამართულ ანტი-სამთავრობო მანიფესტაციაში 200 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.[129] 1989 წლის 19 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიაში ოპოზიციურმა ძალებმა მოახერხეს კონსოლიდაცია და დააფუძნეს მოძრაობები, ჩეხეთში -- *„სამოქალაქო ფორუმი“*, ხოლო სლოვაკეთში -- *„საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“*. ამ მოძრაობებმა საბოლოოდ გადამწყვეტი როლი შეასრულეს რეჟიმის შეცვლაში. უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი საპროტესტო გამოსვლების პარალელურად ხელისუფლება ასევე კარგავდა დასაყრდენს ქვეყნის საპოლიციო და სამხედრო ძალებში, რომელთა წარმომადგენლებიც სულ უფრო ღიად თანაუგრძნობდნენ მომიტინგეებს. საპროტესტო აქციებისა და მასობრივი გაფიცვების ფონზე, 1989 წლის 24 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი **მილოშ იაკეში** (Miloš Jakeš), თანამდებობიდან გადადგა. ის **კარელ ურბანეკმა** (Karel Urbánek) შეცვალა, რომლის სახელიც არ იყო

[128] საინფორმაციო სააგენტო KafkaDesk - https://tinyurl.com/3d5hdstp (ბოლო ნახვა 21.05.2020);
[129] Czechoslovakia's Velvet Revolution - archive, November 1989. The Guardian. https://tinyurl.com/bdzwsmxt (ბოლო ნახვა 21.05.2020);

დაკავშირებული საპროტესტო აქციების დარბევასთან. მაგრამ პროცესების შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. სამთავრობო ცვლილებიდან სამი დღის შემდეგ, 1989 წლის 27 ნოემბერს, ჩეხოსლოვაკიაში საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. მომდევნო დღეს, 28 ნოემბერს კი ქვეყნის კომუნისტური პარტია იძულებული გახდა მოლაპარაკებები დაეწყო ოპოზიციურ ძალებთან, რომელთა შორის, პირველ რიგში, იყვნენ *„სამოქალაქო ფორუმის“* და *„საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“* წარმომადგენლები.[130] მოლაპარაკებებმა 12 დღეს გასტანა და 1989 წლის 9 დეკემბერს დასრულდა. კომუნისტური პარტია დათანხმდა ოპოზიციის ყველა მოთხოვნას, მათ შორის ჩეხოსლოვაკიაში დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შესახებ. წლის ბოლოს, 29 დეკემბერს, თანამდებობა დატოვა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა **გუსტავ ჰუსაკმაც** (Gustáv Husák), რომელსაც ეს პოსტი 1975 წლიდან ეკავა.[131] ჰუსაკის ნაცვლად პრეზიდენტის პოსტი მალევე დაიკავა ვაცლავ ჰაველმა. 1990 წლის 8 ივნისს ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა *„სამოქალაქო ფორუმისა“* და *„საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“* ალიანსმა, რომელმაც ხმების 45,9 პროცენტი მიიღო. რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას, მან ხმების მხოლოდ 13,7 პროცენტი მოაგროვა.[132]

ამგვარად, 1990 წლის ზაფხულში, ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩეხოსლოვაკიაშიც დასრულდა კომუნისტური დიქტატურის ეპოქა. ამასთან, პოლონეთისა და უნგრეთისაგან განსხვავებით, კომუნისტური რეჟიმის დამარცხებით ჩეხოსლოვაკიაში პოლიტიკური დუღილის პერიოდი არ დასრულებულა, ქვეყანას ჯერ კიდევ წინ ჰქონდა გაყოფის პროცესი, რომლის შედეგადაც ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეიქმნა. სურათის სისრულისათვის ორიოდე სიტყვით შევეხოთ ამ პროცესსაც და მის გამომწვევ მიზეზებსაც.

კომუნისტური რეჟიმის დამხობიდან ორ წელში, 1993 წლის 1 იანვარს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა დაიშალა და მის ნაცვლად აღმოცენდა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო - ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთის რესპუბლიკა, რითაც დასრულდა ამ ორი ხალხის თითქმის 75-წლიანი თანაცხოვრება ერთ სახელმწიფოში. ჩეხოსლოვაკიის დაშლის მიზეზებზე

[130] PETRESCU, Dragoş. op. cit. გვ. 231;
[131] გუსტავ ჰუსაკი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Gustav-Husak(ბოლო ნახვა 23.05.2020);
[132] საპარლამენტთაშორისო კავშირის(IPU) არქივი. ჩეხოსლოვაკია http://archive.ipu.org/parline-e/reports/arc/2084_90.htm (ბოლო ნახვა 23.05.2020);

საუბრისას მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ მოვლენის სათავე ჩეხი და სლოვაკი ერების განსხვავებულ ისტორიაში და მათ ეთნო-კულტურულ თავისებურებაში უნდა ვეძებოთ.[133]

ჩეხურმა სამთავროებმა, ბოჰემიამ და მორავიამ, XVI საუკუნის დასაწყისში დაკარგეს დამოუკიდებლობა და ჰაბსბურგების იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ[134]. დღევანდელი სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორია კი XI საუკუნიდან უნგრეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.[135] ცენტრალურ ევროპაში ავსტრია-უნგრეთის დუალისტური იმპერიის შექმნის შემდეგ (1867 წ.) ჩეხი და სლოვაკი ერები ნომინალურად ერთი იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განსხვავდებოდა. ავსტრიის მმართველობის ქვეშ მყოფი ჩეხეთი განვითარებულ ინდუსტრიულ რეგიონად იქცა, სადაც შენარჩუნდა ჩეხური კულტურული ავტონომიის გარკვეული ელემენტები. მატერიალურმა კეთილდღეობამ, თავის მხრივ, ჩეხეთის საზოგადოებაში გაზარდა განათლების დონე. რაც შეეხება სლოვაკეთს, უნგრეთის სამეფო, ავსტრიისგან განსხვავებით, უფრო აგრარული, ფეოდალური ტიპის სახელმწიფო იყო. შესაბამისად, სლოვაკების დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა, მათ შედარებით დაბალი განათლების მაჩვენებელი ჰქონდათ. ამასთან, ავსტრიისაგან განსხვავებით, უნგრეთი, საკუთარი მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, ე. წ. მკაცრი *„მადიარიზაციის“* (გაუნგრელების) პოლიტიკას აწარმოებდა და იმ პირებისაგან, ვისაც სახელმწიფო სამსახურში უნდოდა შესვლა, მოითხოვდა უნგრული ენის ცოდნას. შესაბამისად, იზღუდებოდა ეროვნული უმცირესობის ენის გამოყენება (განსაკუთრებით ქალაქებში) და კულტურული თვითმყოფადობის ზოგი სხვა ელემენტები.[136]

ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წელს, დღის წესრიგში დადგა ყოფილი იმპერიის ტერიტორიებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის საკითხი. აშშ-ის პენსილვანიის შტატის ქალაქ პიტსბურგში, სადაც მრავლად ცხოვრობდნენ როგორც ჩეხური, ისე სლოვაკური წარმოშობის ემიგრანტები, რომლებიც აქტიურად ლობირებდნენ საკუთარი ერების დამოუკიდებლობის საკითხს, 1918 წლის 31

---

[133] KREJČÍ Jaroslav, MACHONIN, Pavel. *Czechoslovakia 1918–1992. A Laboratory for Social Change*. Palgrave Macmillan UK, 1996. გვ. 6;

[134] Bohemia - historical region, Europe. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/place/Bohemia (ბოლო ნახვა 24.05.2020);

[135] Slovakia - nation, Europe. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/place/Slovakia (ბოლო ნახვა 24.05.2020);

[136] Brief History of Slovakia – Visegrad Group. https://tinyurl.com/2p99un4j (ბოლო ნახვა 24.05.2020);

დეკემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას,[137] რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ჩეხეთისა და სლოვაკეთის გაერთიანება ჩეხოსლოვაკიის ფედერალურ სახელმწიფოში, სადაც ორივე ერი თანაბარი უფლებით ისარგებლებდა. თუმცა ეს შეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა და 1918 წლის 28 ოქტომბერს პრაღაში დაარსდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, როგორც უნიტარული ცენტრალიზებული სახელმწიფო, სადაც ნაცვლად ფედერალური პრინციპებისა წამყვანი აქცენტი ერთიანი „ჩეხოსლოვაკური“ ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებაზე კეთდებოდა. იმავე პრინციპით მოხდა II მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტების მიერ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნაც. მხოლოდ 1968 წელს, *„პრაღის გაზაფხულის“* სისხლიანი მოვლენების შემდგომ, საბჭოთა კავშირის ზეწოლით, რომელიც უკვე აღარ ენდობოდა ჩეხებს, შეიცვალა ქვეყნის კონსტიტუცია და ჩეხოსლოვაკია ფედერალურ სახელმწიფოდ გარდაიქმნა. ამით ფაქტობრივად წერტილი დაესვა ერთიანი „ჩეხოსლოვაკური“ ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბების მცდელობას, რომელიც არც მანამდე სარგებლობდა დიდი წარმატებით.

სოციალურ-პოლიტიკური ვითარება 1990-იანი წლების დასაწყისში და „ვიშეგრადის ოთხეულის“ (V4) შექმნის წინაპირობა, მიზნები, ამოცანები, სტრუქტურა

1990-იანი წლების დასაწყისში ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების რღვევის პროცესი უკვე დასრულებული იყო და დღის წესრიგში დადგა ამ „პოსტ-კომუნისტური“ ქვეყნების დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხი, რითაც, უპირველეს ყოვლისა, თავად ამ ქვეყნების მოსახლეობა და პოლიტიკური ელიტები იყვნენ დაინტერესებულნი.

კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევრის **დევიდ ლეინის**[138] აზრით, 1990-იანი წლების დასაწყისში ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის ევროკავშირის ძლიერი მიმზიდველობა რამდენიმე ძირითადი მიზეზით შეიძლება აიხსნას, რასაც ნაწილობრივ წინამდებარე წიგნიც იზიარებს.

პირველ რიგში ეს იყო იდენტობის საკითხი, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია ამ ქვეყნებისათვის ქვეცნობიერად ნიშნავდა „დაბრუნებას

[137] BLACKLEY Katie. *How The Country of Czechoslovakia Was Created in Downtown Pittsburgh*. In: Pittsburgh's NPR News Station. https://tinyurl.com/ycraz3w2 (ბოლო ნახვა 24.05.2020);
[138] დევიდ ლეინი - ბიოგრაფია. https://research.sociology.cam.ac.uk/profile/david-lane (ბოლო ნახვა 28.05.2020);

საკუთარ „ევროპულ სახლში“[return to ... „European home“][139] რომლის განუყოფელი ნაწილიც ყოველთვის იყვნენ როგორც პოლონეთი, ისე უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია. **მეორე**, ეს იყო რუსეთის მხრიდან ახალი აგრესიის შიში. დასავლურ სტრუქტურებში, ევროკავშირსა და, რაც მთავარია, ნატოში ინტეგრაცია ამ საფრთხის განეიტრალების საშუალებას იძლეოდა.

მესამე ეს იყო ეკონომიკური სარგებელი: ევროკავშირის წევრობა ამ ქვეყნებისათვის ნიშნავდა დიდ და მსყიდველობითუნარიან ბაზარზე წვდომას, გაზრდილ უცხოურ ინვესტიციებს, სტაბილურ მაკროეკონომიკურ და ბიზნეს-გარემოს.

მეოთხე მიზეზად შეიძლება დავასახელოთ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ასპექტი, რომლითაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები ერთ-ერთ წამყვან ადგილზე დგანან მთელ მსოფლიოში.

დაბოლოს, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ევროკავშირის მიმართ ყველაზე უფრო სკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკოსებიც კი აცნობიერებდნენ, რომ ევროკავშირის მიღმა დარჩენის საფასური გაცილებით მაღალი იქნებოდა მათი ქვეყნისათვის, ვიდრე გაწევრიანების შემთხვევაში ეროვნული სუვერენიტეტის ნაწილის დათმობა.

ცენტრალური ევროპის ქვეყნების მხრიდან ევროკავშირის მიმართ არსებული მიმზიდველობა, რაც შედარებით ადვილი გასაგებია ისეთი ქვეყნისთვისაც, როგორიც საქართველოა, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის მხოლოდ ერთი მხარეა. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინტერესები და მათი დამოკიდებულება თამაშობს.

„ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნების ევროპული ინტეგრაციის ანალიზისას იკვეთება, რომ ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა **გეოპოლიტიკურ ფაქტორს** და ამ ქვეყნების **პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას**. გეოპოლიტიკურ ფაქტორებში იგულისხმება ევროკავშირის დამფუძნებელი ქვეყნების დაინტერესება, საკუთარი საზღვრების გარშემო შეექმნათ მშვიდობიანი, სტაბილური და მდიდარი სამეზობლო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგალითად, გაერთიანებული გერმანიის აღმოსავლეთით იარსებებდა შედარებით ჩამორჩენილი ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი,[140]

---

[139] LANE David. *Post-Communist States and the European Union.* In: Journal of Communist Studies and Transition Politics Vol.23. 2007. გვ.463;

[140] გაჩეჩილაძე რევაზ, რობაქიძე გიორგი. *ევროინტეგრაცია: მიზანი და რეალობა (ცენტრალური ევროპის, ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება).* თსუ VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი“ მასალები. 2019;

რაც მუდმივი დესტაბილიზაციის ფაქტორი შეიძლება გამხდარიყო. ზემოხსენებული მიზნის მიღწევა ევროკავშირს შეეძლო ორი გზით - აღნიშნულ ქვეყნებთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობის მაღალი ხარისხის ხელშეკრულების გაფორმებით, რაც შესაძლებელს გახდიდა ამ ქვეყნების ეკონომიკისა და დემოკრატული ინსტიტუტების განვითარებას სხვადასხვა ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტებით, ან ამ ქვეყნების *სრული ინტეგრაციით* ევროპულ ინსტიტუციებში. ეს უკანასკნელი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების მეტ შესაძლებლობას აძლევდა, რადგან ევროკავშირში გაწევრიანება გარკვეულწილად ეროვნული სუვერენიტეტის ნაწილის ევროპული ინსტიტუციებისთვის დელეგირებას ნიშნავს. ასეთი ზემოქმედება კი, თავის მხრივ, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვისა და სტაბილური განვითარების ხელშეწყობის გარანტიას იძლეოდა.

ამასთან, დასავლეთ ევროპის ქვეყნები გრძნობდნენ გარკვეულ მორალურ ვალდებულებასაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ[141], რომლებმაც კომუნისტური დიქტატურის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ეპოქა განვლეს, მშვიდობიანად დაასრულეს ის და დემოკრატიული თავისუფალი საზოგადოების აშენების მკაფიო სურვილი დააფიქსირეს.

ევროკავშირში ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნის დაუყოვნებლივ მიღება შეუძლებელი იქნებოდა, გაერთიანებისთვის და თავად ამ ქვეყნებისათვის ეკონომიკური და, აგრეთვე, პოლიტიკური პრობლემების შექმნის გარეშე. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ევროკავშირის ერთიან ბაზარში ცენტრალური ევროპის ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების ჩართვას *„შოკური თერაპიის“* ეფექტი ექნებოდა და საბოლოოდ დაანგრევდა ამ ქვეყნების მყოფე ინდუსტრიას. სწორედ ამიტომ ევროკავშირს მოუხდა ე. წ. *„კოპენჰაგენის კრიტერიუმების“* შემუშავება, რათა პრეტენდენტი სახელმწიფოები მოემზადებინა ერთიან ეკონომიკურ სივრცეში არსებობისათვის.[142] უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში ევროკავშირი ამჯობინებდა ემუშავა მეტნაკლებად ხელოვნურად შექმნილ „რეგიონებთან“ (ბალტიის ქვეყნები, აღმოსავლეთ ბალკანეთი, ცენტრალური ევროპა), ვიდრე ცალკეულ

[141] LANE David. op. cit. გვ.465;
[142]GACHECHILADZE Revaz and ROBAKIDZE George. European Integration in a Political-Geographical Context: a Comparison of the Baltic States and the South Caucasus. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 13, #4, 2019;

სახელმწიფოებთან.

სწორედ დასავლურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე არსებული პრობლემების სწრაფად მოგვარების მიზნით 1991 წლის 15 თებერვალს უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში (Visegrád) პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ. მოგვიანებით, ჩეხოსლოვაკიის მშვიდობიანი გაყოფის შემდეგ, როდესაც ერთიანი ჩეხოსლოვაკიის ნაცვლად ამ ჯგუფს ცალ-ცალკე შეუერთდნენ ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკები, გაერთიანებას ეწოდა „ვიშეგრადის ოთხეული“, შემოკლებით „V4“. ამ რეგიონული გაერთიანების შექმნის მიზანი რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული, კერძოდ:

- ცენტრალური ევროპის გათავისუფლება კომუნისტური ბლოკის ნარჩენებისაგან;
- ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის ისტორიულად არსებული პოლიტიკური ანტაგონიზმის დაძლევის სურვილი;
- რწმენა, რომ ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი იქნებოდა სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის მეტი წარმატებით განხორციელება და, რაც ყველაზე მთავარია, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება.[143]

ჩეხეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი საკუთარ მემუარებში წერდა რომ: „ისტორიული ცვლილებების და რკინის ფარდის დაცემის შემდეგ, ცენტრალური ევროპის ქვეყნები - ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და პოლონეთი - კიდევ ერთი უზარმაზარი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ: ... ეს იყო ჩვენი ახალგაზრდა დემოკრატიების ინტეგრირება ევროპულ და ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში. ნათელი იყო, რომ ჩვენ ვერ შევძლებდით ასეთი ამბიციური მიზნების მიღწევას, თუ ჩვენი სამი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე ერთმანეთს კონკურენციას გაუწევდა. პირიქით, ჩვენ მიზანს მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით მივაღწევდით. ჩვენ უნდა დაგვერწმუნებინა დასავლელი კოლეგები, რომ გაგვაჩნდა სურვილი და შესაძლებლობა, მონაწილეობა მიგვეღო თანამშრომლობის ფართო ფორმებში, როგორც

[143] History of the Visegrad Group - http://www.visegradgroup.eu/about/history; (ბოლო ნახვა 28.05.2020);

ევროპულ, ისე ტრანსატლანტიკურ დონეზე"[144]

„V4“ არ არის ინსტიტუციონალიზებული ორგანიზაცია. იგი ეფუძნება წევრი ქვეყნების მთავრობის წევრების პერიოდული შეხვედრების პრინციპს სხვადასხვა დონეზე (სახელმწიფოთა მეთაურები, მინისტრები და ა. შ.). მიუხედავად ამისა, „V4“-ს შეიძლება თამამად ვუწოდოთ ცენტრალურ ევროპაში ყველაზე წარმატებული თანამშრომლობის ინიციატივა, რომელიც მოიცავს ურთიერთობებს თითქმის ყველა დონეზე, იქნება ეს უმაღლესი დონის პოლიტიკურ სამიტები, დიპლომატიური და სხვადასხვა პროფილური სამინისტროების წარმომადგენლების კონსულტაციები, შეხვედრები ექსპერტებსა და რეგიონის წამყვან არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის და სხვა. „V4“-ის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს ოფიციალური სამიტები პრემიერ-მინისტრების დონეზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება. ორგანიზაციის თავმჯდომარეობას, როტაციის პრინციპით, ერთი წლის ვადით ახორციელებს „V4“-ის წევრი ერთ-ერთი ქვეყანა.

როგორც უკვე აღინიშნა, ვიშეგრადის ჯგუფის შექმნის უპირველესი მიზანი მისი წევრი ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ხელშეწყობა იყო, სწორედ ამიტომ, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ორგანიზაცია შეწყვეტდა ფუნქციონირებას ამ ამოცანის შესრულების შემდეგ[145]. თუმცა, პირველადი მიზნების მიღწევის შემდეგ, ორგანიზაციამ ტრანსფორმაცია განიცადა და დღეისათვის „V4“ არის ევროკავშირის პოლიტიკურ ასპარეზზე კარგად დამკვიდრებული რეგიონული დაჯგუფება, რომელიც წარმატებით ახორციელებს მისი წევრი ქვეყნების ინტერესების ლობირებას ევროპულ დონეზე. ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატებით დასრულებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა სწორედ „ვიშეგრადის ოთხეულის“ ფარგლებში შემუშავებულმა ცენტრალური ევროპის ქვეყნების შეთანხმებულმა და ერთიანმა პოზიციამ რაზეც უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

[144] Havel V. The Visegrad Dream Still Relevant Today. In: Jagodziński, A. (ed.), The Visegrad group – A Central European Constellation. International Visegrad Fund, Bratislava, გვ. 55. [After the historical changes and the fall of the Iron Curtain, the countries of Central Europe – Czechoslovakia, Hungary and Poland – were faced with the emergence of another enormous task: To integrate our young democracies into European and transatlantic structures... It was clear we couldn't achieve such ambitious goals if our three countries were to compete with each other on the international stage. On the contrary, we could only reach our aims through close cooperation. We had to convince our western colleagues that we were willing and able to participate in broader forms of cooperation, on both the European and the trans- Atlantic levels] არაოფიციალური თარგმანი;

[145] DANGERFIELD Martin.V4: *A new brand for Europe? Ten years of post-accession regional cooperation.* In: Poznan University of Economics Review; Volume 14, Number 4, 2014. გვ. 72;

თავი III: „V4“-ის ქვეყნების ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

არავისთვისაა საკამათო, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყნების სწრაფ დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების პროცესმა. თუმცა ამ პროცესის უკეთ გასაგებად, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ იმას, თუ რა ხდებოდა დასავლეთ ევროპაში 1990-იანი წლების დასაწყისში.

გლობალურმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, რასაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დაცემა, საბჭოთა კავშირის დაშლა და გერმანიის გაერთიანება მოჰყვა, ბიძგი მისცა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლას. 1986 წელს დაარსებული ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (European Economic Community-EEC)[146], რომელმაც 12 დასავლეთ და სამხრეთ ევროპულ სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა შეექმნათ ერთიანი ბაზარი და შემოეღოთ ე. წ. ოთხი თავისუფლება ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების სახით[147], უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ამ ქვეყნებს შორის გაზრდილი ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ამ გაერთიანების რეფორმირების აუცილებლობა. რამდენიმეწლიანი ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, 1992 წლის 7 თებერვალს, ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ მაასტრიხტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა“ გარდაიქმნა „ევროპულ კავშირად“ და მან ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური მდგენელიც შეიძინა.[148]

ევროპული ინტეგრაციის თანამედროვე გაგება, პირველ რიგში გულისხმობს თვით ევროკავშირის კონსოლიდაციას და ამ გაერთიანებასთან სხვა ევროპული სახელმწიფოების დაახლოებას. ამასთან, ევროპული ინტეგრაცია შეიძლება განხილული იქნას, როგორც ევროკავშირში უკვე არსებული დამაახლოვებელი პროცესების კიდევ უფრო გაღრმავება. სხვაგვარად

[146] Creation of the European Economic Community. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://tinyurl.com/2hecc2cc (ბოლო ნახვა 26.09.2020);

[147] ჭყოიძე ვასილ. *კონსტიტუცია ევროპისათვის და მიმდინარე დებატები.* ჟურნალი ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები. სერიიდან „ევროინტეგრაცია“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2007. გვ. 13;

[148] ევროკავშირის განვითარების ეტაპები. საქართველო და ევროკავშირი. საინფორმაციო ცენტრი. http://old.infocenter.gov.ge/euinfo-structure/#1 (ბოლო ნახვა 26.09.2020);

რომ ვთქვათ, გაფართოება და გაღრმავება არის ევროპული ინტეგრაციის ორი მხარე[149].

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხრიდან დასავლეთევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები დროში სწორედ ევროკავშირის რეფორმირების პროცესს დაემთხვა და შესაბამისად, საწყის ეტაპზე, ევროკავშირის მხრიდან ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით ხშირად ორაზროვანი და ბუნდოვანი განცხადებები კეთდებოდა. ერთი მხრივ, მიიჩნეოდა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციისა და რეფორმირების ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვებოდა ევროკავშირის ბიუჯეტს, მეორე მხრივ, ამ ქვეყნების ჯერ კიდევ აუთვისებელი ბაზრები განვითარების კარგ შესაძლებლობებს სთავაზობდა დასავლეთევროპულ კომპანიებს[150]. განსხვავებული იყო ევროკავშირის წევრი ცალკეული ქვეყნების დამოკიდებულებაც. ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროკავშირის სტრუქტურებში სწრაფ ინტეგრაციას აქტიურად უჭერდა მხარს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მაშინ როცა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები - იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი - ამ პროცესის მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი. საკუთარი, განსხვავებული პოზიცია გააჩნდა საფრანგეთს, რომლის იმდროინდელი ლიდერიც, პრეზიდენტი **ფრანსუა მიტერანი**, 1990 წლის ბოლოს „ევროპული კონფედერაციის“ შექმნის იდეით გამოვიდა, სადაც დღევანდელი ეუთოს წინამორბედი ორგანიზაციის „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ კონფერენციის“ (Conference on Security and Co-operation in Europe - CSCE) წევრი ქვეყნები უნდა გაწევრიანებულიყვნენ (აშშ-სა და საბჭოთა კავშირის გარეშე),[151] თუმცა ეს წინადადება მალევე იქნა უარყოფილი.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ერთი გარემოება ცხადი იყო, ევროკავშირში ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნის დაუყოვნებლივ მიღება გაერთიანებისთვის და თავად ამ ქვეყნებისათვის ეკონომიკურ და, აგრეთვე, პოლიტიკურ პრობლემებს შექმნიდა. ზოგადად ევროკავშირში გაწევრიანება არ არის მარტივი პროცესი. გარდა იმისა, რომ ამისათვის

---

[149] გოგოლაშვილი კახა. *წინასიტყვაობა.* ჟურნალი ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები. სერიიდან „ევროინტეგრაცია“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2007. გვ. 9;

[150] KÜHNHARDT Ludger. *The Fall of the Berlin Wall and European Integration*. In: 20 Years after the Fall of the Berlin Wall. Editor: Dr. Wilhelm Hofmeister. KAS 2009. გვ. 47-60;

[151] WOYKE Wichard. *Germany and the EU-Eastern Enlargement.* In: LOTH Wilfried, PÃUN Nicolae, Disintegration and Integration in East-Central Europe: 1919 – post-1989. Nomos Verlagsgesellschaft mbH 2014. გვ. 305.

აუცილებელია სურვილი და პოლიტიკური ნება, მნიშვნელოვანია რთული კრიტერიუმების დაკმაყოფილება. ეს კრიტერიუმები საკმაოდ მრავლისმომცველია და შეიძლება დახარისხებულ იქნას გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინსტიტუციონალურ და საკანონმდებლო კრიტერიუმებად, ამასთან წევრობის მსურველმა ქვეყანამ ყველა მათგანი უნდა დააკმაყოფილოს.[152]

ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი კრიტერიუმები საბოლოოდ სახით 1993 წლის ივნისში, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ევროპული კავშირის სამიტზე შემუშავდა და მას სხვანაირად *„კოპენჰაგენის კრიტერიუმებსაც“* უწოდებენ. ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ ქვეყანას უნდა ჰქონოდა:

- სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქვეყანაში დემოკრატიასა და კანონის უზენაესობის, ასევე ადამიანის უფლებების და უმცირესობათა უფლებების დაცვას;
- მოქმედი საბაზრო ეკონომიკა, რომელიც შეძლებდა ევროკავშირის ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში ფუნქციონირებას;
- უნარი, პირნათლად შეესრულებინა ევროკავშირის წევრობით დაკისრებული ვალდებულებები და მხარი დაეჭირა ევროკავშირის საერთო მიზნების განხორციელებისთვის. ამასთან, გაწევრიანების მსურველ ქვეყნებში უნდა ყოფილიყო ისეთი სახელმწიფო მართვის სისტემა, რომელიც შეძლებდა ევროკავშირის კანონმდებლობის (ე. წ. „Acquis communautaire“-ის) ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე გადატანას და მის აღსრულებას.[153]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირში გაწევრიანება საკმაოდ რთული და ამასთან დროში გაწელილი პროცესია. ამასთან გაწევრიანების გზაზე შედგომა არ იძლევა ამ გზის ბოლომდე გავლის გარანტიას, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს თურქეთი,[154] რომელმაც ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადი ჯერ კიდევ 1987 წელს შეიტანა.

თუმცა დავუბრუნდეთ „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებს, ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის ფორმალური შეთანხმებების გაფორმება 1989 წლიდან დაიწყო. 1989 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა ცენტრალური ევროპის ქვეყნების დახმარების ფინანსური მექანიზმი - PHARE (Poland

[152] კაპანაძე სერგი. *ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმები.* ჟურნალი ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები. სერიიდან „ევროინტეგრაცია“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2007. გვ. 100;

[153] ფონტენი პასკალ. *როგორ მუშაობს ევროკავშირი 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ.* ევროკომისია კომუნიკაციის გენერალური დირექტორატის გამოცემები 2014. გვ. 9

[154] კაპანაძე სერგი. დას. ნაშ. გვ. 112;

and Hungary Assistance for Restructuring of Economies).[155] თავდაპირველად, პროგრამა პოლონეთისა და უნგრეთის რესპუბლიკების ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის მიზნით შეიქმნა, თუმცა მოგვიანებით ის ყველა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე გავრცელდა, მათ შორის ბალტიის ქვეყნებზეც.

1990 წელს ევროკომისიის მაშინდელი პრეზიდენტი **ჟაკ დელორი** (Jacques Delors) გამოვიდა ინიციატივით, ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან, მათი სურვილის შემთხვევაში, გაფორმებულიყო ასოცირების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებებს სხვანაირად *„ევროპის შეთანხმებას-აც“* („Europe Agreement“)[156] უწოდებენ. თუ მოვლენებს წინ გავუსწრებთ, უნდა ვთქვათ, რომ 2013 წლის 29 ნოემბერს საქართველომაც გააფორმა ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან[157], თუმცა „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ამ უკანასკნელის ევროპულ კავშირში ინტეგრაციის პერსპექტივას.[158] საქართველოს ევროპული პერსპექტივა, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, ევროპულმა საბჭომ მხოლოდ 2022 წლის 23 ივნისს აღიარა. თუმცა, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, საქართველომ ვერ მიიღო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად საქართველოს ევროკომისიის მიერ შემუშავებული თორმეტი პრიორიტეტის შესრულება დაევალა, რომელიც ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების განცხადებაზე საპასუხოდ იქნა შემუშავებული.

თუმცა, დავუბრუნდეთ ცენტრალური ევროპის ქვეყნებს. 1994 წელს ზემოაღნიშნულ ასოცირების ხელშეკრულებას პირველებმა ხელი მოაწერეს პოლონეთმა და უნგრეთმა, ერთი წლის შემდეგ, 1995 წელს, მათ ჩეხეთი და სლოვაკეთიც შეუერთდნენ.[159] ასოცირების ხელშეკრულება საშუალებას აძლევდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებს ევროკავშირთან თანამშრომლობა ინსტიტუციურ ჩარჩოებში მოექციათ.

ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე

---

[155] The PHARE Programme and the enlargement of the European Union. ევროპარლამენტის ვებგვერდი. https://tinyurl.com/29f6x8u4 (ბოლო ნახვა 02.10.2020);
[156] Europe Agreement - განმარტება. https://tinyurl.com/bdejtnfw (ბოლო ნახვა 02.10.2020);
[157] კიკნაძე თამარ, ვოლსკი გიორგი. *Georgia and the Prospects of European Integration*. ჟურნალი ევროპული კვლევები #1, 2020;
[158] რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი რობაქიძე. *ევროინტეგრაცია: მიზანი და რეალობა.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი“ მასალები. 2019. გვ. 3;
[159]Luxembourg European Council 12-13 December 1997. Presidency conclusions - http://aei.pitt.edu/43332/;

შემდგომი ნაბიჯი 1997 წელს გადაიდგა, როდესაც 12-13 დეკემბერს, ლუქსემბურგში გამართული ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით „V4“-ის წევრ სამ ქვეყანასთან - პოლონეთთან, ჩეხეთსა და უნგრეთთან, ევროკავშირმა დაიწყო „გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები“ (Accession Talks)[160]. ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები რთული და კომპლექსური პროცესია, რაც ევროკავშირის მოცულობითი კანონმდებლობის (ე. წ. Acquis communautaire-ის, რომელიც დაახლოებით 80 ათას გვერდს მოიცავს) ადაპტირებას და ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვას გულისხმობს.

პირველ ეტაპზე, სლოვაკეთი ამ პროცესის მიღმა დარჩა, რადგან ჩეხოსლოვაკიის მშვიდობიანი გაყოფის შემდეგ, სლოვაკეთში ძალაუფლება ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერისა და პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსის **ვლადიმირ მეჩიარის** (Vladimir Mečiar) ხელში აღმოჩნდა, რომლის მმართველობის პერიოდიც უხვად იყო გაჯერებული კორუფციული სკანდალებით, კრიმინოგენული ვითარების გაუარესებითა და ეკონომიკური ჩავარდნით.[161] ვ. მეჩიარის მმართველობის დროინდელ სლოვაკეთს აშშ-ის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი **მადლენ ოლბრაიტი** (Madeleine Albright) „ევროპის შავ ხვრელსაც“ კი უწოდებდა.[162] ყოველივე ამან საგრძნობლად შეაფერხა სლოვაკეთის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. მხოლოდ მეჩიარის არჩევნებში დამარცხებისა და სლოვაკეთის ხელისუფლებაში რეფორმატორი პოლიტიკოსის **მიკულაშ ძურინდას** (Mikuláš Dzurinda)[163] მოსვლის შემდეგ მოახდინა სლოვაკეთმა სწრაფი სვლა ევროპული მიმართულებით და 1999 წელს ევროკავშირმა სლოვაკეთთანაც დაიწყო გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები.

ევროკავშირში გაწევრიანების პარალელურად, რომელიც უფრო ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა, ცენტრალური ევროპის ახლად შექმნილი დემოკრატიული ქვეყნების განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა უსაფრთხოების საკითხს და იმ საფრთხის განეიტრალებას, რაც შესაძლოა კვლავ წამოსულიყო საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის - რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

როგორც ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი აღნიშნავდა (სავსებით

[160] European Commission. *Enlargement of the European Union an historic opportunity*. Brussels Edition 2001. გვ. 31 http://aei.pitt.edu/41185/1/A5181.pdf (ბოლო ნახვა 02.10.2020);
[161] ვლადიმირ მეჩიარი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Vladimir-Meciar (ბოლო ნახვა 10.10.2020);
[162] DZURINDA Mikuláš. *Slovakia, still the 'black hole' of Europe.* In: Politico. March 16, 2018. https://www.politico.eu/article/slovakia-black-hole-of-europe/ (ბოლო ნახვა 10.10.2020);
[163] მიკულაშ ძურინდა - ბიოგრაფია. https://tinyurl.com/9msy33h6 (ბოლო ნახვა 10.10.2020);

მართებულადაც, თუ 21-ე საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ ჯერ საქართველოს, ხოლო მოგვიანებით უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიას გავითვალისწინებთ): „უსაფრთხოების გამო, ნატოს წევრობა ჩვენთვის [ჩეხეთისთვის] უდავოდ უფრო აქტუალურია, ვიდრე ევროკავშირის წევრობა. არავინ იცის, როგორი იქნება მოვლენათა შემდგომი განვითარება რუსეთში და მოგველის თუ არა უსიამოვნო სიურპრიზები იქიდან“.[164]

1990-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გარკვეული, ლამის ეგზისტენციური, პრობლემის წინაშე დადგა. ბევრი დასავლეთევროპელი პოლიტიკოსი და ექსპერტი მიიჩნევდა, რომ ნატომ - როგორც ცივი ომის დროინდელმა ინსტიტუციამ - კომუნისტური ბლოკის დაშლასთან ერთად, შეასრულა საკუთარი ამოცანა და ის „ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის“ მსგავსად უნდა დაშლილიყო. შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთით გაფართოებამ, გარკვეულწილად ხელი შეუწყო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ხელახლა განესაზღვრა საკუთარი როლი და ადგილი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში და ახლებურად შეეხედა არსებული საფრთხეებისა და გამოწვევებისათვის.[165]

1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირში მიხეილ გორბაჩოვის მყიფე პოზიციის კიდევ უფრო დასუსტების თავიდან აცილების მიზნით, ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა გარკვეული თავშეკავებული პოზიცია დაიკავეს ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების საკითხთან დაკავშირებით.[166]

არსებობს მოსაზრება, რომელსაც განსაკუთრებით რუსეთის ხელისუფლება ავრცელებს, რომ გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით საბჭოთა ლიდერებთან გამართული მოლაპარაკებების პროცესში დასავლეთის ქვეყნებმა, მათ შორის აშშ-მა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა დაპირება მისცეს მიხეილ გორბაჩოვს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდებოდა. ამის მტკიცებულებად მოჰყავთ 1990 წლის 9 თებერვალს მიხეილ გორბაჩოვსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივან **ჯეიმს ბეიკერს** შორის გამართული შეხვედრის საუბრის ჩანაწერი, სადაც ჯეიმს

[164] SMITH Martin A. *The NATO factor: a spanner in the works of EU and WEU enlargement?* In: HENDERSON Karen, Back to Europe: Central and Eastern Europe and The European Union. Taylor & Francis e-library 2005. გვ. 58. [For reason of security, being accepted into NATO is indeed more urgent for us than being accepted into the European Union. No one knows what the further developments in Russia will be like and whether we will not experience unpleasant surprises there] არაოფიციალური თარგმანი;

[165] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. *Transition to Democracy in Central Europe.* Palacký University, Olomouc 2019. გვ.111;

[166] იქვე;

ბეიკერი აცხადებს, რომ არ მოხდებოდა ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით - „არცერთი დიუმი აღმოსავლეთით“. თუმცა საუბრის სრული ჩანაწერის წაკითხვისას ცხადი ხდება რომ აღნიშნული ფრაზა კონტექსტიდანაა ამოღებული და საუბარი რეალურად გერმანიის გაერთიანების შემდეგ იქ ნატოს ეგიდით განთავსებულ აშშ-ის ჯარებს ეხებოდა.

„ჩვენ გვესმის, რომ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისთვის, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც მნიშვნელოვანია იმის გარანტიები, რომ თუ შეერთებული შტატები განაგრძობს თავის [სამხედრო] ყოფნას [გაერთიანებულ] გერმანიაში ნატოს ეგიდით, ნატოს არსებული სამხედრო იურისდიქციის არცერთი დიუმი არ გავრცელდება აღმოსავლეთის მიმართულებით“.[167]

ამ თემაზე პოლიტიკოსებსა და მეცნიერებს შორის კამათი დღემდე გრძელდება, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების კუთხით, საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის, რაიმე სახის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი არ გაფორმებულა.

მიუხედავად ცენტრალური ევროპის ქვეყნების აქტიური მცდელობისა, 1992-1993 წლებში ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რამდენჯერმე გადადო გაფართოების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, რამაც ამ ქვეყნების იმედგაცრუება გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების კატეგორიული წინააღმდეგი იყო საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, თუმცა, ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის სასიკეთოდ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებულ რუსეთს აღარ გააჩნდა ის საერთაშორისო წონა, რომელიც ამ პროცესის შეჩერებას შეძლებდა. საბოლოოდ, 1994 წელს, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ, რომელიც ნატო-ს უმაღლესი პოლიტიკური ორგანოა, მიიღო გადაწყვეტილება ალიანსის შემდგომი გაფართოების შესახებ.[168]

გაფართოების პირველ ტალღაში ცენტრალური ევროპის ქვეყნები მოიაზრებოდნენ. თუმცა, ევროკავშირში გაწევრიანების მსგავსად, შიდა-პოლიტიკური სირთულეების გამო ამ ტალღაში ვერ მოხვდა სლოვაკეთის რესპუბლიკა. მოგვიანებით მან მოახერხა შესაბამისი რეფორმების ფორ-

[167]Record of Conversation between Mikhail Gorbachev and James Baker February 9, 1990; https://tinyurl.com/4x5jehec (ბოლო ნახვა 15.10.2020); [We understand that not only for the Soviet Union but for other European countries as well it is important to have guarantees that if the United States keeps its presence in Germany within the framework of NATO, not an inch of NATO's present military jurisdiction will spread in an eastern direction] არაოფიციალური თარგმანი;

[168] Briefing No 31. Security and Defence and enlargement of the European Union. ევროპარლამენტის ვებგვერდი. https://tinyurl.com/5n733xzu (ბოლო ნახვა 15.10.2020);

სირებულად გატარება და გახდა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია ერთი ფაქტის გახსენება, რაც შესაძლოა სამომავლოდ საქართველოსთვისაც იყოს მნიშვნელოვანი და მიზნის მისაღწევად გრძელვადიანი და თანმიმდევრული პოლიტიკის აუცილებლობას ადასტურებს. 1997 წელს ნატოს მადრიდის სამიტზე, სადაც ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ოფიციალურად მიიწვია ცენტრალური ევროპის სამი ქვეყანა (პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა) გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად, ჩეხეთის რესპუბლიკის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრ ვონდრამ**[169] კითხვით მიმართა სამიტის მონაწილე ამერიკელ სენატორებს: „რატომ აგვირჩიეთ ჩვენ?“ რაზეც უპასუხეს: „ჩვენ თქვენ მოგვწონხართ, ვფიქრობთ, რომ თქვენც მოგვწონვართ და ამასთან, იმდენ ხანს გვესაუბრეთ, რომ თავში ჩაგვიდეთ ეს აზრი და სხვაგვარად ვეღარ მოვიქცეოდით”.[170]

პოსტსოციალისტური პოლონეთის ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში და პოლიტიკური ელიტისა და მოსახლეობის განწყობები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1989 წლის დეკემბერში პოლონეთში დასრულდა ერთპარტიული კომუნისტური მმართველობა და ქვეყანა სწრაფი და რადიკალური რეფორმების განხორციელებას შეუდგა. უკვე 1990 წლის იანვარში პოლონეთის პოსტკომუნისტურმა ხელისუფლებამ ეკონომიკური რეფორმების ფართომასშტაბიანი პროგრამა წარმოადგინა, რომელიც მოგვიანებით ისტორიაში „ბალცეროვიჩის გეგმის“ [The **Balcerowicz Plan** (პოლონურად: plan Balcerowicza)][171] სახელით შევიდა მისი ავტორის, პოლონეთის მაშინდელი ფინანსთა მინისტრის **ლეშეკ ბალცეროვიჩის (Leszek Balcerowicz)** [172] პატივსაცემად. მთავრობის გეგმა მიზნად ისახავდა პოლონეთის ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე დაფუძნებული ეკონომიკის სწრაფ გადასვლას საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე და მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლების სტაბილიზაციას.

---

[169] ა. ვონდრა ბიოგრაფია. https://tinyurl.com/2p8p5kzm (ბოლო ნახვა 15.10.2020);
[170] SCHIMMELFENNIG Frank. NATO's Enlargement to the East: An Analysis of Collective *Decision-making*. EAPC-NATO Individual Fellowship Report 1998-2000. https://www.nato.int/acad/fellow/98-00/schimmelfennig.pdf. (ბოლო ნახვა 15.10.2020). ["Why did you choose us?" The answer he got was, "We like you, we think you like us, and then you talked it into our heads for so long that we could not do otherwise."] არაოფიციალური თარგმანი;
[171] Balcerowicz Plan - განმარტება. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/topic/Balcerowicz-Plan (ბოლო ნახვა 05.01.2021);
[172] FITZGEORGE-PARKER Lucy. CEE architects of transition: Leszek Balcerowicz. In: Euromoney. May 14, 2019. https://tinyurl.com/2p96vsd8 (ბოლო ნახვა 05.01.2021);

ამისათვის პოლონეთის ხელისუფლებამ დაიწყო სახელმწიფოს ხელში არსებული ქონების სწრაფი პრივატიზება, გააუქმა ფასების რეგულირება უმეტეს სამომხმარებლო პროდუქტზე, შეუწყვიტა სუბსიდირება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საწარმოებს, მოახდინა პოლონური ვალუტის კონვერტირებად ვალუტად გარდაქმნა, ქვეყანაში არსებული სასაქონლო დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, მოხსნა საგარეო ვაჭრობაზე არსებული შეზღუდვები და ა. შ. [173]

რეფორმებმა, მისი სისწრაფისა და მასშტაბის გამო, ღრმა და ყოვლისმომცველი გავლენა მოახდინა პოლონეთის ეკონომიკაზე. ამ ტიპის ქმედებები ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია ე. წ. *„შოკური თერაპიის“* სახელით. დასახული ამოცანების სწრაფად მიღწევის მიუხედავად, შოკურ თერაპიას პოლონეთის მოსახლეობაში ფართო კრიტიკა მოჰყვა. კრიტიკოსთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ გატარებული რეფორმები გამოირჩეოდა აგრესიულობით და არ ითვალისწინებდა დიდ სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. კრიტიკოსთა აზრით, მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილიზაციის პარალელურად, რეფორმის ავტორებს უნდა განეხორციელებინათ გარკვეული მიზნობრივი მიკროეკონომიკური ღონისძიებებიც, გასაკუთრებით სამთომომპოვებელ და მძიმე ინდუსტრიის სფეროში.[174] თუმცა სტატისტიკური მონაცემების მარტივი ანალიზიც ცხადყოფს, რომ მტკივნეულმა, მაგრამ სწრაფმა რეფორმებმა პოლონეთში სასურველი შედეგი მალევე გამოიღო და თუკი 1990 წლის მაჩვენებლით პოლონეთის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე 1 731 აშშ დოლარს უტოლდებოდა, გატარებული რეფორმების შედეგად მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი გასამმაგდა და უკვე 1996 წლისთვის 4 141 აშშ დოლარს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ *„ბალცეროვიჩის რეფორმის“* დასრულებისთანავე პოლონეთის ეკონომიკამ რეკორდული 29 პროცენტიანი ზრდა აჩვენა და მომდევნო წლებშიც ინარჩუნებდა ზრდის ორნიშნა მაჩვენებელს. (იხ. ცხრილი 2). 2019 წლის მონაცემებით პოლონეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 15 595 აშშ დოლარის ეკვივალენტია. შედარებისთვის, იმავე წელს საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 4 985 აშშ დოლარს შეადგენდა და ამ მაჩვენებლით ფაქტობრივად პოლონეთის 24

[173] JOHNSON Simon & LOVEMAN Gary W. *Starting Over: Poland After Communism.* Harvard Business Review. Issue March–April 1995;
[174] იქვე.

წლის წინანდელ მონაცემებს უტოლდებოდა.[175]

სწრაფი ეკონომიკური რეფორმების პარალელურად, პოლონეთში აუცილებელი იყო სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებაც დემოკრატიის განმტკიცების, ადამიანის უფლებათა დაცვის, სასამართლო სისტემის გარდაქმნისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით სიტუაციის რადიკალურად შესაცვლელად.

კომუნისტური, ერთპარტიული, საარჩევნო სისტემისაგან განსხვავებით, თანამედროვე დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს მრავალპარტიული, გამჭვირვალე, დემოკრატიული საარჩევნო სისტემა.

ცხრილი 2 [176]



ამ სისტემის მიხედვით, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები ცდილობენ, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ინტერესების გათვალისწინებით კონკრეტული პროგრამებისა და სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბებას, რამაც, ამ პარტიების აზრით, უნდა განსაზღვროს ქვეყნის განვითარების გზა მომდევნო საარჩევნო ციკლის განმავლობაში. დემოკრატიული აღმშენებლობის საწყის ეტაპზე, ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, სწორედ არჩევნები იყო ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი.[177]

კომუნისტური რეჟიმის ცვლილების პირველ წლებში პოლონეთშიც შეიქმნა უამრავი ახალი პოლიტიკური პარტია, რომელთა უმრავლესო-

[175] GDP per capita Georgia. მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა. https://tinyurl.com/yc6rr6wk (ბოლო ნახვა 05.01.2021);
[176] Poland GDP Per Capita 1990-2022 - https://tinyurl.com/2h5h6pnb (ბოლო ნახვა 12.01.2021);
[177] MILLARD Frances. Democratic Elections in Poland 1991-2007. In: BASEES/Routledge Series on Russian and East European Studies. 2010; გვ. 18;

ბამაც საკუთარი არსებობა მომდევნო არჩევნებამდე შეწყვიტა. 1991 წელს პოლონეთში გამართულ პირველ თავისუფალ, მრავალპარტიულ არჩევნებში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო დაწესებული მინიმალური საარჩევნო ბარიერი, [დღეისათვის ეს ბარიერი 5%-ს შეადგენს პოლიტიკური პარტიებისთვის და 8%-ს კოალიციური სუბიექტებისათვის] ქვეყნის სეიმში (პარლამენტი) 29 პოლიტიკურმა პარტიამ მოიპოვა მანდატები.[178] ბუნებრივია, ამ პოლიტიკური პარტიების დიდი უმრავლესობა ამჟამად აღარ არსებობს.

პოსტკომუნისტური პოლონეთის არსებობის პირველივე წლებში მისმა პოლიტიკურმა ელიტამ ქვეყნის განვითარებისათვის დასავლეთევროპული მოდელი აირჩია და უმთავრეს ამოცანად დაისახა ქვეყნის ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში. ე. წ. ევროპაში დაბრუნების პოლიტიკის ფარგლებში, პოლონეთი 1991 წელს გახდა ევროპის საბჭოს წევრი, იმავე წელს დაიწყო აქტიური პოლიტიკური კონსულტაციები საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებთან (ე. წ. ვაიმარის სამკუთხედის ფორმატი), დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პოლონეთის პოლიტიკური ელიტის მხრიდან „ინსტიტუციონალური დასავლეთისკენ" გადადგმული ნაბიჯები, პირველ რიგში ნაკარნახევი იყო „საბჭოთა უღლისაგან თავისუფალი“[179] განვითარების სურვილით.

ოფიციალური ურთიერთობები პოლონეთის ხელისუფლებასა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის უკვე 1990 წელს დამყარდა, ნატოში პოლონეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის **კჟიშტოფ სკუბიშევსკის** (Krzysztof Skubiszewski) ოფიციალური ვიზიტის შემდეგ[180]. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ პოლონეთი ფორმალურად ჯერ კიდევ რჩებოდა „ვარშავის ხელშეკრულების“ წევრ ქვეყნად, ურთიერთობები შედარებით მოზომილ ხასიათს ატარებდა. 1991 წლის 31 მარტს „ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია“ ოფიციალურად გაუქმდა და პოლონეთმაც უფრო აქტიურად და თამამად დაიწყო სვლა ნატოს მიმართულებით.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ პირველ წარმატებულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს 1992 წლის 6 მაისს პრაღაში გამართულ „ვიშეგრადის ქვეყნების“ სამიტზე მიღებული დეკლარაცია. სადაც, სამი ქვეყნის

[178] საპარლამენტთაშორისო კავშირის(IPU) არქივი. პოლონეთი - http://archive.ipu.org/parline-e/reports/arc/2255_91.htm (ბოლო ნახვა 12.01.2021);
[179] ZIĘBA Ryszard. *The 20th Anniversary of Poland's Accession to NATO*. In: Daniel S. Hamilton and Kristina Spohr, eds.Open door: NATO and Euro-Atlantic security after the cold war. Johns Hopkins University 2019.
[180] Poland in NATO - more than 20 years. პოლონეთის მთავრობის ვებ-გვერდი. https://tinyurl.com/42ax7kxs (ბოლო ნახვა 15.01.2021);

ლიდერებმა (იმ დროისათვის ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკები ჯერ კიდევ ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში შედიოდნენ) მოუწოდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მათ ქვეყნებთან ურთიერთობების შემდგომი ხარისხობრივი განვითარებისკენ და ოფიციალურად დააფიქსირეს ვიშეგრადის ქვეყნების მიზანი - გრძელვადიან პერსპექტივაში გამხდარიყვნენ ნატოს სრულფასოვანი წევრები.[181]

პოლონეთის ნატოში გაწევრიანების გზაზე შემდგომი ნაბიჯი 1994 წლის 2 თებერვალს გადაიდგა, როდესაც პოლონეთი გახდა ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (Partnership for Peace-PfP) წევრი. ამან მას საშუალება მისცა მონაწილეობა მიეღო ნატოს წევრ ქვეყნებთან გამართულ სხვადასხვა ერთობლივ წვრთნებში. აღსანიშნავია, რომ ერთი თვის შემდეგ, 1994 წლის 23 მარტს, იმავე პროგრამას საქართველოც შეუერთდა.[182]

1994 წლის ივლისში, ვარშავაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა აშშ-ის პრეზიდენტმა **ბილ კლინტონმა** განაცხადა, რომ ნატოში ახალი წევრების მიღების საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს კითხვა „თუ“, არამედ „როდის“ და „როგორ“[183] [Bringing new members to NATO in no longer a question of whether, but when and how].

1997 წელს, ნატოს მადრიდის სამიტზე პოლონეთი ოფიციალურად მიიწვიეს ნატოში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად. ორი წლის შემდეგ კი, 1999 წლის 12 მარტს პოლონეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდა.[184]

უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა გზა ევროკავშირის წევრობისაკენ, რომელმაც 12 წელზე მეტხანს გასტანა და 1991-2004 წლები მოიცვა.

კომუნისტური რეჟიმისაგან გათავისუფლების პირველივე წლებში პოლონეთმა აქტიურად დაიწყო მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით. გაწევრიანება „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“ (WTO), „შეთანხმებაში ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ (GATT), „ევროპის საბჭოში“ (CoE) და ა. შ. პოლონეთის ხელისუფლების მიერ აღქმული იყო როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისკენ

[181] Summit of the Visegrád Triangle: Declaration of the Highest Representatives of the Triangle Countries—Prague, May 6, 1992, *Zbiór Dokumentów-Recueil de Documents*, 1992, No. 3, გვ. 175;
[182] Partnership for Peace. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50349.htm (ბოლო ნახვა 15.01.2021);
[183] აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის პოლონეთის სეიმში გამოსვლის ვიდეოჩანაწერი https://www.c-span.org/video/?58554-1/presidential-address-polish-parliament. 15:01 წთ; (ბოლო ნახვა 15.01.2021);
[184] ნატოს წევრი ქვეყნების სია. ნატოს ოფიციალური ვებ-გვერდი. https://www.nato.int/cps/en/-natohq/topics_52044.htm (ბოლო ნახვა 15.01.2021);

გადადგმული ნაბიჯები.[185] 1991–1992 წლებში პოლონეთის პრემიერ-მინისტრი **იან ოლშევსკი** (Jan Olszewski) პირველი იყო, ვინც საბჭოთა კავშირის დაშლიდან მალევე ოფიციალურად გაახმოვანა პოლონეთის სურვილი, გამხდარიყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის“ (იმ დროისათვის „ევროკავშირი“ ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი) წევრი და დასახა ეს ამოცანა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზნად.[186]

აღსანიშნავია, რომ 1992 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, პოლონეთის პრეზიდენტმა **ლეხ ვალენსამ** წარადგინა გეგმა ე. წ. „EC-bis“ და "NATO-bis" შექმნის შესახებ. ორივე იდეა ეწინააღმდეგებოდა როგორც პოლონეთის პრემიერ-მინისტრის მიერ ადრე გაჟღერებულ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, ისე „ვიშეგრადის ჯგუფის“ დანარჩენი ქვეყნების ინტერესებს და, საბოლოოდ, მალევე იქნა უარყოფილი პოლონეთის მხრიდანვე. ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე „EC-bis“ და „NATO-bis“ ტიპის რეგიონული სტრუქტურების შექმნა რეალურად ნიშნავდა „ვიშეგრადის ჯგუფის“ ქვეყნებისთვის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პროცესების გაყინვას. სამაგიეროდ, ასეთ ჰიპოთეზურ რეგიონულ ორგანიზაციებში წამყვანი როლი პოლონეთს ექნებოდა, რაც აკმაყოფილებდა ლეხ ვალენსას ადმინისტრაციის ამბიციებს ცენტრალურ ევროპაში პოლონეთის დომინანტურ როლთან დაკავშირებით. პოლონეთის იმჟამინდელ ხელისუფლებას არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით ის ფაქტი, რომ მარტო პოლონეთი უფრო დიდი იყო, ვიდრე „ვიშეგრადის ჯგუფის“ დანარჩენი ქვეყნები ერთად აღებული და, ამიტომ, პოლონეთი იმსახურებდა განსხვავებულ მოპყრობას.[187]

რამდენიმეწლიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ, 1993 წელს, კოპენჰაგენში, ევროკავშირმა წარმოადგინა კრიტერიუმების ჩამონათვალი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლეოდათ გამხდარიყვნენ ახლად შექმნილი ევროკავშირის წევრები. ზოგიერთი ავტორი, ისეთი როგორიცაა ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის დოქტორი **ტერეზა ნოვოტნა**, მიიჩნევს, რომ გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მი-

[185] KAROLEWSKI Ireneusz Paweł. *Poland and the European Union*.in: Oxford Research Encyclopaedia of Politics. Online Publication Date: Feb 2018. გვ. 5;
[186] იან ოლშევსკი - ბიოგრაფია. https://tinyurl.com/2m3r42hu (ბოლო ნახვა 15.01.2021);
[187] DANČÁK Břetislav, HLOUŠEK Ví t. *Central and Eastern Europe in the Process of Globalization and Europeanization: Comparing the Czech Republic and Poland*. In: Globalization: Perspectives from Central and Eastern Europe. Emerald Group Publishing Limited 2007;

ღებისა და კოპენჰაგენის კრიტერიუმების შემუშავების პროცესი დააჩქარა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე წარმოებულმა სისხლისმღვრელმა სამოქალაქო ომმა.[188] ამ გადაწყვეტილებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და, პირველ რიგში, გერმანიას, სურდათ თავიდან აეცილებინათ შესაძლო პოლიტიკური არეულობა და სამოქალაქო დაპირისპირება საკუთარი საზღვრების უშუალო სიახლოვეს, ცენტრალურ ევროპაში.

კოპენჰაგენის სამიტის შემდეგ ევროკავშირსა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობების ახალი, ინტენსიური ეტაპი დაიწყო. 1994 წლის 5 აპრილს პოლონეთმა ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ევროკომისიაში ევროკავშირის წევრობის შესახებ. ოდნავ მოგვიანებით, 1995 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ე. წ. „თეთრი ფურცელი“ (White Paper), სადაც ჩამოთვლილი იყო კონკრეტული ღონისძიებები ევროკავშირის შიდა ბაზართან მისაერთებლად. ასევე, შეიქმნა ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ოფისი (Technical Assistance and Information Exchange Office - TAIEX),[189] რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ევროკავშირში გასაწევრიანებლად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის ტექნიკური და იურიდიული დახმარების გაწევა.

გაწევრიანების გზაზე მორიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1997 წელს გადაიდგა, როდესაც ევროკავშირმა პოლონეთთან (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხუთ სხვა სახელმწიფოსთან ერთად) გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო. ერთი წლის შემდეგ, 1998 წელს, პოლონეთმა ევროკავშირში გაწევრიანებისათვის შექმნა წამყვანი ექსპერტებისაგან შემდგარი 18-კაციანი ჯგუფი, რომელსაც დაეკისრა გაწევრიანების პროცესის კოორდინაცია და ზედამხედველობა. მთავარ მომლაპარაკებლად კი ევროკავშირში პოლონეთის ყოფილი ელჩი (1990-1996) **იან კულაკოვსკი (Jan Kułakowski)** დაინიშნა, რომელიც კარგი დასავლური განათლებით (კულაკოვსკის ოჯახი 1944 წელს გადავიდა საცხოვრებლად ბელგიაში და იან კულაკოვსკიმ განათლება ლუვენის უნივერსიტეტში მიიღო) და ევროკავშირის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში კარგი კავშირებით გამოირჩეოდა[190].

მოლაპარაკებების პროცესი დააჩქარა ევროკავშირის ნიცის სამიტმა (2000 წ.), რომელზეც მიაღწიეს შეთანხმებას ახალ სამოკავშირეო

[188] NOVOTNÁ, Tereza. How Germany unified and the EU enlarged: Negotiating the accession *through transplantation and adaptation*. Palgrave Macmillan UK 2015. გვ. 108;
[189] What is TAIEX? - https://tinyurl.com/2p8c4h5u (ბოლო ნახვა 17.01.2021);
[190] Interview of Jan Kulakowski. Polish Ambassador to the EU- https://tinyurl.com/4juh8t7r (ბოლო ნახვა 17.01.2021);

ხელშეკრულებასთან დაკავშირდებით ევროკავშირის გაფართოების შემდეგ. ის ითვალისწინებდა ცვლილებებს ევროკომისიის დაკომპლექტების წესსა და ევროკავშირის საბჭოში გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმში. კერძოდ, განისაზღვრა თითოეული წევრი ქვეყნის ხმების რაოდენობა ევროკავშირის საბჭოში გადაწყვეტილების მიღების დროს. ახალი სისტემით პოლონეთს გაფართოებულ ევროკავშირის საბჭოში 27 ხმა მიეცა. შედარებისთვის, გერმანიას სულ ორი ხმით მეტი აქვს - 29. გადაწყვეტილების ასეთი სისტემა უზრუნველყოფდა საშუალო და პატარა ქვეყნების მეტ-ნაკლებად თანაბარ გავლენას ევროკავშირის შიგნით გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, რაც პოლონეთისთვის უაღრესად მნიშვნელოვან და მგრძნობიარე თემას წარმოადგენდა.[191] ამასთან, გადაწყდა რომ დაიწყებოდა კონსულტაციები ე. წ. კვალიფიციური უმრავლესობის სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა გადაწყვეტილების მიღებისას ორმაგი უმრავლესობის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხდებოდა ერთი მხრივ, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობის თანხმობა, მეორე მხრივ კი, მომხრე ქვეყნებში მცხოვრები მოსახლეობა უნდა ყოფილიყო ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

თუკი მოვლენებს წინ გავუსწრებთ, უნდა ითქვას, რომ პოლონეთმა და ესპანეთმა კვალიფიციური უმრავლესობის საკითხზე შეთავაზებულ ფრანგულ-გერმანულ ვარიანტს 2004 წელს ვეტო დაადეს. საბოლოოდ, კომპრომისული შეთანხმება ევროკავშირის გაფართოებამდე ცოტა ხნით ადრე იქნა მიღწეული, და გულისხმობს გადაწყვეტილების მისაღებად წევრი ქვეყნების 55 პროცენტის თანხმობას, რომელთა მოსახლეობაც, სულ მცირე ევროკავშირის მოსახლეობის 65 პროცენტს უნდა შეადგენდეს.[192]

ხუთწლიანი ინტენსიური და მძიმე მოლაპარაკებების შემდეგ, 2002 წლის დეკემბერში, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართულ ევროკავშირის სამიტზე საბოლოოდ შეთანხმდა ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებული დეტალები. შეთანხმება მოიცავდა არაერთ კომპრომისულ ფინანსურ გადაწყვეტილებას და ცვლიდა ევროკავშირის შიგნით საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების პრინციპს. ეს კი, თავის მხრივ, ახალ წევრ ქვეყნებს მეტი ფინანსური დახმარების მიღების საშუალებას აძლევდა. ამასთან, ევროკავშირის მკაცრი საბიუჯეტო და

[191] The Treaty of Nice and the Convention on the Future of Europe - https://tinyurl.com/4mbbpaxd (ბოლო ნახვა 17.01.2021);
[192] Qualified majority - https://tinyurl.com/bdfe9z4z (ბოლო ნახვა 17.01.2021);

ფისკალური პარამეტრების დასაკმაყოფილებლად ახალი წევრი ქვეყნებისთვის წესდებოდა გარდამავალი პერიოდი[193].

2003 წლის 7-8 ივნისს პოლონეთში ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჩატარდა რეფერენდუმი. აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში პოლონეთის მოსახლეობაში ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი ძალიან მაღალი იყო. სხვადასხვა გამოკითხვით, ქვეყნის მოსახლეობის 75 პროცენტზე მეტი ემხრობოდა პოლონეთის ევროკავშირში შესვლას. თუმცა, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად, 1998 წლიდან პოლონეთის მოსახლეობაში თანდათან იჩინა თავი ევრო-სკეპტიკურმა განწყობამ და 2002 წლისთვის ევროკავშირში გაწევრიანებას პოლონეთის მოსახლეობის მხოლოდ 55 პროცენტიღა უჭერდა მხარს[194].

მხარდაჭერის ასეთი ვარდნა რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული, კერძოდ, პოლონეთის საზოგადოებაში დაიწყო აქტიური დებატები პოლონეთისთვის ევროკავშირში გაწევრიანებიდან მიღებული სარგებლისა და საფასურის შესახებ. პოლონეთის საზოგადოების კონსერვატიული ნაწილი მიიჩნევდა, რომ ევროკავშირში გაწევრიანება გარკვეულ შეზღუდვებს უწესებდა ქვეყნის სუვერენიტეტს. ამას დაემატა ისიც, რომ 2001 წელს პოლონეთის საპარლამენტო არჩევნებში მძიმე მარცხი განიცადა მმართველმა მემარჯვენე-ცენტრისტულმა კოალიციამ, რომელიც წლების განმავლობაში ახდენდა ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის ფორსირებას და პოლონეთის ხელისუფლებაში *„დემოკრატიულ მემარცხენეთა ალიანსი“* (Sojusz Lewicy Demokratycznej-Unia Pracy - SLD-UP) მოვიდა, რომელიც მემარცხენე ტიპის ოთხ პარტიას აერთიანებდა. SLD-UP, მართალია, მხარს უჭერდა პოლონეთის ევროკავშირში გაწევრიანებას, მაგრამ წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საგარეო პოლიტიკის ნაცვლად მეტ ყურადღებას პოლონეთის შიდა სოციალურ პრობლემებს უთმობდა. ზოგადად, 2003 წლისათვის პოლონეთში არსებული მეტ-ნაკლებად გავლენიანი შვიდი პარტიიდან, ხუთი ემხრობოდა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას, წინააღმდეგ კი მხოლოდ ორი პარტია - *„პოლონეთის რესპუბლიკის თავდაცვა“* (Samoobrona Rzeczpospolitej Polskiej) და *„პოლონურ ოჯახთა ლიგა“* (Liga Polskich Rodzin) - გამოდიოდა.

[193] Conclusions of the Copenhagen European Council: extract concerning enlargement (12–13 December 2002). https://tinyurl.com/56ttnemc (ბოლო ნახვა 17.01.2021);
[194] CLEM Ralph and CHODAKIEWICZ Marek Jan. *Poland Divided: Spatial Differences in the June 2003 EU Accession Referendum*. In: Jean Monnet/Robert Schuman Paper Series.Vol.4. N1. 2004. გვ. 7;

მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ პოლონეთის მოსახლეობას შეეძლო ჩაეგდო ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული რეფერენდუმი, 2002 წლიდან, პოლონეთის პროევროპული პარტიების, არასამთავრობო სექტორისა და თავად ევროკავშირის მხრიდან დაიწყო საკმაოდ აქტიური ერთწლიანი საინფორმაციო კამპანია. ამის შედეგად, 2003 წლის 7-8 ივნისს გამართულ რეფერენდუმში მონაწილეთა 77,6 პროცენტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას.[195] სულ რეფერენდუმში პოლონეთის მოსახლეობის 58,9 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა.

2004 წლის 1 მაისს, კომუნისტური რეჟიმის დამხობიდან თითქმის 15 წლის თავზე, პოლონეთი ევროკავშირის წევრი გახდა.

პოლიტიკური პროცესები უნგრეთში სოციალისტური სისტემის დანგრევის შემდეგ და მისი ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში

ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის უნგრეთი ყოველთვის გამოირჩეოდა საკუთარი პროდასავლური და პრო-ევროპული მისწრაფებებით. უკვე 1988 წლის ივლისში, „ევროპული კავშირის“ წინამორბედ „ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასა“ და საბჭოთა კავშირის მიერ 1946 წელს დაარსებულ „ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს“ (Совет Экономической Взаимопомощи, СЭВ) შორის პირველი სავაჭრო ხელშეკრულების[196] ხელმოწერის შემდეგ, სულ რამდენიმე კვირაში, უნგრეთმა, ვიშეგრადის ქვეყნებიდან პირველმა, გააფორმა ცალკე ხელშეკრულება „ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასთან“ ვაჭრობისა და თანამშრომლობის შესახებ.[197]

უნგრეთისთვის ეს ხელშეკრულება წარმოადგენდა დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ მიმართული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. იმავე პერიოდში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **მიკლოშ ნემეტმა** აქტიურად დაიწყო ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმირება და მეგობრული ურთიერთობების დამყარება როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების ცალკეულ ლიდერებთან, ისე ევროპული და

[195]CLEM Ralph S. & CHODAKIEWICZ Marek Jan.op.cit. გვ. 6;
[196] GRZYBOWSKI Kazimierz. *The Council for Mutual Economic Assistance and the European Community.* In: The American Journal of International Law Vol. 84, No. 1, pp. 284-292. 1990;
[197] BATORY Agnes. *The political context of EU accession in Hungary*. In: Briefing Paper of the Royal Institute of international Affairs. November 2002;

ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.[198]

„ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის“ გაუქმების შემდეგ, 1991 წლიდან, უნგრეთი კიდევ უფრო გააქტიურდა ნატოსა და ევროკავშირთან დაახლოების კუთხით. პოსტკომუნისტური უნგრეთის პირველმა პრემიერ-მინისტრმა (1990-1993) **იოჟეფ ანტალმა (József Antall)**[199] საკუთარ სამთავრობო პროგრამაში, რომელსაც „ეროვნული განახლების პროგრამა“ ეწოდებოდა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად უნგრეთის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან მაქსიმალურად ფართო ინტეგრაცია დაასახელა,[200] რაც ნაკარნახები იყო, უნგრეთის წინაშე მდგარი მოდერნიზაციის რთული და მტკივნეული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფით.

1991 წელს უნგრეთმა, პოლონეთთან ერთად, გააფორმა შეთანხმება ევროკავშირთან ასოცირების შესახებ (ე. წ. „Europe Agreement“), რომელიც მოიცავდა ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მხარეებს შორის პოლიტიკურ დიალოგს, სამართლებრივ დაახლოებას და თანამშრომლობის ბევრ სხვა სფეროს, მათ შორის მრეწველობის, გარემოს დაცვის, ტრანსპორტის და საბაჟო კუთხით.[201] უნგრეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ 1995 წელს ის შეძლებდა ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებას, თუმცა ინტეგრაციის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება ძალაში მხოლოდ 3 წლის შემდეგ, 1994 წელს შევიდა, რასაც უნგრეთის მოსახლეობასა და პოლიტიკურ ელიტაში გარკვეული იმედგაცრუება მოჰყვა. როგორც წინა თავში უკვე აღვნიშნეთ, 1990-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპის ქვეყნები არ იყვნენ მზად გაეფართოებინათ ევროპული ინსტიტუტები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართულებით. მათ უმთავრეს საზრუნავს შიდა სტრუქტურული რეფორმების განხორციელება წარმოადგენდა. სწორედ ამ რეფორმების დასრულების შემდეგ, რამაც საფუძველი ჩაუყარა „ევროპული კავშირის“ შექმნას, შესაძლებელი გახდა უფრო აქტიური მუშაობის დაწყება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით გაფართოების მიზნით.

---

[198] ENTZ Géza. *Miklós Németh, The premier of peaceful transition 1988–1990*. In: Hungarian Review Volume VI, N 4. July 6, 2015;

[199] იოჟეფ ანტალი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Jozsef-Antall (ბოლო ნახვა 07.02.2021);

[200] VARGA Imre. *Development of the Hungarian Foreign Policy in the Last Ten Years*. In: National Security and the Future. გვ. 117-131. 2000;

[201] Europe Agreement with Poland and Hungary (MEMO/94/7) - https://tinyurl.com/2kxj69s3 (ბოლო ნახვა 07.02.2021);

1994 წლის 31 მარტს, უნგრეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ევროკავშირის საბჭოში ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების თხოვნით.[202] 1996 წელს კი უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სპეციალური სააგენტო ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ამოცანების უკეთ კოორდინირების მიზნით. ევროკომისიის მიერ მოწოდებული კითხვარის საფუძველზე, სწორედ ამ სააგენტოს მიერ მომზადდა უნგრეთში არსებული სოციო-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ამსახველი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც, 1997 წლის ბოლოს ევროპის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უნგრეთთან ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. ევროკავშირის მსგავსად, 1997 წელს ნატოს წევრმა სახელმწიფოებმაც მიიღეს გადაწყვეტილება დაეწყოთ მოლაპარაკებები უნგრეთთან, ამ უკანასკნელის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მიზნით. იმავე წელს უნგრეთის ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობის 49,25 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა და მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 87,33 პროცენტმა, მხარი დაუჭირა ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას.[203] 1999 წლის 12 მარტს, უნგრეთი „ვიშეგრადის ოთხეულის“ კიდევ ორ წევრ ქვეყანასთან, პოლონეთსა და ჩეხეთთან ერთად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყანა გახდა.[204]

ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი უნგრეთისთვისაც, პოლონეთის მსგავსად, მოსალოდნელზე უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ ევროკავშირში გაწევრიანება, პოლიტიკური მდგენელის გარდა, მოიცავს საკანონმდებლო, ეკონომიკურ და უამრავ სხვა ასპექტს.

როგორც ამ წიგნის პირველ თავში აღვნიშნეთ, 1956 წლის აჯანყების შემდეგ, განმეორებითი აჯანყების თავიდან აცილების მიზნით, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა თვალს ხუჭავდა უნგრეთის კომუნისტური პარტიის ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. შესაბამისად, 1990-იანი წლების დასაწყისში უნგრეთი, სხვა პოსტ-სოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ყველაზე უფრო მომზადებული აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად. 1989 წელს ევროკავშირმა უნგრეთს მიანიჭა

[202] Commission Opinion on Hungary's Application for Membership of the European Union (DOC/97/13). https://tinyurl.com/2p9bpjzj (ბოლო ნახვა 08.02.2021);
[203] WEYDENTHAL Jan de. Hungary: Referendum Supports NATO Enlargement. Radio Free Europe. November 09, 1997. https://www.rferl.org/a/1087223.html (ბოლო ნახვა 08.02.2021);
[204] ნატოს გაფართოება. ნატოს ოფიციალური ვებ-გვერდი. https://www.nato.int/cps/en/natolive-/topics_49212.htm (ბოლო ნახვა 08.02.2021);

ე. წ. GSP (General System of Preferences - პრეფერენციათა გენერალური სისტემა) რეჟიმი ვაჭრობის კუთხით, რაც უნგრელ მეწარმეებს, ათასობით დასახელების პროდუქციის ევროპულ ბაზარზე საბაჟო გადასახადის გარეშე ექსპორტირების საშუალებას აძლევდა. მომდევნო წლებში უნგრეთმა კიდევ რამდენიმე სავაჭრო ხელშეკრულება გააფორმა. კერძოდ, 1992 წელს „თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციასთან“ (EFTA - European Free Trade Association)[205]. იმავე წელს „ვიშეგრადის ქვეყნებმა“ დადეს „EFTA“-ს ანალოგიური „CEFTA“ (Central European Free Trade Agreement - „თავისუფალი ვაჭრობის ცენტრალური ევროპის შეთანხმება“)[206], რომელსაც მოგვიანებით შეუერთდნენ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი იუგოსლავიის პოსტ-სოციალისტური ქვეყნები. ამ ხელშეკრულებებმა საგრძნობლად შეუწყო ხელი უნგრეთის საგარეო ვაჭრობის განვითარებას. უკვე 1998 წლისათვის უნგრეთში წარმოებული მთელი საექსპორტო პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე შედიოდა ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე.[207]

პოლონეთისაგან განსხვავებით, სადაც ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაციისათვის ე. წ. *„შოკური თერაპიის“* მეთოდს მიმართა, უნგრეთში ეკონომიკის დეცენტრალიზაციისა და სახელმწიფო საკუთრებში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ და სწრაფად წარიმართა. უნგრეთის ეკონომიკის საერთაშორისო ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში გადამწყვეტი როლი ითამაშა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა (FDI), რომელთა უდიდესი ნაწილი მსხვილ მულტინაციონალურ კორპორაციებზე მოდიოდა, კარგად განვითარებული მარკეტინგისა და გასაღების გლობალური ქსელებით. 1998 წლისათვის უნგრეთის მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფო საწარმოებში შექმნილი წილი შემცირდა 30 პროცენტამდე 1989 წლის 80 პროცენტთთან შედარებით.[208] უნგრეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 1991-2004 წლებში 3,35 ათასი აშშ დოლარიდან 10,28 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა. უნგრეთის ეკონომიკამ ზრდა ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგაც განაგრძო და 2019 წლის მონაცემებით ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 16,73 ათას აშშ დოლარს შეადგენდა (იხ. ცხრილი 3).

[205] EFTA - https://www.efta.int/ (ბოლო ნახვა 12.02.2021);
[206] CEFTA - https://cefta.int/ (ბოლო ნახვა 12.02.2021);
[207] KAMINSKI Bartlomiej. Hungary's integration into European Union markets - production and trade restructuring. University of Maryland, Washington DC. 1999. გვ.6;
[208] UNGVÁRY Krisztián. *Hungary and the European Union 1989-2014 – a Success Story?* Europe for Citizens. Heinrich Boll Schtiftung. 2014. გვ. 2;

ცხრილი 3[209]



უნგრეთისთვის ევროპული ინტეგრაციის გზაზე შემდგომ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 1998 წლის 31 მარტს ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკურად შედარებით წარმატებულ ექვს ქვეყანასთან (ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია და კვიპროსი) გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო.[210]

პროცესი ხანგრძლივი და შრომატევადი იყო, რაც გულისხმობდა ევროკავშირის კანონმდებლობის, ე. წ. „Acquis communautaire“-ის სრულ ადაპტირებას ეროვნულ კანონმდებლობაში. ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების პარალელურად, პოლონეთის მსგავსად, უნგრეთშიც თანდათან გაძლიერდა დისკუსია ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. 1998 წელს უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მემარჯვენე ტიპის კონსერვატიულმა პარტია *„ფიდესმა“* (Fidesz)[211], ხოლო ქვეყნის პრემიერ-მინისტრად არჩეული იქნა **ვიქტორ ორბანი (Viktor Orbán),** რომელიც უნგრეთს 2002

[209]Hungary GDP Per Capita 1991-2022 - https://tinyurl.com/54wk3dhs (ბოლო ნახვა 12.02.2021);
[210] European Commission. Enlargement of the European Union an historic opportunity. Published by the Enlargement Information Unit. Edition 2001. გვ. 24;
[211]1998 Hungarian parliamentary election - https://tinyurl.com/d7cefdbz (ბოლო ნახვა 17.03.2021);

წლამდე მართავდა (მოგვიანებით, 2010 წელს მან კვლავ გაიმარჯვა უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში და დღემდე ინარჩუნებს პრემიერ-მინისტრის პოსტს[212]). ვიქტორ ორბანი საკმაოდ არაორდინარული ფიგურაა ევროპულ პოლიტიკურ სივრცეში, რომელიც ბევრ თავსატეხს უჩენს ევროკავშირის ლიდერებს საკუთარი ნაციონალისტური და ევრო-სკეპტიკური მიდგომებით. თუმცა, 1990-იანი წლების ბოლოს ვიქტორ ორბანი და მისი პარტია *„ფიდესი“*, რომელიც *ევროპის სახალხო პარტიის* წევრი იყო, აქტიურად უჭერდნენ მხარს უნგრეთის ინტეგრაციას ევროკავ-შირში.

პოლონეთის მსგავსად, უნგრეთის ძირითადი პოლიტიკური პარტიები ზოგადად მხარს უჭერდნენ ქვეყნის გაწევრიანებას ევროკავშირში. პარტიებს შორის ძირითად სხვაობას გაწევრიანების პროცესის ტემპი და მეთოდები წარმოადგენდა. ერთადერთი პარტია, რომელიც თავიდანვე ანტიევროპული განწყობებით გამოირჩეოდა, იყო *„უნგრეთის სამართლი-ანობისა და სიცოცხლის პარტია“* (Magyar Igazság és Élet Pártja – MIÉP)[213], თუმცა 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამ პარტიამ ვერ მოახერხა პარლამენტში შესასვლელად საჭირო მინიმალური ბარიერის გადალახვა, რითაც ფაქტობრივად დაკარგა უნგრეთის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა.[214]

რაც შეეხება უნგრეთის მოსახლეობას, პოლონეთის მოსახლეობისგან განსხვავებით, სადაც 1990-იანი წლების დასაწყისის ევროენთუზიაზმმა ადგილი დაუთმო მზარდ ევროსკეპტიციზმს, უნგრეთის მოქალაქეთა უმე-ტესობა თანმიმდევრულად უჭერდა მხარს ქვეყნის პოლიტიკური ელიტის მისწრაფებას უნგრეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

2002 წელს უნგრეთმა წარმატებით დაასრულა ევროკავშირთან თითქმის ოთხწლიანი მოლაპარაკებები და იმავე წლის დეკემბერში მიიღო მოწვევა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა 10 სახელმწიფოს-თან ერთად გამხდარიყო ევროკავშირის წევრი. ევროკავშირში გაწევრი-ანების შესახებ უნგრეთში საერთო-სახალხო რეფერენდუმი ჩატარდა 2003 წლის 12 აპრილს, სადაც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის მოსახლეობის 45,6 პროცენტმა და მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 83,8 პროცენტმა, მხარი დაუჭირა უნგრეთის ევროკავშირში ინტეგრაციას.[215]

---

[212] ვიქტორ ორბანი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Viktor-Orban (ბოლო ნახვა 17.03.2021);
[213] პარტია MIÉP. ოფიციალური გვერდი. http://www.eredetimiep.hu/ (ბოლო ნახვა 17.03.2021);
[214] BATORY Agnes. *op. cit.* გვ. 3;
[215] 2003 Hungarian EU membership referendum. https://www.electionguide.org/elections/id/40/ (ბოლო ნახვა 17.03.2021);

უნდა აღინიშნოს, რომ უნგრეთის ხელისუფლებამ 1997 წელს ცვლილებები შეიტანა ქვეყნის კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგი კანონიერად ჩაითვლებოდა, თუკი მასში მონაწილეობას მიიღებდა ქვეყნის მოსახლეობის 25 პროცენტზე მეტი. კონსტიტუციის წინა ვერსიით აღნიშნული მაჩვენებელი 50 პროცენტს წარმოადგენდა.

2004 წლის 1 მაისს, კომუნისტური რეჟიმის დამხობიდან თითქმის 15 წლის თავზე, ვიშეგრადის სხვა ქვეყნების მსგავსად, უნგრეთიც გახდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

ჩეხეთის პოლიტიკური განვითარება ცივი ომის დასრულების შემდეგ - ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკური კურსი, სხვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ იყო მიმართული. 1990-იანი წლების დასაწყისში, დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში მიაჩნდათ, რომ ჩეხოსლოვაკიის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, მისი ეკონომიკის ზომისა და ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით, შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლიდა და ის ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კანდიდატი იქნებოდა[216]. 1989 წელს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ გააფორმა ოთხწლიანი შეთანხმება ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასთან სამრეწველო პროდუქციით ვაჭრობის შესახებ[217]. ერთი წლის შემდეგ, 1990 წელს, აღნიშნული შეთანხმება შეიცვალა უფრო ფართო, ათწლიანი შეთანხმებით, ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასა და იმ დროისათვის უკვე ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის სავაჭრო, კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ[218]. კიდევ ერთი წლით გვიან კი, 1991 წელს, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად ევროპულ თანამეგობრობასთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას ე. წ. ევროპულ შეთანხმებას მოაწერა ხელი.[219] ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, რომელსაც ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან ჩეხოსლოვაკიამ ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი,

[216] NOVOTNA Tereza. The Eastern Enlargement of the European Union: Public Discourses in the Czech and Slovak Republics. JCER Vol. 3 ISSUE 1.2007. გვ. 53;
[217] Council Regulation (EEC) No 4061/89. https://tinyurl.com/2mjachur (ბოლო ნახვა 02.04.2021);
[218] EEC Document 21990A1023(04). https://tinyurl.com/y46ademd (ბოლო ნახვა 02.04.2021);
[219] EEC Document 21994A1231(34). https://tinyurl.com/5bs8akf5 (ბოლო ნახვა 02.04.2021);

ქვეყნის ხელისუფლების მიერ აღქმული იყო როგორც მათი ქვეყნის აშკარა უპირატესობის მტკიცებულება ევროპული ინტეგრაციის გზაზე. ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრი (მოგვიანებით კი ფედერაციის ბოლო პრემიერ-მინისტრი და ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი) **ვაცლავ კლაუსი** (Václav Klaus)[220] ჩეხოსლოვაკიას „ცენტრალური ევროპის ვეფხვსაც“ უწოდებდა და მიიჩნევდა, რომ ჩეხოსლოვაკიის ევროპულ ინსტიტუტებში სწრაფი გაწევრიანება გარდაუვალი იყო.[221]

თუმცა ამ ოპტიმიზმს, რომელიც უმეტესწილად ჩეხოსლოვაკიის ჩეხურ ნაწილში სუფევდა, ცივი წყალი გადაასხა ჩეხოსლოვაკიის გაყოფის პროცესმა რომელიც 1993 წლის 1 იანვარს დასრულდა. ამ პროცესზე უკვე ვისაუბრეთ წინა თავში, შესაბამისად ამჯერად მასზე აღარ შევჩერდებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე როგორც ჩეხეთის, ისე სლოვაკეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩეხოსლოვაკიის გაყოფა შეცდომა იყო და ის უფრო ორი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური ელიტების ინტერესებს ემსახურებოდა, ვიდრე რიგითი მოქალაქეებისას. ასეა თუ ისე, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაცია 1993 წელს დაიშალა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ - ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებად. ამ პროცესმა შეაფერხა ევროპულ თანამეგობრობასთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესი. ამასთან, დღის წესრიგში დადგა ამ ხელშეკრულების ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებთან ცალ-ცალკე გაფორმების აუცილებლობაც.

1993 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა და 1994 წლის 31 დეკემბრიდან ძალაში შევიდა ასოცირების ხელშეკრულება[222] ახლად დაარსებულ ევროპულ კავშირსა და ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებს შორის. ორივე რესპუბლიკასთან გაფორმდა იდენტური ხელშეკრულება, რომელიც უფრო ყოვლისმომცველი იყო, ვიდრე რამდენიმე წლით ადრე ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციასთან გაფორმებული შეთანხმება.

ამრიგად, 1993 წლიდან ჩეხეთმა და სლოვაკეთმა ცალ-ცალკე, და განსხვავებული მეთოდებით, დაიწყეს სვლა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით. სლოვაკეთში ეს პროცესი საკმაო დაბრკოლებებს გადააწყდა, რაზეც მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ.

---

[220] ვაცლავ კლაუსი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Vaclav-Klaus (ბოლო ნახვა 02.04.2021);
[221] NOVOTNA Tereza. *op. cit.* გვ. 54;
[222] EEC Document 21996A0509(01) https://tinyurl.com/mr2ss8a7 (ბოლო ნახვა 02.04.2021);

ჩეხოსლოვაკიის უმტკივნეულო ე. წ. „ხავერდოვანი“ გაყოფის შემდეგ, ჩეხეთის რესპუბლიკაში ფართომასშტაბიანი პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნის პროცესი დაიწყო, რომელიც მოკლედ სამი ძირითადი პარამეტრით შეიძლება დავახასიათოთ: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სწრაფი გასხვისება, რომლის დიდი ნაწილი დაუბრუნდა 1948 წლამდე მათ მფლობელებს, უმუშევრობის დაბალი მაჩვენებელი და ფასების ლიბერალიზაცია. ამ უკანასკნელმა პარამეტრმა 1997-1999 წლებში ჰიპერინფლაცია და საგადასახადო ბალანსის დეფიციტი გამოიწვია, რამაც რამდენიმე წლით შეაფერხა ჩეხეთის ეკონომიკური განვითარება.[223]

ჩეხეთის ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა შედეგი მალევე გამოიღო და უკვე 1994 წლისათვის ჩეხეთის რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის 64 პროცენტი კერძო სექტორზე მოდიოდა. ამ მაჩვენებლით ჩეხეთი იმ დროისათვის ევროპული კავშირის წევრობის ყველა სხვა პოსტსოციალისტურ კანდიდატ სახელმწიფოს უსწრებდა.[224]

1990-1996 წლებში ჩეხეთის ეკონომიკა წელიწადში საშუალოდ 20 პროცენტით იზრდებოდა. თუკი 1993 წელს ჩეხეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 3 932 აშშ დოლარს შეადგენდა, ევროპულ კავშირში გაწევრიანების წინ, 2004 წელს, ეს მაჩვენებელი უკვე 11 686 აშშ დოლარი იყო. 2019 წლის მონაცემებით ჩეხეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 23 102 დოლარს შეადგენდა (იხ. ცხრილი 4).

ამ მაჩვენებლით ჩეხეთი მსოფლიოში 56-ე ადგილზეა. შედარებისთვის: საქართველო იმავე რეიტინგში 130-ე ადგილს იკავებს.[225] ეკონომიკური რეფორმების პარალელურად, ჩეხეთის ხელისუფლების მხრიდან თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რასაც ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა მოჰყვა. ჩეხეთში გაიხსნა მსხვილი ევროპული და იაპონური საავტომობილო კომპანიების ქარხნები. უდიდესი ჩეხური საავტომობილო კონცერნი *„შკოდა“* კი გერმანულმა საავტომობილო გიგანტმა *„ფოლკსვაგენმა“* შეიძინა და დღეისათვის *„შკოდას“* მარკით წარმოებული ავტომობილები ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებენ მსოფლიო საავტომობილო ბაზარზე.

---

[223] PHILLIP John, STARK Emil, WHEAT Jerry. *The Hidden Business Costs Of European Union Enlargement: The Case Of The Czech Republic.* International Business & Economics Research Journal. Volume 3, Number 3; 2004. გვ. 29;

[224] იქვე;

[225] მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის ბაზიდან - https://tinyurl.com/496cjwnz (ბოლო ნახვა 02.04.2021);

ცხრილი 4[226]



ეკონომიკურმა წარმატებამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩეხეთის ხელისუფლების მისწრაფება ევროპულ კავშირში გაწევრიანების მიმართულებით. 1996 წელს, ჩეხეთის რესპუბლიკამ ოფიციალურად მიმართა ევროპულ კავშირს გაწევრიანების თხოვნით. ორი წლით გვიან კი, 1998 წლის 31 მარტს, ევროპულმა კავშირმა ჩეხეთთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო.

ევროპულ კავშირში გაწევრიანების პროცესის პარალელურად, პოლონეთისა და უნგრეთის მსგავსად, ჩეხეთიც აქტიურად მუშაობდა ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მიმართულებით. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, 1997 წელს ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო „ვიშეგრადის ოთხეულის“ სამ ქვეყანასთან: პოლონეთთან, უნგრეთთან და ჩეხეთთან, რაც 1999 წლის 12 აპრილს ჩეხეთის ნატოში გაწევრიანებით დასრულდა.

ევროპულ კავშირთან მოლაპარაკებების პროცესი, სხვა ცენტრალური ევროპის ქვეყნების მსგავსად, ჩეხეთისთვისაც უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა ვიდრე ნატო-ში გაწევრიანების საკითხზე მოლაპარაკება. ჩეხეთის მხრიდან მოლაპარაკებებს უძღვებოდა ევროპულ კავშირში ჩეხეთის მუდმივი წარმომადგენელი, გამოცდილი დიპლომატი, ელჩი **პაველ ტელიჩკა** (Pavel Telička)[227]. მძიმე და შრომატევადმა მოლაპარაკებებმა

[226] Czech Republic GDP Per Capita 1993-2022. https://tinyurl.com/2p8aj4pn (ბოლო ნახვა 02.04.2021);
[227] პაველ ტელიჩკა - ბიოგრაფია. https://www.telicka.eu/en/about-me/ (ბოლო ნახვა 11.04.2021);

თითქმის ხუთ წელს გასტანა და საბოლოოდ 2002 წლის დეკემბერში დასრულდა.[228] დღის წესრიგში დადგა ჩეხეთში ევროპულ კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საერთო სახალხო რეფერენდუმის ჩატარება, რომელიც 2003 წლის 13-14 ივნისს დაინიშნა.[229]

ჩეხეთის მოქალაქეებში ყოველთვის დიდი იყო ქვეყნის ევროპულ კავშირში გაწევრიანების სურვილი. ჩეხებისთვის, ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისთვის, დასავლეთ ევროპასთან სიახლოვე ისტორიულ-კულტურულ და ცივილიზაციურ ასპექტს წარმოადგენდა და ის, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ამ ქვეყნების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო.[230] მიუხედავად გაწევრიანების პროცედურისა და ზოგადად, ევროინტეგრაციის შესახებ ჩეხეთის საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონისა და ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, გაწევრიანების შესახებ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ჩეხეთის მოსახლეობის 55,21 პროცენტმა და მათმა 77,3 პროცენტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის ევროპულ კავშირში გაწევრიანებას.[231]

2004 წლის 1 მაისს ჩეხეთი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კიდევ ცხრა ქვეყანასთან ერთად ევროპული კავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

სლოვაკეთის დემოკრატიზაციის პროცესი და ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

სლოვაკეთის რესპუბლიკა, ამჟამინდელი სახით, 1993 წლის 1 იანვარს შეიქმნა ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციის „ხავერდოვანი გაყოფის“ შედეგად. ჩეხი პოლიტიკოსების ერთი ნაწილის მცდელობის მიუხედავად, განემტკიცებინათ ერთიანი „ჩეხოსლოვაკური“ იდენტობა, რაც ხელს შეუწყობდა უნიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სლოვაკურ მოსახლეობაში ამ იდეამ დიდი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა *(ამ თემაზე წინამდებარე წიგნის პირველ თავში უკვე ვისაუბრეთ)*. სლოვაკეთის რესპუბლიკას ერთიან „ჩეხოსლოვაკურ“ სახელმწიფოში, ყოველთვის „უმცროსი ძმის“ როლი ჰქონდა, რაც სლოვაკური პოლიტიკური ელიტის დიდ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევდა.

---

[228] Timetable for accession negotiations (1998-2004) - https://tinyurl.com/4n9tm4nx (ბოლო ნახვა 11.04.2021);
[229] 2003 Czech EU membership referendum https://tinyurl.com/45n4nb3m (ბოლო ნახვა 11.04.2021);
[230] NODIA Ghia. *How Different Are Postcommunist Transitions*. Journal of Democracy. 1996;
[231] HANLEY Sean Leo. A Nation of Sceptics? The Czech EU Accession Referendum of 13–14 June 2003. In: West European Politics. Issue: September 2004;

ჩეხ და სლოვაკ პოლიტიკურ ელიტებს შორის დაპირისპირებამ ახალი ძალით იჩინა თავი კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ.[232] 1991 წელს, სლოვაკეთში იმ დროისათვის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა პოლიტიკოსმა **ვლადიმირ მეჩიარმა** (Vladimir Mečiar)[233], სლოვაკეთის ანტიკომუნისტური მოძრაობის - *„საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“* (*Verejnosť proti násiliu* - **VPN**)[234], ნაციონალისტური ფრთის ბაზაზე, დააარსა მემარცხენე ტიპის პარტია „მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისთვის“ (Hnutie za demokratické Slovensko - HZDS). პარტიის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სლოვაკეთის ავტონომიის გაფართოება, სლოვაკეთისთვის განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების უფლების მოპოვება და საბოლოოდ, სლოვაკეთის სუვერენიტეტის გამოცხადება, რაც ჩეხეთთან კონფედერაციული შეთანხმების საფუძველი უნდა გამხდარიყო[235]. ფედერალურ დონეზე სლოვაკეთის პოლიტიკური ელიტის ეს მისწრაფებები ნაკლებად იქნა გაზიარებული, რასაც საბოლოოდ, 1993 წლის 1 იანვარს, ჩეხოსლოვაკიის დაშლა და ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება მოჰყვა.

სლოვაკეთის რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ, ვლადიმირ მეჩიარმა დაიწყო თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრირების მიზნით.[236] შეიზღუდა პრესის თავისუფლება, მსხვილი ბეჭდვითი და სატელევიზიო მედია საშუალებები კი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ გადავიდა და გამოყენებული იყო პროპაგანდისტული მიზნებისათვის[237]. იმავდროულად შენელდა და ზოგიერთი მიმართულებით საერთოდ გაჩერდა ეკონომიკური რეფორმები, გაუარესდა ურთიერთობები დასავლეთთან.

გარდა ეკონომიკური ჩავარდნისა, ვლადიმირ მეჩიარის მმართველობის პერიოდი უხვად იყო გაჯერებული სხვადასხვა კორუფციული სკანდალებით და დანაშაულებრივი ქმედებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სლოვაკეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის **მიხალ კოვაჩის** (Michal Kováč)[238] ვაჟის

[232] EP Briefing No 13. Slovakia and the enlargement of the EU. https://tinyurl.com/y9eyhek6 (ბოლო ნახვა 27.04.2021);
[233] ვლადიმირ მეჩიარი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Vladimir-Meciar#ref1030583 (ბოლო ნახვა 27.04.2021);
[234] Verejnosť proti násiliu - მოკლე ისტორია. https://1989.sng.sk/verejnost-proti-nasiliu (ბოლო ნახვა 01.05.2021);
[235] EP Briefing No 13. Op.cit;
[236] HAUGHTON Tim. *Vladimír Mečiar and His Role in the 1994-1998 Slovak Coalition Government*. In: Europe-Asia Studies, vol. 54, no. 8, 2002, გვ. 1319–1338;
[237] SKOLKAY Andrej. Slovakia from a Black Hole in the Heart of Europe to a Central/Eastern European Statistical average. https://tinyurl.com/yw8n8ypd (ბოლო ნახვა 01.05.2021);
[238] მიხალ კოვაჩი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Michal-Kovac (ბოლო ნახვა 01.05.2021);

მიხალ კოვაჩ უმცროსის გატაცების ფაქტი, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სლოვაკეთის სპეცსამსახურებმა განახორციელეს უშუალოდ პრემიერ-მინისტრის დავალებით.[239] დღემდე ამ საქმესთან დაკავშირებით არავინ დასჯილა, რადგან ვ. მეჩიარს, როგორც ყოფილ პრემიერ-მინისტრს, იცავს იმუნიტეტი, ხოლო შემსრულებლები, საპრემიერო ვადის ამოწურვამდე ვ. მეჩიარმა სპეციალური ამნისტიით შეიწყალა.

მუხედავად ყველაფრისა, ფორმალურად სლოვაკეთი ინარჩუნებდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კურსს. 1995 წლის 27 ივნისს სლოვაკეთმა ოფიციალურად წარადგინა განაცხადი ევროპულ კავშირში გაწევრიანების მოთხოვნით. ორი წლის შემდეგ, ევროკომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა სლოვაკეთის ევროკავშირში გაწევრიანების მიზანშეწონილობის შესახებ, სადაც კომისია აღნიშნავდა, რომ:

„სლოვაკეთი არადამაკმაყოფილებლად ასრულებდა კოპენჰაგენში ევროპული საბჭოს მიერ დადგენილ პოლიტიკურ კრიტერიუმებს, რაც გამოიხატებოდა სლოვაკეთის ინსტიტუტების არასტაბილურობაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ ნაკლებად ჩართულობასა და ზოგადად დემოკრატიის ფუნქციონირების კუთხით არსებულ ნაკლოვანებებში“.[240]

კომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ევროკაშირში გაწევრიანების მსურველი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათი ქვეყნიდან, სლოვაკეთი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელმაც ვერ შეძლო *„კოპენჰაგენის კრიტერიუმით“* გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ გარემოებამ გამომაფხიზლებელი ეფექტი იქონია სლოვაკეთის საზოგადოებაზე და 1998 წლის შემოდგომაზე გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ვ. მეჩიარის პარტია „*HZDS*“-მ ვეღარ შეძლო მთავრობის დასაკომპლექტებლად საჭირო მანდატების მოპოვება.[241] პრემიერ-მინისტრის პოსტი, ხუთი პარტიისაგან შემდგარი მემარჯვენე-ცენტრისტული გაერთიანების - *„სლოვაკეთის დემოკრატიული კოალიციის“* (Slovenská demokratická koalí cia, SDK)[242] კანდიდატმა **მიკულაშ ძურინდამ** დაიკავა.

---

[239] Who kidnapped the son of Slovakia’s president? Economist. Apr 1st 2017. https://tinyurl.com/2p8ej7yw (ბოლო ნახვა 01.05.2021);

[240] European Commission. DOC 97/20. *Agenda 2000 – Commission Opinion on Slovakia’s Application for Membership of the European Union*. Brussels, 15th July 1997; გვ. 130. https://tinyurl.com/3dnusucy (ბოლო ნახვა 01.05.2021). [The Commission concludes that Slovakia does not fulfil in a satisfying manner the political conditions set out by the European Council in Copenhagen, because of the instability of Slovakia’s institutions, their lack of rootedness in political life and the shortcomings in the functioning of its democracy] არაოფიციალური თარგმანი;

[241] საპარლამენტთაშორისო კავშირის(IPU) არქივი. სლოვაკეთი. http://archive.ipu.org/parline-e/reports/arc/2285_98.htm (ბოლო ნახვა 05.05.2021);

[242] LEWIS Paul. Political Parties in Post-Communist Eastern Europe. London 2000; გვ. 167;

ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა სლოვაკეთის სწრაფი რეფორმირების საკითხი, რათა მაქსიმალურად მოკლე ვადებში შესაძლებელი გამხდარიყო სხვა ცენტრალური ევროპის ქვეყნების დაწევა და მათთან ერთად ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში ჩართვა.

სლოვაკეთსა და ვიშეგრადის ჯგუფის დანარჩენ სამ სახელმწიფოს შორის სხვაობა კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა 1999 წლის შემდეგ, როდესაც პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები გახდნენ. ამასთან, იმავე წელს, ლუქსემბურგში გამართულ ევროკავშირის სამიტზე გადაწყდა, რომ ევროკავშირი გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებს დაიწყებდა პოლონეთთან, უნგრეთთან და ჩეხეთის რესპუბლიკასთან. სამწუხაროდ, ნატოში ინტეგრაციის პროცესის მსგავსად, იმ დროისათვის სლოვაკეთი ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის მიღმაც დარჩა.

მიკულაშ ძურინდას მთავრობისაგან სლოვაკეთის მოსახლეობა მოითხოვდა სწრაფი და ეფექტური რეფორმების გატარებას. უპირველეს ყოვლისა, მთავრობამ დაიწყო რეფორმების პროცესი ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის მიზნით. საპარლამენტო არჩევნებიდან მალევე, 1998 წლის მიწურულს, სლოვაკეთში ჩატარდა რეგიონული არჩევნები, რასაც რამდენიმე თვეში, 1999 წელს, სლოვაკეთში პირველი პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვა. ორივე არჩევნები ევროკავშირის მიერ შეფასდა როგორც გამჭვირვალე და თავისუფალი.[243] ამასთან, სლოვაკეთში მცხოვრებ უნგრულ უმცირესობასთან მიმართებით მ. ძურინდას მთავრობამ რადიკალურად შეცვალა მისი წინამორბედის კურსი და ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე, 1999 წლის ზაფხულში, მიიღო კანონი უმცირესობების ენების გამოყენების შესახებ. აღნიშნული კანონის მიღების ვალდებულება სლოვაკეთს ევროპული კავშირის წინაშე ჯერ კიდევ 1990 წლების დასაწყისში ჰქონდა აღებული.

შიდა პოლიტიკური რეფორმების პარალელურად, სლოვაკეთმა დაიწყო ევროკავშირის ქვეყნებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების რადიკალური გაუმჯობესებაც. ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა, რათა გამოეყენებინა ევროკავშირისა და ნატოს გაფართოების კუთხით იმ დროისათვის არსებული „შესაძლებლობის ფანჯარა“.

[243] FITZMAURICE John. *The Slovak Presidential Election, May 1999*. Electoral Studies - ELECT STUD. 2001;

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კავშირი ცალსახად მიესალმებოდა სლოვაკეთის ახალი ხელისუფლების ქმედებებს და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს, სლოვაკეთის ხელისუფლების მოლოდინი ევროპულ კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებების დაწყების შესახებ არ გამართლდა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლუქსემბურგში გამართულ ევროპული კავშირის სამიტზე სლოვაკეთი გაწევრიანების პროცესის მიღმა დარჩა. თუმცა მ. ძურინდას ხელისუფლების აქტიური ქმედებების შედეგად, 1999 წლის მიწურულს, სლოვაკეთმა შეძლო და მიაღწია ევროკავშირთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას. ამ პროცესს ხელი შეუწყო ბალკანეთში, კერძოდ კი კოსოვოში, განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, რომელმაც ცხადად დაანახა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესის შემდგომი ხელშეწყობის აუცილებლობა.[244]

ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება დიდი სტიმული იყო სლოვაკეთის ხელისუფლებისათვის და საგრძნობლად დააჩქარა რეფორმების პროცესი. მოლაპარაკებების დაწყებიდან სულ რაღაც ერთ წელში, სლოვაკეთმა მოახერხა და ევროპულ კავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო კანონმდებლობის ადაპტაციის კუთხით 31 თავიდან 10 თავი დახურა.[245]

სლოვაკეთის ხელისუფლების მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ევროპულ დონეზე და 1999 წელს, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ე. წ. „კომპოზიტურ დოკუმენტში“ (Composite Paper) სლოვაკეთში მიმდინარე რეფორმებს მაღალი შეფასება მიეცა. აღინიშნა, რომ სლოვაკეთმა გადადგა რადიკალური ნაბიჯები კოპენჰაგენის კრიტერიუმების პოლიტიკური ნაწილის დაკმაყოფილების კუთხით. ასევე, ევროკომისიის აზრით, სლოვაკეთი [და ლიეტუვა] ახლოს იყვნენ მოქმედი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებად ჩამოყალიბებასთან [Slovakia and Lithuania are close to being functioning market economies].[246]

სლოვაკეთის ახალმა ხელისუფლებამ, ქვეყანაში წარმოქმნილი მაკროეკონომიკური დისბალანსის აღმოსაფხვრელად, 1999 წელს, „სლოვაკეთის რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგია“, ხოლო ორი წლით გვიან, 2001 წელს,

[244] BILCIK Vladimir. Can Slovakia catch up? Implication of EU accession talks a year after the Helsinki summit. Slovak Foreign Policy Association research paper 2001. გვ. 4;
[245] იქვე. გვ.10;
[246] European Commission COMPOSITE PAPER. Reports on progress towards accession by each of the candidate countries. 1999. გვ.21

„სლოვაკეთის რესპუბლიკის მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია“ დაამტკიცა.[247] ამ დოკუმენტებში დიდი ყურადღება ეთმობოდა სლოვაკეთის მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესებას, ბიზნეს და საბანკო სექტორის განვითარებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ა.შ.

რეფორმებმა და ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ გადადგმულმა რადიკალურმა ნაბიჯებმა შედეგი გამოიღო და 2001 წლიდან სლოვაკეთის ეკონომიკამ სწრაფი ტემპებით დაიწყო ზრდა. თუკი ვ. მეჩიარის მმართველობის ხუთი წლის განმავლობაში სლოვაკეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 2 436 დოლარით გაიზარდა (*3 103 დოლარიდან 1993 წელს, 5 539 დოლარამდე 1998 წელს*), 1998-2004 წლებში სლოვაკეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე თითქმის გაორმაგდა და 10 672 აშშ დოლარს შეადგენდა. სლოვაკეთის ეკონომიკამ სწრაფი ტემპით ზრდა ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგაც გააგრძელა და 2019 წლის მონაცემებით სლოვაკეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 19 329 დოლარს შეადგენს. (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5[248]



მხოლოდ ამ ციფრებზე თვალის გადავლებაც საკმარისია სლოვაკეთის რესპუბლიკაზე ევროკავშირში გაწევრიანების პოზიტიური როლის დასამტკიცებლად. სწრაფი და წარმატებული რეფორმების წყალობით სლოვაკეთმა შეძლო და 2004 წელს, „ვიშეგრადის ოთხეულის“ სხვა ქვეყნებთან ერთად ევროპული კავშირის წევრი გახდა. გაწევრიანებამდე ერთი წლით

[247]The National Strategy for Sustainable Development of the Slovak Republic 2001 - https://tinyurl.com/4cfymzmt (ბოლო ნახვა 07.05.2021);
[248] Slovak Republic GDP Per Capita 2009-2022. https://tinyurl.com/4ddfp38w (ბოლო ნახვა 07.05.2021);

ადრე, 2003 წელს, სლოვაკეთში, ცენტრალური ევროპის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ქვეყნის ევროპულ კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სლოვაკეთის მოსახლეობის 52,1 პროცენტმა და მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ - 93,7 პროცენტმა, მხარი დაუჭირა სლოვაკეთის წევრობას ევროპულ კავშირში.[249]

რაც შეეხება სლოვაკეთის ინტეგრაციის პროცესს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, ვ. მეჩიარის ხელისუფლების უნიათობის გამო სლოვაკეთი 1999 წელს „ვიშეგრადის ქვეყნებთან“ ერთად ვერ გახდა ნატოს წევრი ქვეყანა. თუმცა, 2002 წლის 21-22 ნოემბრის ნატოს პრაღის სამიტზე, სლოვაკეთმა, ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის კიდევ ექვს სახელმწიფოსთან ერთად ალიანსისაგან მოწვევა მიიღო და 2003 წლის 26 მარტს ხელი მოაწერა გაწევრიანების შესახებ შესაბამის პროტოკოლებს. 2004 წლის 29 მარტს სლოვაკეთი, ბულგარეთთან, ესტონეთთან, ლატვიასთან, ლიეტუვასთან, რუმინეთთან და სლოვენიასთან ერთად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფო გახდა.[250]

სლოვაკეთში ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული რეფერენდუმი ჯერ კიდევ ვ. მეჩიარის მმართველობის პერიოდში, 1997 წელს ჩატარდა. სამწუხაროდ, რეფერენდუმი ჩავარდა, რადგან მასში მონაწილეობა მიიღო ქვეყანაში რეგისტრირებული ამომრჩევლების 50 პროცენტზე ნაკლებმა.[251]

თუკი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის სავალდებულოა კანდიდატმა ქვეყანამ საერთო სახალხო რეფერენდუმი ჩაატაროს, ნატოში გაწევრიანებისთვის ასეთი ტიპის წინაპირობა არ არსებობს. შესაბამისად, 2003 წლის 10 აპრილს, ქვეყნის ნატოში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება რეფერენდუმის ნაცვლად სლოვაკეთის ეროვნულმა საბჭომ (პარლამენტი) მიიღო და 124 ხმით 11-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა სლოვაკეთის ნატოში გაწევრიანებას.[252]

ამრიგად, 2004 წლიდან ვიშეგრადის ჯგუფის წევრი ოთხივე ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდა, რითაც დაიწყო ახალი ერა ამ ქვეყნების ისტორიაში.

---

[249] 2003 Slovak EU membership referendum. https://tinyurl.com/2srfxe28 (ბოლო ნახვა 11.05.2021);
[250] ნატოს გაფართოება. დას. ნაშრ.;
[251] Slovak referendum fails to resolve NATO issue. New York Times, May 26, 1997. https://tinyurl.com/4ybp7xny (ბოლო ნახვა 11.05.2021);
[252] FILA Lukáš. *Slovakia says yes to NATO*. In: Slovak Spectator 27 აპრილი 2003 წ. https://spectator.sme.sk/c/20019080/slovakia-says-yes-to-nato.html (ბოლო ნახვა 11.05.2021);

თავი IV პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება „ვიშეგრადის ოთხეულის" (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციები და შესაძლო განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, საკუთარი არსებობის მანძილზე, არასოდეს ყოფილან ეკონომიკურად და პოლიტიკურად ისეთი წარმატებული, როგორიც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, რაც უპირველეს ყოვლისა, მათი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ამ ქვეყნებში მაინც შეინიშნება ანტიევროპული და ზოგადად ანტი-დასავლური განწყობების მატება. ამასთან, „V4"-ის ქვეყნებში თვალშისაცემი ხდება, როგორც პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების ტენდენცია, ისე ძირითად პარტიებში (mainstream parties) და, მათ შორის, სახელისუფლებო პარტიებშიც, ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობების ზრდა.

„V4"-ის თითქმის ყველა ქვეყანაში ევროსკეპტიკური განწყობები მეტნაკლები სიძლიერით არსებობდა ჯერ კიდევ ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებამდე. თუმცა ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია მოსახლეობის უმრავლესობისა და მოქმედი პოლიტიკური ელიტების გადაწყვეტილებაზე, გამხდარიყვნენ ევროკავშირისა და ნატოს სრულფასოვანი წევრები. ცენტრალური ევროპის მოსახლეობის გარკვეულ ფენებში არსებული ევროკავშირის საწინააღმდეგო დამოკიდებულება აკუმულირდებოდა ამ ქვეყნებში მოქმედ შედარებით მცირე ზომის პარტიებში და, ფაქტობრივად მათ ერთადერთ პოლიტიკურ კაპიტალს წარმოადგენდა.[253] ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ანტიევროპული განწყობები მჭიდროდ უკავშირდება ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი მოქალაქეების ნდობას ხარისხს[254]. ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი ნდობის დაკარგვა, ამ ინსტიტუტების იმიჯის შელახვა, ავტომატურად იწვევს ევროკავშირის მოქალაქეებში ანტიევროპული განწყობების ზრდას.

ევროკავშირის იმიჯზე მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია ე. წ. საიმიგრაციო კრიზისმა, რომელიც 2010-იანი წლებიდან დაიწყო და პიკს 2015 წელს მიაღწია, როდესაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ერთი წლის განმავლობაში თავშესაფარი დაახლოებით 1,3 მილიონმა პირმა

[253] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 182;
[254] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 183;

მოითხოვა, საიდანაც ძირითადი ნაწილი ისლამური ქვეყნებიდან, კერძოდ სირიიდან, ავღანეთიდან და ერაყიდან დევნილები იყვნენ.[255] მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის საერთო ინსტიტუტების გავლენა კავშირის ცალკეული ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საკითხებში ძალიან შეზღუდულია და ეს საკითხები ძირითადად ეროვნული მთავრობების კომპეტენციაში რჩება, ევროკავშირის მოქალაქეების დიდმა ნაწილმა აღნიშნულ კრიზისში სწორედ ევროკავშირის ხელისუფლება დაადანაშაულა. ზოგადად ევროკავშირის მიმართ ნდობა პირდაპირ კორელაციაშია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან - ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის დონის გაუმჯობესების დროს უფრო მეტი ადამიანი ენდობა ევროკავშირს, და პირიქით, კრიზისის დროს ეს ნდობა საგრძნობლად იკლებს.[256]

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ზრდა, ბუნებრივია, აისახა ამ ქვეყნებში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებში. უფრო მეტიც, სწორედ ეს განწყობები გახდა ზოგიერთი ამ პარტიისათვის ხელისუფლებაში მოსვლის ან დაბრუნების საფუძველი. თვალსაჩინოებისთვის შეიძლება პოლონეთისა და უნგრეთის მაგალითების მოყვანაც. 2015 წლის არჩევნებში ძმები **ლეხ და იაროსლავ კაჩინსკების** *„სამართლისა და კანონიერების“* პარტიამ, რომელიც 2007 წლიდან ოპოზიციაში იმყოფებოდა და ლეხ კაჩინსკის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ საკმაოდ იყო დასუსტებული, კვლავ შეძლო არჩევნებში წარმატების მოპოვება და დღემდე რჩება პოლონეთის ხელისუფლებაში. ანალოგიური ვითარება შეიქმნა უნგრეთშიც, სადაც პარტია *„ფიდესმა“*[257] და მისმა ლიდერმა **ვიქტორ ორბანმა** 2010 წელს სწორედ ანტიევროპული განწყობების მატების ფონზე კვლავ შეძლო ხელისუფლებაში დაბრუნება.[258] ამ პარტიების წარმატების ზუსტ მიზეზებსა და გარემოებებზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ, შესაბამის ქვეთავებში ვისაუბრებთ, თუმცა ანტიევროპული რიტორიკა ზემოაღნიშნული პარტიების საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი ნამდვილად იყო.

ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი ნდობის დაკარგვამ ევროკავშირის

[255] CONNOR Phillip. *Number of Refugees to Europe Surges to Record 1.3 Million in 2015.* Pew Research Center 2016 - https://tinyurl.com/yc659pkx (ბოლო ნახვა 03.09.2021);
[256] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 184;
[257] Fidesz - political party, Hungary. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/topic/Fidesz (ბოლო ნახვა 03.09.2021);
[258] KREKÓ Péter, ENYEDI Zsolt. *Explaining Eastern Europe: Orbán's Laboratory of Illiberalism*. In: Journal of democrac. Volume29. Issue 3. July 2018. გვ. 39-51. https://tinyurl.com/yeyneznx (ბოლო ნახვა 03.09.2021);

წევრ თითქმის ყველა სახელმწიფოში გამოიწვია ე. წ. ტრადიციული პარტიების დასუსტება და ბიძგი მისცა პოპულისტური პარტიების გაძლიერების ტენდენციას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროპარლამენტის 2019 წლის არჩევნების შედეგებიც (იხ. ცხრილი 6.).[259]

ცხრილი 6

2014 და 2019 წლებში ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები

პარტია	2014 წელი მანდ. / %.	2019 წელი მანდ. / %.	სხვაობა
EPP - ევროპის სახალხო პარტია	221(29,43%)	182 (24,23%)	-39 (-5,2%)
S&D - სოციალ-დემოკრატების ალიანსი	191 (25.43%)	154 (20,51%)	-37 (-4.92%)
ECR -ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები	70 (9.32 %)	62 (8,26%)	-8 (-1,06%)
ALDE - ლიბერალების და დემოკრატების ალიანსი*	67 (8,82%)	108 (14,38%)	+41 (+5,56%)
GUE/NGL - გაერთიანებული ევროპელი მემარცხენეები	52 (6,92 %)	41 (5,46%)	-11 (-1,46%)
Greens/EFA - მწვანეები/ევროპის თავისუფალი ალიანსი	50 (6,66 %)	74 (9,85%)	+24 (+3,19%)
EFDD - თავისუფლებისა და პირდაპირი დემოკრატიის ევროპის ჯგუფი**	48 (6,39 %)	73 (9,72%)	+25 (+3,33%)
NI - დამოუკიდებელი წევრები	52 (6,92 %)	57 (7,59%)	+5 (+0,67%)

* 2019 წლის არჩევნების შემდეგ „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსმა“ შეიცვალა სახელი და მას „ევროპის განახლების ჯგუფი“ ეწოდება;

** 2019 წლის არჩევნების შემდეგ „თავისუფლებისა და პირდაპირი დემოკრატიის ევროპის ჯგუფმა“ შეიცვალა სახელი და მას „იდენტობა და დემოკრატია“ ეწოდება;

აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტის ბოლო არჩევნებში, ამომრჩეველთა აქტივობამ 50 პროცენტს გადააჭარბა, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.[260] აღნიშნული განაპირობა ევროპული პოლიტიკური ლანდშაფტისთვის შედარებით ახალი ძალების (სხვადასხვა სახის მემარჯვენე თუ მემარცხენე პოპულისტური პარტიების) მიერ აქამდე პასიური ამომრჩევლების თავის სასარგებლოდ მობილიზებამ.

ევროპარლამენტის არჩევნებმა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გამო-

[259] 2019 European election results - https://tinyurl.com/mry75tut (ბოლო ნახვა 03.09.2021);
[260] EP Election Turnout by year - https://tinyurl.com/2p8eujvh (ბოლო ნახვა 03.09.2021);

კვეთა. კერძოდ, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ანტიევროპული განწყობების მქონე რადიკალურ და პოპულისტურ პარტიებს მოუხდათ ევროპულ დონეზე მიმდინარე დებატებში ჩართვა, მათთვის აქტუალური ისეთი თემების განხილვისას, როგორიცაა არალეგალური იმიგრაცია. ეს გარემოება ნათლად მეტყველებს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ინტეგრაცია საკმაოდ შორსაა წასული და გამოწვევებთან ეროვნულ დონეზე გამკლავება, პრაქტიკულად, შეუსრულებელი გახდა.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პირველად ევროპარლამენტის არსებობის ისტორიაში, *„ევროპის სახალხო პარტიამ“* (EPP) და *„სოციალისტებისა და დემოკრატების ალიანსმა“* (S&D) ვერ შეძლეს ერთობლივად საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება. ამ მარცხის მიზეზი უნდა ვეძებოთ ტრადიციული პოლიტიკური ელიტების მიმართ ევროკავშირის მოსახლეობის უნდობლობის ზრდაში, რაც ბოლო ათწლეულის მანძილზე სულ უფრო შესამჩნევი ხდება.

შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან არსებულმა ტრადიციულმა დაპირისპირებამ „ზომიერ მემარცხენე“ და „ზომიერ მემარჯვენე“ მსოფლმხედველობებს შორის, ევროპელ ამომრჩეველში აქტუალურობა დაკარგა. მათთვის რთულად გასაგები და ხშირ შემთხვევაში მიუღებელი გახდა ტრადიციული პარტიების მიერ არსებული პრობლემების გადაჭრის გზები. ამომრჩეველმა უფრო ძირეული ცვლილებები მოითხოვა, რამაც, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ახალი, უფრო რადიკალური შეხედულებების მქონე ძალების წინა პლანზე გამოსვლას[261].

სამწუხაროდ, ამ ძალების უმეტესობა, არსებული რთული პრობლემების მოსაგვარებლად, გააზრებული პოლიტიკური ნაბიჯების ნაცვლად, მოსახლეობას სთავაზობს „მარტივ“ პოპულისტურ გზას, რაც, საბოლოო ჯამში კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. ასეთმა გაუაზრებელმა და პოპულისტურმა ნაბიჯებმა შესაძლოა სრულიად შეცვალოს ქვეყნის ბედი და მისი განვითარების პერსპექტივა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს „ბრექზიტი“, რომლის მძიმე შედეგებსაც კიდევ დიდხანს მოიმკის როგორც გაერთიანებული სამეფოს, ისე თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობა.[262]

„ბრექზიტის“ ანალოგიით, ცენტრალური ევროპის ნებისმიერი ქვეყნისთვის ევროკავშირიდან გასვლას სავალალო შედეგი ექნება. ის გამოიწვევს ძლიერ ეკონომიკურ ვარდნას, რაც უაღრესად ნეგატიურ გავლენას მოახდენს

[261] VAN PROOIJEN Jan-Willem, KROUWEL1 André P. M. *Political Extremism.* Vrije Universiteit Amsterdam 2020. გვ.5;
[262] The Guardian. *The Guardian view of Brexit: a tragic national error*. Editorial. 31 Dec.2020 https://tinyurl.com/yckwh9vp. (ბოლო ნახვა 12.09.2021). ასევე რევაზ გაჩეჩილაძე. გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა. თბილისი, თსუ გამ-ბა, 2016, გვ. 453-461

ამ ქვეყნებში არსებულ ისედაც მყიფე სოციო-პოლიტიკურ ვითარებაზე.

სამწუხაროდ, „V4“ ქვეყნების მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სათანადოდ ვერ აცნობიერებს, რომ ევროკავშირის წევრობას აქვს უმთავრესად უხილავი ეკონომიკური სარგებელი, რაც 500 მილიონიანი სამომხმარებლო ბაზრის ხელმისაწვდომობაში გამოიხატება.[263] ამასთან „V4“-ის წევრი ყველა ქვეყანა არის ევროკავშირის ბიუჯეტის ბენეფიციარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები იღებენ უფრო მეტ თანხას საერთო ევროპული ფონდებიდან, ვიდრე თავად იხდიან.[264]

რაც შეეხება ევროკავშირიდან გასვლის პოლიტიკურ შედეგებს, ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის ის შეიძლება კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდეს, რადგან ამ ქვეყნების ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები, ევროკავშირის მხრიდან სათანადო მონიტორინგის გარეშე, ვერ მოახერხებენ დემოკრატიულობის არსებული მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.[265]

ამასთან, გასათვალისწინებელია გეოპოლიტიკური ასპექტიც. „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებისთვის ნაკლები ევროპა ავტომატურად ნიშნავს მეტ რუსეთს, რადგან რუსეთი ხელიდან არ გაუშვებს შანსს და გამოიყენებს ყველა საშუალებას პოლიტიკური ვაკუუმის შესავსებად.[266]

თუკი XX საკუნის ბოლოს ცენტრალური ევროპა ფართოდ განიხილებოდა როგორც დემოკრატიული გარდაქმნების წარმატებული მაგალითი, XXI საუკუნის პირველი დეკადის დასასრულს, მკვლევართა სულ უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებული ოპტიმისტური შეფასება გადახედვას მოითხოვს, და რომ რეგიონი სერიოზული დემოკრატიული სირთულეების წინაშე დგას.[267]

ასევე არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ „V4“-ის ქვეყნებში დემოკრატიულობის ხარისხის კლება არ უნდა აღვიქვათ მხოლოდ კომუნისტური ავტორიტარიზმის მემკვიდრეობად ან გარდამავალი პერიოდის პოლიტიკის გვერდით მოვლენად. მისი ფესვები უფრო ღრმაა და სავარაუდო მიზეზები უნდა ვეძებოთ არაეფექტურ სამოქალაქო საზოგადოებაში, პოლიტიკური ცხოვრებიდან გამოთიშულ და უნდობლობით

[263] PILATI Marta, ZULEEG Fabian. *The benefits of EU membership are not measured by net operating balances.* Policy Department for Budgetary Affairs, Directorate-General for Internal Policies. თებერვალი 2020;
[264] BUCHHOLZ Katharina. Which Countries are EU Contributors and Beneficiaries? In: Statista. Jan 13, 2020. https://tinyurl.com/4uhskhca (ბოლო ნახვა 12.09.2021);
[265] MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. op. cit. გვ. 189;
[266] MARUSIAK, Juraj. *Russia and the Visegrad Group – more than a foreign policy issue*. International Issues & Slovak Foreign Policy Affairs. 2015 გვ. 28-46;
[267] LORENZ Astrid, ANDERS Lisa H. add. *Illiberal Trends and Anti-EU Politics in East Central Europe*.in: Palgrave Studies in European Union Politics. Switzerland2021. გვ.10;

შეპყრობილ მოქალაქეებში, პარტიებში, რომლებსაც არ გააჩნიათ საზოგადოებაში სოციალური საყრდენი (ფესვები) და არაეფექტურ საჯარო მმართველობაში.[268]

დღეისათვის, მეტ-ნაკლები სიძლიერით, ცენტრალური ევროპის ყველა ქვეყანაში შეინიშნება არალიბერალური ტენდენციების ზრდა. არალიბერალიზმი (Illiberalism), რომელსაც სხვანაირად „არალიბერალურ დემოკრატიასაც“ უწოდებენ (Illiberal Democracy), შეიძლება განისაზღვროს, როგორც ძალაუფლების მქონე პირებისგან იმ მექანიზმებისა და ინსტიტუტების ხელყოფა, რომლებიც იცავენ მოქალაქეთა ინდივიდუალურ უფლებებს და თავისუფლებებს.[269] ტერმინი „არალიბერალური დემოკრატია“ პირველად გამოიყენა ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა და პოლიტიკურმა მიმომხილველმა **ფარიდ ზაქარიამ**[270] (Fareed Zakaria) 1997 წელს, ჟურნალ „Foreign Affairs“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „არალიბერალური დემოკრატიის აღზევება“[271] და გააფრთხილა დასავლეთი, რომ:

„დემოკრატიულად არჩეული რეჟიმები, [...] *ხშირ შემთხვევაში, უგულვებელყოფენ ძალაუფლებაზე დაწესებულ საკონსტიტუციო ლიმიტებს და საკუთარ მოქალაქეებს უზღუდავენ მათ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას. პერუდან პალესტინის ხელისუფლებამდე, სიერა ლეონედან სლოვაკეთამდე, პაკისტანიდან ფილიპინებამდე სახეზეა საერთაშორისო ცხოვრებისთვის შემაშფოთებელი მოვლენა - არალიბერალური დემოკრატია*“.[272]

ფარიდ ზაქარია მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური ლიბერალიზმი ხელს უწყობს დემოკრატიის ჩამოყალიბებას, მაგრამ თავის მხრივ, დემოკრატია არ უზრუნველყოფს კონსტიტუციური ლიბერალიზმის დამკვიდრებას.[273] ამიტომ, დასავლეთმა და ზოგადად საერთაშორისო ინსტიტუციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ არა მხოლოდ დემოკრატიზაციის პროცესს, არამედ ქვეყნებში ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებასაც, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს დემოკრატიის განვითარებას.[274]

---

[268] CIANETTI Licia, DAWSON James & HANLEY Seán. *Rethinking “democratic backsliding” in Central and Eastern Europe – looking beyond Hungary and Poland*. In: Central and Eastern Europe – looking beyond Hungary and Poland, East European Politics. VOL. 34, NO. 3.2018. გვ. 244;
[269] LORENZ Astrid, ANDERS Lisa H. add. op. cit. გვ. 3;
[270] ფარიდ ზაქარია - ბიოგრაფია. https://fareedzakaria.com/about; (ბოლო ნახვა 15.09.2021);
[271] ZAKARIA Fareed. *The rise of illiberal democracy.* In: Foreign Affairs; Nov/Dec 1997. გვ.22-43;
[272] იქვე. გვ. 22; [Democratically elected regimes, ... are routinely ignoring constitutional limits on their power and depriving their citizens of basic rights and freedom. From Peru to the Palestinian Authority, from Sierra Leone to Slovakia, from Pakistan to the Philippines, we see the rise of a disturbing phenomenon in international life — illiberal democracy.] არაოფიციალური თარგმანი.
[273] იქვე. გვ. 28;
[274] იქვე გვ. 42;

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ტერმინი „არალიბერალური დემოკრატია“ პირველად გამოიყენა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა 2014 წლის 26 ივლისს ბალვანიოშის საზაფხულო თავისუფალი უნივერსიტეტის (Bálványos Summer Free University) სტუდენტურ ბანაკში გამოსვლისას, უნგრელებით დასახლებულ რუმინულ ქალაქ ბაილე ტუშნადში (Băile Tuşnad, ან ტუშნადფიურდიოში (Tusnádfürdő), როგორც მას უნგრელები უწოდებენ)[275]. ორბანმა უნგრეთში „არალიბერალური სახელმწიფოს“ მშენებლობის იდეა წამოაყენა. *„უნდა განვაცხადო, რომ დემოკრატია სულაც არ ნიშნავს, რომ ის უნდა იყოს ლიბერალური. სახელმწიფო შეიძლება არ იყოს ლიბერალური, მაგრამ ის მაინც შეიძლება იყოს დემოკრატიული“*. ამასთან, ვიქტორ ორბანმა აღნიშნა, რომ უნგრეთი უნდა მიისწრაფოდეს არა ლიბერალური, არამედ ეფექტური, „მომუშავე სახელმწიფოს“ (Working State) მშენებლობისაკენ. უფრო დეტალურად ორბანის ხედვებსა და მისი მთავრობის მიერ გატარებულ ზომებზე შესაბამის ქვეთავში ვისაუბრებთ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ „V4“-ის თითოეულ წევრ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სურათს, გავაანალიზებთ არსებულ ვითარებას და შევეცდებით გამოვავლინოთ შესაძლო კანონზომიერებები.

პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების მიზეზები და ტენდენციები პოლონეთში

ბოლო საპარლამენტო არჩევნები პოლონეთში 2019 წლის 13 ოქტომბერს გაიმართა, სადაც 2015 წლის მსგავსად ნაციონალ-კონსერვატიული ტიპის ევროსკეპტიკურმა პარტიამ *„კანონმა და სამართლიანობამ“* (Prawo i Sprawiedliwość - PiS) კვლავ შეძლო ერთპარტიული უმრავლესობის მოპოვება. პოლონეთის რესპუბლიკის პარლამენტი ორპალატიანია, ქვედა პალატა - სეიმი 460 წევრისაგან შედგება, ზედა პალატა - სენატი 100 წევრისაგან. ორივე პალატას პოლონეთის მოსახლეობა პირდაპირი არჩევნების გზით ირჩევს ოთხ წელიწადში ერთხელ.[276]

2019 წლის არჩევნებში სულ ექვსმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მოახერხა პოლიტიკური პარტიებისთვის კანონმდებლობით დაწესებული ხუთპროცენტიანი, ხოლო პოლიტიკური ბლოკისთვის რვაპროცენტიანი,

[275] ქალაქი ბაილე ტუშნადი. https://www.bailetusnad.ro/ (ბოლო ნახვა 15.09.2021);
[276] Poland Government and society. Constitutional framework. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/place/Poland/Government-and-society (ბოლო ნახვა 26.09.2021);

ზღვარის გადალახვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა - 43,6 პროცენტი, მიიღო ევროსკეპტიკურმა პარტიამ *„PiS“*-მა, რომელმაც 460 ადგილიან სეიმში 235 მანდატი მოიპოვა. მეორე შედეგი აჩვენა ლიბერალური პარტიების *„სამოქალაქო პლატფორმისა“* და *„თანამედროვეს“* ბლოკმა, რომელმაც მოსახლეობის ხმების 27,4 პროცენტი მიიღო და 134 მანდატი მოიპოვა. მას მოსდევს პოლონეთის *„დემოკრატიულ მემარცხენეთა ალიანსი“* ხმათა 12,6 პროცენტით, *„პოლონეთის სახალხო პარტია“* – 8,6 პროცენტით და ულტრამემარჯვენე, ნაციონალისტური პარტიების გაერთიანება *„თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის კონფედერაცია“* – 6,8 პროცენტით. პარლამენტში ასევე წარმოდგენილია გერმანულენოვანი უმცირესობის პარტია, რომელმაც სპეციალური კვოტით ერთი ადგილი მოიპოვა.[277]

2019 წლის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში პოლონეთის მოსახლეობაში შეინიშნება კონსერვატიული, არალიბერალური და ანტიევროპული განწყობების მატება, რომელიც აისახა კიდევაც არჩევნებში (იხ. ცხრილი 7).

მაინც რა გახდა პარტია *„კანონი და სამართლიანობის“* პოპულარობის მთავარი მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორიოდე სიტყვით შევეხოთ პარტიის ისტორიას და მისი ლიდერის იაროსლავ კაჩინსკის ფიგურას. ტყუპი ძმების, იაროსლავ და ლეხ კაჩინსკების პოლიტიკური კარიერა ჯერ კიდევ 1970-იანი წლებში დაიწყო, როდესაც ისინი აქტიურად გამოდიოდნენ პოლონეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

მოგვიანებით 1980-იან წლებში ძმები კაჩინსკები პოლონეთის ანტიკომუნისტურ მოძრაობა *„Solidarność“*-ს შეუერთდნენ. 1990 წელს კი დააარსეს მემარჯვენე-ცენტრისტული ტიპის პარტია *„ცენტრის შეთანხმება“* (Porozumienie Centrum-**PC**), რომელსაც იარსლავ კაჩინსკი 1998 წლამდე ხელმძღვანელობდა.[278] ლეხ კაჩინსკიმ კი, 1990 წელს, **ლეხ ვალენსას** პოლონეთის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მისი კანცელარიის უფროსის პოსტი დაიკავა. თუმცა, პრეზიდენტ ვალენსასა და იაროსლავ კაჩინსკის პარტია *„PC“*-ს შორის არსებული უთანხმოების გამო, 1992 წელს ლეხ ვალენსამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა ლეხ კაჩინსკი.[279]

[277] Polish Parliamentary Election 2019 - https://tinyurl.com/4c6ja9ep (ბოლო ნახვა 26.09.2021);
[278] MICHALSKI Cezary. Ak Kaczyński zbudował partię opartą na modelu leninowskim. In: Polska Newsweek 12.05.2021. https://tinyurl.com/2s3nzn6w (ბოლო ნახვა 26.09.2021);
[279] KULESZA Czesław & RAE Gavin. *The Law and Justice Party and Poland's Turn to the Right*. In: Transform Europe Paper. January 2017. გვ.5.

ცხრილი 7[280]

2011, 2015 და 2019 წლებში პოლონეთის პარლამენტის არჩევნების შედეგები (მოპოვებული მანდატების მიხედვით)

პარტია	2011 წ.	2015 წ.	2019 წ.
სამოქალაქო პლატფორმა (Platforma Obywatelska - PO)	207	138	134
კანონი და სამართლიანობა* (Prawo i Sprawiedliwość - PiS)	157	235	235
შენი მოძრაობა (Twój Ruch -TR)	40	-	-
პოლონეთის სახალხო პარტია (Polskie Stronnictwo Ludowe – PSL)	28	16	-
მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი (Sojusz Lewicy Demokratycznej – SLD)	27	-	-
კუკიზ15* (Kukiz'15)	-	42	-
თანამედროვე (Nowoczesna)	-	28	-
მემარცხენეები (Lewica)	-	-	49
პოლონური კოალიცია (Koalicja Polska)	-	-	30
თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის კონფედერაცია* (Konfederacja Wolność i Niepodległość)	-	-	11

* ევროსკეპტიკური, პოპულისტური ან რადიკალური პარტიები

პარტია *„კანონი და სამართლიანობა“* ძმებმა კაჩინსკებმა 2001 წელს დააარსეს. მომდევნო წელს კი, *„მემარჯვენე ალიანსთან“* (Przymierze Prawicy-PP) გაერთიანების და პოლონეთის მემარჯვენე-კონსერვატიული ამომრჩევლის კონსოლიდირების შედეგად ლეხ კაჩინსკიმ ქ. ვარშავის მერის არჩევნები მოიგო.[281]

2005 წელს პარტია *„PiS“*-მა მორიგ წარმატებას მიაღწია, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში ხმათა 26,99 პროცენტით პირველი ადგილზე გავიდა და სეიმში 155 მანდატი მოიპოვა, თუმცა ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი მთავრობის ფორმირებისათვის. სამაგიეროდ, იმავე წელს, ლეხ კაჩინსკიმ მოახერხა პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება და ქვეყნის მეთაურის პოსტი დაიკავა. სამწუხაროდ, პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი მეუღლესთან და პოლონეთის ხელისუფლების სხვა მაღალი

[280] პოლონეთის ეროვნული საარჩევნო კომისიის ვებგვერდი - https://pkw.gov.pl/ (ბოლო ნახვა 26.09.2021);
[281] Partia PiS-ის ისტორია. პარტიის ვებ-გვერდი. http://pis.org.pl/partia/historia-partii#2001 (ბოლო ნახვა 26.09.2021);

რანგის წარმომადგენლებთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა 2010 წლის 10 აპრილს პოლონეთის სამთავრობო თვითმფრინავის ჩამოვარდნისას რუსეთის ქ. სმოლენსკთან.

2006 წელს *„PiS“*-მა კოალიციური შეთანხმება გააფორმა ულტა-მემარჯვენე ტიპის, პოპულისტურ პარტია *„პოლონურ ოჯახთა ლიგასთან“* (Liga Polskich Rodzin - **LPR**)[282] და მემარცხენე ტიპის პოპულისტურ *„პოლონეთის რესპუბლიკის თავდაცვის პარტია“*-სთან (Samoobrona Rzeczpospolitej Polskiej - **SRP**)[283], რის საფუძველზეც შეძლო პოლო-ნეთის სეიმში მთავრობის ფორმირებისათვის საჭირო უმრავლესობის მოპოვება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი კი იაროსლავ კაჩინსკიმ დაიკავა.[284] როგორც მოსალოდნელი იყო, ამგვარი ჭრელი კოალიცია მალევე დაიშალა და 2007 წლის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში *„PiS“*-ი დამარცხდა და ოპოზიციაში აღმოჩნდა, ხოლო *„LPR“*-მა და *„SRP“*-მა საერთოდ ვერ მოახერხეს დაწესებული ხუთპროცენტიანი ბარიე-რის გადალახვა და პარლამენტს მიღმა დარჩნენ.[285] ამ უკანასკნელთა მარცხის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ *„PiS“*-თან მათი კოალიციურ მთავრობაში შესვლა სახელდება.[286] ფაქტობრივად, ძმები კაჩინსკების *„კანონი და სამართლიანობის“* პარტიამ მოახერხა და ყოფილი კოალიცი-ური პარტნიორების იდეოლოგიური ნარატივის შთანთქმის გზით მიიმხრო მათი ამომრჩეველი.[287]

თუკი დაარსების საწყის ეტაპზე *„PiS“*-ი ევროკავშირთან მიმართებით შედარებით უფრო ზომიერ, შეიძლება ითქვას, ევრო-პრაგმატულ პოზიციას იკავებდა, 2005 წლის შემდეგ ის თანდათანობით ჩამოყალიბდა წამყვან ევროსკეპტიკურ ძალად პოლონეთში, რომლის იდეოლოგიაც უხვად იყო შეზავებული როგორც ულტრამემარჯვენე (ნაციონალისტური და რელი-გიური - კერძოდ, კათოლიკური, ანტი-საიმიგრაციო, ანტი-ლგბტ და ა. შ.) თემატიკით[288], ისე მემარცხენე პოპულისტური (სახელმწიფო დოვლათის

[282] League of Polish Families - https://tinyurl.com/bdc27ryr (ბოლო ნახვა 07.10.2021);
[283] პარტია Samoobrona Rzeczpospolitej Polskiej -http://samoobrona.net.pl/ (ბოლო ნახვა 07.10.2021);
[284] Partia PiS-ის ისტორია(2006). პარტიის ვებ-გვერდი. http://pis.org.pl/partia/historia-partii#2006 (ბოლო ნახვა 07.10.2021);
[285] საპარლამენტთაშორისო კავშირის(IPU) არქივი. პოლონეთი - http://archive.ipu.org/parline-e/reports/arc/2255_07.htm (ბოლო ნახვა 07.10.2021);
[286] MOROSKA, Aleksandra. ZUBA, Krzysztof. Two faces of Polish populism: the causes of the success and fall of Self Defence and the League of Polish Families.in: Totalitarismus und Demokratie, 7(1), 123-147. https://nbn-resolving.org/ (ბოლო ნახვა 07.10.2021);
[287] PYTLAS, Bartek. From Mainstream to Power: The Law and Justice Party in Poland. In: Decker F., Henningsen B, Lewandowsky M. (eds.). Aufstand der Außenseiter. Die Herausforderung der europäischen Politik durch den neuen Populismus. Baden-Baden 2021;
[288] RAŚ Maciej. Foreign and security polity in the party discourse in Poland: main futures. In: UNISCI Journal, № 43. იანვარი 2017. გვ. 117-141;

ახლებური გადანაწილება, სოციალური დახმარების პროგრამები, მათ შორის პოპულარული „ოჯახი 500+“ პროგრამა[289]) რიტორიკით.

2015 წელი გადამწყვეტი აღმოჩნდა პარტია *„კანონი და სამართლიანობისთვის“*, რომელმაც შეძლო და მოიგო როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნები. პარტიის საარჩევნო პროგრამა გაჯერებული იყო ისეთი რიტორიკით, როგორიცაა საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება, ერთსქესიანთა ქორწინების, გენდერული შეღავათების, აბორტისა და „ინ ვიტრო" განაყოფიერების აკრძალვა, ისტორიული მოვლენების ახლებური შეფასება/გადაფასება, ქვეყნის შიდა პროცესებში ეკლესიის როლის კიდევ უფრო გაზრდა, ევროპული სუპრა-ნაციონალური (ზესახელმწიფოებრივი) მიდგომების უარყოფა და მის ნაცვლად ეროვნულ სახელმწიფოებზე დაფუძნებული ევროპის იდეის მხარდაჭერა და ა. შ. ეკონომიკური კუთხით პარტია მოსახლეობას სთავაზობდა ე. წ. „ეკონომიკური პატრიოტიზმის“ პოლიტიკის გატარებას, რაც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, ბანკებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების პოზიციის შესუსტებას და ამ გზით, პოლონეთისთვის მეტი ეკონომიკურ დამოუკიდებლობის მიღწევას ისახავდა მიზნად. ამის პარალელურად, პარტია ამომრჩეველს ჰპირდებოდა სოციალური დახმარებების გაზრდას, საპენსიო ასაკის შემცირებას და ქვეყანაში შობადობის გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებას.[290]

რაც შეეხება *„PiS“*-ის იდეოლოგიურ დოქტრინას, მის ქვაკუთხედს წარმოადგენს პოლონელი ერის ისტორიულ, კულტურულ და ზნეობრივ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ძლიერი სახელმწიფოს შექმნის იდეა. ამასთან, კათოლიციზმი პარტიის კონსერვატიული იდენტობის მთავარი - შეიძლება ითქვას ძირითადი - ელემენტია. პარტიის იდეოლოგიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ნაციონალიზმი, რომელიც არსებითად სცილდება პატრიოტულ-კონსერვატიულ პოზიციებს და მთავარ აქცენტს პოლონეთის ეთნიკურ ჰომოგენობაზე აკეთებს.[291]

ყოველივე ზემოაღნიშნულის წყალობით, *„PiS“*-მა მოახერხა და საკუთარი კონსერვატიული ამომრჩევლის გარდა, მიიმხრო პოლონელ ფერმერთა, პენსიონერთა, მუშათა (განსაკუთრებით ნაკლებკვალიფიციური მუშახელის) დიდი ნაწილი, რითაც გადაწყვიტა კიდეც არჩევნების ბედი[292]. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის არჩევნებში *„PiS“*-ის წარმატების კიდევ ერთ

[289] First results of Poland's Family 500+ programme. https://tinyurl.com/ytz9bst7 (ბოლო ნახვა 07.10.2021); [პროგრამა „ოჯახი 500+“ ითვალისწინებდა პოლონური ოჯახების დახმარებას, რომლის მიხედვითაც, მეორე და ყველა მომდევნო ბავშვზე ოჯახი მიიღებდა 500 ზლოტს (€120) თვეში]
[290] KULESZA Czesław & RAE Gavin. op. cit. გვ. 6;
[291] FOLVARCNY Adam, KOPEČEK Lubomír. *Which conservatism? The identity of the Polish Law and Justice party*. in: Politics in Central Europe –pages 159-188.2020;
[292] PYTLAS, Bartek. op. cit. გვ. 6;

განმაპირობებელ მიზეზს წარმოადგენდა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის და შემდგომში ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის **დონალდ ტუსკის** და *„სამოქალაქო პლატფორმის“* (PO) შვიდწლიანი მმართველობის მიმართ პოლონეთის მოსახლეობაში გაჩენილი იმედგაცრუება.

2015 წლის 24 მაისს, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, *„PiS“*-ის საპრეზიდენტო კანდიდატმა **ანჯეი დუდამ** (Andrzej Duda)[293] ხმათა 51,55 პროცენტით 48,45 პროცენტის წინააღმდეგ[294], დაამარცხა მმართველი პარტია *„სამოქალაქო პლატფორმის“* კანდიდატი, მოქმედი პრეზიდენტი - **ბრონისლავ კომოროვსკი** (Bronislaw Komorowski)[295]. იმავე წლის 25 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კი *„PiS“*-მა დამაჯერებლად გაიმარჯვა და პოლონეთის სეიმში 37,58 პროცენტით, 242 ადგილი მოიპოვა.[296] ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი კი **ბეატა შიდლომ** (Beata Szydło)[297] დაიკავა.

2015 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, *„PiS“*-ის მთავრობამ სწრაფი ტემპებით დაიწყო საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული დაპირებების განხორციელება. ამოქმედდა სოციალური შეღავათების პროგრამები, მათ შორის „ოჯახი 500+“ პროგრამაც, რომელმაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო პოლონეთში შობადობის ზრდას. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის მიერ განხორციელებულმა სოციალურმა პროგრამებმა საწყის ეტაპზე პოლონეთის მოსახლეობაში დიდი მოწონება დაიმსახურა. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს პროგრამები შერჩევით ხასიათს ატარებდა და მათი არსი უფრო კონსერვატიული იდეოლოგიის განმტკიცებას ემსახურებოდა, ვიდრე რეალურად არსებული სოციალური პრობლემების აღმოფხვრას. პარტიის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ *„PiS“*-ის მთავრობამ არ განახორციელა პოლონეთის ჯანდაცვისა და განათლების სისტემების ძირეული რეფორმა და არ მოახდინა მათი დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა,[298] რაც არსებული პრობლემების მოგვარების უფრო ეფექტური გზა იქნებოდა. ამასთან „ოჯახი 500+“ პროგრამა მძიმე ტვირთად აწევს პოლონეთის ბიუჯეტს და მისი დაფინანსება გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელი იქნება.

---

[293] ანჯეი დუდა - ბიოგრაფია. https://www.president.pl/en/president/biography/ (ბოლო ნახვა 15.10.2021);
[294] DELOY Corinne. *Andrzej Duda is elected President of the Republic of Poland*. in: European Elections monitor. Robert Schuman Foundation. 25.05.2015;
[295] ბრონისლავ კომაროვსკი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://tinyurl.com/mr84f67x (ბოლო ნახვა 15.10.2021);
[296] DELOY Corinne. *The Law and Justice Party win the parliamentary elections and the absolute majority*. in: European Elections monitor. Robert Schuman Foundation. 25.10.2015;
[297] ბეატა ჟიდლო - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Beata-Szydlo; (ბოლო ნახვა 15.10.2021);
[298] KULESZA Czesław & RAE Gavin. op. cit. გვ. 6;

საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული ქმედებების პარალელურად, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, *„PiS“*-მა აქტიურად დაიწყო ძალაუფლების განმტკიცებისა და ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი საყრდენი ინსტიტუტების შესუსტებისაკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმაც. 2015 წლიდან პოლონეთში, ფაქტობრივად თვალს ვადევნებთ ქვეყნის „არალიბერალურ დემოკრატიად“ გარდაქმნის პროცესს, რაც გამოიხატება დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული ხელისუფლების მიერ, თანმიმდევრულად, ლიბერალური ფასეულობებისა და ამ ფასეულობების დამცველი ინსტიტუტების (თავისუფალი მედია, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და ა. შ.) დასუსტებასა და საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევის მცდელობაში.

„PiS“-ის ქმედებები უფრო მარტივი გასაგები რომ გახდეს, თვალი უნდა გადავავლოთ პარტიის დამფუძნებლისა და მთავარი იდეოლოგის იაროსლავ კაჩინსკის შეხედულებებს. ოპოზიციაში ყოფნისას, კაჩინსკი მიიჩნევდა, რომ პოლონეთში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ძალაუფლება 1989 წლიდან მონოპოლიზებული აქვს ე. წ. „ძველ-ახალ ელიტას“, რომელიც წარმოადგენს „პოსტ-კომუნისტური“ და „პოსტ-*სოლიდარნოსცის*“[299] მოძრაობის ერთგვარ სინთეზს. ის მიიჩნევდა, რომ ეს ჯგუფი დასავლური ტენდენციებისა და გავლენების მორჩილი, პერიფერიული „იმიტატორია“, რომელიც მოქმედებს პოლონეთის ინტერესებისა და პოლონური ეროვნული ღირებულებების საწინააღმდეგოდ. ამიტომაც, კაჩინსკი უმთავრეს ამოცანას სწორედ ამ „ფსევდო-ელიტის“ ჩამოშლასა და მისი ეროვნული ინტერესებისა და პოლონური კონსერვატიული ღირებულებებისადმი უფრო ერთგული ჯგუფით ჩანაცვლებაში ხედავდა.[300]

როგორც კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი **სტენლი ბილი** (Stanley Bill) აღნიშნავს, *„PiS“*-ის იდეოლოგია შეიძლება მივაკუთვნოთ ე. წ. „კონტრ-ელიტური პოპულიზმის“ კატეგორიას. თუმცა, იმ განსხვავებით, რომ პარტია მტრულად არის განწყობილი არა ზოგადად ელიტების მიმართ, არამედ ფუნდამენტური შეუთავსებლობა აქვს კონკრეტულ, მისი აზრით არასწორ ელიტასთან და იბრძვის მის შესაცვლელად.[301]

ზემოხსენებული კონტექსტის გათვალისწინებით, ნათელი ხდება ის ლოგიკა, რითაც ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე ხელმძღვანელობდა „PiS“-ი. არჩევნებში წარმატების შემდეგ, მან სწრაფად ჩამოიშორა

[299] იგულისხმება მოძრაობა *„სოლიდარნოსცი“* (იხ. გვ.35)
[300] BILL Stanley. *Counter-Elite Populism and Civil Society in Poland: PiS's Strategies of Elite Replacement*. in: East European Politics and Societies and Cultures. Volume XX Number X. Cambridge, UK. Sage Publications 2020. http://online.sagepub.com (ბოლო ნახვა 21.10.2021). გვ. 2;
[301] იქვე;

„ზომიერი პარტიის ნიღაბი“[302] და ე. წ. გვიანი ღამის საპარლამენტო სესიებზე, დაჩქარებული წესით, დაიწყო ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება,[303] რომლებიც მიზნად ისახავდა მმართველი პარტიის ძალაუფლების განმტკიცებას, რაც, უპირველეს ყოვლისა მედიასა და სასამართლო სისტემის „PiS“-ის კონტროლის ქვეშ მოქცევას გულისხმობდა. ამ ქმედებებმა ღია დაპირისპირება გამოიწვია მმართველ პარტიასა და პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შორის. ეს უკანასკნელი 2015 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების ერთადერთ შტოდ რჩებოდა, რომელზეც „PiS“-ი ჯერ კიდევ ვერ ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს. 2015 წლის ბოლოსა და 2016 წლის დასაწყისში, საკონსტიტუციო სასამართლომ პარტიის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები რამდენჯერმე გამოაცხადა კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ და შეაჩერა მათი აღსრულება. დღის წესრიგში დადგა სასამართლო სისტემის „რეფორმირების“ საკითხი. პოლონეთის სეიმმა, სადაც ერთპარტიულ უმრავლესობას „PiS“-ი ფლობდა, შეიმუშავა საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირებისაკენ მიმართული ახალი კანონმდებლობა.[304] მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული კანონი არაკონსტიტუციურად ცნო, „PiS“-ის საპარლამენტო უმრავლესობამ, ქვეყნის პრეზიდენტის ხელშეწყობით, რომელიც ასევე „PiS“-ის ნომინირებული იყო, უგულებელყო საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები და 2015-2016 წლებში, პარტიული ნიშნით, საკონსტიტუციო სასამართლოში ხუთი ახალი მოსამართლე დაამტკიცა, რითაც საბოლოოდ მოიპოვა ამ უკანასკნელზე კონტროლი. [305]

ძალაუფლების განმტკიცების გზაზე შემდეგი ნაბიჯი პარტიამ 2016 წლის ზაფხულში გადადგა, როდესაც ახალი კონტრტერორისტული კანონი მიიღო და ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურს უფლება მისცა ეწარმოებინა როგორც პოლონელი, ისე უცხოელი მოქალაქეების ფარული მიყურადება და თვალთვალი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე[306]. აღნიშნულ კანონს ძალიან ნეგატიური შეფასება მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოე-

[302] PYTLAS, Bartek. op. cit. გვ. 6;
[303] FOMINA Joanna, KUCHARCZYK, Jacek. *Populism and Protest in Poland*, in: Journal of Democracy 27 (4), pp. 58–68. გვ.63;
[304] SZULEKA Małgorzata, WOLNY Marcin, SZWED, Marcin. *The constitutional crisis in Poland 2015-2016*. Helsinki Foundation for Human Rights. 2016
[305] BUGARIČ Bojan & GINSBURG Tom. *The assault on postcommunist courts*. in: Journal of Democracy 27/3. Johns Hopkins University Press 2016. http://eprints.whiterose.ac.uk/152045/ (ბოლო ნახვა 21.10.2021). გვ.8;
[306] Poland adopted a controversial anti-terrorism law. EDRI 29.06.16. https://tinyurl.com/2p8jhy7r (ბოლო ნახვა 21.10.2021)

ბის და ავტორიტეტული ორგანიზაციების მხრიდან[307], თუმცა პოლონეთის ხელისუფლებამ ყურად არ იღო მათი გაფრთხილება.

შიდაპოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, პარტიამ „კანონი და სამართლიანობისთვის“ თანმიმდევრულად დაიწყო ცვლილებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკაშიც. ამ კუთხით პარტიის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ე. წ. „raison d'état“-ი,[308] რაც აისახა კიდეც საერთაშორისო ასპარეზზე პოლონეთის ქმედებებში და 2016 წლიდან მოყოლებული, „PiS“-ის ხელისუფლებასა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები თანდათან დაიძაბა.

2016 წელს, ევროკომისიამ, ახლად დამტკიცებული ინსტრუმენტის „კანონის უზენაესობის ჩარჩოს“ (Rule of law framework)[309] ფარგლებში, ოფიციალური გამოძიება დაიწყო პოლონეთის ხელისუფლების მხრიდან ევროკავშირის კანონის უზენაესობის სტანდარტების შესაძლო დარღვევების გამოსააშკარავებლად.[310]

2019 წლიდან პოლონეთის ხელისუფლებამ დაიწყო სასამართლო სფეროში მორიგი რეფორმირების პროცესი. „PiS“-ის გადაწყვეტილებით მოსამართლეთა საპენსიო ასაკმა დაიწია, ამასთან იუსტიციის მინისტრს მიენიჭა უფლება საკუთარი შეხედულებით განესაზღვრა საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, რომელი მოსამართლისთვის მიეცა საქმიანობის გაგრძელების უფლება. აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს[311] და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ მოუწოდა პოლონეთს შეეცვალა საკუთარი კანონმდებლობა. დაძაბულობამ პიკს 2021 წლის შემოდგომაზე მიაღწია, როდესაც „PiS“-ის მიერ სრულად დომინირებულმა პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთის კანონმდებლობას ენიჭებოდა უპირატესობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შედარებით, რითაც ის წინააღმდეგობაში მოვიდა ევროკავშირის ხელშეკრულების რამდენიმე მუხლთან.[312] პოლონეთის ხელისუფლების ამ

[307] საერთაშორისო ორგანიზაცია „Amnesty International“-ის ანგარიში. *Dangerously Disproportionate – The ever-expanding national security state*. 2017. https://tinyurl.com/48ttp253 (ბოლო ნახვა 21.10.2021);

[308] „raison d'état“ - განმარტება. ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონი. https://tinyurl.com/kdf6pkmj; (ბოლო ნახვა 21.10.2021) [სახელმწიფო (ინტერესების) მიზეზით (ფრანგ) - საგარეო პოლიტიკის პრინციპი, როდესაც ამა თუ იმ ქმედების გამართლება ხდება ერის/სახელმწიფოს ინტერესებზე აპელირებით, ყოველგვარი სხვა სამართლებრივი თუ მორალური არგუმენტების გარეშე];

[309] Rule of law framework - https://tinyurl.com/5n98b95a (ბოლო ნახვა 31.10.2021) [ევროკავშირის „კანონის უზენაესობის ჩარჩო“ სამ-ეტაპიანი პროცესია, რომელიც სპეციალურად შეიქმნა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში კანონის უზენაესობის კუთხით პოტენციური სისტემური საფრთხეების აღმოსაფხვრელად];

[310] BUGARIČ Bojan & GINSBURG Tom. Op. cit. გვ. 11;

[311] BBC News - *Retirement age: Poland broke EU law with ruling on judges.* 5.November 2019. https://www.bbc.com/news/world-europe-50302102 (ბოლო ნახვა 31.10.2021);

[312] WANAT Zosia. *Court ruling puts Poland on a collision course with the EU's legal order*.in: Politico. 7 October 2021. https://tinyurl.com/yc88nh64 (ბოლო ნახვა 31.10.2021);

ქმედებებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია როგორც ევროკავშირის ინსტიტუციების (ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო და ა. შ.), ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც. 2021 წლის 27 ოქტომბერს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ევროკავშირის გადაწყვეტილების უგულებელყოფისთვის პოლონეთის ხელისუფლებას დღეში ერთი მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა და მოითხოვა პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შეჩერება.[313] წამყვანი ევროპელი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამგვარი ქმედებით პოლონეთის ხელისუფლება საფრთხის ქვეშ აყენებს პოლონეთის ევროკავშირში წევრობას და, თუკი დროულად არ მოხდა ვითარების ნორმალიზება, „ბრექზიტის“ შემდეგ შესაძლოა „პოლექზიტიც“ ვიხილოთ.

ამასთან, ევროკომისიამ დროებით შეაჩერა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად, ევროკავშირის ერთიანი ფონდიდან პოლონეთისთვის გამოყოფილი 42,5 მილიარდი ევროს დახმარების გაცემა.[314]

ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია პოლონეთის მოსახლეობის ლიბერალურად განწყობილ ნაწილს. ჯერ კიდევ 2015 წლის მიწურულს, პოლონეთში დაარსდა დემოკრატიის დაცვის კომიტეტი (Komitet Obrony Demokracji - KO)[315], რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების და ევროპული ღირებულებების დაცვას. კომიტეტი ძირითადად სოციალური ქსელების მეშვეობით ახდენდა საკუთარი მომხრეების მობილიზებას და 2015-2016 წლებში არაერთი მასობრივი საპროტესტო აქცია გამართა მმართველი „კანონი და სამართლიანობის“ პარტიისა და მის მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ.

მოქალაქეების საკმაოდ დიდი ნაწილის (განსაკუთრებით დიდ ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის) აქტიური პროტესტის მიუხედავად, პოლონეთის ხელისუფლება დღეისათვის კვლავ მყარად ინარჩუნებს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერას, რაც დადასტურდა კიდეც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში. ამ წარმატების მიზეზი, პარტიის მიერ ტრადიციული მხარდამჭერების - მემარჯვენე კონსერვატიული

[313] DW - *EU fines Poland €1 million per day over judicial reforms*. 27.10.2021. https://tinyurl.com/mtankk6f (ბოლო ნახვა 31.10.2021);
[314] NICHOLSON Craig. Legal battle puts Poland's EU funds and membership at risk.in: Research Professional News. 08 Oct. 2021; https://tinyurl.com/2p8hup4m (ბოლო ნახვა 31.10.2021)
[315] Komitet Obrony Demokracji - ოფიციალური ვებ-გვერდი. https://ruchkod.pl/ (ბოლო ნახვა 31.10.2021);

ამომრჩევლის პარალელურად, მემარცხენე ელექტორატის მხარდაჭერაში უნდა ვეძებოთ, რაც „PiS“-მა წარმატებით მოახერხა სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამის მეშვეობით.

„PiS“-ის პოლიტიკაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით კიდევ ერთ გარემოებას, კერძოდ, რუსეთის ადგილს „PiS“-ის საგარეო პოლიტიკურ დისკურსში.[316] ისტორიულად რუსეთი პოლონეთისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. გარდა ამისა, პარტიის ლიდერი იაროსლავ კაჩინსკი, სწორედ რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს 2010 წელს სმოლენსკთან მომხდარ ტრაგედიაში[317], რასაც მისი ძმის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის სიცოცხლე შეეწირა. შესაბამისად, „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებს შორის, პოლონეთი გამოირჩევა თავისი ანტი-რუსეთული პოზიციებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის პოლონურ პოლიტიკურ სპექტრში პრო-რუსეთული ძალები ფაქტობრივად არ არსებობენ, რაც, უპირველეს ყოვლისა პოლონელ მოსახლეობაში რუსოფილური განწყობების არარსებობით აიხსნება.

პოლონეთსა და ევროკავშირის შორის დაძაბული ურთიერობების შერბილება მოხდა 2022 წელს. ცვლილებები განაპირობა უკრაინის საზღვრებთან მრავალთვიანი სამხედრო წვრთნებისა და უკრაინის ხელისუფლებისა და დასავლეთის ქვეყნებისადმი წაყენებული აბსურდული ულტიმატუმების შემდეგ, 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ გაცემულმა ბრძანებამ უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყების შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ქმედებებს მყისიერი რეაქცია მოჰყვა დასავლეთის ქვეყნების მხრიდან. ევროკავშირმა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ არნახული ეკონომიკური სანქციები დაამტკიცა. სანქციების პარალელურად, საომარი მოქმედებების დაწყების პირველივე დღეებიდან ევროკავშირი აქტიურად ახორციელებდა უკრაინის დახმარებას როგორც სამხედრო ისე ჰუმანიტარული კუთხით.

პოლონეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და პოლონელი ხალხის მწარე ისტორიულმა გამოცდილებამ რუსეთთან ურთიერთობებში, ეს სახელმწიფო ბუნებრივად აქცია კიევის ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ. სწორედ პოლონეთი გახდა უკრაინისათვის ჰუმანიტარული და სამხედრო ტვირთების მიწოდების ერთ-ერთი მთავარი სატრანზიტო ქვეყნა. ამასთან, პოლონეთმა თავშესაფარი მისცა საომარი მოქმედებების ზონიდან

[316] RAŚ Maciej. Op.cit. გვ.15;
[317] GERA Vanessa. *7 years later, Poland still wrestles with plane crash trauma*. In: AP news April 9, 2017. https://tinyurl.com/2p9d9859 (ბოლო ნახვა 06.11.2021);

გამოქცეულ უკრაინის სამ მილიონზე მეტ მოქალაქეს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომმა, რადიკალურად შეცვალა ევროპის გეოპოლიტიკური უსაფრთხოება და გავლენა იქონია თავად ევროკავშირის შიგნით არსებულ ძალთა ბალანსზე. თუკი 2022 წლამდე ევროკავშირის დიდი სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი გერმანია, უგულებელყოფდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტერესებს და განაგრძობდა რუსეთთან მჭიდრო სავაჭრო კავშირების განვითარებას (განსაკუთრებით ენერგომატარებლების მიწოდების კუთხით).

საომარი მოქმედებების შემდეგ ასეთი კავშირურთიერთობა რუსეთთან მინიმუმამდე დავიდა. ამავდროულად, გაიზარდა პოლონეთის სანდოობა საერთაშორისო დონეზე, რაც პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ პოლონეთის ხელისუფლება წლების განმავლობაში (ჯერ კიდევ რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ) ღიად აფრთხილებდა დასავლელ პარტნიორებს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ექსპანსიონისტურ და აგრესიულ გეგმებთან დაკავშირებით.

ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ, „PiS“-ის მთავრობას შესაძლებლობა მისცა, ევროკავშირის შიგნით გაეზარდა საკუთარი გავლენა, რამაც გარკვეულწილად შეარბილა ევროკავშირის ადრინდელი ხისტი პოზიცია პოლონეთის ხელისუფლების მისამართით.

პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების პროცესები უნგრეთში

უნგრეთში 2022 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა მოქმედი პრემიერ-მინისტრის **ვიქტორ ორბანის** პარტია „FIDESZ“-ისა და „სახალხო ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიის“ (KDNP) ბლოკმა, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 51,34 პროცენტი მიიღო და უნგრეთის 199-ადგილიან ერთპალატიან პარლამენტში (Országgyűlés), 135 მანდატი მოიპოვა[318]. ამრიგად, 2010 წლიდან მოყოლებული, პარტიამ, რომელიც ზემოხსენებული ბლოკის მთავარ ძალას წარმოადგენდა, ზედიზედ მეოთხედ მოახერხა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება. ამომრჩეველთა ხმების 34.09 პროცენტით, მეორე ადგილი დაიკავა გაერთიანებულმა ოპოზიციურმა კოალიციამ (*Egységben Magyarországért),* რომელიც სპეციალურად 2022 წლის

[318] Bíró-Nagy András, Győri Gábor. *Hungarian Parliamentary Elections 2022*. Friedrich Ebert Schtiftung. https://tinyurl.com/jjf2mpv4 (ბოლო ნახვა 21.03.23);

არჩევნებისათვის შეიქმნა და ჯამში თორმეტ პოლიტიკურ ორგანიზაციას აერთიანებდა. კიდევ ერთი პარტია, რომელმაც მოახერხა მანდატების მოპოვება პარლმენტში არის ულტრა-მემარჯვენე პარტია „ჩვენი სამშობლო“ (*Mi Hazánk Mozgalom* - MHM), რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 6 პროცენტი მიიღო.[319]

2022 წლის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში უნგრეთის მოსახლეობაში შეინიშნება კონსერვატიული, არალიბერალური და ანტიევროპული განწყობების მატება, რაც აისახა კიდეც არჩევნების შედეგებში (იხ. ცხრილი 8).

მაინც რა არის პარტია „Fidesz“-ის წარმატებისა და მისი პოპულარობის მთავარი მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორიოდე სიტყვით შევეხოთ პარტიის ისტორიას, მის იდეოლოგიურ პლატფორმას და პარტიის ქარიზმატული ლიდერის - ვიქტორ ორბანის ფიგურას.

პარტია „Fidesz“-ი 1989 წელს დაარსდა უნგრეთში კომუნისტური მმართველობის ბოლოს წლებში, როგორც მემარცხენე-ცენტრისტული და ლიბერალური შეხედულებების პარტია. სახელი „Fidesz“-ი „Fiatal Demokraták Szövetsége“ აბრევიატურას წარმოადგენს და უნგრულიდან ითარგმნება როგორც „ახალგაზრდა დემოკრატების ფედერაცია“.[320]

1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში „Fidesz“-მა, რომელიც ძირითადად 35 წლამდე ასაკის პოლიტიკოსებს აერთიანებდა, ამომრჩევლის ხმების ექვსი პროცენტი მიიღო და 22 მანდატით უნგრეთის პარლამენტში ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა. მიუხედავად წარმატებული სტარტისა,1994 წლის საპარლამენტო არჩევნებში „Fidesz“-მა მძიმე მარცხი განიცადა და დღის წესრიგში დადგა პარტიის რეფორმირების საკითხი.

იმავე წელს გამართულ პარტიის ყრილობაზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება და პარტიის იდეოლოგია შეიცვალა მემარცხენე-ლიბერალურიდან მემარჯვენე-ცენტრისტულზე, რამაც პარტიის წევრებს შორის დიდი დაპირისპირება გამოიწვია. შედეგად პარტია დატოვა მისმა რამდენიმე ლიდერმა და დამფუძნებელმა. 1995 წლიდან „Fidesz“-მა იდეოლოგიური გარდაქმნის ხაზგასასმელად საკუთარ სახელს დაუმატა ბოლოსართი „სამოქალაქო პლატფორმა“ (Polgári Szövetség).[321]

---

[319] DELOY Corinne. *Viktor Orban easily sweeps to victory for the third time running in the Hungarian elections*. in: European Elections monitor. Robert Schuman Foundation. 08.04.2018. https://www.robert-schuman.eu/en/doc/oee/oee-1765-en.pdf; (ბოლო ნახვა 06.11.2021);

[320] Fidesz -political party, Hungary. https://www.britannica.com/topic/Fidesz (ბოლო ნახვა 12.11.2021);

[321] იქვე;

ცხრილი 8 [322]

2006- 2022 წლებში უნგრეთის პარლამენტის არჩევნების შედეგები (ძირითადი პარტიების შედეგები მოპოვებული მანდატების მიხედვით)

პარტიები	2006 წ.	2010 წ.	2014 წ.*	2018 წ.	2022 წ.
ფიდესისა (FIDESZ) და ქრისტიან დემოკრატიული სახალხო პარტიის (KDNP) ბლოკი	164	263	133	133	135
უნგრეთის სოციალისტური პარტი (MSZP)	186	59	-	20	-
თავისუფალ დემოკრატთა ალიანსი (SZDSZ)	18	-	-	-	-
უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი (MDF)	11	-	-	-	-
მოძრაობა უკეთესი უნგრეთისთვის (Jobbik)**	-	47	23	26	-
უნგრეთის მწვანეთა პარტია(LMP)	-	16	5	9	-
მემარცხენე ერთობა (Osszefogas)	-	-	38	-	-
დემოკრატიული კოალიცია(DK)	-	-	-	9	-
გაერთიანებული ოპოზიციური კოალიცია	-	-	-	-	56
ჩვენი სამშობლო**	-	-	-	-	6

*** 2014 წლიდან უნგრეთის პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდა 386-დან 199-მდე;**

**** ულტრა მემარჯვენე, რადიკალური პარტია**

იდეოლოგიურმა ცვლილებამ „Fidesz“-ს საშუალება მისცა მოეხდინა დასუსტებული „უნგრეთის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ წევრების და მისი ელექტორატის აბსორბირება. შედეგად, 1998 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ, იმ დროისთვის 386 ადგილიან პარლამენტში 148 მანდატის მოპოვება შეძლო[323]. მინისტრთა კაბინეტის ფორმირებისთვის ეს რაოდენობა საკმარისი არ იყო. თუმცა, კონსერვატიულ-პოპულისტურ „მცირე მესაკუთრეთა პარტიასა“(FKGP)[324] და მემარჯვენე-ცენტ-

[322] მონაცემები აღებულია უნგრეთის ეროვნული საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან. https://www.valasztas.hu/web/national-election-office; (ბოლო ნახვა 06.11.2021);

[323] საპარლამენტთაშორისო კავშირის(IPU) არქივი. უნგრეთი. http://archive.ipu.org/parline-e/reports/arc/2141_98.htm (ბოლო ნახვა 12.11.2021);

[324] მცირე მესაკუთრეთა პარტია - http://www.fkgp.hu/ (ბოლო ნახვა 12.11.2021);

რისტულ „უნგრეთის დემოკრატიული ფორუმთან“(MDF)[325] გაფორმებული კოალიციური შეთანხმების შემდეგ, „Fidesz“-მა შეძლო მთავრობის ფორმირებისათვის საჭირო მანდატების მოგროვება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი პარტიის ლიდერმა 35 წლის ვიქტორ ორბანმა დაიკავა.[326]

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი ევროსკეპტიკური „Fidesz“-ი რადიკალურად განსხვავდება 1998 წლის პროევროპული და ლიბერალური „Fidesz“-ისაგან. 1998-2002 წლებში ვიქტორ ორბანის მთავრობამ არაერთი წარმატებული ეკონომიკური რეფორმა გაატარა. დაწია გადასახადები, შეამცირა სოციალური დანახარჯები და მოიზიდა უცხოური ინვესტიციები. შედეგად ქვეყანაში უმუშევრობამ ორ პროცენტამდე იკლო და გაჩნდა 150 ათასი ახალი სამუშაო ადგილი. ამასთან, „Fidesz“-ის მმართველობის მეორე ნახევრიდან 2000-2002 წლებში, უნგრეთი რეგიონში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებდა 4-5 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით.[327]

წარმატებული იყო პარტიის საგარეო პოლიტიკაც, რომლის უმთავრეს მიზანს უნგრეთის ევროკავშირსა და ნატოში სრულფასოვანი ინტეგრაცია წარმოადგენდა. სწორედ ვიქტორ ორბანის პრემიერ-მინისტრობის დროს, 1999 წელს, უნგრეთი გაწევრიანდა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში და პარალელურად ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყო ევროკავშირში გასაწევრიანებლად.[328]

მიუხედავად წარმატებული საშინაო და საგარეო პოლიტიკასა, „Fidesz“-მა წააგო 2002 წლის საპარლამენტო არჩევნები და იძულებული გახდა მომდევნო რვა წლით ოპოზიციაში გადასულიყო. ეს მარცხი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. მათ შორის უმთავრეს მიზეზად შიდაკოალიციური პრობლემები უნდა მივიჩნიოთ.

მიუხედავად კოალიციური ხელშეკრულებისა, ხელისუფლებაში ყოფნის პირველივე წლებში, სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები კოალიციაში განხილვის გარეშე, პრემიერ-მინისტრისა და მის ირგვლივ გაერთიანებული „Fidesz“-ის ექვსი გავლენიანი მინისტრისაგან შექმნილი ბირთვის დონეზე ხდებოდა. ამან, ბუნებრივია, კოალიციურ პარტნიორებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან, პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის მხრიდან ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილი იყო პარლამენ-

[325] უნგრეთის დემოკრატიული ფორუმთან - https://tinyurl.com/2avh7azr (ბოლო ნახვა 12.11.2021);
[326] Freedom in the World 1998 - Hungary https://www.refworld.org/docid/5278c66d4.html (ბოლო ნახვა 12.11.2021);
[327] LÁNCZI Tamás. *Why Fidesz Lost: A Successful Government and Unsuccessful Party*.in: PETER UČEŇ and JAN ERIK SUROTCHAK (editors) Explaining the Rise and Fall of the Center-Right Parties in Central Europe 1996-2002. International Republican Institute, Bratislava 2005. გვ. 38;
[328] Fidesz - ოფიციალური ვებ-გვერდი. https://fidesz.hu/int/add-tovabb/our-history (ბოლო ნახვა 12.11.2021);

ტის როლიც, სადაც „Fidesz“-ის წევრები, ძირითადად, სტატიკურ როლს ასრულებდნენ, რადგანაც პრემიერ-მინისტრი პარტიასა და საპარლამენტო ჯგუფში განუზომელი ძალაუფლებით სარგებლობდა. არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ ვ. ორბანისა და ზემოხსენებული ბირთვის მიერ პარლამენტში შეტანილ საკანონმდებლო ინიციატივას რაიმე სახის წინააღმდეგობა ან კრიტიკა შეხვედროდა.[329]

მნიშვნელოვანი უთანხმოების მიუხედავად, არჩევნებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში, 1998-2000 წლებში, კოალიცია მეტ-ნაკლები წარმატებით ინარჩუნებდა სტაბილურობას. თუმცა, დაძაბულობა მატულობდა როგორც „Fidesz“-სა და მის კოალიციურ პარტნიორებს შორის, ასევე ზოგადად მთავრობასა და ოპოზიციას შორისაც.

მმართველმა კოალიციამ პირველი ძლიერი დარტყმა 2000 წელს მიიღო, როდესაც გამოაშკარავდა, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრი და კოალიციის წევრი პარტიის - „FKGP“-ის თავმჯდომარე **იოზეფ ტორდიანი** (József Torgyán)[330] კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობდა.[331] სკანდალი იმდენად ხმაურიანი აღმოჩნდა, რომ ი. ტორდიანს მოუხდა არა მარტო მინისტრის პოსტიდან გადადგომა, არამედ ზოგადად პოლიტიკიდან წასვლა. უნდა აღინიშნოს, რომ „FKGP“-ის წევრთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ მათი პარტიის ლიდერის წინააღმდეგ აგორებული კამპანია უშუალოდ ვიქტორ ორბანის მიერ იყო ორგანიზებული და მიზნად ისახავდა კოალიციური პარტნიორის დასუსტებას და პოლიტიკიდან მის ჩამოცილებას, რადგან კოალიციური შეთანხმებით, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო უნგრეთის პრეზიდენტის პოსტზე სახელისუფლებო კანდიდატი.[332] ამის ნიადაგზე, „FKGP“-ის წევრების ნაწილმა კოალიციური ხელშეკრულების გაუქმება სცადეს, თუმცა მათივე საპარლამენტო ფრაქციამ ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა, რასაც საბოლოოდ პარტიის გახლეჩა და შემდგომში უნგრეთის პოლიტიკური ასპარეზიდან მისი ფაქტიური გაქრობა მოჰყვა.

კორუფციულ სკანდალებს ვერც თავად „Fidesz“-ის წევრები ასცდნენ, რამაც უნგრელ ამომრჩეველში პარტიის მიმართ ძლიერი იმედგაცრუება გამოიწვია. ხელისუფლებაში მოსვლამდე, პარტიის მთავარ წინასაარჩევნო დაპირებას წარმოადგენდა გამეფებული ელიტური კორუფციის

[329] LÁNCZI Tamás. Op.cit. გვ. 31-49;
[330] იოზეფ ტორდიანი - ბიოგრაფია. https://tinyurl.com/24eh525r (ბოლო ნახვა 18.11.2021);
[331] Budapest Business Journal. *30 Years of Freedom: 30 Years of Elections and the Rise and Fall of Parties.* SEP 3, 2020. https://tinyurl.com/msccuerv (ბოლო ნახვა 18.11.2021);
[332] How did Victor Orban become the Prime-Minister in 1998? In: Hungarian Spectrum. 17.06.2020. https://hungarianspectrum.org/tag/orban-government-1998-2002/ (ბოლო ნახვა 18.11.2021);

წინააღმდეგ ბრძოლა[333], რაც ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესთან იყო დაკავშირებული.

ამრიგად, ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით „Fidesz"-ი დამარცხდა 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში. უნგრეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვიქტორ ორბანი სოციალისტური პარტიის (MSZP)[334] ლიდერმა **პეტერ მედიეშმა** (Péter Medgyessy) ჩაანაცვლა, რომელმაც საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირებისათვის კოალიციური ხელშეკრულება გააფორმა „თავისუფალ დემოკრატთა ალიანსთან" (SZDSZ)[335]. აღნიშნულმა კოალიციამ 2006 წელს კიდევ ერთხელ შეძლო უნგრეთის პარლამენტის არჩევნებში გამარჯვება. ამჯერად, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი **ფერენც დიურჩანიმ** (Ferenc Gyurcsány)[336] დაიკავა.

სოციალისტური პარტიის მმართველობა, განსაკუთრებით კი ხელისუფლებაში მისი ყოფნის მეორე ვადა 2006-2010 წლებში, უხვად იყო გაჯერებული როგორც პოლიტიკური სკანდალებით, ისე ეკონომიკური ჩავარდნებით. საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში, 2006 წლის შემოდგომაზე, უნგრეთის სახელმწიფო რადიომ გამოაქვეყნა პრემიერ-მინისტრ ფერენც დიურჩანის ფარული ჩანაწერი, სადაც, ეს უკანასკნელი, საკუთარი პარტიის დახურულ შეხვედრაზე გამოსვლისას აცხადებდა, რომ არჩევნების მოსაგებად პარტია და მინისტრთა კაბინეტი ბოლო ორი წელია უნგრეთის მოსახლეობას ურცხვად ატყუებდნენ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით[337]. ჩანაწერების გამოქვეყნებამ უნგრეთის მოსახლეობაში დიდი აღშფოთება გამოიწვია, რასაც ქვეყნის მასშტაბით არაერთი მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ხელისუფლებას მანიფესტაციების დაშლა ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებითაც კი მოუხდა.[338] პოლიტიკურ კრიზისს 2008 წლიდან ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესებაც დაერთო. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, „ვიშეგრადის ოთხეულის" ქვეყნებიდან, ყველაზე მძიმე დარტყმა სწორედ უნგრეთს მიაყენა. ამის მიზეზი უნგრეთის სოციალისტური მთავრობის მიერ გატარე-

[333] LÁNCZI Tamás.op. cit. გვ. 41;
[334] უნგრეთის სოციალისტური პარტია - ოფიციალური ვებ-გვერდი. https://mszp.hu/ (ბოლო ნახვა 18.11.2021);
[335] Alliance of Free Democrats - Encyclopedia Britannica. ელექტრონული გამოცემა. https://tinyurl.com/2p8pbs6y (ბოლო ნახვა 18.11.2021);
[336] ფერენც დურჩანი - ბიოგრაფია. Encyclopedia Britannica. ელექტრო¬ნუ¬ლი გამოცემა. https://www.britannica.com/biography/Ferenc-Gyurcsany (ბოლო ნახვა 18.11.2021);
[337] The Guardian. Hungary PM: we lied to win election. 18 Sept. 2006. https://www.theguardian.com/world/2006/sep/18/1 (ბოლო ნახვა 19.11.2021);
[338] LAUER Kathrin. *Wir haben das Volk belogen*. Süddeutsche Zeitung. 19. September 2006. https://tinyurl.com/59wh543p (ბოლო ნახვა 19.11.2021);

ბულ არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ უნგრეთის სახელმწიფო ვალი მის მშპ-სთან მიმართებით დაახლოებით 90 პროცენტს შეადგენდა. ვიქტორ ორბანის პრემიერ-მინისტრობის პირველი ვადის დასასრულს, 2001 წლისათვის, აღნიშნული მაჩვენებელი 50 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა, 2002 წლის შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ კვლავ დაიწყო ვალის აღება და მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებისათვის უნგრეთის სახელმწიფო ვალი მშპ-ის 65 პროცენტს გაუტოლდა. შედარებისთვის, აღნიშნული მაჩვენებელი ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთში მშპ-ის 30 პროცენტზე ნაკლები იყო, ხოლო პოლონეთში 50 პროცენტს შეადგენდა. გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდის ორ პროცენტიანი მაჩვენებლით უნგრეთი საგრძნობლად ჩამორჩებოდა „V4“-ის დანარჩენ ქვეყნებს, სადაც ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ შვიდ პროცენტს შეადგენდა.[339]

სავარაუდოდ, სწორედ ზემოთ მოყვანილი პოლიტიკური და ეკონომიკური შეცდომები გახდა 2010 წლის საპარლამენტო არჩევნებში უნგრეთის სოციალისტური პარტიის კატასტროფული მარცხის მიზეზი, რამაც ვიქტორ ორბანის „Fidesz“-ს უნგრეთის ხელისუფლებაში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლის საშუალება მისცა. 2010 წლის აპრილში გამართულ არჩევნებში „Fidesz“-მა უნგრეთის პარლამენტში არსებული 386 ადგილიდან 263-ის მოპოვება შეძლო.[340] ამ გამარჯვებით „Fidesz“-ისა და ზოგადად უნგრეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო.

2010 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „Fidesz“-ის წინასაარჩევნო პლატფორმის ძირითად პოსტულატს წარმოადგენდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნა, რომელიც შეძლებდა ქვეყნის გამოყვანას არსებული ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან. ამასთან ვიქტორ ორბანი უნგრეთის მოსახლეობას ჰპირდებოდა საერთაშორისო არენაზე უნგრეთის ეროვნული ინტერესების აქტიურ დაცვას და ქვეყნის სუვერენიტეტის გაძლიერებას. ეკონომიკური მიმართულებით „Fidesz“-ის მთავარ ამოცანას ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკის გამკაცრება და უნგრეთში საშუალო ფენის, როგორც საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალის, გაძლიერება და წახალისება წარმოადგენდა.

პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის კიდევ ერთ, შეიძლება ითქვას,

[339] HORVATH Julius. *2008 Hungarian Financial Crisis*. in: CASE(Center for Social and Economic Research) Network E-briefs. January 2009. https://www.files.ethz.ch/isn/137987/01_2009.pdf (ბოლო ნახვა 21.11.2021);

[340] CNN. *Center-right Fidesz party sweeps to victory in Hungary.* https://tinyurl.com/bdhr9ans; (ბოლო ნახვა 21.11.2021). April 26, 2010;

უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენდა უნგრული პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის თემა. ვ. ორბანი უნგრელებს დაკარგული ეროვნული სიამაყის დაბრუნებას და მეზობელ ქვეყნებში მცხოვრები უნგრული უმცირესობის ინტერესების აქტიურ დაცვას ჰპირდებოდა.[341]

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის **სტივ ლევიცკის** (Steve Levitsky)[342] განცხადებით, დღეისათვის „დემოკრატიები იღუპებიან არა გენერლების, არამედ არჩეული ლიდერების - პრეზიდენტების ან პრემიერ-მინისტრების ხელით, რომლებიც ძირს უთხრიან იმ პროცესს, რომელმაც ისინი ხელისუფლებაში მოიყვანა“[343]. ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება 2010 წლის შემდეგ უნგრეთში განვითარებულ მოვლენებს.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „Fidesz“-მა თანმიმდევრულად და ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების „რეფორმირება“, რაც რეალურად მათზე კონტროლის მოპოვებას ისახავდა მიზნად.

პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ვიქტორ ორბანისთვის, ძალაუფლების განმტკიცებისაკენ მიმართული ცვლილებების განხორციელების გზაზე, მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორს უნგრეთის დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენდა. პრობლემის გადასაჭრელად „Fidesz“-მა საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირების პროცესი დაიწყო, შეამცირა მოსამართლეთა რაოდენობა, შეცვალა მათი დანიშვნის წესი და შეუზღუდა იურისდიქციის სფერო[344]. ცვლილების შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლო „Fidesz“-ისადმი ლოიალური მოსამართლეებით დაკომპლექტდა, რამაც ვიქტორ ორბანს საშუალება მისცა ქვეყნის კონსტიტუცია დაუბრკოლებლად შეეცვალა საკუთარი შეხედულების შესაბამისად.

2010 წლიდან მოყოლებული, ვ. ორბანის მთავრობამ უნგრეთის კონსტიტუციაში ორმოცდაათამდე სხვადასხვა სახის ცვლილება შეიტანა,[345] რაც პრემიერ-მინისტრის და მმართველი პარტიის ხელში ძალაუფლების კონსოლიდაციას ემსახურებოდა. საკონსტიტუციო რეფორმების პარალელურად, „Fidesz“-მა ცვლილებები განახორციელა საარჩევნო სისტემაშიც. პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდა 386-დან 199-მდე, კენჭის-

[341] RAJCSÁNYI Gellért. *Viktor Orbán's Hungary: Orbanist Politics and Philosophy from a Historical Perspective*. in: Political Change. Konrad Adenauer Stiftung. https://tinyurl.com/5nu5nedw (ბოლო ნახვა 25.11.2021). გვ. 123-134;
[342] Steve Levitsky – ბიოგრაფია. https://scholar.harvard.edu/levitsky/home (ბოლო ნახვა 25.11.2021);
[343] LEVITSKY Steven & ZIBLATT Daniel. *How Democracies Die*. Penguin Random House LLC, New York 2018. გვ.3. [Democracies may die at the hands not of generals but of elected leaders - presidents or prime ministers who subvert the very process that brought them to power] არაოფიციალური თარგმანი;
[344] HALMAI Gabor. Hungary's illiberal turn: Disabling the constitution. 2015;
[345] იქვე;

ყრის ორი ტური შეიცვალა ერთით, ხოლო საარჩევნო ოლქები „Fidesz“-ის სასარგებლოდ იმდაგვარად გადანაწილდა, რომ არჩევნების გზით, სხვა პარტიებისთვის Fidesz“-ის დამარცხება თითქმის შეუძლებელი გახდა[346].

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2014 და 2018 წლების არჩევნებში, მიუხედავად პროცენტულად მიღებული ამომრჩეველთა ხმების ნაკლები რაოდენობისა, „Fidesz“-მა შეძლო პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის შენარჩუნება (იხ. ცხრილი 9).

ცხრილი 9[347]

უნგრეთის პარლამენტის 2010-2018 წწ არჩევნებში სხვაობა პარტიების მიერ მიღებული ხმების წილსა და მათ მიერ პარლამენტში მოპოვებულ მანდატების წილს შორის

	2010 წლის არჩევნები			2014 წლის არჩევნები			2018 წლის არჩევნები		
	ხმები %	მანდ. %	სხვაობა	ხმები %	მანდ. %	სხვაობა	ხმები %	მანდ. %	სხვაობა
Fidesz	52,7	67,9	**+15,2**	44,9	66,8	**+21,9**	49,3	66,8	**+17,5**
MSzP	19,3	15,3	**-4,0**	25,6	19,1	**-6,5**	11,9	10,1	**-1,8**
Jobbic	16,7	12,2	**-4,5**	20,2	11,6	**-8,6**	19,1	13,1	**-6,0**
LMP	7,5	4,2	**-3,3**	5,3	2,5	**-2,8**	7,1	4,0	**-3,1**
DK							5,4	4,5	**-0,9**

ამასთან, 2010 წლის ივლისში შეიქმნა „მედიისა და ინფოკომუნიკაციების ეროვნული სააგენტო“ (NMHH)[348], რომლის უმთავრეს ამოცანას უნგრეთის მედიაში ახალი ამბების „დაბალანსებულად და მიუკერძოებლად“ მიწოდების მონიტორინგი წარმოადგენს. რეალურად კი, სააგენტო, რომლის ხელმძღვანელსაც უშუალოდ პრემიერ-მინისტრი ნიშნავს,[349] შეზღუდვებისა და ჯარიმების დაწესების გზით, ზეწოლას ახორციელებს უნგრეთში არსებულ დამოუკიდებელ და ოპოზიციურად განწყობილ მედიაზე.[350]

[346] LENDVAI Paul. *Hungary: Between Democracy and Authoritarianism*. Columbia University Press, New York. 2012. გვ.226;
[347] KNIGHT Skylar G. *Dismantling Democracy: The Orbanization of Hungary.* Illiberalism Studies Program Working Papers. George Washington University. 2021. გვ. 12;
[348] NMHH - ოფიციალური გვერდი. https://english.nmhh.hu/ (ბოლო ნახვა 26.11.2021);
[349] NMHH Independence - http://medialaws.ceu.hu/media_authority_independence_more.html (ბოლო ნახვა 28.11.2021);
[350] ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მემორანდუმი უნგრეთში გამოხატვისა და მედია თავისუფლების კუთხით. https://tinyurl.com/2p8xrzxz (ბოლო ნახვა 28.11.2021);

ამრიგად, „Fidesz“-მა ლეგალურად, დემოკრატიული საშუალებების გამოყენებით, უნგრეთში მმართველობის ისეთი სისტემა დაამკვიდრა, სადაც პარლამენტი, პრეზიდენტის ინსტიტუტი, სასამართლო ხელისუფლება, მედია და კონსტიტუციაც კი, ერთი პარტიის სამსახურში ჩადგა. შეიქმნა ვითარება, როდესაც „უნგრეთის სახელმწიფო წარმოადგენს მმართველი პარტიის გაგრძელებას: [სადაც] სახელმწიფო არის „Fidesz“-ი და „Fidesz“-ი არის სახელმწიფო“[351].

ვიქტორ ორბანის მმართველობის პერიოდში, ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან, ყველაზე დიდი და სწრაფი დემოკრატიული ეროზია უნგრეთმა განიცადა. მაგალითისთვის საკმარისია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ (Freedom House) 2020 წლის ანგარიშიც, სადაც, უნგრეთში ე. წ. „დემოკრატიის ინდექსი“ „კონსოლიდირებული დემოკრატიიდან“ „ნახევრად კონსოლიდირებულ დემოკრატიამდე“ დაქვეითდა.[352]

საკუთარი ძალაუფლების კიდევ უფრო განსამტკიცებლად, ვიქტორ ორბანმა კარგად გამოიყენა მსოფლიოში 2019 წლის ბოლოს დაწყებული გლობალური კორონავირუსის (Covid-19) პანდემია. 2020 წლის დასაწყისში, უნგრეთმა, ისევე როგორც ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ, პანდემიის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. თუმცა, დანარჩენი ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, უნგრეთის ხელისუფლება მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით არ შემოიფარგლა და 2020 წლის 30 მარტს უნგრეთის პარლამენტმა დაამტკიცა „გადაუდებელი ზომების შესახებ სპეციალური აქტი“,[353] რომელიც საშუალებას აძლევდა პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს საკუთარი განკარგულებების საფუძველზე, პარლამენტის გვერდის ავლით, ემართა ქვეყანა. უნგრეთის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას მაშინვე მოყვა უარყოფითი რეაქცია საერთაშორისო დონეზე. კრიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ვიქტორ ორბანმა კორონავირუსის პანდემია გამოიყენა ფაქტობრივად სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად.

დემოკრატიული უკუსვლა შეუმჩნეველი არ დარჩენია არც ევროსაბჭოს და ევროკავშირს, რომელთა მხრიდანაც უნგრეთის ხელისუფლების მისამართით არაერთი მკაცრი განცხადება გაკეთდა. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის **მარია პეიჩინოვიჩ-ბურიჩის (Marija Pejčinović Burić)**

[351] KNIGHT Skylar G. op. cit. გვ. 6;
[352] Freedom House- Hungary. https://freedomhouse.org/country/hungary/freedom-world/2020 (ბოლო ნახვა 28.11.2021);
[353] Kakissis Joanna. *New Law Gives Sweeping Powers To Hungary's Orban, Alarming Rights Advocates*. NPR, April 21, 2020. https://tinyurl.com/4yjz6kwv (ბოლო ნახვა 21.03.23);

მიერ, 2020 წლის 24 მარტს, ვ. ორბანისადმი მიწერილ წერილში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „ეს ზომები ზღუდავს უნგრეთის კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ პიროვნების ინდივიდუალურ უფლებებსა და თავისუფლებებს.“ ამასთან, „განუსაზღვრელი და უკონტროლო საგანგებო მდგომარეობის პირობებში არ არსებობს გარანტია, რომ დაცული იქნება დემოკრატიის ძირითადი პრინციპები“.[354] გარდა ამისა ევროკავშირის ცამეტმა წევრმა სახელმწიფომ, მათ შორის დიდმა ქვეყნებმა, (საფრანგეთმა, გერმანიამ) გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, გამოხატეს ღრმა შეშფოთება უნგრეთში კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ფუნდამენტური უფლებების პრინციპების დარღვევის რისკის გამო.[355]

ევროკომისიის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჟან კლოდ იუნკერმა ღიად მოუწოდა ევროპელ პოლიტიკოსებს უნგრეთთან მიმართებით მკაცრი პოზიცია დაეკავებინათ და „გადღაბნილი გზავნილების ნაცვლად“ ორბანის ხელისუფლებასთან მკაფიო და გასაგები ენით ესაუბრათ.[356]

2022 წლის 18 სექტემბერს, ევროკომისიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება და პირველად გამოიყენა ე. წ. „პირობითობის მექანიზმი“ (conditionality mechanism), რითაც დროებით შეუჩერა უნგრეთის ხელისუფლებას წვდომა ევროკავშირის კოვიდპანდემიის შედეგების აღმოსაფხვრელად შექმნილ ფონდზე, საიდანაც უნგრეთს ჯამში 15,4 მილიარდი ევრო უნდა მიეღო, 5,8 მილიარდი -- გრანტის, ხოლო 9,6 მილიარდი -- შეღავათიანი სესხის სახით.[357] ევროკომისიის ოფიციალურ განცხადებაში აღინიშნა, რომ ზემოხსენებულ თანხებზე წვდომის მოსაპოვებლად, უნგრეთის ხელისუფლებამ უნდა გადაედგა ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების მიმართულებით. უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა „თავხედური“ უწოდა ბრიუსელის ამ გადაწყვეტილებას და ბრალი დასდო ევროკავშირს არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილების

[354] Letter from Council of Europe Secretary General Marija Pejčinović Burićევროპის საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდი. https://tinyurl.com/mt3w5yra (ბოლო ნახვა 21.03.23); [These measures are restricting a number of individual rights and liberties enshrined in constitutions and in the European Convention on Human Rights. ... An indefinite and uncontrolled state of emergency cannot guarantee that the basic principles of democracy will be observed] არაოფიციალური თარგმანი;

[355] Bayer Lili. *13 countries 'deeply concerned' over rule of law*. ჟურნალი POLITICO. April 1, 2020. https://tinyurl.com/2z7ztjpw (ბოლო ნახვა 23.ო3.2023);

[356] What should the EU do about Hungary? ჟურნალი POLITICO. April 14, 2020. https://tinyurl.com/2p84d2ch (ბოლო ნახვა 28.11.2021);

[357] ევროკავშირის საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდი. Rule of law conditionality mechanism: Council decides to suspend €6.3 billion given only partial remedial action by Hungary. https://tinyurl.com/3d3ank3n (ბოლო ნახვა 28.11.2021);

მიღებაში. მიუხედავად ხისტი განცხადებებისა, უნგრეთის ხელისუფლებას მაინც მოუხდა დათმობებზე წასვლა და შედეგად, მიღწეული იქნა შეთანხმება, უნგრეთში განსახორციელებელ რეფორმათა ჩვიდმეტპუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით. გეგმა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კორუფციის წინააღმდეგ ინსტიტუციური ქმედებების ეფექტურობის და პარლამენტის საკანონმდებლო ზედამხედველობის ფუნქციის გაზრდა, სასამართლო და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება, მათ შორის ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და ა. შ. აღნიშნული რეფორმების გასატარებლად უნგრეთის ხელისუფლებას ვადა 2023 წლის ბოლომდე აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის საბოლოოდ დაკარგავს წვდომას ზემოხსენებული ფონდზე.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ევროკავშირია ბოლო იმედი უნგრეთის დემოკრატიის გადასარჩენად. აღნიშნულ პოზიციას ევროკავშირის ბევრი ყოფილი და მოქმედი პოლიტიკოსიც იზიარებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უნგრეთის პოზიცია უკრაინაში რუსეთის შეჭრასთან და საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებისთვის, „ნაკლები ევროპა ავტომატურად ნიშნავს მეტ რუსეთს“. სწორედ ასეთ ვითარებას ვადევნებთ თვალს უნგრეთის შემთხვევაში. როდესაც ევროკავშირის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა გმობს რუსეთის აგრესიას და საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ეხმარება უკრაინის ხელისუფლებას როგორც სამხედრო, ისე ჰუმანიტარული კუთხით, უნგრეთის ხელისუფლება რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს კონტრპროდუქტიულად მიიჩნევს და მისი გაუქმების მოთხოვნით გამოდის. მაშინ როცა, ევროპის დედაქალაქები მოფენილია უკრაინის დროშებით, ბუდაპეშტში, „Fidesz“-ის მთავრობამ ქუჩები რუსეთისათვის დაწესებული სანქციების მოხსნის მხარდამჭერი ბილბორდებით ააჭრელა. ამასთან ვ. ორბანი თვლის, რომ დასავლეთი ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ვლადიმერ პუტინს არ შეუძლია წააგოს ომი უკრაინაში. ეს მარცხი მისი კარიერის დასასრული იქნება, რასაც ვერ დაუშვებს ბირთვული სახელმწიფოს ლიდერი. ამასთან, რუსეთი არ შეეგუება არც უკრაინის ნატოში გაწევრიანებას და თუ ამ ეტაპზე ვერ მოახერხებს მის დაპყრობას ან იქ რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი რეჟიმის ხელისუფლებაში მოყვანას, ის უკრაინას ნანგრევებად, ფაქტიურად მეორე ავღანეთად

აქცევს, რითაც დაუკარგავს მას მიმზიდველობას დასავლეთის თვალში.[358] სწორედ ამიტომ ვ. ორბანი მიიჩნევს, რომ უნგრეთმა „... რუსეთ-უკრაინის ომს თავი უნდა დაანებოს“[359].

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის ხელისუფლებამ დაგმო უკრაინაში რუსეთის შეჭრა, მისი ქმედება პოლიტიკური განცხადებებს არ გაცდენია. უნგრეთს არ სურს რუსეთთან ეკონომიკური კავშირების შემცირება. კერძოდ, ბუდაპეშტმა უარი განაცხადა უნგრეთში მდებარე პაკსის ატომური სადგურის გაფართოების შეჩერებაზე, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია „როსატომი“ აფინანსებს. გარდა ამისა, ბუდაპეშტი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა რუსული ბუნებრივი წიაღისეულის იმპორტზე სანქციების დაწესებას.

უნგრეთის მთავრობის „დაბალანსებული პოლიტიკა“ უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით, კარგად ასახავს ვიქტორ ორბანის საერთო იდეოლოგიურ პოზიციას, რომელიც ბრიუსელსა და კრემლს შორის ლავირებას გულისხმობს, ისევე როგორც, უნგრეთის ეკონომიკურ პოზიციას ევროკავშირის სუბსიდიებსა და რუსეთის იაფ ენერგომატარებლებს შორის;

უნგრეთში დემოკრატიის უკუსვლის ანალიზისას თვალშისაცემი ხდება, რომ ლომის წილი ამ პროცესებში ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას და უშუალოდ პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს მიუძღვით. თუმცა, გასათვალისწინებელია უნგრული საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების თავისებურება და პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტე. „ორბანის გზა არალიბერალიზმისკენ გაამარტივა [საზოგადოებაში] ღრმად ფესვგადგმულმა არალიბერალურმა დამოკიდებულებამ, რწმენამ და ნორმებმა.“[360]

დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავად ვიქტორ ორბანის პიროვნულმა თვისებებმა და მისმა ქარიზმამ. ვიქტორ ორბანმა - რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით - მოახერხა დაერწმუნებინა უნგრელი ამომრჩეველი, რომ მხოლოდ მას და მის პარტიას შესწევდათ უნარი დაებრუნებინა უნგრეთისთვის საუკუნის წინ,

[358] DREHER Rod. *Viktor Orban: West Is 'In A War With Russia*. The American Conservative. 26.01.23. https://tinyurl.com/2p8n623x (ბოლო ნახვა 28.03.23);
[359] გაზეთი Hungary Today. *Viktor Orbán Holds State of the Nation Address*. 18 თებერვალი 2023. https://tinyurl.com/2p92xpkx (ბოლო ნახვა 28.03.23);
[360] KNIGHT Skylar G. op. cit. გვ. 10. [Orbán's path to illiberalism was made easier by deep-rooted illiberal attitudes, beliefs, and norms] არაოფიციალური თარგმანი;

1920 წლის „ტრიანონის ხელშეკრულებით“[361] დაკარგული ეროვნული სიამაყე. ამასთან, ორბანი ღიად აცხადებდა, რომ სწორედ მისი პარტია „წარმოადგენდა „ნამდვილ“ უნგრელ ხალხს: კონსერვატიულ, ქრისტიან მადიარებს [უნგრელებს]“[362].

რადიკალური და პოპულისტური განწყობების ზრდა ჩეხეთში

ბოლო საპარლამენტო არჩევნები ჩეხეთში 2021 წლის 6 - 9 ოქტომბერს გაიმართა და მოულოდნელი შედეგით დასრულდა. წინასაარჩევნოდ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის ყველა კვლევა გამარჯვებას მოქმედი პრემიერ-მინისტრის მოძრაობა „ANO“-ს უწინასწარმეტყველებდა, თუმცა არჩევნები ოპოზიციური კოალიციის გამარჯვებით დასრულდა, რაც მოქალაქეთა უპრეცედენტო აქტივობას უნდა მივაწეროთ. 2021 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ჩეხეთის მოქალაქეთა 65,43 პროცენტმა, რაც 1998 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მინიმალური ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვა მხოლოდ ოთხმა პოლიტიკურმა სუბიექტმა შეძლო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამარჯვება მოიპოვა ოპოზიციურმა კოალიცია „SPOLU“-მ *(ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, სამოქალაქო-დემოკრატიული პარტია, ცენტრისტული პარტია „ტოპ-09“)*. კოალიციამ ამომრჩეველთა ხმების 27,79 პროცენტი მიიღო და 71 მანდატი მოიპოვა დეპუტატთა პალატაში. მეორე ადგილზე, 27,12-პროცენტიანი მხარდაჭერით, გავიდა მმართველი პარტია „ANO“, რომელმაც, არჩევნები მხოლოდ ნახევარპროცენტიანი სხვაობით წააგო კოალიცია „SPOLU“-სთან.[363] მესამე ადგილზე გავიდა მემარცხენე-ცენტრისტული კოალიცია „PirSTAN“ *(მეკობრეები (Piráti), ქალაქის მერები და დამოუკიდებლები (STAN)),* რომელმაც 15,62-პროცენტიანი მხარდაჭერით 37 მანდატი მოიპოვა. მას 9,56-პროცენტიანი მხარდაჭერით მოსდევს ულტრამემარჯვენე, ევროსკეპტიკური პარტია „თავისუფლება და პირდაპირი დემოკრატია“ (Svoboda a přímá demokracie –SPD), რომელსაც პარლამენტში 20 მანდატი ექნება.

2021 წლის არჩევნების შედეგების ანალიზისას, საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება, 1990 წლის „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ

[361] ამ ხელშეკრულებით მსოფლიო ომში დამარცხებული ავსტრია-უნგრეთის იმპერიის უნგრეთის ნაწილის (უნგრეთის სამეფოს) 1914 წლამდე არსებული ტერიტორიის 60 პროცენტზე მეტი გადაეცა მეზობელ სახელმწიფოებს - რუმინეთს, ჩეხოსლოვაკიას, იუგოსლავიას და ავსტრიას, სადაც დარჩა საკმაოდ დიდი უნგრული მოსახლეობა.

[362] იქვე. [represent Hungary’s “true” people: conservative Christian Magyars] არაოფიციალური თარგმანი;

[363] HUTT David. Six takeaways from the Czech Republic's historic election. Euronews 13.10.2021. https://tinyurl.com/2cekhubk (ბოლო ნახვა 03.12.2021);

პირველად, ჩეხეთის კომუნისტურმა პარტიამ ვერ შეძლო კანონმდებლობით დაწესებული მინიმალური ზღვარის გადალახვა და ხმების 3,68 პროცენტით პარლამენტს მიღმა დარჩა. პარტიის ხელმძღვანელობა, მისი ლიდერის **ვოიტეხ ფილიპის (Vojtěch Filip)** ჩათვლით, თანამდებობიდან გადადგა.[364] ასევე, დამოუკიდებელი ჩეხეთის ისტორიაში პირველად, დეპუტატთა პალატაში აღარ იქნება წარმოდგენილი მემარცხენე „სოციალ-დემოკრატიული“ პარტია, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 4,6 პროცენტი მიიღო და ვერც მან შეძლო მინიმალური ზღვარის გადალახვა. კომუნისტური პარტიის ლიდერის მსგავსად, სოციალ-დემოკრატების თავმჯდომარე **იან ჰამაჩეკმაც (Jan Hamáček)**, არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე დატოვა თანამდებობა.[365] ანალიტიკოსების მოსაზრებით, სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების მარცხის მიზეზი უნდა ვეძებოთ ყოფილი პრემიერ-მინისტრ ანდრეი ბაბიშის პარტია „ANO“-სთან მათ კოალიციურ თანამშრომლობაში.

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, გამარჯვებულმა კოალიცია „SPOLU“-მ, მემორანდუმი გააფორმა მესამე ადგილზე გასულ ოპოზიციურ კოალიცია PirSTAN“-თან, რითაც 200-ადგილიან ჩეხეთის პარლამენტში ჯამურად 108 მანდატის მობილიზება შეძლო და მთავრობის ფორმირებისათვის საჭირო უმრავლესობა მოიპოვა.[366] ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი კი „SPOLU“-ში შემავალი „სამოქალაქო დემოკრატიული პარტიის“ (Občanská demokratická strana -ODS) ლიდერმა **პეტრ ფიალამ (Petr Fiala)**[367] დაიკავა.

პროევროპული ორიენტაციის კოალიციების „SPOLU“-სა და PirSTAN“-ის მიერ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებამ საგრძნობლად განამტკიცა ჩეხეთის იმიჯი დასავლეთში. კოალიციის საგარეო პოლიტიკის ძირითად ღერძს წარმოადგენს პრო-დასავლური ორიენტაცია, ნატო-სა და ევროკავშირის პრინციპებისადმი ერთგულება, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული „ვაცლავ ჰაველის დროინდელი“ საგარეო პოლიტიკის ტრადიციის აღდგენა.[368]

თუმცა, პოპულიზმისა და ევროსკეპტიკურ ტალღას ბოლომდე ვერც ჩეხეთი გაექცა. ამ პროცესის კულმინაციას 2017 წელს ჩეხეთის პრემიერ-

[364] McENCHROE Tom. *Communist Party leadership collectively resigns after election defeat.* Radio Prague International. 10.09.202. https://tinyurl.com/2p8h3yxn (ბოლო ნახვა 03.12.2021);
[365] McENCHROE Tom. *Social Democrat leader Jan Hamáček to resign after poor election result.* Radio Prague International. 10.09.202. https://tinyurl.com/mu99uzhm (ბოლო ნახვა 05.12.2021);
[366] გაზეთი „Prague Morning“. https://tinyurl.com/ytzye2ss. 8.11.2021. (ბოლო ნახვა 05.12.2021);
[367] პეტრ ფიალა - ბიოგრაფია. https://tinyurl.com/3dd3s33c (ბოლო ნახვა 05.12.2021);
[368] JUREČKOVÁ Adéla. Am Ende der Ära Babiš? Tschechien zwischen Vergangenheit und Zukunft. Heinrich Böll Stiftung. 13.10. 2021;

მინისტრად მილიარდერ **ანდრეი ბაბიშის (Andrej Babiš)** არჩევა წარმოადგენდა. თუმცა ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო.

ჩეხეთის მოსახლეობაში ევროკავშირის მიმართ ორჭოფული დამოკიდებულება ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას უნდა მივაწეროთ. ჩეხი ხალხი არაერთი საუკუნის განმავლობაში განიცდიდა შევიწროებას ავსტრიის, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის, გერმანიის მესამე რაიხისა თუ საბჭოთა კავშირის მხრიდან. შესაბამისად, ჩეხები ეჭვის თვალით უყურებენ ყველა სახის სუპრა-ნაციონალურ (ზესახელმწიფოებრივ) გაერთიანებას.[369].

ამასთან, 2003 წელს, ვაცლავ ჰაველის შემდეგ, ჩეხეთის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა კონსერვატიული და ევროსკეპტიკური შეხედულებების პოლიტიკოსმა ვაცლავ კლაუსმა, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყანაში ანტიევროპული განწყობების კულტივირებას. სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში მუშაობისას, 2016-2018 წლებში, საშუალება მომეცა პირადად გამეცნო ბატონი ვაცლავ კლაუსი, რომლის მეუღლეც, **ლივია კლაუსოვა (Livia Klausová)[370],** იმავე წლებში სლოვაკეთში ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო. პირად საუბრებში ბატონი კლაუსი კვლავ აქტიურად აკრიტიკებდა ევროპულ ინსტიტუციებს და მზარდ ევროპულ ბიუროკრატიას.

ჩეხეთის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას კლაუსი ღიად და დაუფარავად აკრიტიკებდა ევროკავშირსა და მის ინსტიტუციებს. თავად კლაუსი საკუთარ თავს ევრო-რეალისტს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ „ევროკავშირში გარკვეული საკითხების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება მისი ცხოვრების მუდმივად თანმდევი ნაწილია“.[371] ბედის ირონიით, სწორედ ვ. კლაუსის პრეზიდენტად არჩევიდან ერთ წელიწადში ჩეხეთი გახდა ევროკავშირის წევრი. მაშინ, ჩეხი მოქალაქეების განწყობის გათვალისწინებით, ვ. კლაუსს ხელი არ შეუშლია ამ პროცესისათვის.

პროევროპული განწყობებით არც ვაცლავ კლაუსის შემცვლელი, ჩეხეთის მომდევნო პრეზიდენტი **მილოშ ზემანი (Miloš Zeman)[372]** გამოირჩეოდა. თუმცა, კლაუსისაგან განსხვავებით, პრეზიდენტ ზემანს თვალსაზრისი შეეცვალა მისი კარიერის დასასრულისკენ. 1990-იანი წლების ბოლოს, როდესაც მილოშ ზემანს ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა,

---

[369]BENEŠ Ví t. *Czech Euroscepticism*. Friedrich Ebert Stifftung. 2010;

[370] ლივია კლაუსოვა- ბიოგრაფია. https://www.extra.cz/tema/livie-klausova; (ბოლო ნახვა 11.12.2021);

[120] MILLER Daniel E. *The Influence of Václav Klaus on Czech Public Opinion Regarding the European Union*. In: The Carl Beck Papers in Russia and East European Studies. University of Pittsburgh. 2017. გვ. 3. [My critical opinions about certain things in the European Union are constants of my life] არაოფიციალური თარგმანი;

[372] მილოშ ზემანი - ბიოგრაფია. https://tinyurl.com/bdd79mtt (ბოლო ნახვა 12.12.2021);

ის ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის აქტიური მომხრე და ინიციატორიც კი იყო. სწორედ მილოშ ზემანის პრემიერ-მინისტრობის დროს 1999 წელს გახდა ჩეხეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი.

ჩეხეთში ანტიევროპული განწყობების გაძლიერებას საგრძნობლად შეუწყო ხელი 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და 2010 წლიდან დაწყებულმა მიგრაციულმა პრობლემებმა. ამასთან, 2010 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების მიმართ ჩეხი მოქალაქეების უკმაყოფილება. სოციალური კვლევების მიხედვით, ჩეხეთში მოქმედი პოლიტიკური სისტემის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი.[373] ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა ხელი შეუწყვეს ჩეხეთში პოპულისტური პარტიების პოპულარობის ზრდას (იხ. ცხრილი 10).

ამ პროცესმა პიკს 2017 წელს მიაღწია, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში ხმათა 29,6 პროცენტით გამარჯვება მოიპოვა მილიარდერ **ანდრეი ბაბიშის** მოძრაობა „ANO“-მ, რომელმაც ჩეხეთის დეპუტატთა პალატაში 78 მანდატი მიიღო. პარტიამ კოალიციური ხელშეკრულება გააფორმა ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიულ(ČSSD) და ბოჰემიისა და მორავიის კომუნისტურ (KSČM) პარტიებთან, რითაც მოახერხა მთავრობის ფორმირებისათვის საჭირო მანდატების მოპოვება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი კი თავად ანდრეი ბაბიშმა დაიკავა.[374]

პარტია „ANO“ (Akce nespokojených občanů – „უკმაყოფილო მოქალაქეთა მოძრაობა“), რომლის აკრონიმიც ჩეხურად „დიახ“-ს ნიშნავს, 2011 წელს დაარსდა როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა და მის უმთავრეს ამოცანას ხელისუფლების მაღალ ეშელონებში გამეფებული კორუფციისა და არაპროფესიონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

პარტია თავიდანვე გამოირჩეოდა პოპულისტური მიდგომებით, მისი ლიდერი, მილიარდერი ანდრეი ბაბიში, ტრადიციულ პოლიტიკური პარტიების მწვავე კრიტიკის პარალელურად აცხადებდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სახელმწიფოს წარმართავდა ისე, როგორც მის საკუთრებაში არსებულ ბიზნესკომპანიას, რითაც უზრუნველყოფდა სახელმწიფო ინსტიტუციების ეფექტურ ფუნქციონირებას[375].

---

[373] HAVLÍK Vlastimil. *The Economic Crisis in the Shadow of Political Crisis: The Rise of Party Populism in the Czech Republic*. in: Hanspeter Kriesi and Takis S. Pappas (eds.) European Populism in the Shadow of the Great Recession. Colchester: ECPR Press 2015. გვ. 199-216;

[374] BBC News. Czech election: Billionaire Babis wins by large margin. 22.10. 2010. https://www.bbc.com/news/world-europe-41708844 (ბოლო ნახვა 13.12.2021);

[375] KOPEEK Lubomír. "I am Paying, So I Decide": Czech ANO as an Extreme Form of a Business-Firm Party. In: East European Politics & Societies. ივნისი 2016;

ცხრილი 10[376]

2010- 2017 წლებში ჩეხეთის პარლამენტის არჩევნების შედეგები (ძირითადი პარტიების შედეგები მოპოვებული მანდატების მიხედვით)

პარტია	2010	2013	2017	2021
ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია (ČSSD)	56	50	15	-
სამოქალაქო დემოკრატიული პარტია (ODS)	53	16	25	კოალიცია (SPOLU) 71
ტრადიცია, პასუხისმგებლობა, კეთილდღეობა 09 (TOP 09)	41	26	7	
ქრისტიან დემოკრატიული კავშირი - ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტია(KDU-ČSL)	-	14	10	
ბოჰემიისა და მორავიის კომუნისტური პარტია (KSČM)	26	33	15	-
სამოქალაქო საქმეები (VV)	24	-	-	-
„უკმაყოფილო მოქალაქეთა მოძრაობა (ANO)**	-	47	78	72
ეროვნული კოალიცია (Úsvit)*	-	14	-	
ჩეხეთის პირატების პარტია (Piráti)	-	-	22	კოალიცია (PirSTAN) 37
მერები და დამოუკიდებლები (STAN)	-	-	6	
თავისუფლება და პირდაპირი დემოკრატია (SPD)*	-	-	22	20

* მემარჯვენე რადიკალური პარტია

** პოპულისტური პარტია

„ANO“-ს რიტორიკის ქვაკუთხედს წარმოადგენდა კონტრასტი, რომელსაც პარტია სთავაზობდა ჩეხ ამომრჩეველს - ერთი მხრივ, წარმატებული ბიზნესმენი და ქველმოქმედი[377] ანდრეი ბაბიში და მეორე მხრივ - კორუფციის ჭაობში ჩაფლული სახელმწიფო.[378] ამასთან, პარტია და მისი ლიდერი კარდინალურად იცვლიდნენ პოლიტიკურ შეხედულებებს მოსახლეობის განწყობების პარალელურად და პოლიტიკური

[376] მონაცემები აღებულია ჩეხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდიდან. https://www.volby.cz/ (ბოლო ნახვა 13.12.2021);

[377] ანდრეი ბაბიშის კომპანია „Agrofert“-ის ფონდი ყოველწლიურად ჩეხეთში ასობით მილიონი ჩეხური კრონის ხარჯავს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო პროექტების დასაფინანსებლად. AGROFERT Foundation - https://www.agrofert.cz/en/about-agrofert/agrofert-foundation (ბოლო ნახვა 15.12.2021);

[378] HAVLÍK Vlastimil. Op.cit.

ხელსაყრელობიდან გამომდინარე. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პარტიის დამოკიდებულება ჩეხეთის ევროზონაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად პარტია აქტიურად უჭერდა მხარს ჩეხეთში ევროს შემოღებას, თუმცა, მოგვიანებით, მოსახლეობაში ევროსკეპტიკური შეხედულებების ზრდის პარალელურად, ის იქცა სახელმწიფო ვალუტის შეცვლის მკაცრ მოწინააღმდეგედ.[379]

2017 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, პარტია „ANO“-ს, ჩეხეთის მოსახლეობაში უკვე ჰყავდა სტაბილური ელექტორატი. მათ უმეტესობას წარმოადგენდა 55 წელს გადაცილებული, მემარჯვენე და ევროსკეპტიკური შეხედულებების მოქალაქეები. თუმცა, სოციალური პოლიტიკის კუთხით გაცემული „გულუხვი“ დაპირებების წყალობით, პარტიამ მოახერხა მემარცხენე ელექტორატის გარკვეული ფენის (პენსიონერები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და ა. შ.) მოზიდვაც[380], რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდეც მისი წარმატება.

პარტია „ANO“-ს პოლიტიკური შეხედულებების უკეთ გასაანალიზებლად, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ მისი ლიდერის ანდრეი ბაბიშის პიროვნებასაც. ბაბიში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სლოვაკურ ნაწილში, ქ. ბრატისლავაში დაიბადა. ჩეხეთის რესპუბლიკაში საცხოვრებლად კი „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ გადავიდა. ბრატისლავის ეკონომიკური უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ბაბიშმა მუშაობა მსხვილ სახელმწიფო კომპანია „Chemapol Bratislava“-ში გააგრძელა და 1985 წელს მაროკოში ამ კომპანიის წარმომადგენლად დაინიშნა.[381] აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთში არსებულმა „ერის ხსოვნის ინსტიტუტმა“(Ústav pamäti národa - ÚPN)[382], რომელიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის „ŠtB“-ს (Štátna bezpečnosť) არქივებს სწავლობს, 2014 წელს გამოაქვეყნა „ŠtB“-ს თანამშრომელთა და ფარულ აგენტთა სიები, სადაც ანდრეი ბაბიშის გვარიც ფიგურირებდა. ინსტიტუტის განცხადებით, „ŠtB“-მა ანდრეი ბაბიშის გადაბირება 1980-იან წლებში მოახდინა და ის **ბურეშის (Bureš)** ფსევდონიმით თანამშრომლობდა.[383] თავად ბაბიში ბრალდებებს უარყოფს და ცილისწამებისთვის ინსტიტუტის წინააღმდეგ სარჩელიც კი

[379] NIČ Milan & DOSTÁL Ví t. Andrej Babiš is not Central Europe's Game-Changer. In: DGAP standpunkt Nr. 15. Deutsche Gesellschaft für Auswärtige Politik 2017;
[380] DELOY Corinne. *General Elections in Czech Republic*. In: European Elections Monitor. Robert Schuman Foundation 8.10.2021;
[381] DRDA Adam. Andrej Babiš – Czech oligarch. In: Politico. 11.08.2014. https://www.politico.eu/article/andrej-babis-czech-oligarch/ (ბოლო ნახვა 17.12.2021);
[382] Ústav pamäti národa - https://www.upn.gov.sk/ (ბოლო ნახვა 17.12.2021);
[383] საინფორმაციო სააგენტო AKTUÁLNĚ. https://tinyurl.com/yc4evtb7 (ბოლო ნახვა 17.12.2021);

შეიტანა სასამართლოში. თუმცა, სლოვაკეთის სასამართლომ ბაბიშის საჩელი არ დააკმაყოფილა, რითაც, ფაქტობრივად, დაადასტურა „ÚPN“-ის მიერ გამოქვეყნებული მასალების ავთენტურობა.[384]

კითხვის ნიშნებს აჩენს ანდრეი ბაბიშის მიერ დაგროვებული კოლოსალური სიმდიდრის წარმომავლობაც. ოფიციალური ვერსიით, საკუთარი ფირმის ჩამოსაყალიბებლად საწყისი კაპიტალი ბაბიშმა ისესხა ჟენევის საერთაშორისო სკოლის ყოფილი თანაკლასელებისგან.[385] თუმცა ჩეხეთის მოსახლეობის უმრავლესობას ამ ვერსიის არ სჯერა და მიიჩნევენ, რომ მას ჰყავდა საიდუმლო პარტნიორი, შესაძლოა მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკი, რომელიც უზრუნველყოფდა მის დახმარებას საჭირო ფინანსებით და პოლიტიკური მხარდაჭერით.[386]

ჩეხეთის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ანდრეი ბაბიშმა, დაიწყო ძალაუფლების კონცენტრაციისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმა, თუმცა უნგრული„Fidezs“-ისა და პოლონური „PiS“-ისაგან განსხვავებით, ბაბიშის პარტია „ANO“-ს ჩეხეთის პარლამენტში არათუ საკონსტიტუციო უმრავლესობა, ერთპარტიული უმრავლესობაც არ გააჩნდა, რაც საგრძნობლად ზღუდავდა მის შესაძლებლობებს. მნიშვნელოვან განსხვავებას ზემოხსენებულ პარტიებს შორის წარმოადგენდა ის გარემოებაც, რომ „ANO“-ს იდეოლოგია, „Fidesz“-ისა და „PiS“-ის იდეოლოგიისაგან განსხვავებით, დაცლილი იყო ნაციონალისტური ნარატივისგან.[387] განსხვავებულია თავად ამ პარტიების ლიდერთა პოლიტიკური გზაც. თუკი ვიქტორ ორბანმა და იაროსლავ კაჩინსკიმ ჯერ ძლიერი პარტიული ორგანიზაცია შექმნეს „Fidezs“-ისა და „PiS“-ის სახით და არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დაიწყეს „არალიბერალური სახელწიფოს“ მშენებლობა საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაციის მიზნით. ანდრეი ბაბიშმა, როგორც ჩეხეთის ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა, ჯერ უზარმაზარი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია მოახდინა საკუთარ ხელში და ამის შედეგ შექმნა პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც მისი გავლენები კიდევ უფრო უნდა გაეფართოებინა.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პოლონეთისა და უნგრეთის მმართველი პარტიის ლიდერების მსგავსად, ანდრეი ბაბიშმაც დაიწყო სამთავ-

---

[384] საინფორმაციო სააგენტო „France 24“. https://tinyurl.com/2jpfafy2; 13.02.2018. (ბოლო ნახვა 17.12.2021);

[385] ა. ბაბიში, როგორც ჩეხოსლოვაკიის ყოფილი დიპლომატის შვილი, გარკვეული პერიოდი სწავლობდა ჟენევაში სადაც მამამისი იყო მივლენილი;

[386] PATOČKA Jakub, VLASATÁ Zuzana. *Andrej Babiš : A route form billionaire to oligarch*. In: European Network of Corporate Observatories(ENCO). 13/02/2020. https://tinyurl.com/b3xz48bj (ბოლო ნახვა 18.12.2021);

[387] HANLEY Sean Leo & VACHUDOVA Milada Anna. *Understanding the illiberal turn: democratic backsliding in the Czech Republic*. In: East European Politics. July 2018. გვ.276-296;

რობო ადმინისტრაციაში, პოლიციასა და უსაფრთხოების სამსახურებში, ასევე, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ საწარმოებსა და მედიასაშუალებებში საკუთარი პარტიისადმი ლოიალური კადრების დანიშვნა. თუმცა, მათგან განსხვავებით, ანდრეი ბაბიშის ხელში ეკონომიკური და მედია-ძალაუფლების კონცენტრირება უფრო არჩევნების წინმსწრები პროცესი იყო და არა მისი შედეგი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი უნგრეთსა და პოლონეთში პოპულისტური პარტიის საარჩევნო გამარჯვებამ გამოიწვია ამ პარტიასთან დაახლოებული პირების ხელში ეკონომიკური და მედია ძალაუფლების კონცენტრაცია, ჩეხეთის რესპუბლიკაში სწორედ ეკონომიკური და მედია-ძალაუფლების ოლიგარქიულმა კონცენტრაციამ გამოიწვია არჩევნებში პოპულისტური პარტიის წარმატება.

აღნიშნული გარემოება მეცნიერებს აძლევს საფუძველს ივარაუდონ, რომ დემოკრატიის უკუსვლის კუთხით, ჩეხეთის რესპუბლიკაში საქმე გვაქვს სრულიად განსხვავებული სახის პროცესთან [388] და მისი შედარება პოლონეთსა და უნგრეთში მიმდინარე პროცესებთან გარკვეული სიფრთხილით უნდა წარიმართოს.

ზოგადად, შეგვიძლია ცალსახად განვაცხადოთ, რომ „V4“-ის ქვეყნებს შორის, ჩეხეთის რესპუბლიკა ყველაზე უფრო მედეგი აღმოჩნდა პოპულისტური და არალიბერალური ტენდენციების მიმართ. ამის მიზეზი, უნდა ვეძებოთ იმ გარემოებაში, რომ კომუნისტური რეჟიმის დამხობიდან დღემდე, ჩეხეთის პარლამენტში ერთპარტიული უმრავლესობის მოპოვება ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ მოახერხა, რაც ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კლიმატს უფრო დაბალანსებულს ხდის და მოსახლეობის პოლიტიკურ სიმწიფეზე მიუთითებს.

პოპულიზმისა და რადიკალიზმის გამოვლინებები სლოვაკეთში არსებული ტენდენციები და შესაძლო შედეგები

უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები სლოვაკეთის რესპუბლიკაში 2020 წლის 29 თებერვალს გაიმართა, სადაც გამარჯვება მოიპოვა კონსერვატიული ტიპის პოპულისტურმა პარტია „Oľ'aNO“-მ[389] (Obyčajní Ľudia a nezávislé osobnosti - „ჩვეულებრივი ადამიანები - განსაკუთრებული პიროვნებები“), რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 25,3 პროცენტი მიიღო. მთავრობის დასაკომპლექტებლად საჭირო უმრავლესობის მოსაპოვებლად „Oľ'aNO“-მ, კოალიციური შეთანხმება გააფორმა სამ

[388] HANLEY Sean Leo & VACHUDOVA Milada Anna.op. cit. გვ. 286;
[389] Oľ'aNO - ოფიციალური ვებ-გვერდი. https://www.obycajniludia.sk/ (ბოლო ნახვა 21.12.2021);

პარტიასთან - პოპულისტურ პარტიასთან „ჩვენ ვართ ოჯახი“ („Sme Rodina“), ლიბერალურ პარტია „თავისუფლება და სოლიდარობასთან“ („SaS“) და ასევე ლიბერალურ პარტიასთან „ხალხისთვის“ („Za Ľudí“). პრემიერ მინისტრის პოსტი „OľaNO“-ს ლიდერმა **იგორ მატოვიჩმა (Igor Matovič)**[390] დაიკავა. სულ, 2020 წლის არჩევნებში მონაწილე 13 პოლიტიკური სუბიექტიდან, სლოვაკეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული საარჩევნო ბარიერის (5 პროცენტი პარტიისთვის, 7 პროცენტი -- პარტიათა ბლოკისათვის) გადალახვა მოახერხა ექვსმა სუბიექტმა (იხ. ცხრილი 11).

აღნიშნული შედეგით, „V4“-ის დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, სლოვაკეთში ერთგვარი კონტრასტული ვითარება შეიქმნა. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს პოპულისტური პარტიის გაძლიერების ტენდენციასთან, თუმცა მეორე მხრივ, კოალიციაში შემავალი ორი სუბიექტი („SaS“ და „Za Ľudí“) არ განეკუთვნება ევროსკეპტიკურ პარტიათა რიცხვს, უფრო მეტიც, ისინი სლოვაკეთში ლიბერალური დემოკრატიის გაძლიერების აქტიური მომხრეები არიან.

ცხრილი 11[391]

სლოვაკეთის რესპუბლიკის 2012, 2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნებში ძირითადი პარტიების შედეგები

N	პარტია	2012 წელი	2016 წელი	2020 წელი
1	OľaNO*	8,56%	11,03 %	25,02 %
2	Smer	44,42%	28,28 %	18,29 %
3	Sme Rodina**	-	6,63 %	8,24 %
4	ĽSNS***	1,58%	8,04 %	7,97 %
5	SaS	5,88%	12,10 %	6,22 %
6	Za Ľudí	-	-	5,77 %
7	SP/Spolu	-	-	6,96 %
8	KHD	8,82%	4,94	4,65 %
9	SNS****	1,58%	8.64	3,16 %
10	Most-Híd	6,90%	6,5	2,05 %

* პოპულისტური, ანტიკორუფციული პარტია ე. წ. „catch-all“ პარტია;

** მემარცხენე პოპულისტური, ევროსკეპტიკური პარტია;

*** ულტრამემარჯვენე, რადიკალური, ანტიევროპული პარტია;

**** ნაციონალისტურ-კონსერვატიული, ევროსკეპტიკური პრორუსული პარტია;

[390] იგორ მატოვიჩი -ბიოგრაფია. https://tinyurl.com/bdzbpsdu (ბოლო ნახვა 21.12.2021);

[391] მონაცემები აღებულია სლოვაკეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდიდან. https://volby.statistics.sk/index-en.html (ბოლო ნახვა 21.12.2021);

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კიდევ ერთ მოულოდნელობას წარმოადგენდა 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული სლოვაკეთის პრეზიდენტის **ზუზანა ჩაპუტოვას** ლიბერალურ-ცენტრისტული კოალიცია "SP/SPOLU"-ს მარცხი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 6,96%-ი მიიღო და სულ ცოტა დააკლდა სლოვაკეთის კანონმდებლობის შესაბამისად, საარჩევნო ბლოკებისთვის დაწესებული შვიდპროცენტიანი ზღვარის გადასალახად.

პარტია „Oľ'aNO"-ს წარმატება ორმა გარემოებამ განაპირობა. პირველი ესაა მისი ლიდერის იგორ მატოვიჩის სწორად დაგეგმილი და განხორციელებული წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც მთლიანად იყო აგებული სლოვაკეთში არსებული კორუფციის მხილებაზე. პარტიის წინასაარჩევნო ვიდეორგოლებში მატოვიჩმა სლოვაკ ამომრჩევლებს აჩვენა სლოვაკეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა კუთვნილი ფეშენებელური აგარაკები ნიცაში, იტალიაში, კვიპროსსა და ევროპის სხვა ძვირად ღირებულ კურორტებზე. მეორე, გადამწყვეტ, გარემოებას წარმოადგენდა სლოვაკი ამომრჩევლის იმედგაცრუება მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის თორმეტწლიანი მმართველობით, რომელიც უხვად იყო გაჯერებული როგორც კორუფციული, ისე პოლიტიკური სკანდალებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2018 წლის მოვლენები, რომელმაც საბოლოოდ შეარყია მმართველი პარტიისა და მისი გავლენიანი ლიდერის **რობერტ ფიცოს (Robert Fico)** [392] პოზიციები და განსაზღვრა პარტიის გარდაუვალი მარცხი 2020 წლის არჩევნებში.

2018 წლის 26 მარტს, საკუთარ სახლში, საცოლესთან ერთად მოკლული იპოვეს პოპულარული ინტერნეტ-გამოცემა „Aktuality.sk"-ის 27 წლის ჟურნალისტი **იან კუციაკი (Ján Kuciak)**,[393] რომელიც ხშირად აქვეყნებდა სტატიებს სამთავრობო სტრუქტურებში არსებულ კორუფციაზე და სკანდალურად ცნობილი სლოვაკი ბიზნესმენების მჭიდრო ურთიერთობებზე მმართველი პარტიის (SMER SD) უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებთან[394].

ჟურნალისტისა და მისი საცოლის მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია სლოვაკეთის მოსახლეობაში, რამაც გახშირებული კორუფციული სკანდალებით ისედაც დასუსტებულ ხელისუფლებას საბოლოოდ დაუკარგა ნდობა. ქვეყნის დიდ ქალაქებში არაერთი ხალხმრავალი საპრო-

[392] რობერტ ფიცო - ბიოგრაფია. https://www.vlada.gov.sk//7674/robert-fico/ (ბოლო ნახვა 23.12.2021);
[393] EurActive. *About: Jan Kuciak*. https://tinyurl.com/2p9ceh66 (ბოლო ნახვა 23.12.2021);
[394] BOFFEY Daniel. *Slovakian journalist investigating claims of tax fraud linked to ruling party shot dead.* The Guardian. https://tinyurl.com/5cz7a2ad. 26 Feb 2018. (ბოლო ნახვა 23.12.2021);

ტესტო აქცია გაიმართა, სადაც მოქალაქეები მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომასა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვდნენ.

საზოგადოების პროტესტის გამო პოსტი დატოვეს კულტურის მინისტრმა **მარეკ მადიარიჩმა,** რომელიც კურირებდა სლოვაკეთის მას-მედიის საქმიანობას და შინაგან საქმეთა მინისტრმა **რობერტ კალინიაკმა.** თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი: კრიზისის შედეგად დაშლის საფრთხე შეექმნა სამთავრობო კოალიციას. კოალიციაში შემავალმა უნგრული უმცირესობის პარტია „MOST-HID"-ის წარმომადგენლებმა ღიად განაცხადეს, რომ განიხილავდნენ კოალიციის დატოვებას, რაც ავტომატურად გამოიწვევდა სამთავრობო კრიზისს და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. მაგრამ რობერტ ფიცოს პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომამ შესაძლებელი გახადა ვითარების განმუხტვა და სამთავრობო კოალიციის შენარჩუნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ ზემოხსენებული სკანდალი გახდა 2020 წლის არჩევნებში მმართველი მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის მძიმე მარცხის უმთავრესი მიზეზი. ეს მარცხი იმდენად დიდი იყო, რომ მმართველ კოალიციაში შემავალი სამი პოლიტიკური პარტიიდან მხოლოდ ერთმა, ყოფილი პრემიერ-მინისტრის რობერტ ფიცოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტია „SMER SD"-მა მოახერხა ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვა.

მმართველ კოალიციაში შემავალმა კიდევ ორმა პარტიამ, სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) სპიკერის **ანდრეი დანკოს** ნაციონალისტურმა, პრორუსულმა პარტია „SNS"-მა და პარტია „Most-Híd"-მა ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 3,16 და 2,05 პროცენტი მიიღეს და შესაბამისად, პარლამენტს მიღმა დარჩნენ.

„ვიშეგრადის ოთხეულის" სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სლოვაკეთში პოპულისტური და ანტიევროპული ტენდენციების გაძლიერება ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც კომუნისტური რეჟიმის დამხობისა და ჩეხოსლოვაკიის „ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ, ქვეყნის სათავეში ნაციონალისტური ძალები მოვიდნენ.

ზოგადად, მკვლევრები სლოვაკეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში პოპულისტური პარტიების გაძლიერების რამდენიმე ტალღას გამოყოფენ.[395]

სლოვაკეთში პოპულიზმის პირველი ტალღა, როგორ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1990 წელს, კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ

[395] UCEN Peter. *The delayed crisis and continuous ebb of populism in Slovakia's party system*. In: KRIESI Hanspeter & PAPPAS Takis S (edit). European Populism in the Shadow of the Great Recession. ECPR Press 2016. გვ. 312-338;

დაიწყო, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა **ვლადიმირ მეჩიარის** ნაციონალ-პოპულისტური პარტია „მოძრაობა დემოკრატიული სლოვაკეთისთვის“ (Hnutie za demokratické Slovensko – HZDS), რომლის რვაწლიანი მმართველობაც სლოვაკეთის ისტორიაში დღემდე შავ ლაქად რჩება. ვ. მეჩიარის და მისი პარტიის შესახებ წინამდებარე წიგნის მე-2 თავში ვისაუბრეთ და, ამ საკითხს აღარ დავუბრუნდებით.

1998 წელს სლოვაკეთის მოსახლეობამ უარი უთხრა ვ. მეჩიარს და მის პოპულისტურ პარტიას და არჩევანი გააკეთა ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სასარგებლოდ, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია სლოვაკეთში პოპულისტური და რადიკალური ნარატივის საგრძნობი შემცირება და პოზიტიურად აისახა ქვეყანის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური განვითარების პროცესზე.

პოპულიზმის მეორე ტალღა სლოვაკეთში 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე რამდენიმე წლით ადრე, 2006 წელს დაიწყო და ის განპირობებული იყო უფრო ქვეყნის შიდა პოლიტიკური განვითარების ლოგიკით, ვიდრე გარე ფაქტორებით.[396]

კერძოდ, 2006 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმატებას მიაღწია თავისი საარჩევნო პროგრამის ნაციონალისტური ელემენტებით უხვად გაჯერებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ „მიმართულება - სოციალ-დემოკრატიამ“ (Smer – sociálna demokracia - SMER–SD)[397]. პარლამენტში მთავრობის ფორმირებისათვის საჭირო უმრავლესობის მოსაპოვებლად პარტიამ კოალიციური ხელშეკრულება გააფორმა „სლოვაკეთის ნაციონალისტურ პარტიასთან“ (Slovenská národná strana, SNS)[398] და ვ. მეჩიარის „HZDS“-სთან, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი კი **რობერტ ფიცომ** დაიკავა. „SMER-SD“-ის მხრიდან ნაციონალისტურ და ღიად ანტი-ევროპულ, პოპულისტურ ძალებთან კოალიციური ხელშეკრულების გაფორმება იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა პარტიის ევროპელი პარტნიორებისათვის, რომ 2006 წელს „SMER-SD“ გარიცხეს ევროპის სოციალისტური პარტიის (Party of European Socialist -PES)[399] შემადგენლობიდან[400].

პარტია „SMER-SD“-ის იდეოლოგიაში პოპულისტურ ნარატივზე საუბ-

[396] იქვე. გვ. 313;
[397] SMER–SD - ოფიციალური ვებ-გვერდი. https://strana-smer.sk/ (ბოლო ნახვა 24.12.2021);
[398] SNS - ოფიციალური ვებ-გვერდი. https://www.sns.sk/ (ბოლო ნახვა 24.12.2021);
[399] PES - ევროპარლამენტში,ევროპის სახალხო პარტიის შემდეგ, სიდიდით მეორე პოლიტიკური ჯგუფი. PES - ოფიციალური ვებ-გვერდი https://pes.eu/ (ბოლო ნახვა 27.12.2021);
[400] EurActive. *Slovak party suspended from PES*. 13.10.2006. https://tinyurl.com/2p9ap5pf (ბოლო ნახვა 27.12.2021);

რისას, უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ პარტიის ლიდერის - რობერტ ფიცოს - ფაქტორი. თუკი ხელისუფლებაში მოსვლამდე, რობერტ ფიცოს პოპულისტური ნარატივი ძირითადად არსებული პოლიტიკური ელიტის კრიტიკას ემსახურებოდა, მოგვიანებით, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ის იმავე მეთოდებით წარმატებით ახდენდა პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას.[401]

2008 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გააძლიერა სლოვაკეთში პოპულისტური და რადიკალური პარტიების პოზიციები. „ვიშეგრადის ოთხეულის“ ქვეყნებიდან 2008 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე მძიმე დარტყმა სწორედ სლოვაკეთის ეკონომიკას მიაყენა. თუკი 2007 წლისთვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ერთ სულ მოსახლეზე 10,8 პროცენტს შეადგენდა, 2009 წლისთვის ეს მაჩვენებელი უარყოფითი გახდა და -5,58 პროცენტამდე დაეცა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 2008 წელს სლოვაკეთის ეკონომიკა არათუ არ გაზრდილა, პირიქით თითქმის 15 პროცენტით შემცირდა (იხ. ცხრილი 12).

ეკონომიკური კრიზისის შედეგად სლოვაკეთის მოსახლეობაში საგრძნობლად გაიზარდა უკმაყოფილება როგორც ევროკავშირის ინსტიტუტების, ისე ტრადიციული პოლიტიკური პარტიების მიმართ. ამ გარემოებით კარგად ისარგებლეს ულტრამემარჯვენე და რადიკალურმა პარტიებმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნეოფაშისტური ტიპის პარტიის „სახალხო პარტია - ჩვენი სლოვაკეთის“ (Ľudová strana naše Slovensko – ĽSNS)[402] წარმატება, რომელმაც ჯერ 2013 წლის ადგილობრივ არჩევნებში მოიპოვა გამარჯვება და პარტიის ლიდერმა **მარიან კოტლებამ** (Marian Kotleba)[403] სლოვაკეთის ბანსკა-ბისტრიცას (Banská Bystrica) მხარის გუბერნატორის პოსტი დაიკავა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, საიმიგრაციო კრიზისის ფონზე, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ სლოვაკეთის ეროვნულ საბჭოში (პარლამენტი) ამომრჩეველთა 8,4-პროცენტიანი მხარდაჭერით 14 მანდატი მოიპოვა.

„ĽSNS“ დღემდე პოპულარულია სლოვაკეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, რაც აისახა კიდეც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, რომლის შედეგად პარტიამ 17 მანდატის მოპოვება შეძლო (იხ. ცხრილი 11).

2008 წლის ეკონომიკური კრიზისი უარყოფითად აისახა რობერტ ფიცოს პარტია „SMER-SD“-ზეც, რომელიც დამარცხდა 2010 წლის საპარლამენტო არჩევნებში და იძულებული გახდა ოპოზიციაში გადასულიყო.

[401] UCEN Peter.op. cit. გვ. 324;
[402] ĽSNS - ოფიციალური ვებ-გვერდი. http://www.lsnaseslovensko.sk/ (ბოლო ნახვა 27.12.2021);
[403] მარიან კოტლება - ბიოგრაფია.https://tinyurl.com/yd5tfbue (ბოლო ნახვა 29.12.2021);

ცხრილი 12[404]

მშპ ზრდა სლოვაკეთის რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე (წლიური %)

მიუხედავად მძიმე შედეგისა, რობერტ ფიცომ მოახერხა განემტკიცებინა მოსახლეობაში საკუთარი მხარდაჭერა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა როგორც 2012 წლის ვადამდელ, ისე 2016 წლის საპარლმენტო არჩევნებში. 2020 წლის შემდეგ რ. ფიცოს „SMER-SD“ სლოვაკეთში წამყვან ოპოზიციურ პარტიად რჩება და არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში რ. ფიცო კვლავ ვიხილოთ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ხელისუფლებაში მყოფი ოთხი პარტიისგან შემდგარი („Oľ aNO“, „Sme Rodina“, „SaS“ და „Za Ľudí“) კოალიციური მთავრობა საკმაოდ მყიფეა და ხელისუფლებაში ყოფნის პირველივე წელს სერიოზული რყევა განიცადა.

2021 წლის 30 მარტს, არჩევნებიდან ერთი წლის თავზე, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ იგორ მატოვიჩს მოუხდა დაკავებული თანამდებობის დატოვება.[405] გადადგომის მიზეზი გახდა სლოვაკეთის მხრიდან კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული წარმოების ვაქცინის “Sputnik V”-ის ერთი მილიონი დოზის შეძენასთან დაკავშირებული სკანდალი.

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა კოალიციური პარტნიორებისაგან საიდუმლოდ აწარმოა მოლაპარაკებები რუსეთის ფედერაციასთან. ინფო-

[404] GDP per capita growth - Slovak Republic. https://tinyurl.com/4ca9yjbx (ბოლო ნახვა 29.12.2021);
[405] HOLROYD Matthew. *Slovakia's prime minister steps down amid Sputnik V vaccine scandal*. Euronews. 30.03.2021. https://tinyurl.com/mvhvcfnn (ბოლო ნახვა 29.12.2021);

რმაციას ფლობდა მხოლოდ იგორ მატოვიჩის თანაპარტიელი, ჯანდაცვის მინისტრი **მარეკ კრაიჩი (Marek Krajčí)**, რომლის უწყებამაც სასწრაფო წესით მოახდინა სლოვაკეთში რუსული ვაქცინის თერაპიული გამოყენების დამტკიცება[406]. ევროკავშირის მიერ არასერტიფიცირებული "Sputnik V" ვაქცინის პირველი ნაწილი, 200 ათასი ერთეული, 2021 წლის მარტის დასაწყისში შევიდა სლოვაკეთში.

ამ გადაწყვეტილებას, რომელიც ცალსახად პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, განსაკუთრებით მძაფრი რეაქცია მოჰყვა მმართველი კოალიციის ორი წევრი პარტიის, „SaS"-ისა და „Za Ľudí"-ის, მხრიდან, რომლებმაც ღიად მიანიშნეს კოალიციიდან გასვლის შესახებ, თუკი პრემიერ-მინისტრი არ დატოვებდა დაკავებულ თანამდებობას. ამასთან ევროპულ საქმეთა მინისტრმა **ივან კორჩოკმა (Ivan Korčok)** (რომელსაც აღნიშნული პოსტი პარტია „SaS"-ის კვოტით უკავია) „Sputnik V" ვაქცინას რუსული ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტი უწოდა და მოითხოვა სლოვაკეთის სამი უმაღლესი საკონსტიტუციო წარმომადგენლის - პრეზიდენტ **ზუზანა ჩაპუტოვას,** პარლამენტის სპიკერ **ბორის კოლარის** და პრემიერ-მინისტრ **იგორ მატოვიჩის** შეხვედრა, სადაც ღიად და ცალსახად კიდევ ერთხელ დაფიქსირდებოდა სლოვაკეთის რესპუბლიკის ევროპული საგარეო პოლიტიკური კურსის ურყეობა.[407]

თითქმის ერთთვიანი დაძაბული შიდაკოალიციური მოლაპარაკებების შემდეგ იგორ მატოვიჩმა პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა, თუმცა შეინარჩუნა ადგილი მთავრობაში და სლოვაკეთის ფინანსთა მინისტრის პორტფელი ჩაიბარა. პრემიერ-მინისტრის პოსტი კი, 2021 წლის 1 აპრილიდან, იგორ მატოვიჩის თანაპარტიელმა, ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა **ედუარდ ჰეგერმა** დაიკავა.[408]

სლოვაკეთში განვითარებული უკანასკნელი მოვლენები, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მრავალპარტიული, დაბალანსებული საკანონმდებლო ორგანო. სწორედ კოალიციური მმართველობის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პოპულისტურმა პარტიამ, მიუხედავად მცდელობისა, ვერ შეძლო სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორის შეცვლა და იძულებული გახდა დაეთმო პოზიციები.

---

[406] The Slovak Spectator. *Minister Krajčí approved use of Russian vaccine*. 02.03.21. https://tinyurl.com/3ncabuh6 (ბოლო ნახვა 29.12.2021);
[407] The Slovak Spectator. *Sputnik V is a tool of hybrid war, foreign affairs minister says*. 02.03.21. https://tinyurl.com/2p8ffny9 (ბოლო ნახვა 29.12.2021);
[408] Reuters. *Slovak president appoints Eduard Heger as prime minister*. 01.04.2021. https://tinyurl.com/4khskhyr (ბოლო ნახვა 29.12.2021);

დასკვნა

კომუნისტური რეჟიმის დაცემიდან თითქმის სამი ათწლეულის შემდეგ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური ლანდშაფტი ძირეულად შეიცვალა. დღეისათვის, ყოფილი სოციალისტურ ბლოკში შემავალი თერთმეტი ქვეყანა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა და მტკიცედ არის მიბმული დასავლურ ფასეულობათა სფეროს. უფრო მეტიც, დემოკრატიული ცვლილებების ტალღები „აღმოსავლეთ პარტნიორობისა“ და ბალკანეთის ქვეყნებში, აჩენს მოლოდინს, რომ იმ ქვეყნებსაც კი, რომლებმაც საწყის ეტაპზე ვერ მიაღწიეს სწრაფ დემოკრატიულ გარდაქმნებს, შესაძლებელია გაუჩნდეთ მეორე შანსი.

ამავდროულად, როგორც კვლევის ჰიპოთეზაში იყო აღნიშნული, ცენტრალური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც დემოკრატია თითქოს კონსოლიდირებულია, საქმე გვაქვს ე. წ. „დემოკრატიული უკუსვლის“ პროცესთან, რომელიც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ამ რეგიონში 1990-იანი წლებიდან დამკვიდრებული ლიბერალიზაციის პარადიგმისთვის. დემოკრატიის უკუსვლის პროცესი ინდივიდუალურია და თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ეთნო-კულტურული და ისტორიული სპეციფიკა გააჩნია, თუმცა არსებობს გარკვეული საერთო ტენდენციები და კანონზომიერებებიც. კერძოდ, ეს არის ახლად შექმნილი დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე, პოლიტიკური ცხოვრების მიმართ საზოგადოების ინტერესის ერთგვარი შესუსტება, პლურალისტული პოლიტიკური კულტურის დეფიციტი და ჯერაც ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სამოქალაქო საზოგადოება.

თუკი 1990-იან წლებში სამხედრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური ძალაუფლების თვალსაზრისით, დასავლური ლიბერალური დემოკრატია მსოფლიოში უკონკურენტო იყო, 21-ე საუკუნის დასაწყისიდან შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის გლობალურმა გავლენამ გარკვეული ეროზია განიცადა და მას ჩინეთისა და რუსეთის სახით ძლიერი კონკურენტები გამოუჩნდნენ, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერის სანაცვლოდ არ ითხოვენ დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას ანდა ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებათა დაცვას.

როგორც ბოლო დროს ჩატარებული კვლევები[409] ცხადყოფს, „დემოკრატიული უკუსვლა“ მხოლოდ „ახალგაზრდა დემოკრატიების“ პრობლემა

[409] NORRIS Pippa. Is Western Democracy Backsliding? Diagnosing the Risks. Harward J.F. Kennedy School research papers. March 2017;

არ არის. ევროპაში ფაქტობრივად დასრულდა კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ არსებული დემოკრატიული სულისკვეთება და საქმე გვაქვს პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების ზრდის ტენდენციასთან. მაგალითისთვის საკმარისი იქნება დავასახელოთ იტალიაში „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობის "(Movimento 5 Stelle - M5S)[410], ნიდერლანდების სამეფოში „თავისუფლების პარტიის" (Partij voor de Vrijheid – PVV)[411] ან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „ალტერნატივა გერმანიისთვის" (Alternative für Deutschland - AfD)[412] წარმატებაც.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი **სტივენ ლევიცკი** საკუთარ წიგნში, „როგორ კვდებიან დემოკრატიები", წერდა, რომ 21-ე საუკუნეში ფაშიზმის, კომუნიზმის ან უხეში სამხედრო მმართველობის ტიპის დიქტატურა მსოფლიოში თითქმის გაქრა. სამხედრო გადატრიალებები და ძალაუფლების ძალადობრივად ხელში ჩაგდების სხვა ფაქტები იშვიათია. ქვეყნების უმეტესობაში იმართება რეგულარული არჩევნები, „თუმცა დემოკრატია მაინც კვდება" და ეს პროცესი ხორციელდება არა გენერლებისა და ჯარისკაცების, არამედ ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობების მიერ[413].

მეტ-ნაკლები სიმძაფრით სწორედ ს. ლევიცკის მიერ ზემოაღწერილ პროცესს ვადევნებთ თვალს „V4" ქვეყნებშიც, სადაც, მთავრობების მიერ, ერთი შეხედვით, არსებული კანონმდებლობის დაცვით, გატარებული „რეფორმები" ძირს უთხრის ამ ქვეყნებში არსებულ ჯერ ისევ მყიფე დემოკრატიულ ინსტიტუტებს. „დემოკრატიული უკუსვლის" პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემია უნგრეთსა და პოლონეთში და შედარებით ნაკლებად ჩეხეთსა და სლოვაკეთში, თუმცა ოთხივე ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, ევროკავშირში გაწევრიანებამდე არსებული ლიბერალური დემოკრატიის გამყარებისაკენ მიმართული სულისკვეთება მკვეთრად შესუსტებულია.

„V4"-ის ქვეყნებში დღეისათვის თვალს ვადევნებთ ნაციონალისტური რიტორიკით უხვად გაჯერებული, კონსერვატიული და არალიბერალური იდეოლოგიების აღმასვლას. ამასთან, იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი იდეოლოგიის მიმდევარმა პოლიტიკურმა ძალებმა შეძლეს და მოიპოვეს ერთპარტიული უმრავლესობა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში (პირველ რიგში, ეს ეხება უნგრეთს, შემდგომ -- პოლონეთსაც),

[410] https://www.movimento5stelle.eu/ (ბოლო ნახვა 03.01.2022);
[411] https://www.pvv.nl/ (ბოლო ნახვა 03.01.2022);
[412] https://www.afd.de/ (ბოლო ნახვა 03.01.2022);
[413] LEVITSKY Steven & ZIBLATT Daniel. Op.cit. გვ.3

საქმე გვაქვს ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით, დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტების ტენდენციასთან.

დემოკრატიის უკუსვლასა და პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერების ტენდენციაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ინტერნეტისა და სოციალური მედიის განვითარებამ, რომელმაც, ფაქტობრივად, სრულად მოიცვა საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება, გარდა დადებითი ასპექტებისა, უამრავი ახალი საფრთხე და პრობლემა წარმოშვა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა არაზუსტი, მცდარი და ზოგჯერ აშკარად ყალბი ინფორმაციის სიჭარბე. დეზინფორმაცია, რომელსაც აქტიურად მიმართავენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ოპონენტების „გასაშავებლად“, თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა და პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელ უბრალო მოქალაქეს, უმეტეს შემთხვევაში, უჭირს სიმართლისა და ტყუილის გარჩევა. ამასთან, სოციალურმა მედიამ საშუალება მისცა ყველა სახის რადიკალურ და პოპულისტურ პარტიებს საკუთარი იდეოლოგია ადვილად მიიტანოს პოტენციურ ამომრჩევლამდე, რაც ამ ტიპის პარტიების გაძლიერების ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, არსებული პრობლემის მოსაგვარებლად ლიბერალურმა დემოკრატიებმა ჯერ ვერ შეიმუშავეს რაიმე სახის ქმედითი მექანიზმი. ზეწოლა ან მკაცრი საჯარიმო სანქციები, როგორც ეს ევროკავშირის მხრიდან უნგრეთისა და პოლონეთის წინააღმდეგ იყო გამოყენებული, ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა და შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს ამ ქვეყნების მოსახლეობაში არსებულ ანტიევროპული და ანტილიბერალური განწყობები, რაც, თავის მხრივ, სწორედ არსებული პოლიტიკური ელიტის წისქვილზე ასხამს წყალს. პრობლემის გადასაჭრელად სწორი გზა გადის საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მიმართულ ქმედებებზე. ამ კუთხით კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, რომელიც, თავის მხრივ ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოება, მისი თანამედროვე გაგებით, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ მოიცავს, ის გაცილებით ფართო ცნებაა. „სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს სოციალური ქმედების ყველა ფორმას, რომელსაც ახორციელებენ ინდივიდები ან ინდივიდთა ის ჯგუფები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული და მართული სახელმწიფოს

მიერ“[414]. ძალაუფლების წყურვილი ადამიანური სისუსტეა, ამიტომაც მდიდარი დემოკრატიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოებში, სწორედ სამოქალაქო სექტორის მხრიდან ხორციელდება ხელისუფლების აქტიური კონტროლი, რათა ამ უკანასკნელმა არ გადაუხვიოს დემოკრატიულ კურსს. სამოქალაქო სექტორის გაძლიერების პარალელურად, მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მედიის განვითარებაც, რომელიც ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას ხელისუფლების საქმიანობის შესახებ.

თუკი მოვახდენთ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში არსებული ვითარების ექსტრაპოლირებას ევროკავშირის პოტენციური ახალი წევრების და, მათ შორის, საქართველოს შესაძლო პრობლემატიკაზე, ნათლად დავინახავთ, რომ დემოკრატიული უკუსვლისა და პოპულისტური და რადიკალიზებული პარტიების გაძლიერების პრობლემებმა, რაც „V4“ ქვეყნებს ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ დაუდგათ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე იჩინა თავი.

უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად შეცვლილი გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, 2022 წლის ივნისში, ევროპულმა საბჭომ აღიარა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამი ქვეყანის, საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას ევროპული პერსპექტივა. ამასთან, უკრაინამ და მოლდოვამ ასევე მიიღეს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსიც. ამავე სტატუსის მისაღებად, ევროკომისიამ საქართველოს დაუწესა თორმეტი პუნქტისაგან შემდგარი რეფორმების განხორციელების გეგმა. მიუხედავად სირთულეებისა, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია უალტერნატივოა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, უსაფრთხოებისა და სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის კუთხით, რასაც ცალსახად ცხადყოფს „V4“ ქვეყნების მიერ განვლილი გზა.

ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროპული ინტეგრაციის გამოცდილების გათვალისწინება, ისევე როგორც ამ ქვეყნებში მიმდინარე პოსტინტეგრაციული პროცესების ანალიზი, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს. იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე წიგნი, თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის განვითარების ზოგიერთი პოტენციური ფაქტორის გათვალისწინების საქმეში.

[414] სამოქალაქო საზოგადოება - განმარტება. ევროკავშირის ოფიციალური ვებ-გვერდი. https://tinyurl.com/53hf4cny. (ბოლო ნახვა 05.01.2022). [Civil society refers to all forms of social action carried out by individuals or groups who are neither connected to, nor managed by, the State] არაოფიციალური თარგმანი;

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაეროს 43-ე გენერალურ ასამბლეაზე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლის ვიდეოჩანაწერი: https://www.c-span.org/video/?4399-1/soviet-foreign-minister-un;
2. გაჩეჩილაძე რევაზ, რობაქიძე გიორგი. *ევროინტეგრაცია: მიზანი და რეალობა (ცენტრალური ევროპის, ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება).* თსუ VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი“ მასალები. 2019;
3. გაჩეჩილაძე რევაზ, როგორ იქმნებოდა ცენტრალური ევროპა (ნაწილი1). ჟურნალი „ჩემი სამყარო“, N35, 2022 (გვ.28-35) https://gfsis.org.ge/files/my-world/35/gachechiladze.pdf]. (ნაწილი 2) ჟურნალი „ჩემი სამყარო“, N36 (გვ. 20-25) https://gfsis.org.ge/files/my-world/36/gachechiladze.pdf;
4. გაჩეჩილაძე რევაზ. *გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა*. თბილისი, თსუ გამ-ბა, 2016;
5. გაჩეჩილაძე რევაზ. *საქართველო მსოფლიო კონტექსტში. XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები.* მეორე განახლებული გამოცემა. თბილისი 2017;
6. გოგოლაშვილი კახა. *წინასიტყვაობა.* ჟურნალი ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები. სერიიდან „ევროინტეგრაცია“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2007;
7. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მემორანდუმი უნგრეთში გამოხატვისა და მედია თავისუფლების კუთხით. https://tinyurl.com/2p8xrzxz;
8. კაპანაძე ლალი. პოპულიზმი ქართულ პოლიტიკაში. დისერტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა 2011;
9. კაპანაძე სერგი. *ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმები.* ჟურნალი ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები. სერიიდან „ევროინტეგრაცია“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2007.

10. კიკნაძე თამარ, ვოლსკი გიორგი. *Georgia and the Prospects of European Integration*. ჟურნალი ევროპული კვლევები #1, 2020;
11. რობაქიძე გიორგი. *პოპულისტური და რადიკალური პარტიების გაძლიერება "ვიშეგრადის ოთხეულის" (V4) ქვეყნებში: მიზეზები, ტენდენციები და შესაძლო შედეგები*. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019;
12. როდონაია ნინო. *22 წლის წინ საბჭოთა კავშირში ბრეჟნევის ეპოქა დასრულდა*. რადიო თავისუფლება. 11 ნოემბერი 2004 წელი. https://www.radiotavisupleba.ge/a/1538144.html;
13. საერთაშორისო ორგანიზაცია „Amnesty International"-ის ანგარიში. *Dangerously Disproportionate – The ever-expanding national security state*. 2017. https://tinyurl.com/48ttp253;
14. ფონტენი პასკალ. *როგორ მუშაობს ევროკავშირი 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ*. ევროკომისია კომუნიკაციის გენერალური დირექტორატის გამოცემები 2014;
15. შუბითიძე ვაჟა. *რადიკალიზმის და ზომიერების დილემა საერთაშორისო პოლიტიკაში*. ჟურნალი "პარალელი". N13, 2022;
16. ჭყოიძე ვასილ. *კონსტიტუცია ევროპისათვის და მიმდინარე დებატები*. ჟურნალი ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები. სერიიდან „ევროინტეგრაცია". საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2007;
17. ARDITI Benjamin. *Populism or politics at the edges of democracy*. In: Contemporary Politics № 9, 2003;
18. ARZHEIMER Kai. *Electoral sociology: Who votes for the extreme right and why – and when*? Backes U. and Moreau P. (eds) *The Extreme Right in Europe: Current Trends and Perspectives*, Göttingen, Vandenhoeck and Ruprecht, 2002;
19. BATORY Agnes. *The political context of EU accession in Hungary*. In: Briefing Paper of the Royal Institute of international Affairs. November 2002;
20. Bayer Lili. *13 countries 'deeply concerned' over rule of law*. ჟურნალი POLITICO. April 1, 2020. https://tinyurl.com/2z7ztjpw;
21. BENEŠ Ví t. Czech Euroscepticism. Fridrich Ebert Stifftung. 2010;

22. BERVOETS Jeremy. The Soviet Union in Angola: Soviet and African Perspectives on the Failed Socialist Transformation. In: Geohistory Today. 2011. https://geohistory.today/soviet-union-angola-history/;
23. BILCIK Vladimir. *Can Slovakia catch up? Implication of EU accession talks a year after the Helsinki summit*. Slovak Foreign Policy Association research paper 2001;
24. BILL Stanley. *Counter-Elite Populism and Civil Society in Poland: PiS's Strategies of Elite Replacement*. in: East European Politics and Societies and Cultures. Volume XX Number X. Cambridge, UK. Sage Publications 2020. http://online.sagepub.com;
25. Bíró-Nagy András, Győri Gábor. *Hungarian Parliamentary Elections 2022*. Friedrich Ebert Schtiftung. https://tinyurl.com/jjf2mpv4;
26. BLACKLEY Katie. *How The Country of Czechoslovakia Was Created in Downtown Pittsburgh*. In: Pittsburgh's NPR News Station. https://tinyurl.com/ycraz3w2;
27. BOFFEY Daniel. *Slovakian journalist investigating claims of tax fraud linked to ruling party shot dead.* The Guardian. https://tinyurl.com/5cz7a2ad. 26 Feb 2018;
28. BOZÓKI András. *Hungarian Dissident Intellectuals before 1989*. In: Baltic Worlds, Vol II:1, 2009; 83. 40-46
29. BOZÓKI András. *The Roundtable Talks of 1989, The Genesis of Hungarian Democracy*. Akadémiai Kiadó, Budapest 2000;
30. BROMKE Adam. *The "Znak" Group in Poland*. In: Poland since 1956, readings and essays on Polish government and politics, second edition. Department of Political Science, St John's University, New York 1972;
31. BRUSIS Martin, *Czechoslovakia: State Formation and Administrative-Territorial Organization*, in: Daniele Caramani, Peter Flora, Franz Kraus (ed.): European Regions: The Territorial Structure of Europe, 1870-2000;
32. BUCHHOLZ Katharina. Which Countries are EU Contributors and Beneficiaries? In: Statista. Jan 13, 2020. https://tinyurl.com/4uhskhca;
33. BUGARIČ Bojan & GINSBURG Tom. *The assault on postcommunist courts*. in: Journal of Democracy 27/3. Johns Hopkins University Press

2016. http://eprints.whiterose.ac.uk/152045/.

34. BULMER Elliot. Federalism, International Institute for Democracy and Electoral Assistance (International IDEA) Second edition, 2017;
35. BUZEK Jerzy. The transformation of Poland since 1989. In: European View (2009) 8 ßß. 187–190; Springer 2009;
36. CANOVAN Margaret. *Populism for political theorists,* In: Journal of Political Ideologies, Vol. 9, Nº 3, 2004;
37. CIANETTI Licia, DAWSON James & HANLEY Seán. *Rethinking "democratic backsliding" in Central and Eastern Europe – looking beyond Hungary and Poland*. In: Central and Eastern Europe – looking beyond Hungary and Poland, East European Politics. VOL. 34, NO. 3.2018;
38. CLEM Ralph and CHODAKIEWICZ Marek Jan. *Poland Divided: Spatial Differences in the June 2003 EU Accession Referendum*. In: Jean Monnet/Robert Schuman Paper Series.Vol.4. N1. 2004;
39. CONNOR Phillip. *Number of Refugees to Europe Surges to Record 1.3 Million in 2015.* Pew Research Center 2016 - https://tinyurl.com/yc659pkx;
40. DANČÁK Břetislav, HLOUŠEK Ví t. *Central and Eastern Europe in the Process of Globalization and Europeanization: Comparing the Czech Republic and Poland*. In: Globalization: Perspectives from Central and Eastern Europe. Emerald Group Publishing Limited 2007;
41. DANGERFIELD Martin.V4: *A new brand for Europe? Ten years of post-accession regional cooperation in Central Europe.* In: Poznan University of Economics Review; Volume 14, Number 4, 2014;
42. DELOY Corinne. *Andrzej Duda is elected President of the Republic of Poland*. in: European Elections monitor. Robert Schuman Foundation. 25.05.2015;
43. DELOY Corinne. General Elections in Czech Republic. In: European Elections Monitor. Robert Schuman Foundation 8.10.2021;
44. DELOY Corinne. *The Law and Justice Party win the parliamentary elections and the absolute majority*. in: European Elections monitor. Robert Schuman Foundation. 25.10.2015;
45. DELOY Corinne. *Viktor Orban easily sweeps to victory for the third*

time running in the Hungarian elections. in: European Elections monitor. Robert Schuman Foundation. 08.04.2018. https://www.robert-schuman.eu/en/doc/oee/oee-1765-en.pdf;

46. DOSENRODE Søren. *Federalism Theory and Neo*-Functionalism: Elements for an Analytical Framework, Perspectives on Federalism, Vol. 2, 2010;
47. DRDA Adam. Andrej Babiš – Czech oligarch. In: Politico. 11.08.2014. https://www.politico.eu/article/andrej-babis-czech-oligarch/;
48. DREHER Rod. *Viktor Orban: West Is 'In A War with Russia*. The American Conservative 26.01.23 https://tinyurl.com/2p8n623x;
49. DZURINDA Mikuláš. *Slovakia, still the 'black hole' of Europe.* In: Politico. March 16, 2018. https://www.politico.eu/article/slovakia-black-hole-of-europe/;
50. ENGELS Frederick. *The Principles of Communism*. https://tinyurl.com/5fbwhwbe;
51. ENTZ Géza. *Miklós Németh, The premier of peaceful transition 1988–1990*. In: Hungarian Review Volume VI, N 4. July 6, 2015;
52. EUROPEAN COMMISSION COMPOSITE PAPER. *Reports on progress towards accession by each of the candidate countries.* 1999;
53. EUROPEAN COMMISSION. DOC 97/20. *Agenda 2000 – Commission Opinion on Slovakia's Application for Membership of the European Union*. Brussels, 15th July 1997. https://tinyurl.com/3dnusucy;
54. EUROPEAN Commission. *Enlargement of the European Union an historic opportunity*. Brussels Edition 2001. http://aei.pitt.edu/41185/1/A5181.pdf;
55. EUROSTAT Newsrelease. *Asylum in the EU Member States*. Issue 44/2016 – 04.03.2016. https://ec.europa.-eu/eurostat/documents/2995521/7203832/3-04032016-AP-EN.pdf/790eba01-381c-4163-bcd2-a54959b99ed6
56. FILA Lukáš. *Slovakia says yes to NATO*. In: Slovak Spectator 27 აპრილი 2003 წ. https://spectator.sme.sk/c/20019080/slovakia-says-yes-to-nato.html;
57. FITZGEORGE-PARKER Lucy. CEE architects of transition: Leszek Balcerowicz. In: Euromoney. May 14, 2019.

https://tinyurl.com/2p96vsd8;

58. FITZMAURICE John. *The Slovak Presidential Election, May 1999*. Electoral Studies - ELECT STUD. 2001;
59. FOLVARCNY Adam, KOPEČEK Lubomír. Which conservatism? The identity of the Polish Law and Justice party. in: Politics in Central Europe –pages 159-188.2020;
60. FOMINA Joanna, KUCHARCZYK, Jacek. Populism and Protest in Poland, in: Journal of Democracy 27 (4), pp. 58–68;
61. GACHECHILADZE Revaz and ROBAKIDZE George. European Integration in a Political-Geographical Context: a Comparison of the Baltic States and the South Caucasus. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 13, #4, 2019;
62. GERA Vanessa. *7 years later, Poland still wrestles with plane crash trauma*. In: AP news April 9, 2017. https://tinyurl.com/2p9d9859;
63. GRZYBOWSKI Kazimierz. *The Council for Mutual Economic Assistance and the European Community.* In: The American Journal of International Law Vol. 84, No. 1, pp. 284-292. 1990;
64. HALMAI Gabor. Hungary's illiberal turn: Disabling the constitution. 2015;
65. HANLEY Sean Leo & VACHUDOVA Milada Anna. Understanding the illiberal turn: democratic backsliding in the Czech Republic. In: East European Politics. July 2018;
66. HANLEY Sean Leo. A Nation of Sceptics? The Czech EU Accession Referendum of 13–14 June 2003. In: West European Politics. Issue: September 2004;
67. HAUGHTON Tim. *Vladimír Mečiar and His Role in the 1994-1998 Slovak Coalition Government*. In: Europe-Asia Studies, vol. 54, no. 8, 2002;
68. HAVEL V. *The Visegrad Dream Still Relevant Today*. In: Jagodziński, A. (ed.), *The Visegrad group – A Central European Constellation*. International Visegrad Fund, Bratislava 2006;
69. HAVEL Václav. *Politics and Conscience.* https://tinyurl.com/2p9psm8z ;
70. HAVLÍK Vlastimil. The Economic Crisis in the Shadow of Political Crisis: The Rise of Party Populism in the Czech Republic. in: Hanspeter Kriesi

and Takis S. Pappas (eds.) European Populism in the Shadow of the Great Recession. Colchester: ECPR Press 2015;

71. HEYWOOD Andrew. *Global Politics*. Palgrave Macmilan, 2011;
72. HOLROYD Matthew. *Slovakia's prime minister steps down amid Sputnik V vaccine scandal*. Euronews. 30.03.2021. https://tinyurl.com/mvhvcfnn;
73. HORVATH Julius. *2008 Hungarian Financial Crisis*. in: CASE(Center for Social and Economic Research) Network E-briefs. January 2009. https://www.files.ethz.ch/isn/137987/01_2009.pdf;
74. HUTT David. Six takeaways from the Czech Republic's historic election. Euronews 13.10.2021. https://tinyurl.com/2cekhubk;
75. IGNAZI Piero. *Extreme Right Parties in Western Europe*. Oxford OUP, 2003;
76. IGNAZI Piero. *The Silent Counter-Revolution*. In: European Journal of Political Research, N 22, 2006;
77. JARVIS D. *Integration Theory Revisited: Haas, Neo-Functionalism, and the Problematics of European Integration, Policy,* Organisation and Society*,* Taylor and Francis Group LLC, 1994 83.23;
78. JOHNSON Simon & LOVEMAN Gary W. *Starting Over: Poland After Communism.* Harvard Business Review. Issue March–April 1995;
79. JUREČKOVÁ Adéla. Am Ende der Ära Babiš? Tschechien zwischen Vergangenheit und Zukunft. Heinrich Böll Stiftung. 13.10. 2021;
80. Kakissis Joanna. *New Law Gives Sweeping Powers To Hungary's Orban, Alarming Rights Advocates*. NPR, April 21, 2020. https://tinyurl.com/4yjz6kwv;
81. KAMINSKI Bartlomiej. *Hungary's integration into European Union markets - production and trade restructuring.* University of Maryland, Washington DC. 1999;
82. KAROLEWSKI Ireneusz Paweł. *Poland and the European Union*.in: Oxford Research Encyclopaedia of Politics. Online Publication Date: Feb 2018;
83. KAZIN Michael. *The Populist Persuasion: An American History*. Cornell University Press, 1998;
84. KNIGHT Skylar G. Dismantling Democracy: The Orbanization of Hungary. Illiberalism Studies Program Working Papers. George

Washington University. 2021;

85. KOPEEK Lubomír. "I am Paying, So I Decide": Czech ANO as an Extreme Form of a Business-Firm Party. In: East European Politics & Societies. June 2016;
86. KRASZNAI Zoltán (ed). 25 years after the fall of the Iron Curtain the state of integration of East and West. European Commission, Directorate-General for Research & Innovation. Brussels 2014;
87. KREJČÍ Jaroslav, MACHONIN, Pavel. *Czechoslovakia 1918–1992*. *A Laboratory for Social Change*. Palgrave Macmillan UK, 1996;
88. KREKÓ Péter, ENYEDI Zsolt. *Explaining Eastern Europe: Orbán's Laboratory of Illiberalism*. In: Journal of democrac. Volume29. Issue 3. July 2018. 83. 39-51. https://tinyurl.com/yeyneznx;
89. KÜHNHARDT Ludger. *The Fall of the Berlin Wall and European Integration*. In: 20 Years after the Fall of the Berlin Wall. Editor: Dr. Wilhelm Hofmeister. KAS 2009;
90. KULESZA Czesław & RAE Gavin. *The Law and Justice Party and Poland's Turn to the Right*. In: Transform Europe Paper. January 2017;
91. LACLAU Ernesto. *On populist reason,* London-New York: Verso, 2005;
92. LÁNCZI Tamás. *Why Fidesz Lost: A Successful Government and Unsuccessful Party.*in: PETER UČEŇ and JAN ERIK SUROTCHAK (editors) Explaining the Rise and Fall of the Center-Right Parties in Central Europe 1996-2002. International Republican Institute, Bratislava 2005;
93. LANE David. *Post-Communist States and the European Union.* In: Journal of Communist Studies and Transition Politics Vol.23. 2007;
94. LAUER Kathrin. *Wir haben das Volk belogen*. Süddeutsche Zeitung. 19. September 2006. https://tinyurl.com/59wh543p;
95. LENDVAI Paul. *Hungary: Between Democracy and Authoritarianism*. Columbia University Press, New York. 2012;
96. LEVITSKY Steven & ZIBLATT Daniel. *How Democracies Die*. Penguin Random House LLC, New York 2018;
97. LEWIS Paul. *Political Parties in Post-Communist Eastern Europe*. London 2000;
98. LORENZ Astrid, ANDERS Lisa H. add. *Illiberal Trends and Anti-EU*

Politics in East Central Europe.in: Palgrave Studies in European Union Politics. Switzerland 2021;

99. LUZA Radomir. *The Communist Party of Czechoslovakia and the Czech Resistance, 1939-1945.* In: Slavic Review Vol. 28, No. 4 (Dec., 1969), ss. 561-576;
100. MACRIDIS Roy C. *Contemporary Political Ideologies: Movements and Regimes*. Glennview Scott, Foresman and Company, 4th edition, 1989;
101. MAINWARING, Scott. *Transitions to Democracy and Democratic Consolidation: Theoretical and Comparative Issues*. 1992; ss. 27. https://www.researchgate.net/publication/248151915;
102. MARCH Luke and MUDDE, Cas. *What's Left of the Radical Left? Comparative European Politics*, Palgrave Macmillan, 2005;
103. MARCH Luke. *Contemporary Far Left Parties in Europe from Marxism to the Mainstream?* International Policy Analysis, Friedrich-Ebert-Stiftung, November 2008, https://library.fes.de/pdf-files/id/ipa/-05818.pdf;
104. MARCH, Luke. *Radical Left Parties in Europe, Extremism and Democracy*. Routledge, 2012;
105. MARUSIAK, Juraj. *Russia and the Visegrad Group – more than a foreign policy issue*. International Issues & Slovak Foreign Policy Affairs;
106. McENCHROE Tom. *Communist Party leadership collectively resigns after election defeat.* Radio Prague International. 10.09.202. https://tinyurl.com/2p8h3yxn;
107. McENCHROE Tom. *Social Democrat leader Jan Hamáček to resign after poor election result.* Radio Prague International. 10.09.202. https://tinyurl.com/mu99uzhm;
108. MĚŠŤÁNKOVÁ Petra, FILIPEC Ondřej. *Transition to Democracy in Central Europe.* Palacký University, Olomouc 2019;
109. MICHALSKI Cezary. Ak Kaczyński zbudował partię opartą na modelu leninowskim. In: Polska Newsweek 12.05.2021. https://tinyurl.com/2s3nzn6w;
110. MILLARD Frances. Democratic Elections in Poland 1991-2007. In:

BASEES/Routledge Series on Russian and East European Studies. 2010;

